


ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი,
ნიკა ლოლაძე

ბორდერიზაცია
და ქართულ-ოსური ურთიერთობები
ოკუპირებულ რეგიონში



კავკასიის ხალხთა საერთაშორისო
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი,
ნიკა ლოლაძე

**გორდერიზაცია და ქართულ-ოსური
ურთიერთობები ოკუპირებულ
რეგიონში**

თბილისი
2022

ნიგნში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საოკუპაციო ზოლის ბორდერიზაციის შედეგად დაზარალებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმდებარე - გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტების სოფლების ყოფა და ქართულ-ოსური ურთიერთობის მიმართულებით არსებული პრობლემები. ნიგნი განკუთვნილია საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი: **ნ. ჯალაბაძე**

რეცენზენტები: **რ. თოფჩიშვილი, გ. ჩიქოვანი**

ყდის დიზაინი, რუკების შემდგენელი: **ნ. ლოლაძე**

ტექნიკური რედაქტორი: **ა. რუაძე**



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
წარმოშობის სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

მონოგრაფია გამოცემულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „რუსეთის მცოცავი ოკუპაციის ზონაში მოქცეული სოფლების ყოფის“ (FR-18-10229) ფარგლებში.

წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

- © შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2022
- © კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2022
- © ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, ნიკა ლოლაძე

ISBN 978-9941-498-92-3

სარჩევი

| | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. შესავალი | 6 |
| 1.1 „ცხინვალის რეგიონი“ თუ „სამხრეთ ოსეთი“? ტერმინების შესახებ (ნ. ლოლაძე)..... | 13 |
| 2. წარსულის რეინტეგრაცია ქართულ-ოსურ დაპირისპირებაში (ლ. ჯანიაშვილი) | 18 |
| 2.1 რუსულ-ოსური პოლიტიკა და საისტორიო მეცნიერება..... | 18 |
| 2.2 საქართველოში ოსთა დამკვიდრების შუქჩრილები ისტორიოგრაფიაში | 30 |
| 2.2.1 დვალთა საკითხი..... | 36 |
| 2.3 ოსების ჩამოსახლება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე..... | 41 |
| 2.4 ოსური ისტორიოგრაფია მითოლოგიების ტყვეობაში | 51 |
| 3. ზ/ორდერიზაცია საზღვრის კვლევების ინტარდისციპლინურ კონტექსტში (ნ. ლოლაძე) | 58 |
| 3.1 ლიტერატურის მიმოხილვა..... | 58 |
| 3.2 კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები | 61 |
| 3.3 „თხელი“ და „მსხვილი“ საზღვრები: ბ/ორდერიზაციის თეორიული ჩარჩო | 62 |
| 3.4 ისტორიული წანამძღვრები: ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სივრცითი ასპექტები | 68 |
| 3.4.1 საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა რუსეთის იმპერიაში | 68 |
| 3.4.2 პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა: ტერიტორიული ავტონომიების წანამძღვრები და პირველი ქართულ-ოსური დაპირისპირება..... | 71 |
| 3.4.3 მეორე რესპუბლიკა: საბჭოთა საქართველო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა | 75 |
| 3.4.4 მესამე რესპუბლიკა: დამოუკიდებლობის აღდგენა და ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობა 1991 წლიდან დღემდე | 79 |
| 3.5 ბ/ორდერიზაციის ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაზე..... | 83 |
| 3.5.1 დაკავებები „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის | |

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|
| ბრალდებით..... | 85 |
| 3.5.2 თანაცხოვრებიდან გაუხცოვებამდე: ბ/ორდერიზაციის გადაულახავი ბარიერი..... | 92 |
| 3.5.3 გაზრდილი მიგრაცია და დეპოპულაციის საფრთხე..... | 95 |
| 3.5.4 ბ/ორდერიზაცია როგორც „სარგებელი“ ცუდსა და უარესს შორის..... | 97 |
| 4. რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა | |
| დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში (ნ. ჯალაბაძე) | 101 |
| 4.1 სამხედრო ექსპანსია..... | 104 |
| 4.2 კულტურული ექსპანსია..... | 116 |
| 4.2.1 გამყოფი საზღვარი, განყვეტილი ეთნო-კულტურული ურთიერთობები და სამოქალაქო იდენტობის შეცვლის საკითხი..... | 116 |
| 4.2.2 პასპორტიზაციის საკითხი..... | 129 |
| 4.2.3 ქართულ-ოსური ტრადიციული რელიგიური ურთიერთობის ტრანსფორმაცია..... | 133 |
| 4.3 გამყოფი ხაზი, დაზარალებული მოსახლეობა და მათი განათლებისა და ჯანდაცვის პრობლემები..... | 151 |
| 4.3.1 საქართველო და რუსეთის პოლიტიკა ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან მიმართებაში..... | 172 |
| 4.4 ეკონომიკური ექსპანსია: 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის ტრანსფორმაცია საოკუპაციო ზონაში (ლ. ჯანიაშვილი)..... | 177 |
| 5. დასკვნა | 213 |
| დანართი I:..... | 226 |
| დანართი II:..... | 233 |
| დანართი III (სურათები):..... | 236 |
| SUMMARY | 243 |
| BORDERIZATION AND GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN THE OCCUPIED REGION..... | 243 |
| РЕЗЮМЕ | 254 |
| БОРДЕРИЗАЦИЯ И ГРУЗИНО-ОСЕТИНСКИЕ О ТНОШЕНИЯ В ОККУПИРОВАННОМ РЕГИОНЕ | 254 |
| ბიბლიოგრაფია:..... | 276 |

რუკების სია

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| რუკა 1 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ..... | 226 |
| რუკა 2 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი..... | 227 |
| რუკა 3 ტიფლისის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა. 1886 წელი..... | 228 |
| რუკა 5 ადმინისტრაციული დაყოფა ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს..... | 230 |
| რუკა 6 ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შემავალი მუნიციპალიტეტები..... | 231 |
| რუკა 7 ბორდერიზაცია სოფელ დვანში (2021 წლის საველე მონაცემების მიხედვით)..... | 232 |

1. შესავალი

წინამდებარე წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით. ნაშრომი დაიწერა ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „რუსეთის მცოცავი ოკუპაციის ზონაში მოქცეული სოფლების ყოფის“ (FR-18-10229) ფარგლებში. მონოგრაფიაში შესწავლილია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საოკუპაციო ზოლის ბორდერიზაციის შედეგად დაზარალებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმდებარე - გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტების სოფლების ყოფა და ქართულ-ოსური ურთიერთობის მიმართულებით არსებული პრობლემები.

კვლევა განხორციელდა კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე 2019-2022 წლებში პროექტის ძირითადი მონაწილეების მიერ: ნათია ჯაბაბაძე, პროექტის ხელმძღვანელი, ეთნოლოგი, ისტორიის დოქტორი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკა ლოლაძე, პროექტის კოორდინატორი, საზოგადოებრივი გეოგრაფი, სოციალურ და კულტურულ მეცნიერებათა დოქტორი. პროექტით დაგეგმილი სავსე სამუშაოები წარმოებდა ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში. ეთნოგრაფიული მასალა შეიკრიბა ინტერვიურების მეთოდით (ჩაღრმავებული და პირისპირ გამოკითხვა), ჩატარდა თავისუფალი დისკუსიები და ჯგუფური შეხვედრები. გამოყენებული იქნა კარტოგრაფირების, ფოტოგრაფირების და აუდიო/ვიზუალური მეთოდები. კარტოგრაფირების საშუალებით მოხდა აღნიშნული ინფორმაციის ვიზუალიზაცია, არსებულ ოფიციალურ მონაცემებთან შედარება და სივრცით-დროითი ასპექტების ანალიზი. წარმოდგენილი კოლექტიური მონოგრაფია უმთავრესად ეყენობა ავტორთა მიერ ველზე მოპოვებულ¹ ეთნოგრაფიულ მასალას, ასევე, საარქივო, სპეციალუ-

¹ გარდა პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მოპოვებული სავსე მასალისა, ნაშრომში საჭიროებისამებრ ასევე გამოყენებულია ოკუ-

რი ლიტერატურის, ბეჭდური და სოციალური მედიის მონაცემებს.

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, საქართველოში ღრმა და მრავალგანზომილებიანი კრიზისი დაიწყო. სახელმწიფო მძიმე სოციო-ეკონომიკურ ტრანზიციულ პროცესებსა და დამოუკიდებლობის აღდგენას მოუმზადებელი შეხვდა და ძნელად უმკლავდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო გამოწვევებს. ეკონომიკური კოლაფსის, სახელმწიფო ინსტიტუციების მოშლისა და პოლიტიკური არასტრუქტურულობის პირობებში, ვერც ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტების არიდება მოხერხდა. შედეგად, 1990-92 წლებში, ქვეყანა ჯერ ყოფილ სამხრეთ ოსეთის აო-ში, 1992-93 წლებში კი აფხაზეთში, საომარ მოქმედებებში აღმოჩნდა ჩათრეული.¹

1990-იანი წლების საომარი მოქმედებების შემდეგ, საქართველოსა და მის სუბარტისტულ რეგიონებს შორის არსებული მყიფე, მაგრამ გარკვეულწილად მშვიდობიანი პერიოდი, განსაკუთრებით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (შემდეგში ყსოაო) შემთხვევაში, ეკონომიკური და საზოგადოებრივი კავშირების აღდგენითა და გარკვეული ნორმალიზებით ხასიათდებოდა.² თუმცა, რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, აღნიშნული კავშირები განყდა. საქართველომ აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ში 151 დასახლებულ პუნქტზე სრულად დაკარგა კონტროლი (იხ. დანართი 1, რუკა 1).

2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ყსოაო-ში და მიმდებარე ტერიტორიებზე გადაინვა და მთლიანად განადგურდა ორმოცდაათამდე ქართული სოფელი. საკუთარი სახლებიდან გააძევეს და ეთნიკური წმენდა განახორციელეს 130 ათასამდე,

პირებული რეგიონიდან დევნილ მოსახლეობისგან პროექტის განხორციელებამდე ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალა.

¹ Loladze, N. *Migratory Movements of Georgia's Greek Community*. Berlin: Peter Lang Verlag, 2021, გვ.52.

² ჯანიშვილი, ლ. რუსული საოკუპაციო პოლიტიკა და ქართულ-ოსური ურთიერთობები შიდა ქართლში. ჟურნ.ქრონოსი, 1, თბილისი 2020, გვ.122-129.

ძირითადად ეთნიკური ქართველი მოსახლეობის მიმართ; მათგან 26 000 ყსოაო-ს მცხოვრები დღემდე დევნილობაში რჩება.¹

აგვისტოს ომამდე საქართველოს ხელისუფლება 103 დასახლებულ პუნქტს აკონტროლებდა დიდი და პატარა ლიხვის ხეობაში, ასევე ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სხვა ხეობებსა და ახალგორის რაიონში (იხილეთ დან. 1, რუკა 2). ომის შემდეგ ეს სოფლები საოკუპაციო რეჟიმის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა და 2009 წელს ოკუპირებული ტერიტორიების გასწვრივ ფრამენტულად დაიწყო ბორდერიზაცია და ახალი სასაზღვრო ინფრასტრუქტურის აღმართვა.² მოგვიანებით, 2010 წლის აპრილში, ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო მთავრობამ დაამტკიცა კანონი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“,³ რომლის საფუძველზეც, სექტემბრის ბოლოს ოსური მხარე რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მესაზღვრეების დახმარებით „სახელმწიფო საზღვრის“ დადგენას და მონიშვნას შეუდგა; 2011 წლიდან აქტიურად გაგრძელდა მანამდე დანყებული ბორდერიზაციის პროცესი და, შედეგად, საოკუპაციო ხაზმა კიდევ 32 სოფელი მოიცვა; ამდენად, მთლიანობაში საქართველომ აღნიშნული რეგიონის 135 დასახლებულ პუნქტზე დაკარგა კონტროლი.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს ცხინვალის რეგიონში 3.8 ათას კმ-ს, ხოლო ამ მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტია, სოფ. ორჭოსანთან მთავარ მაგისტრალამდე დარჩენილია დაახლოებით 350 მეტრი და ე.წ. საზღვრის მიღმაა მოხვედრილი ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნაწილი.⁴ გარ-

¹ საქართველოს მთავრობა, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php? a=term &d=6&t=4166](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4166)

² საერთაშორისო გამჭვირვალობა მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციით“ გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში. 2019, გვ: 5-7

³ *Рес (2010) Закон РЮО о Государственной границе*. ხელმისაწვდომია: <http://cominf.org/node/1166483785>

⁴ ე.ელბაქიძე, რუსული მცოცავი ოკუპაცია ციფრებში, <https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi>

და ამისა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაცემების მიხედვით, ფიზიკური ბორდერიზაცია მოიცავს: „60 კილომეტრზე მეტ სიგრძეზე გაჭიმულ უსაფრთხოების ლოპეებს, 20 კილომეტრზე განთავსებულ სათვალთვალო ტექნიკას, 200-ზე მეტ ნიშანს წარწერით „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარი“, რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების 19 ბაზასა და ოთხ კონტროლირებად გადაკვეთის პუნქტს“¹ (იხ. დან. 1, რუკა 2). აღსანიშნავია რომ საოკუპაციო ზოლზე აღმართული ლოპეების, სათვალთვალო კამერებისა და ნიშნების რაოდენობა 2018 წლის შემდეგ გაიზარდა, თუმცა ზუსტი რაოდენობის შესახებ ოფიციალური მონაცემი ხელთ არ გვაქვს.

2011 წლიდან პერმანენტულად მიმდინარე ბორდერიზაციის შედეგად გაიყო 34 დასახლებული პუნქტი, რის შედეგადაც მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები, ზოგან სასაფლაოები და სალოცავები, სასმელი და სარწყავი წყლის სათავეები და სხვ., გამოყოფილ ხაზის სხვადასხვა მხარს აღმოჩნდა.² საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები, როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა თავისუფლად ვერ გადაადგილდება, ადამიანები მოსწყდნენ მიწას, როგორც მეურნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის წყაროს; მათი გარკვეული ნაწილისათვის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე საქმიანობა, საძოვრები, სასმელი და სარწყავი წყალი ხელმისაწვდომი აღარაა; საოკუპაციო ხაზის გამოისობით, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ტყეებზე სხვადასხვა კრიტერიუმით, 800-1000-მა ოჯახმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა წვდომა.³ მოსახლეობა ველარ მიდის სასაფლაოებზე და სალოცავებში, ოსების/რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილი საქართველოს მოქალაქეები ვერ იღებენ

¹ EUMM, *Situation at the Administrative Boundary Line with South Ossetia*. 2019, ხელმისაწვდომია: https://eumm.eu/en/press_andpublic_information/press_releases/36637/?year=2019&month=9;

² IDFI (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) საქართველოს შეცვლილი საზღვრები ოკუპაციის შემდეგ, 2015. ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/ge/changed-borders-of-georgia-after-occupation>

³ საერთაშორისო გამჭვირვალობა, ... 2019

პირველად სამედიცინო დახმარებას და მშობლიურ ენაზე განათლებას, ვერ ნახულობენ ნათესავენ და ახლობლებს; ხშირად შეზღუდული აქვთ ზამთრისთვის შეშის დამზადების და სასოფლო სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის შესაძლებლობა.

რუსეთის, საქართველოს, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთისა და საერთაშორისო საზოგადოების ოფიციალური პოზიციები 2008 წლის ომსა და საოკუპაციო ზოლზე მდებარე ტერიტორიების შესახებ საგრძნობლად განსხვავდება: აღნიშნულ პროცესს საქართველო და საერთაშორისო საზოგადოება „მცოცავ ოკუპაციად“ ან ბორდერიზაციად აფასებს, ოფიციალური რუსეთისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მხრიდან კი იგი მიჩნეულია ადმინისტრაციული საზღვრის მკაცრად მილიტარიზებულ საერთაშორისო საზღვრად გარდაქმნად.¹

თავდაპირველად, გამყოფი ხაზის პერიმეტრის დიდი ნაწილი დაუდგენელი იყო და არ იყო მონიშნული; შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ხვდებოდა, სად გადიოდა საოკუპაციო ზოლი და თავისი საყოფაცხოვრებო ინტერესებისათვის (ფიჩხის შეგროვება, კენკრის, ჯონჯოლის, წაბლის და სხვ. მოგროვება) და სამეურნეო სავარგულების დამუშავების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობდა; გარდა ამისა, მოსახლეობა აკრძალულ ტერიტორიაზე გადადიოდა ვაჭრობის, ნათესავენის ნახვის, სამედიცინო და სოციალური დახმარების მიღების, ახლობლების საფლავების მონახულების ან რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრების მიზნით; შესაბამისად, საოკუპაციო ძალების სამხედროების მესაზღვრეები ხშირად აკავებდნენ მათ „საზღვრის უკანონოდ დარღვევის“ მიზეზით. ვითარება დღემდე არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყველგან არის მონყობილი ე.წ. უსაფრთხოების ღობეები; ადამიანთა დაკავება, რასაც, რიგ შემთხვევებში შეიძლება გატაცებაც კი ვუწოდოთ, კვლავ მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, „სასაზღვრო“ ნიშნები,

¹ ზაქარეიშვილი, პ. ხედვა - კონფლიქტები საქართველოში 2012 - 2016. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თბილისი, 2021; ჯალაბაძე, ნ. მცოცავი ანექსია შიდა ქართლში და მასთან დაკავშირებული პრობლემები. *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XX.თბ. 2020*, გვ: 195-212; Boyle, E. (2016). Borderization in Georgia: Sovereignty Materialized. *Eurasia Border Review*, 7(1), 1-18.

თითქოსდა სიცხადის შემოტანის თვალსაზრისით, უსაფრთხოების განცდის შექმნას ემსახურება, აღნიშნული სიტუაცია ადგილობრივებისთვის ქმნის მუდმივ ფსიქოლოგიურ წნეხს და ამდაფრებს არასტაბილურ გარემოში ცხოვრების განცდას.

სავარაუდოდ, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი მთლიანად ვერ აკონტროლებს მიმოსვლას გამყოფ ზოლზე, მაგრამ მესაზღვრეების მიერ მოტაცებული და დაკავებული ადამიანების რაოდენობა მაინც შემამფოთებელია. ოფიციალური მონაცემებით, 2008-დან 2021 წლის ჩათვლით, საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპაციის ზონის მიმდებარე სოფლებიდან 1 420 ადამიანი დაკავებული/მოტაცებული „საზღვრის“ არალეგალურად გადაკვეთისთვის.¹

2019 წლის შემოდგომამდე რუსეთის ხელისუფლებისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მიერ ნებადართული იყო სადემარკაციო ხაზის გადაკვეთა კონკრეტული საბუთებით (ე.წ. პროპუსკი) 5 სასაზღვრო გამშვებ პუნქტში: ოძისი-მოსაბრუნში (რაზდახანი), ერგნეთში, ქარძმანში, სინაგურში და ზარდიაანთკარში; ოძისი-მოსაბრუნის გადასასვლელით მხოლოდ ახალგორელები საგებლობდნენ, ხოლო პერევი-ქარძმანისა და პერევი-სინაგურის გადასასვლელებით კი საჩხერის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობა. ერგნეთის გამშვები პუნქტით ძირითადად გადმოჰყავდათ ავადმყოფები თბილისში სამედიცინო დახმარების საჭიროებისთვის. ამ პუნქტებს სხვადასხვა საბაბით, საოკუპაციო ძალები პერიოდულად კეტავდნენ (იხ. დან. 1, რუკა 2). განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 2019 წლის აგვისტოდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩორჩანასთან დაკავშირებული მოვლენების შემდგომ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ჩორჩანასა და ოკუპირებული რეგიონის სოფელ წნელისის მიმდებარედ საპოლიციო საგუშაგო მოაწყო. ამის საპასუხოდ ოსურმა მხარემ ოძისი-მოსაბრუნის და სინაგურის გამშვები პუნქტები ჩაკეტა,

¹ სსუს (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება. 2021. ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/news/656/saxelmtsifo-usaftrtxoebis-samsaxuris-gancxadeba> საერთაშორისო გამჭვირვალობა, მათულებლარებს მიღმა..... 2019.

ხოლო 2020 წლის მარტში COVID 19-ის პანდემიად გამოცხადების შემდეგ, საოკუპაციო რეჟიმის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, ჩაიკეტა ყველა გამშვები პუნქტი.

როგორც საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდულ გამოცემაშია აღნიშნული: „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთი ნაწილი ცენტრალური საქართველოს ყველაზე ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს კვეთს. ადამიანთა, ფერმების, პირუტყვის და მიწის ნაკვეთების ამ სიჭარბეში ადმინისტრაციული საზღვარი ორივე მხარეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის მუდმივ გამონვევას წარმოადგენს. იგი ხელს უშლის გადაადგილების თავისუფლებას; ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან და მუშავეებას და მეგობრებსა და ოჯახებს აცალკევებს“.¹

მოცემული ვითარება, მძიმე ყოფითი და პოლიტიკური რეალობის შექმნის გარდა, მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს ანთროპოლოგიური და საზღვრის კვლევების კუთხით, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა გამყოფ ზოლს და რა როლი აქვს მას ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკაში; წინამდებარე ნაშრომში, ბორდერიზაციის მრავალგანზომილებიანი ზემოქმედება ეთნოლოგიური და საზღვრის კვლევების ინტერდისციპლინური თეორიული პრიზმიდანაც არის შესწავლილი - როგორც ყოველდღიურად განცდილი პროცესი, მოთხრობილი და გააზრებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

¹ The EUMM Monitor (2018) *Ten Years of Continuous Presence in Georgia*. A bulletin from the European Union Monitoring Mission in Georgia, Issue #7. ხელმისაწვდომია: https://eumm.eu/data/file/6486/The_EUMM_Monitor_issue_7_ENG.pdf

1.1 „ცხინვალის რეგიონი“ თუ „სამხრეთ ოსეთი“? ტერმინების შესახებ

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, შედარებით ახალია და ოფიციალური მნიშვნელობა 1922 წელს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსების შემდეგ შეიძინა. მსგავსი სახელწოდების ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული, მანამდე არ არსებობდა, მითუმეტეს, არასდროს არსებულა ქართული პოლიტიკური ერთეულის გარეთ. პირველად „ოსეთი“ („სამხრეთის“ გარეშე), ოფიციალურ ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულის სახელად 1843 წელს ფიქსირდება. როდესაც გორის მაზრას, ხანმოკლე პერიოდით, ცალკე გამოყო ოსეთის ოკრუგი, რომელიც შედგებოდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის უბნებისაგან. აღნიშნული ოკრუგი დღევანდელი ცხინვალის რეგიონის დაახლოებით მესამედს მოიცავდა და მხოლოდ 1858 წლამდე იარსება, რის შემდეგაც კვლავ გორის მაზრას შეუერთდა (ნარის უბნის გამოკლებით) და მთის ოსეთის უბნად იწოდება.¹

XIX ს-მდე, წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით არც ტერმინი „სამხრეთი“ ან „ჩრდილოეთი“ არ ფიქსირდება და მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ ანგარიშებში რუსი სამხედროები მდ. ლიახვის მთიანი რეგიონების ოსებით დასახლებულ ტერიტორიას „ოსეთს“, „საქართველოს ოსეთს“, „ქართლის ოსეთს“ (1812-1837 წწ.) უწოდებდნენ, შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი „სამხრეთ ოსეთი“ (Южная Осетия) - „ჩრდილოეთ ოსეთი“ (Северная Осетия).

ს. ლეკიშვილმა გამოიკვლია ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ წარმოშობა და დაადგინა, რომ XIX საუკუნის დასაწყისამდე ეს ტერმინი არც ერთ დოკუმენტში არ გვხვდება.² 1800-1864 წწ.

¹ ჯანიაშვილი, ლ. *ოსთა საკითხი ყაზბეგის რეგიონში*. თბილისი 2017, მწიგნობარი; ჯიშკარიანი, დ., *თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები*. 2019 ხელმისაწვდომია: http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/28

² Лекишвили С., Когда возник термин “Южная Осетия”, Осетинский вопрос, Тб.1994, с. 229-248

398 საარქივო დოკუმენტიდან ნახსენებია მხოლოდ ორში; 1864-1900 წლებში ეს ტერმინი უკვე 19 დოკუმენტშია დიფიქსირებული. ხსენებული ტერმინი სულ რამდენჯერმე გვხვდება XIX საუკუნის პერიოდულ პრესაში.¹ საყურადღებოა, რომ რუსული სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ ოსებით დასახლებული კავკასიის სამხრეთი ფერდობი ქართლის ჩრდილოეთი იყო. 1830 წლის 23 ივლისით დათარიღებულ წერილში გენერალი პასკევიჩი გრაფ ჩერნიშევს წერს, რომ კავკასიელი მთიელების დასამოშმინებლად საჭიროა ორი სამხედრო ესპედიცია: ერთი კავკასიონის სამხრეთით ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ოსების წინააღმდეგ; მეორე კი თავაურელების, ჯარიახელების, ქისტების და ლაღაების დასამორჩილებლად.²

დღეისათვის არსებული წყაროების მიხედვით, ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ პირველი, არაოფიციალური და წმინდად საორიენტაციო მიმართებით გამოყენება, დოკუმენტურად 1830 წლით თარიღდება - იგი ანონიმი ავტორის მიერ, რუსულ გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ში³ იქნა გამოყენებული.⁴

რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში შესული საქართველო იმპერიის ჩვეულებრივ, რიგით პროვინციად აღიქმებოდა, ხოლო იმპერიის პოლიტიკური ცენტრისათვის საკუთარ სახელმწიფოში მცხოვრები და კავკასიონის მთავარი ქედით გამიჯნული ხალხის სახელდება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ლოგიკური მოვლენაა. სწორედ რუსული იმპერიული დამოკიდებულების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს საბ-

¹ იქვე, გვ.230-234

² Отношение гр. Паскевича к гр. Чернышеву, от 23-го июня 1830 года, № 384. АКАК VII, Тиф. 1878, с. 353-354

³ პირველი რუსული სამთავრობო გაზეთი ამიერკავკასიაში. 1828-1833 წლებში. თავდაპირველად იბეჭდებოდა ერთდროულად რუსულ და ქართულ ენებზე, 1829 წლიდან კი დაემატა ფარსული ენა. გაზეთში იბეჭდებოდა ცნობები საომარი მოქმედებების თეატრის შესახებ, სამთავრობო განკარგულებები და განცხადებები, „ამ მხარისათვის საინტერესო“ სხვადასხვა ახალი ამბები და საერთოდ, ყველა ცნობა, რომლებიც შეთანხმებული იყო ხელისუფლებასთან.

⁴ ანონიმი ავტორი. *Корреспонденція. Письма изъ Осетіи (къ А. Н. М., въ Москву)*. Тифлисскія Вѣдомости, №72, 1830.

ჭოთა ხელისუფლების მიერ ამ ცნებების ადმინისტრაციულ და-ყოფაში დამკვიდრება და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ოსებით დასახლებულ შიდა ქართლის ტერიტორიაზე, რაც დაწვრილებით 2.4 ქვეთავშია განხილული.

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში წარმოქმნილი სეპარატისტული მოძრაობის პასუხად, საქართველოს ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ, ოფიციალურად ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1990 წლის 11 დეკემბერს, ქვეყნის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“.¹ აღნიშნულმა ქმედებამ, კიდევ უფრო გაამძაფრა დაძაბულობა, რაც 1991-1992 წლებში სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

1990 წლის გადაწყვეტილება აღარ შეცვლილა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დღემდე გაუქმებულია. თუმცა, 2007 წელს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, შეიქმნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაცია, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა 1991-1992 წლების ომის შემდეგ, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, თუმცა დასახელებიდან გამომდინარე მოიაზრებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს მთელ ტერიტორიას (იხ. დან 1, რუკა 2 და 6).²

2008 წელს, როდესაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო კონფლიქტში უკვე ღიად ჩაერთო, მდგომარეობა ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს გარშემო რადიკალურად შეიცვალა. ომის შემდგომ, რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ

¹ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1079618?publication=0#>

² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №296 ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ. 2007 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/100630?publication=0>

ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აღიარებამ, საქართველო თვისებრივად ახალ მდგომარეობაში ჩააყენა.

ზემოთ ხსენებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებებისა და 2008 წლის ომის შემდგომი მდგომარეობის გათვალისწინებით, დღეს ოკუპირებული ტერიტორიის აღსანიშნავად საქართველოსა და მსოფლიო თანამეგობრობის უდიდეს ნაწილში (ვინც არ აღიარებს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას) ძირითადად შემდეგი ტერმინები გამოიყენება: „სამხრეთ ოსეთი“, „ცხინვალის რეგიონი“, „სამაჩაბლო“, „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. აღსანიშნავია, რომ „სამხრეთ ოსეთისა“ და „ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს“ გარდა, არცერთი სხვა ტერმინი გეოგრაფიულად არ მოიცავს რუსეთის მიერ დღევანდელი მდგომარეობით ოკუპირებულ ტერიტორიას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია რომ ბევრ საერთაშორისო დოკუმენტში, რომელზეც საქართველოს ხელი აქვს მოწერილი, მათ შორის 2008 წლის 15 აგვისტოს შეთანხმებაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ¹ - ოკუპირებული ტერიტორია მოხსენიებულია „სამხრეთ ოსეთად“.² შესაბამიად მის გამოყენებას საკანონმდებლო საფუძვლებიც გააჩნია. თუმცა, რადგან ქართულ საზოგადოებაში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ნეგატიურად აღიქმება. ამასთანავე, ქართული ადმინისტრაციული მოწყობის კანონი მოუნერსრიგებელია და ურთიერთგამომრიცხავ ფორმულირებებს მოიცავს, მართებულად მივიჩნიეთ წინამდებარე ნაშრომში „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ყსოაო)“ გამოყენება.

ბოლო რაც შეეხება ძირითადად 3-ე თავში გამოყენებულ ტერმინს „ბ/ორდერიზაცია“, იგი ჰენკ ვან ჰაუტუმის (Henk Van Houtum) „B/ordering Space“-იდან გვაქვს ნასესხები, რომელშიც უშუალოდ ფიზიკური სასაზღვრო ბარიერის აღმართვასთან ერთად (Border - საზღვარი ინგლისურად), გამოვკვეთთ პროცესის თანმდევ მრავალმხრივ შედეგებს, რადგან იგი გაყოფილ

¹ ექვსპუნქტიანი გეგმა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მიხილ სააკაშვილისა და ნიკოლა სარკოზის ხელმოწერით: https://iccn.ge/files/6-poin_t_plan_by_saakashvili_and_sarkozy.pdf

² ზაქარეიშვილი, პ. ხედვა - კონფლიქტები საქართველოში... გვ 48;

ტერიტორიებზე პირდაპირი მნიშვნელობით ახალი და განსაკუთრებული წესრიგის (Order ინგლისურად) დამყარებასაც უსვამს ხაზს.¹

¹ Van Houtum, H. *B/ordering Space*. Routledge, 2017

2. წარსულის რეინტეგრაცია ქართულ-ოსურ დაპირისპირებაში

2.1 რუსულ-ოსური პოლიტიკა და საისტორიო მეცნიერება

ანალიტიკოსებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ, ერთიდაიგივე წყაროზე დაფუძნებულ გამოკვლევებშიც კი, კონკრეტულ „მოვლენას“ ისტორიკოსები განსხვავებულად აღწერენ და ზოგჯერ სრულიად ურთიერთსაპირისპირო დასკვნებს იღებენ. მკვლევარზე ბუნებრივად ახდენს გავლენას აკადემიურ გარემოში გაბატონებული თვალსაზრისი, რომელსაც, ძირითადად, არსებული კონიუნქტურა განსაზღვრავს; კერძოდ – , სოციალურ-რირელიგიური, კულტურული, ნაციონალური და ეპოქალური ფაქტორებიტოტალური და დიქტატორული რეჟიმები ისტორიას მათი ლეგიტიმაციის ფუნქციას აკისრებდნენ და იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული ნაშრომებს საკუთარი რეჟიმის განდიდებისა და პოლიტიკური ოპონენტების და პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისათვის იყენებდნენ.¹ ამ მოსაზრების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს საბჭოთა პერიოდის (განსაკუთრებით უახლესი ისტორიის) ისტორიოგრაფია. დიდი ძალისხმევა არაა საჭირო, რომ შევნიშნოთ კარდინალური ტრანსფორმაცია, რომელიც კომუნისტური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მყისიერად განიცადადეს საბჭოთა სისტემის აპოლოგეტი მკვლევრების კონცეპტუალურმა მიდგომებმა. ფართოდ გავრცელდა კავკასიის ხალხთა ისტორიის განსხვავებული ვერსიები, დაიწყო მათი გადააზრება და რეინტერპრეტაცია ე.წ. „რევერსის“ გზით, წარსულის გაანალიზება ხდებოდა მასზე თანამედროვე სიტუაციის პროექციებით. ისტორიული ფაქტების შერჩევითი და თვითნებური განმარტებები პოლიტიკოსების ხელში ხალხის ანგაჟირების სახიფათო იარაღად და ეთნო-კონფლიქტების მასაზრდოებელ წყაროდ იქცა,² რასაც გეოპო-

¹ ჯანელიძე ო. პოსტსაბჭოთა სინამდვილი ორი დისკურსი: წარსულის პოლიტიზირება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია, თბ. 2014, გვ.9

² იქვე, გვ.11

ლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისას ფართოდ იყენებს სსრკს მემკვიდრე, რუსეთი.

XX საუკუნის ბოლოს, კომუნისტური იდეოლოგიების კრახისა და ლიბერალურ ღირებულებათა ინტენსიური დამკვიდრების პირობებში, გაჩნდა „ერთპოლუსიანი მსოფლიოს“ კონცეფცია და იმედი, რომ მწვავედ დაპირისპირებული და ორ ბანაკად გახლეჩილი კაცობრიობისათვის დამახასიათებელი სისხლიანი კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა. თუმცა, კონფლიქტები ახალ ეპოქაშიც არანაკლები სიმწვავეით გაჩაღდა. საბჭოთა კავშირის ადგილი რუსეთმა დაიჭირა, რომელმაც მარქსისტული საყოველთაო თანასწორობის იდეა რუსეთის ნაციონალური ინტერესების პარადიგმით ჩაანაცვლა. ეს პარადიგმა უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაციონალური (სახელმწიფოებრივი) ინტერესების უზრუნველყოფას საშინაო და საგარეო არენაზე.¹ ზოგადი გეოპოლიტიკური სურათიდან გამომდინარე ევროატლანტიკურ სამყაროსთან დაპირისპირება გარდაუვალობადაა მიჩნეული, სადაც კავკასიას გარკვეულ როლი აქვს მინიჭებული.² რუსული ნაციონალურ პოლიტიკა სწორედ ამგვარ კონტექსტში განიხილავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფოებს“, რომელთა აღიარებითაც, 2008 წელს, მოსკოვმა რუბიკონი გადალახა და მსოფლიო ახალი რადიკალური ქმედებებისათვის შეამზადა.

აგრესიულ საგარეო პოლიტიკას და პოსტსაბჭოურ სივრცეზე კონტროლის აღდგენის მცდელობებს ძირითადად მხარს უჭერს რუსული საზოგადოება. როგორც ა. ნეკრასოვი აღნიშნავს, ბოლო საუკუნენახევრის მასშტაბური იდეოლოგიური ექსპერიმენტები აისახა საზოგადოებრივ აზრზე და მას აბსურდული ფორმა მისცა. მაგ. სიტყვა ”ფაშიზმი” დღევანდელი, რუსული, გაგებით აღნიშნავს არა იდეოლოგიას, არამედ ორიენტაციას. რუსი ნაციონალისტები ფაშისტებს ეძახიან თანამედროვე რუსული ნაციონალური პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს

¹ Тишков В. Как обновить концепцию национальной политики? //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48, М. 2003

² Дугин А., Предисловие к грузинскому изданию “Основ геополитики”, Sep. 09,1999,04:41, /ინტერნეტ ვერსია /: <http://arcto.ru/article/890>

და პროდასავლელ ლიბერალებს.¹ რუსული ინტელექტუალური ელიტა ორმაგი სტანდარტებით უდგება ე.წ. ეთნიკური ჯგუფების უფლებებს რუსეთსა და დასავლურ სამყაროსთან დაახლოების მსურველ მეზობელ ქვეყნებში. მიჩნეულია, რომ რუსეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები კონვენციის სუბიექტები ვერ იქნებიან. ისინი რფ-ს საერთო მასშტაბით სტატისტიკურად უმცირესობაში არიან, მაგრამ კონკრეტულ რეგიონებში უმრავლესობას წარმოადგენენ. არსებულ სიტუაციაში კი დაცვას საჭიროებენ ფაქტობრივ უმცირესობაში მყოფი რუსები.² საპირისპირო დამოკიდებულებაა საქართველოს, უკრაინის ან მოლდავეთის ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ. რუსული საზოგადოება, ძირითადად, მხარს უჭერს საგარეო პოლიტიკას, რომელიც ამ ქვეყნებში სეპარატისტული მოძრაობების აქტიურ მხარდაჭერასა და კონფლიქტის ინსპირირებაში გამოიხატება. სამართლიანობის აღდგენის განცდის შესაქმენლად კრემლი აქტიურად იყენებს სეპარატისტული რეგიონების სამეცნიერო ცენტრებში ახლადშექმნილ ეთნოცენტრისტულ ისტორიულ ნარატივებს. ამ მიმართებით განსაკუთრებით შორსაა წასული ოსური ისტორიოგრაფია.

ოსი ხალხის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე (ეთნოგენეზი, პოლიტიკური სისტემის ფორმირება, მიგრაციების მიმართულება და პერიოდები და ა.შ.) გამოთქმულია მრავალგვარი და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. საერთოდ, ისტორიულ მეცნიერებაში მიდგომათა სიმრავლე ზოგჯერ გარკვეულ საფუძველს ემყარება და ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება, ზოგჯერ კი პოლიტიკური მიზანშეწონილობითაა გამოწვეული და, ისტორიული წყაროების გაყალბების, მათი ტენდენციური გააზრების გზით, იდეოლოგიური კლიშეების შექმნას და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით ოსური ისტორიოგრაფიის ისტორია გაანალიზა ვ. შნირელმანმა. მან დაადგინა, რომ ფაქ-

¹ Некрасов А., 2015, Russia looks to its history in search for a new ideology, /ინტერნეტ ვერსია / <http://inosmi.ru/russia/20150330/227196328.html>

² Тишков В. Что есть "национальные меньшинства"? (Меняющийся мир и меняющиеся рамки конвенции) //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N46, 2002

ტობრივად ოსური საისტორიო მწერლობა, რომელიც სათავეს XIX საუკუნის ბოლოს იღებს, იშვიათი გამოწვევის გარდა, თანადროულ მიზანშეწონილებას ემსახურებოდა და არა წარსულის ობიექტურ გამოკვლევას¹ (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით ვ. შნირელმანი აკრიტიკებს ქართულ ისტორიოგრაფიასაც).²

ოსმა ისტორიკოსებმა პირველ ეტაპზე, XX საუკუნის 20-იან წლებამდე, საჭიროდ მიიჩნიეს საკუთარი წინაპრები გამოეცხადებინათ უძველეს ნაციად, ძლიერი და მრავალრიცხოვანი ირანულენოვანი - „არიელი ხალხის“ - ალანების ერთადერთ შთამომავლად, რომელიც კავკასიიდან ვოლგისა და დუნაისპირეთამდე იყო განფენილი და სიძველით ქართველებს არ ჩამოუვარდებოდა. ხსენებული თეორია მომგებიანი იყო საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ ხანებშიც, როდესაც „მთის რესპუბლიკის“ ფარგლებში დღის წესრიგში დადგა ჩრდილო-კავკასიელ ხალხებს შორის მიწის ფონდის გადანაწილების საკითხი.³

საბჭოთა წყობილების დამყარების პირველივე წლებში (1926 წ.) გაჩნდა პირველი მცდელობა დაესაბუთებინათ შიდა ქართლში ოსების ცხოვრება ისტორიული არგუმენტებით. კერძოდ, VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ დაცულ ცნობას დვალეების შესახებ გ. კოკიევი მიიჩნევდა იმის საბუთად, რომ მაშინ აქ ოსები ცხოვრობდნენ. ქართველებმა ამ მიწის დაპყრობა მხოლოდ XII საუკუნეში, თამარ მეფის ეპოქაში, შეძლეს. ხოლო ერთიანი ოსეთის სამხრეთად და ჩრდილოეთად გაყოფა, უფრო გვიან, XV საუკუნეში, ჩგიორგი ბრწყინვალის მეფობისას მოხდა. ვ. შნირელმანი მიუთითებს, რომ სინამდვილეში, საქმე სრულიად საპირისპიროდ იყო. „ყველაფერი პირიქით მოხდა, XIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ოსები მასიურად ესხმოდნენ თავს შიდა ქართლს და გიორგი V-ს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ამისათვის ბოლო მოეღო.“⁴

¹ Шнирельман В. Быть аланами, М. 2006 с. 39-102; Шнирельман В. Войны Памяти, М. 2003, с.462, 471-472

² Шнирельман В. Войны Памяти, М. 2003, с. 474-476

³ Шнирельман В. Быть аланами..., с.44

⁴ იქვე, გვ.98

მოგვიანებით ოსური ისტორიოგრაფია იძულებული გახდა შეეცვალა ხსენებული განწყობა და მხარი აება ახალი ბოლშევიკური ტენდენციათვის. კომუნისტებმა იმ ხანებში მიიჩნიეს, რომ ეთნოსებს შორის არსებული დაპირისპირებების გადასალახავად საჭირო იყო წინ წამონეულიყო დებულებები, რომლებიც ასაბუთებდა მეზობელი ხალხების საერთო წარმოშობას. ოსური ისტორიოგრაფია სწრაფად გადაეწყო ახალ მოთხოვნებზე. გ. კოკიევი ამჟამად უკვე ამტკიცებდა რომ ტერმინი ალანი კრებითი ცნება იყო და სხვადასხვა არამონათესავე ხალხებისაგან შედგებოდა.¹ ამგვარ პირობებში შეიქმნა ვ. აბაევის კონცეფცია ოსი ხალხის წარმომავლობის ორკომპონენტურობის შესახებ. იგი მიიჩნევდა, რომ ინდოევროპულ-არიულ ელემენტთან ერთად ოსთა ეთნოგენეზში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ კავკასიურ სუბსტრატს, ოსები არ იყვნენ კავკასიისათვის უცხო, არამედ ისინი კავკასიური „მთის კულტურის“ ტიპს წარმოადგენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ვ. აბაევი იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა ოს მეცნიერთა შორის, რომელიც ღირსეულად უძღვებდა პარტიული და ინტელექტუალური წრეების წინაშე, არ ექვემდებარებოდა კონიუნქტურას და დასკვნები მის ხელთ არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოჰქონდა. ამიტომ მისი სამეცნიერო პროდუქცია ნაკლებად ემსახურებოდა პილიტიკური მიზანშეწონილობას.² ეს კიდევ უფრო შესამჩნევია იმ ფონზე, როდესაც საბჭოთა პერიოდის ოსური ისტორიოგრაფია ძირითადად ცდილობდა ისტორიის იმგვარ გაშუქებას, რომ ხელი შეწყობოდა თანადროული პრობლემების მომგებიანად გადაწყვეტას. წყაროების და საარქივო დოკუმენტების გაუთვალისწინებლობის და ტენდენციური კომპილაციისათვის ოს ისტორიკოსებს უკვე გასული საუკუნის 20-იან წლებში აკრიტიკებდნენ.³

1920-1930-იან წლებში ოსურ მეცნიერებაში მეტად პოპულარული ირანული და არიული ფესვების ძიება მეორე მსოფ-

¹ იქვე გვ.46-47

² Шнирельман В. Быть аланами, с.52-53

³ Пчелина Е. Г. [Рсц.: Кокиев Г. А. Очерки по истории Осетии. Ч. 1] // Печать и революция. 1928. Кн. 3. С. 150-153 (წიგნში Шнирельман В. Быть аланами, с.44)

ლიო ომის მსვლელობისას სახიფათო გახდა, რადგან იგი ნაციისტურ იდეოლოგიასთან კავშირებისა და ოსთა გერმანელებთან ნათესაობის ასოციაციას იწვევდა. ეს განსაკუთრებით ცხადი იყო იმ ფონზე, როდესაც ოსი კოლაბორაციონისტები მრავლად იბრძოდნენ გერმანელთა მხარეზე, ჩრდილოკავკასიურ ლეგიონებში, ხოლო სამხედრო შტაბს ოსური წარმომავლობის პირები (ჯერ კულათი, 1944 წლიდან კი მაიორი დუდაროვი) ხელმძღვანელობდნენ.¹ ხსენებული სამიშროება უფრო გამოიკვეთა 1944 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩრდილო კავკასიელი ხალხების ერთი ნაწილის დეპორტაცია განახორციელა. ამ ვითარებაში ოსებმა საჭიროდ ჩათვალეს ირანელი წინაპრები იაფეტიებით ჩაენაცვლებინათ და, სათანადოდ, ტერმინი „იაფეტიზირებული ირანელები“ „ირანიზირებული იაფეტიდებით“ შეეცვალათ.²

სსრკ-ში განვითარებული ტენდენციების მიხედვით ცვლილებას განიცდიდა ოსი ისტორიკოსების შეხედულებები რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში ოსეთის შესვლის თაობაზეც. იმ პერიოდში, როდესაც ბოლშევიკური პროპაგანდის ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას ნეგატიურ პრიზმაში განიხილავდა და რუსეთს ხალხთა საპყრობილედ მიიჩნევდა, ოსი მეცნიერები ასაბუთებდნენ, რომ მეფის რუსეთმა იარაღით დაიპყრო ჩრდილო ოსეთი, და ოსი ხალხი ხანგრძლივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაება;³ მოგვიანებით, კონიუნქტურა შეიცვალა და ხშირად იგივე ავტორები წერდნენ, რომ ოსეთი ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში და ხაზს უსვამდნენ ამ მოვლენის პროგრესულ ხასიათს.⁴

შეხედულებათა ზემოხსენებული ტრანსფორმაცია, როგორც ნესი, განპირობებული იყო პოლიტიკური მიზანშეწონილობის ნიადაგზე აღმოცენებულ ახალ პარადიგმაზე მათი მორგების სურვილით, ამიტომ ადრე გამოთქმულისაგან პოლარულად განსხვავებული მოსაზრება შეიძლება ვიპოვოთ საბჭოთა

¹ Яндиева М. Ингуши во Второй мировой войне // Ас-Алан. 2002. № 1, с. 68- 69, 74-75

² Шнирельман В. Быть аланами с. 50

³ Скитский Б, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 года, Владикавказ, 2009, с.125-130

⁴ Шнирельман В. Быть аланами, с.64

პერიოდის თითქმის ყველა ოსი ავტორის შემოქმედებაში. თუმცა, ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია არც თუ შედეგიანი აღმოჩნდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულმა ოსურ-ინგუშურმა დისკუსიამაც ცხადყო, დაპირისპირების ამგვარი გზით გადაჭრის არაეფექტურობა. ა. ცუციევი წერდა, რომ მხარეთა კამათი მაგიდის ჩოგბურთს წააგავს, როდესაც ნებისმიერ არგუმენტს მოწინააღმდეგე კონტრარგუმენტით პასუხობს: როდესაც ინგუშები მიუთითებდნენ, რომ პრიგოროდნი რაიონის მიწები 1944 წლის დეპორტაციამდე მათ ეკუთვნოდა, ოსები პასუხობდნენ, რომ ადრე, 1918-1922 წლამდე აქ კაზაკები ცხოვრობდნენ; თუ ინგუშები შეეწინააღმდეგებოდნენ, რომ კაზაკები იქ მხოლოდ ინგუშების იძულებითი გადასახლების შემდეგ, 1859-1861 წლებში მოვიდნენ, ოსები ადრე შუა საუკუნეებს მიმართავდნენ და ამბობდნენ, რომ ყველა სადავო მიწა ალანთა სახელმწიფოში შედიოდა; ამ შემთხვევაში ინგუშებს სხვა აღარაფერი რჩებოდათ, უნდა განეცხადებინათ, რომ ალანთა საზოგადოება ჰეტეროგენულ ხასიათს ატარებდა და ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ყოველთვის ვაინახები ცხოვრობდნენ. ამრიგად, ორივე მხარეს მიაჩნდა, რომ ისტორიული სიმართლე მის მხარეს იყო და სადავო მიწებზე განუყოფელი უფლება გააჩნდა.¹

ისტორიული წარსულით ინსინუაციისათვის განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც რუსული ინტერესებით პროვოცირებული ოსურ-ქართული დაპირისპირება კონფლიქტში გადაიზარდა და ოსური პრეტენზიების სამართლიანად წარმოჩენისათვის ისტორიული რეალობის გაყალბებამ არნახული მასშტაბი მიიღო. ძირითადი მიზანი იყო რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში „ორი ოსეთის“ გაერთიანებისათვის ისტორიული საფუძვლების შექმნა. ამისთვის საჭირო გახდა დაეძველებინათ ოსთა სამხრეთ კავკასიაში მიგრაციის პროცესი; დაემტკიცებინათ, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად უძველესი დროიდან ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენდნენ; რომ მათ თავიანთი ბედი რუსეთს საქართველოზე ადრე ნებაყოფლობით დაუკავშირეს; ეჩვენებინათ თით-

¹ Шнирельман В. Быть аланами, М. 2006, с. 89

ქოს ბოლო ასწლეულში მომხდარი კონფლიქტები ქართული პოლიტიკური სისტემის მიერ ოსების საუკუნოვანი ჩაგვრის გაგრძელებაა და ამიტომ ოსი ხალხის განვითარება მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაშია შესაძლებელი.

„სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის“ გაერთიანება და „ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნა მიზნად ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს შექმნილმა ორგანიზაციამ, „ადამონ ნიხასმა,“ დასახა. წერილები ამგვარი მოთხოვნებით სსრკ-ს ცენტრალურ კომიტეტში უკვე ე.წ. გარდაქმნის პერიოდთან შედიოდა, 1991 წელს კი ხმამაღლა გაისმა ოსი ხალხის საგანგებო ყრილობაზე (1993 წ.). მეორე ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ხსენებული მოთხოვნა. 1994 წლის ზაფხულზე ქუჩუკ-კაინარჯის ზავისა და ოსეთის რუსეთთან შეერთების 220 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის წინ, „სტირ ნიხასმა“, ოსი ხალხის აღმასრულებელმა ორგანომ, პრეზიდენტ ა. გალაზოვს წინადადებით მიმართა, დაუყოვნებლივ დაეწყოს ორი ოსეთის გაერთიანების პროცესი.¹ ამ მოვლენათა სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მიზნით ჩატარდა რეფერენდუმები (ეს რეფერენდუმები არალეგიტიმური იყო თუნდაც იმიტომ, რომ მათში მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის რეგიონიდან გაძევებული დევნილები არ მონაწილეობდნენ); შედეგად მიიღეს გადაწყვეტილებები თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და რუსეთთან შეერთებასთან (1992 წლის 19 იანვარს); რუსული ენის ოსური ენის პარალელურად სახელმწიფო ენად გამოცხადებასთან (2011 წლის 13 ნოემბერს) და სახელის „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა - სახელმწიფო ალანიად“ შეცვლასთან (2017 წლის 9 აპრილს) დაკავშირებით.²

¹ Шнирельман В. Войны Памяти, М. 2003, с. 470

² Постановление Верховного Совета Республики Южная Осетия о проведении всенародного голосования (референдума) Республики Южная Осетия /ინტერნეტ ვერსია/; Краткий курс истории Южной Осетии, /ინტერნეტ ვერსია/ <https://www.kommersant.ru/doc/479202> <https://web.archive.org/web/20160305043131/http://do.gendocs.ru/docs/in dex-40781.html?page=60#1358821>;

ყსოაო-ის რუსეთის ნაწილად აღიარებისათვის, სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, დეფაქტო ხელისუფლებამ ისტორიული ფაქტების ინსინუაცია გადანყვიტა და რფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა თითქოს სამხრეთ ოსეთი, თავის დროზე (1774 წელს), საქართველოსაგან დამოუკიდებლად მიუერთდა რუსეთის იმპერიას. ე. კოკოითის განცხადებით „არსებობს საბუთი, რომლის თანახმადაც რუსეთის შემადგენლობაში ერთიანი ოსეთი შევიდა, ხოლო რუსეთის იმპერიიდან ან რუსეთის ფედერაციიდან მისი გამოსვლის შესახებ დოკუმენტი არ არსებობს. რატომ უნდა დავსვათ დღეს რუსეთში შესვლის საკითხი, როდესაც იქედან არასოდეს გამოვსულვართ?!“¹

არსებული დღის წესრიგის შესაბამისად საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისათვის კავკასიოლოგიაში კარგად დასაბუთებული დებულებებისა და ფაქტობრივი მასალის დაუსაბუთებელ რევიზიას, პირველ რიგში, ტონს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აძლევენ. რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკული ტელეკომპანია CNN – ისათვის მიცემულ ინტერვიუში მკაფიოდ ჩამოაყალიბა ფსევდოისტორიული ჰიპოთეზა, რომელიც ფალსიფიცირებულ ისტორიულ ნარატივს ეყრდნობა და საქართველოში რუსულ აგრესიას ისტორიული სამართლიანობის აღდგენად წარმოაჩენს. რუსეთის პრეზიდენტმა ამ გამოსვლაში რამდენიმე ფსევდოისტორიული გზავნილი გააკეთა: I. კავკასიური სახელმწიფო წარმონაქმნები, სხვადასხვა დროს საკუთარი ნებით შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მათ შორის ერთერთი პირველი (1745-1747 წლებში) იყო ერთიანი ოსეთის (ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი) სახელმწიფო; II. სამხრეთ ოსეთის თბილისის გუბერნიისათვის გადაცემის გადანყვიტება რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის შუა ხანებში მიიღეს; III. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერია დაიშალა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ოსეთმა კი რუსეთის შემადგენლობაში

¹ Южная Осетия нашла выход из Грузии в документе 1774 года, Коммерсантъ. 2006. № 50. 23 марта, <https://www.hse.ru/news/1163611/1130555.html>


დარჩენა ისურვა, რის გამოც, 1918-1921 წლებში საქართველომ იქ ჩაატარა სასტიკი სადამსჯელო ოპერაციები; IV. როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა სტალინმა (რადგან იგი ქართველი იყო) სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საბოლოოდ დაუქვემდებარა საქართველოს. ამრიგად, ვინც ამტკიცებს, რომ ეს ტერიტორია საქართველოს მიეკუთვნებოდა სტალინისტია, სტალინის გადაწყვეტილებას იცავს.¹

მოგვიანებით, რუსეთის პრეზიდენტმა საკუთარი დათარიღება ნაწილობრივ შეცვალა და განაცხადა: „ოსეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თუ მეხსიერება არ მალატობს, 1774 წელს შევიდა. შევიდა ერთიანად სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. აფხაზეთი კი, ასევე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც სამთავრო – 1810 წელს. მოგვიანებით მოვლენები მიმდინარეობდა ერთიანი სახელმწიფოს შიგნით. სამხრეთ ოსეთი შევიდა თბილისის გუბერნიაში. არავითარი საქართველო არ არსებობდა, ეს იყო თბილისის გუბერნია“.² ამ შემთხვევაში, „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან შეერთების საკითხი მან რუსეთ-ოსმალეთის მიერ 1774 წ.-ს დადებულ ქუჩუკ-კაინარჯის ზავს დაუკავშირა, როგორც ამას ხშირად აკეთებს ოსეთის პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი.

¹ Путин В., Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В. Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн» Сочи, 28 августа 2008 г., <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>

² Путин рассказал, что он думает о ситуации в Грузии, ЕКАТЕРИНБУРГ, 9 июля 2019, 20:14 - REG NUM <https://regnum.ru/news/polit/2662863.html>

ოსეთის, უფრო სწორად გვიანდელი ჩრდილო ოსეთის ერთი ნაწილის, საკითხს ხსენებული საზავო ხელშეკრულება გარკვეულად მართლაც უკავშირდებოდა. ამ საკითხისადმი



მიძღვნილ სამეცნიერო გამოკვლევაში ნათქვამია: ზავის 21-ე მუხლით რუსეთს გადაეცა დიდი და მცირე ყაზბარდო იმ ფორმულირებით, რაც ჯერ კიდევ ბუქარესტის შეხვედრაზე მიიღეს. ყაზბარდო რუსეთისათვის სამეურნეო თვალსაზრისით ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, მას ძირითადად პოლიტიკური და სტრატეგიული

მნიშვნელობა ჰქონდა. მისი კონტროლით რუსეთი აღკვეთდა ჩრდილო კავკასიაში თურქული აგენტურის მოქმედებას, რაც ამყარებდა რუსეთის სამხრეთის საზღვარს. რუსეთის უფლებების აღაილება ამ ტერიტორიაზე, ირიბად ნიშნავდა ყაზბარდოს შემადგენლობაში მყოფი ოსეთის დაუფლებასაც.¹

გამოკვლევაში გამოქვეყნებულ რუკაზე² მკაფოდ ჩანს ყაზბარდოს ის ნაწილი რომელიც რუსეთმა შეიერთა. ცხადია,

¹ Дружинина Е. Кучук-Кайнарджский мир 1774 года (Его подготовка и заключения) М. 1955. с. 286

² Дружинина Е. Кучук-Кайнарджский мир 1774 года (Его подготовка и заключения) М. 1955, с.370

ეს ტერიტორია კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობდა და საერთო არაფერი ჰქონდა საბჭოთა პერიოდის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან. რაც შეეხება ყსოო-ს, იგი სხვადასხვა ქართული ფეოდალური ერთეულების სახით, მთლიანად შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფოში, რომელიც რუსეთის იმპერიამ 1801 წელს დაიპყრო.

ამრიგად, ისტორიული თემატიკის კვლევისას ოსურ ისტრიოგრაფიაში სხვადასხვა ეტაპზე მიღებული დასკვნები ხშირად სრულ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, რაც დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას აძლევს ამ მრავალფეროვანი და ეკლექტური მონაცემებიდან სათანადო შეარჩიოს და გამოიყენოს ოსეთის ისტორიის სადავო საკითხის სასურველი მიმართულებით არგუმენტაციისათვის. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის კარდინალური საკითხები წარმოადგენს. ოსი ავტორებისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ხალხის ცხოვრების ქრონოლოგიის დაძველება,¹ პოსტსაბჭოა პერიოდში კი ისტორიის საკვანძო საკითხების რეინტერპრეტაციამ მასიური ხასიათი მიიღო. სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები წარსულს ნაციონალური იდენტობის გამყარების მთავარ ინსტრუმენტად იყენებდნენ, რადგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კანონიერების ყველაზე სოლიდურ არგუმენტად ისტორიას მიიჩნევდნენ². ამგვარი ინტერესი თავისებურად აისახა ისტორიოგრაფიაზე რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹ Шнилерман В. Войни Памяти, М. 2003, с. 476

² ჯანელიძე ო. პოსტსაბჭოთა სინამდვილი ორი დისკურსი, თბ. 2014, გვ. 15

2.2 საქართველოში ოსთა დამკვიდრების შუქჩრილები ისტორიოგრაფიაში¹

ოსთა ეთნიკური ისტორიისა და საქართველოში მათი დამკვიდრების თაობაზე წერილობითი წყაროების სიმწირის გამო ძირითადი ყურადღება არქეოლოგიურ მასალას ექცევა. თავდაპირველად საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ ირანულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოაძევეს ჯერ ხაზარებმა, ხოლო შემდეგ თურქულმა ტაღლებმა. კავკასიის ქედზე გადასვლის შემდეგ კი ისინი ხვდებოდნენ ნახური და ქართველური მოდემის ხალხებს, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო სამხრეთ ოსი ხალხის ჩამოყალიბებას. დღევანდელი ოსური ისტორიოგრაფიის ამოსავალ პრინციპად კი იქცა საკამათო დებულებები, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბეს გ. კოკიევმა, გ. სკიტსკიმ და ზ. ვანეევმა. ოსთა ეთნოგენეზისა და მათი სამხრეთული მიგრაციების შესწავლის პირველი ცდა სწორედ მათ სახელს უკავშირდება.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, გ. კოკიევის მოსაზრებაზე ე.წ. „სამხრეთ ოსი“ ხალხის ფორმირების შესახებ. ზ. ვანეევის აზრით, ოსთა ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ყობანურ კულტურას, რომელიც კავკასიის ქედის ორივე მხარეს იყო გავრცელებული. იგი ასევე ცდილობდა, ოსების მიგრაციებთან დაეკავშირებინა სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები სამხრეთ კავკასიაში. ვანეევი ირანულენოვან ტომებს კავკასიაში გაბატონებულად წარმოადგენდა. იგი მიიჩნევდა, რომ ძველმა ირანელებმა კავკასიაში მოიტანეს მაღალგანვითარებული კულტურა და კავკასიელები მეტალურგიას აზიარეს. ირანულენოვანი ალან-ოსურ-სკვითურ-სარმატული სამყარო იმდენად მძლავრი და აგრესიული იყო, რომ მან ჯერ კიდევ ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე შეძლო ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნა-

¹ გამოკვლევის ეს მონაკვეთი პირველად ნაწილობრივ გამოქვეყნდა 2011 წ. ჯანიაშვილი ლ, ოსთა საქართველოში მიგრაცია ქართულსა და რუსულ (ოსურ) მეცნიერებაში, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, №XII; 2011, გვ. 146-171

წილის ასიმილირება. ქართული საკუთარი სახელების თავისუფალი ინტერპრეტირებით ზ. ვანეევი ამტკიცებდა, რომ ოსები წარმოადგენდნენ ქართული არისტოკრატის ნალებს. რაც შეეხება მონღოლების და თემურ-ლენგის მიერ შევიწროებული ოსების სამხრეთისაკენ მიგრირებას და საქართველოში შემოსვლას, მიაჩნდა, რომ ეს იყო უძველეს დროში დაწყებული პროცესის გაგრძელება, კიდევ ერთი ახალი ტალღა. ზ. ვანეევის მიხედვით ეთნონიმ ოსის გაჩენა სრულიადაც არ მოასწავებდა აქ მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობის ცვლილებას, ესენი იგივე ძველი ალანები იყვნენ, რომელთაც უცხოტომელები უბრალოდ ახალი სახელით მოიხსენიებდნენ. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობას (ხევსურებს, ფშაველებს თუშებს და სხვა), ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ჩრდილოკავკასიელ მთიელებს აკუთვნებდა.¹

ოსი ავტორები ისტორიის დაძველების მიზნით, ირანული მოდგმის ხალხების კავკასიის მთებში ინფილტრაციის პერიოდად ადრე რკინის ხანას მიიჩნევენ. ამგვარი მოსაზრებების დასამტკიცებლად ისინი ეყრდნობიან ძირითადად არქეოლოგიურ მასალას და ლინგვისტურ მონაცემებს. ასე მაგალითად, ი. გაგლოითის ჰიპოთეზის თანახმად, სარმატები კავკასიის ქედის სამხრეთით ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე განსახლდნენ ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიელ მთიელთა უმეტესობას სწორედ სარმატები შეადგენდნენ. ამ დებულების განმტკიცებას იგი სტრაბონის ცნობით ცდილობს.² თეორიული მონახაზის განმტკიცებას არქეოლოგიური და ლინგვისტური საფუძველიც ესაჭიროებოდა. ამ მიზნით, მეორე ოსმა მეცნიერმა ი. ძიძიოთმა გადაწყვიტა სკვითების ენა ე.წ. ჯავის დიალექტთან დაეკავშირებინა, ხოლო ირონული დიალექტი – სარმატების ენისათვის. აქედან უკვე ერთი ნაბიჯი რჩება მტკიცებამდე, რომ ჯავური დიალექტის მატარებელი სკვითები შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში გამოჩნდნენ, ხოლო შემდგომში მათ შეუერთდა მონათესავე ირონუ-

¹ Ванеев З.Н. Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989, с.335-364

² Гаглойти Ю.С. Сарматы и Центральный Кавказ, Владикавказ, СОГУ, 1994, С.44-46 (წიგნში Шнилерман В. Войни Памяти, М. 2003, с. 484

ლი დიალექტის მატარებელი თუალების (დვალეების) და ჩისანების სამხრეთ ოსური ჯგუფები.¹

ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსთა საქართველოში ჩამოსახლების პროცესის შესწავლა ბევრად უფრო ადრე დაიწყო, რომ არაფერი ითქვას XVIII სუკუნის ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ღვანლზე,² ამ საკითხების შესწავლაში, ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხებს ყურადღება მიაქციეს სხვა მკვლევარებმაც.³ ქართველ მკვლევართა აზრით, მართალია ოსების ერთი ნაწილი XIII საუკუნის ბოლოს გადმოვიდა საქართველოში, მაგრამ XV საუკუნის დასაწყისში ისინი გიორგი ბრწყინვალემ გადევნა ქვეყნიდან. მათი მასიური დამკვიდრების პროცესი კი შიდა ქართლის მთიანეთში, მოგვიანებით XVI -XVII საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო.

ქართული წყაროების თანახმად, ოსების პირველი მასობრივი შემოსვლა დავით ულუს მეფობის პერიოდში მომხდარა, როდესაც ბექა ყაენისაგან ლტოლვილი ოსები, ქართულ სამეფო კარს საქართველოში დმანისისა და ჟინვანის მიდამოებში დაუსახლდნენ. 1293 წ., როდესაც დავით მეფე ქელათუ ყაენს ბიზანტიაში ლაშქრობაში ეხმარებოდა, ოსებს დაუწყიათ ქართლის აოხრება და რბევა, გორი აუღიათ და იქ დამსხდარან.⁴ ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე გიორგი V-მ ოსები საქართველოდან გააძევა.

ქართლის ცხოვრებაში მოთხრობილი ამბავს XIII საუკუნის ბოლოს ქართლში ოსთა ჩამოსახლების შესახებ ნ. ბერძენიშვი-

¹ Дзицойты Ю. А. Диалектология и древняя история Южных Осетин, Гаглойти Ю.С. Сарматы и Центральный Кавказ , Тезиси докладов на конференцию по осетиноведению, под редакци Магомедова А.А., Владикавказ, 1994, с. 58-59

² ბაგრატიონი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ. 1973, გვ. 632-655

³ ჭიჭინაძე ზ., ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვანლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1916 (თბ. 1990); ნ. ურბნელი (ნიზანიშვილი), გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, ტფილისი, 1889

⁴ თოგოშვილი გ., ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, მეცნიერება, 1977, გვ. 65-84

ლიც შეეხო. მკვლევარი წერდა, რომ ეს იყო სასტიკი და დაუნდობელ სამამულო ბრძოლა. ოსთა მთავარი „აოხრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხამდა მამულისგან აზნაურთა“ და აზნაურებიც რა თქმა უნდა თავს არ ზოგავენ.. მონღოლები ამ ბრძოლისას გარკვევით ოსებს უჭერენ მხარს. აჯანყებულ ქართლში ოსების მომძლავრება მათ პოლიტიკურ ანგარიშში შედის. ისინი მფარველობენ გადმოსახლებულთ და ქართველ ფეოდალთა მიერ განადგურებისაგან იცავენ მათ.¹

ქართული საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად გ. თოგოშვილი მივიდა დასკვნამდე, რომ XIII საუკუნემდე, ალან ოსებთან საქართველოს ურთიერთობას ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, რაც ერთობლივ ლაშქრობებში ან პირიქით სამხედრო დაპირისპირებაში იყო გამოხატული. მდგომარეობა შეიცვალა დავით აღმაშენებლის, განსაკუთრებით კი გიორგი III ის მეფობის პერიოდიდან, როდესაც ოსები საქართველოს ყმადნაფიცები უნდა გამხდარიყვნენ. იყო ასევე დინასტიური ქორწინებებიც, რაც ხელს უწყობდა ქართულ-ოსური ურთიერთობების განმტკიცებას, მაგრამ მასობრივი ოსური მიგრაციები წყაროებში არ ფიქსირდება.²

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ქართული ფეოდალური საზოგადოების თითოეული კლასი თუ ფენა თავისი ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა პოზიციებიდან უდგებოდა ოსთა გადმოსახლების საკითხს. მეფეს მათი სანინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, თუ ისინი მას „კეთილად ემსახურებოდნენ,“ მონღოლთა შემოსევებმა ქვეყნის მოსახლეობა საგრძნობლად შეათხელა. მეფეს შეეძლო ოსები თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა, დაეპირისპირებინა ისინი მსხვილი ფეოდალების სეპარატისტული ტენდენციებისათვის. ოსები ამ მხრივ მეფისათვის საიმედო დასაყრდენი შეიძლება ყოფილიყვნენ, რადგანაც თავადაც საჭიროებდნენ მფარველს. ასეთი მფარველი კი შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ სამეფო ხელისუფლება უნდა ყოფილიყო (მონღოლებიც გარკვეული აზრით მფარველობდნენ ოსებს – გავიხსენოთ მათი შუამდგომლობა და გორის კონ-

¹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები ტ. II, თბ.1965, გვ. 60-61

² თოგოშვილი გ., დასახ. ნაშრომი, 1977, გვ.65-84

ფლიქტთან დაკავშირებული ოს – ქართველთა შერიგების ფაქტი). რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ ქართლში გადმოსახლებული ოსებიც სხვადასხვა ინტერესების მქონე საზოგადოებრივი ფენისაგან შედგებოდნენ. მოკავშირეთა არჩევისას კი ეს ინტერესები აუცილებლად იჩენდა თავს. ამასთანავე, ორივე მხრიდან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის ან კლასის ინტერესებიც იცვლებოდა სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მაგ. თუ საქართველოში გადმოსახლებული ფარეჯან ოვსთა მთავარი დავით მეფეს ერთგულებდა, მისი ძმა ბაყათარი XIII საუკუნის მიწურულს და XIV-ს დამდეგს აქტიურ საქმიანობას აჩალებდა ქართლში ოსთა სამოქმედო არეალის გასაფართოებლად. იგი მოხერხებულად სარგებლობდა ერთის მხრივ, მონღოლებსა და დავით მეფეს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობით, მეორე მხრივ კი ქართულ ფეოდალურ წრეებს შორის არსებული წინააღმდეგობით.¹ ნ. ბერძენიშვილი ხსენებული მომენტის აღწერისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოსების მომძლავრება ქართლში თათარ-მონღოლთა ხელშეწყობით მომხდარა.²

საქართველოში მცხოვრები ოსების ყოფისა და კულტურის და მათი ჩამოსახლების ისტორიის აქტიურად იკვლევენ ეთნოლოგებიც. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსთა საქართველოში დამკვიდრებისადმი მიძღვნილი, მრავალი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა.³

¹ იქვე, გვ. 87

² ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ. 1979, გვ. 249

³ თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; ვალ. ითონიშვილი. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, თბ., 1969; ჩიქოვანი გ., ნიხასის როლი ოსთა საზოგადოებრივ ყოფაში ნართული ებოსის მიხედვით. საისტორიო კრებული, IV, თბ., 1973 წ; ჩიქოვანი გ., ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის საკითხისათვის. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, №17, 12 თებერვალი, 1991 წ. გვ. 3; ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის (იმერეთი), კრ. საქართველო ჩგეორგია, №2, თბ., 1998 წ; ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების ისტორიისათვის (რაჭა), კრ. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2003 წ; ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველო-

ფაქტობრივად გაზიარებულია რ. თოფჩიშვილის მოსაზრება, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსი საკმაოდ გვიან, XVII საუკუნის შუა ხანებიდან განსახლდა. ისინი აქ ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან გადმოსახლდნენ. დადგენილია, რომ ირანულენოვანი ოსები კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არ არიან; ისევე როგორც თურქულენოვანი ხალხები, ოსებიც კავკასიაში მოსული არიან. ოსთა წინაპარი ალანების კავკასიელებად ქცევა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დაძრული ჰუნების თარეშებთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე ოსეთის ოთხი საზოგადოებიდან (ხეობიდან) ადრე შუა საუკუნეებში ალან-ოსები მხოლოდ დიგორიაში ცხოვრობდნენ. მართალია, ალან-ოსების განსახლების არეალი ახლანდელი ბალყარეთი და ყარაჩაიც იყო, მაგრამ იალბუზის ირგვლივ, ანუ ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ალან-ოსები მონღოლთა შემოსევების დროს კავკასიის ბარიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მიგრირებული თურქულენოვანი ყივჩაყების მიერ იქნენ ასიმილირებულნი. ასიმილაციას დიგორელები გადაურჩნენ, თუმცა თურქული მინარევი მათშიც საკმაოდ არის წარმოდგენილი. თანამედროვე ყარაჩაის და ბალყარეთის ტერიტორიაზე (დასავლეთ კავკასიაში) ალან-ოსების ცხოვრების ფაქტი ქართული საისტორიო წყაროებითაც დასტურდება. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, დასავლეთ კავკასიის მთიანეთში ალან-ოსების დასახლკარება ჰუნთა შემოსევების დროს მოხდა, ე. ი. ახ. წ. IV საუკუნის 70-იან წლების შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში ალან-ოსები ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდებიან, მაგრამ მათი ნაწილი მთაში, იალბუზის მიდამოებშიც დასახლდა თუ არა – ამის დამადასტურებელი წე-

ში ოსთა ჩასახლებისა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, კრ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI, თბ., 2004; Джавахадзе Н. Система родства осетин, Тб., 1989 г.; Итонишвили В. Южная Осетия в центральной Грузии?!, сб. "Осетинский вопрос", Тб., 1994 г. Харадзе К. Происхождение и развитие топонимов Шида Картли, сб. Осетинский вопрос, Тб., 1994; Чиковани Г. Осетинский ныхас, КЭС, V, 2, Тб., 1979 г; Топчишвили Р, Грузино-осетинские этноисторические очерки, Тб. 2006; Топчишвили Р. Об осетинской мифологеме истории, Тб. 2005; Некоторые вопросы истории Шида Картли, (Сб), Тб. 2010.) და სხვა.

რილობითი მონაცემები არ არსებობს. ავტორის ვარაუდით, აქ მათი შემოსვლა ოდნავ მოგვიანებით, VI-VII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო.¹

2.2.1 დვალთა საკითხი

ოსთა ჩამოსახლების პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ნარ-მამისონის ქვაბულის დვალეთის მოსახლეობის „დვალთა ეთნიკური ვინაობის“ საკითხს. თუ დვალებს ოსებად მივიჩნევთ, ბუნებრივად უნდა ვალიაროთ, რომ ოსები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ კავკასიის მთავარი ქედის პირიქითა კალთებზე. ხოლო თუ დამტკიცდება, რომ დვალები და ოსები სხვადასხვანი არიან, მაშინ ოსთა ჩამოსახლების საკითხებიც სხვანაირ გადაწყვეტას მოითხოვს, წერდა დ. გვრიტიშვილი.²

ოსურ საისტორიო მწერლობაში მეტ-ნაკლებად დამკვიდრდა აზრი, რომ XX საუკუნეში შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (რომელიც რეალურად ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილს წარმოადგენს) ქართულ წყაროებში ნახსენებ დვალეთს ემთხვევა და ოსური წარმომავლობის ხალხით, „თუალებით“, იყო დასახლებული. რა თქმა უნდა, ამგვარი მოსაზრების დამკვიდრების საჭიროება კომუნისტური ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქის ოსთა ისტორიულ საცხოვრისად გამოცხადების ინტერესით იყო ნაკარნახევი და გამოგონილი არგუმენტებით დასაბუთებული. მაგ. გ. სკიტსკის თანახმად VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ ნახსენები დვალეთი ოსურ ხალხურ გადმოცემაში ნახსენები ცარციათებით ყოფილა დასახლებული. „ცხადია ეს ოსური დასახლებაა, რაზეც მიუთითებს დაბოლოება „Ты“ –

¹ თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ. 2008, გვ. 4

² გვრიტიშვილი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, I, თბ.1949, გვ. 115

ოსური „ტა“ ოსურ ენაში მრავლობითი რიცხვის ნიშანია,¹ ხოლო „სომხურ გეოგრაფიაში“ ნახსენებ ტერმინ დვალებში („Двалы“) უნდა დავინახოთ „სამხრეთი ოსეთი,“ რომელსაც ამჟამად „თუალთა“ ეწოდება – წერდა გ. სკიტსკი 1947 წელს გამოცემულ წიგნში.² ამგვარი არგუმენტის მოტანა აშკარად მიუთითებს ავტორის ტენდენციურობაზე. ჯერ ერთი „თუალთას“ ოსები უწოდებენ ისტორიულ დვალეთს, რომელიც საბჭოთა პერიოდში შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარეთ მდებარეობდა; მეორეც, წყაროების თანახმად დვალეთი ერთმნიშვნელოვნად ქართული პროვინცია იყო, ქართული რეგიონებისათვის კი „ეთ“ სუფიქსი ტიპური მოვლენაა (კახეთი, ჰერეთი, შავშეთი და ა.შ).

რამდენჯერმე განიცადა ცვლილება ზ. ვანეევის კონცეფციამ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. დვალების და ოსების იგივეობას იგი კრიტიკის გარეშე ლებულობდა და ემხრობოდა სენ მარტენის დებულებას ოსთა სამხრეთ კავკასიაში ქრისტეს შობამდე III საუკუნეში შემოსვლის შესახებ. მართალია დღევანდელი ოსების მასობრივი ჩამოსახლების პერიოდად XV-XVI სს მიაჩნდა. მაგრამ მათი და დვალების გაიგივება საშუალებას აძლევდა ემტკიცებინა, რომ ეთნიკური სურათი შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ამ მიგრაციის შედეგად არ შეცვლილა და დვალეთს ოსთა უძველეს საცხოვრისად აცხადებდა³. პირველ შრომებში იგი არ უარყოფდა, რომ ოსთა გადაადგილება კავკასიის ქედს გადმოღმა თათარ-მონღოლთა შემოსევებს უკავშირდება, მოგვიანებით კი შეეცადა კავკასიაში ირანულენოვანი მოსახლეობის გამოჩენის დაძველებას, რაც საშუალებას მისცემდა, გამოეცხადებინა ოსები მათ ენობრივ-კულტურულ მემკვიდრეებად. ძველი დვალების ეთნიკურ ოსებად გამოცხადება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ამიტომ ზ. ვანეევი წერდა, რომ დვალეთი მხოლოდ გეოგრაფიული ცნება იყო და არავი-

¹ Скитский Б, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 года, Владикавказ, 2009, с. 138-139

² Скитский Б, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 года, Владикавказ, 2009, с.41

³ Ванети З.Н. К вопросу времени заселения Юго-Осетии. Изв. Юго-Осет. НИИ АН Грузии, 1936, вып 3, с. 270-278

თარი კავშირი არ ჰქონდა ეთნო-კულტურულ მიკუთვნებულობასთან. იმავდროულად კი, როდესაც ზოგიერთი მკვლევარი იგივე პრინციპის ალანებთან დაკავშირებით გამოყენებას ცდილობდა, ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ ალანები მკაფიოდ გამოსატულ კულტურულ-ენობრივ ერთობას წარმოადგენდნენ.¹

როგორც ითქვა, დვალეთი საქართველოს ისტორიული პროვინცია იყო. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დამეფოს დაპყრობის დროისათვის მისი დიდი ნაწილი ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა. ამის შემდეგაც, რუსული ადმინისტრაციული დაყოფით, XIX საუკუნის შუა ხანებამდე - ტფილისის გუბერნიის გორის მაზრას ეკუთვნოდა. დვალეთის დასავლეთი ნაწილი, მამისონის ხეობა, ჯერ რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა, მოგვიანებით კი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. როგორც ითქვა, XIX საუკუნის შუა ხანებში რუსებმა დვალეთი ადმინისტრაციულად ჩამოაშორეს საქართველოს, ამჟამად კი ჩრდილო ოსეთის (ალანიის) შემადგენლობაშია.

აკად. ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“ საგანგებოდ შეჩერდა დვალეთზე. იგი წერდა: „დვალეთის შესახებ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთის მონაპირე ქვეყანა იყო. ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა მაგრამ ამ სამზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნიდან მიეცა... თვით საქართველოს დაუძღურების დროსაც მე-XVIII ს-ის დამდეგსაც დვალეთი ქართველთა ხელში იყო, ვახტანგ VI-მ კვალვინდებურად მტკიცედ დაიპყრა დვალეთი და დასდვნა ხარკნი საუკუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს (დვალეთს) საქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და მის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასვალთან ზღუდეც კი ააგო, რომ თუ სა-

¹ Вансеев З.Н. Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989, с.130-134

ჭირი იქნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო კარის დახშვა ადვილად შეძლებოდა”.¹

კ. კეკელიძემ დვალეები ოსებად მიიჩნია. მისი აზრით, „ნიკოლოზი (XIV-ს) იყო დვალი... ე.ი. დვალეთიდან, ან ჯავის ხეობის, დიდი ლიახვის, ოსეთიდან, ცხინვალის ზემოთ... ეს ძეგლი („ცხოვრებაი წმინდისა ნიკოლოზ დვალისაი“) საინტერესოა მით, რომ ცნობებს გვანჭვის ოსების ქრისტიანიზაციისა და ქართიზაციის შესახებ.”²

ქართველ მკვლევართაგან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დვალეთის პრობლემას შეეხო: ვახ. ითონიშვილი, ბ. გამყრელიძე, რ. თოფჩიშვილი. ქართველ მეცნიერთა აზრით დვალეთში ოსთა დასახლება XV ს-ის ბოლოს დაიწყო და ის ძირითადად XVI ს-ში დასრულდა. XVII ს-ში დვალეთში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება უკვე განხორციელებულია. მაგრამ როგორც ჩანს, ამ საუკუნეში ბევრ დვალს ეთნიკური თავისთავადობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა, რადგან მთის პირობებში კულტურლ-ეთნიკური ასიმილაცია, ბარისაგან განსხვავებით, ერთობ გაძნელებული იყო.

ოსები დვალეთში ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ და მათი აქ (აგრეთვე შიდა ქართლის მთიანეთში) მიგრაცია XVIII ს-ის 70-80-იან წლებამდე გრძელდებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოსურმა ეთნოსმა ადგილობრივთა ეთნონიმი – დვალი (ოსურად „თუალი“) საკუთარ ეთნონიმად აქცია. ასეთი შემთხვევა მსოფლიოს ეთნოისტორიიდან არაერთია ცნობილი.³ რ. თოფჩიშვილი განიხილავს დვალეების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს და პირველ რიგში აღიშნავს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ ფრაზას, რომ მათ „ენა აქუთ ძუელი, დვალური, და ან უბნობენ ოსურსა საკუთ-

¹ ჯავახიშვილი ი., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბ.1989, გვ. 10-12).

² კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980 გვ. 542

³ თოფჩიშვილი რ., კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. თბ., 2005, გვ 92

რად, ვინაიდან ჩერქესთა ენა სხვა არს"¹. ავტორის აზრით, ვ. გამრეკელის საენციკლოპედიო სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას, დვალთა ზანური წარმომავლობის შესახებ, რეალური საფუძველი ჰქონდა. თუმცა ფიქრობს, რომ დვალეები არ იყვნენ ზანების იდენტურნი. ისინი ზანურსა და სვანურს შორის მდგომ ერთ-ერთ ქართველურ ენაზე მეტყველებდნენ.²

ვ. გამრეკელს ერთხანს დვალეები ვაინახებად, უფრო სწორად, ქართიზებულ ვაინახებად მიაჩნდა. მისი აზრით, დვალთა ქართიზაცია VII ს-ში უნდა მომხდარიყო, როდესაც, არაბობის გამო შენუხებული ქართლის მოსახლეობა სხვადასხვა მიმართულებით მიგრირდებოდა.³ მოგვიწვინებით მან ეს შეხედულება შეიცვალა და დვალეები, ქართველურ ტომად, ზანებად, მიიჩნია.⁴

ქართველ ავტორთაგან დვალთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხს შეეხო ასევე ბ. გამყრელიძე. მას მიაჩნდა, რომ, დვალეთი „ძველთაგანვე ეთნიკურად, კულტურულად, ადმინისტრაციულად ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო“. მან დვალეთში დააფიქსირა საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა ოსთა მიგრაცია-განსახლებისა და ადგილობრივი გვარების შესახებ.⁵

კ. ხარაძე შიდა ქართლის ჩრდილო რეგიონის ტოპონიმების კვლევისას აღნიშნავდა, რა რომ ტოპონიმი დვალეთი ქართული წარმოშობისაა, ფუძეს დართული ქართული სუფიქსი - ეთ, ხოლო ანთროპონიმები – დვალი და დვალიშვილი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ასევე მიიჩნევს, რომ

¹ ბაგრატიონი ვ. დასახ. ნაშრ. გვ. 639

² თოფჩიშვილი რ. დვალეთი და დვალეები, თბ. 2021, გვ. 80-81

³ გამრეკელი ვ., Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э., Издательство академии наук Грузинской ССР, Тбилиси 1961, ინტერნეტ ვერსია <http://saunje.ge/index.php?id=1730&lang=ka>

⁴ თოფჩიშვილი რ. დვალეთი და დვალეები, თბ. 2021, გვ. 11

⁵ გამყრელიძე, კუდაროს ხეობა, კეკ, VIII, 2003; გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან (ეთნონომების „ოსი“ და „დვალი“-ს მიმართების საკითხისთვის). _ „საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1998; გამრელიძე ბ., К вопросу о расселении осетин в Грузии, Осетинский вопрос, Тб., 1994

თრუსო და დვალეთი გვიან საუკუნეებში დაასახლეს ჩრდილოეთიდან მიგრირებულმა ოსებმა.¹

2.3 ოსების ჩამოსახლება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ოსი ავტორები იძულებული იყვნენ ელიარებიანათ, რომ შიდა ქართლი წინამონღოლურ ხანაში დასახლებული იყო ქართველებით და დვალეებით. პირველი ოსური დასახლებები იქ მხოლოდ XIV საუკუნეში გაჩნდა, შემდგომ კი თანდათან შემოდიოდნენ ახალი ოსური ტალღები. ამასთან, ხაზი ჰქონდა გასმული, რომ ეს რეგიონი ყოველთვის ქართველ მმართველთა კონტროლს ექვემდებარებოდა.²

რ. თოფჩიშვილმა ოსთა საქართველოში ჩამოსახლების შემდეგი სქემა ჩამოაყალიბა – ოსები ქართველთა უშუალო მეზობლებად XIII-XIV საუკუნეებიდან გვევლინებიან. ამ პერიოდში ოსების ერთმა ჯგუფმა ისრგებლა საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით სცადა შიდა ქართლის მხარეში დასახლება. როგორც ზემოთ ავლნიშნე, ოსების ეს ჯგუფი გიორგი V ბრწყინვალემ გაანადგურა და ქვეყნიდან გააძევა. საქართველოს მესვეურებმა ოსეთიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრისკარი) მტკიცედ ჩაკეტეს, ამიტომ კარგა ხნით შეაჩერდა ოსთა საქართველოში მიგრაცია. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – დვალეთში, ოსების შემოსახლება კანტიკუნტად დაიწყო XV ს-ის ბოლოს. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი ადგილობრივი ქართველური ტომის – დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ დასრულდა. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ-

¹ ხარაძე კ., შიდა ქართლის ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, კრ. ოსთა საკითხი, თბ.1995, გვ. 159

² Техов Б.В. (ред), Очерки истории Юго-Осетинской автономной области, Тб., 1985, с. 68-100

ენობრივ ცვლილებას ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო (1859 წლამდე).¹

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები გაჩნდა თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მალრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის შუა ხანებში განხორციელდა. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. აქედან აყრილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ბარში იყო გადასული. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების: დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია XVII ს-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ისინი თანდათან მოინევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის აითვისეს დასახლებული ორი ხეობის მთიანი ნაწილი მთლიანად. აქ, ზოგიერთ მთიან სოფელში, დასახლებულ პერიოდში, ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არსად იყვნენ. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში დაიწყო. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსებმა პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დაიკავეს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX ს-ის პირველ ათეულ წელს მიმდინარეობდა ოსთა გაყონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში.² ცნობილი ოსი მეც-

¹ თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997, გვ. 218-222

² თოფჩიშვილი რ., კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. თბ. 2005 გვ. 113-114

ნიერი ვასილ აბაევი წერდა, რომ ოსები ქსნის ხეობაში ბოლო 200 წლის განმავლობაში არიან ჩამოსახლებული.¹

ლიახვისა და ქსნის ხეობაში ოსების ჩამოსახლებას, როგორც წესი, ხელს ქართველი მემამულეებიც უწყობდნენ, რადგან ლეკთა თარეშისაგან აოხრებული ამ რეგიონის ზოგი სოფელი გაუკაცრელებული იყო. ამიტომ, ახლადჩამოსახლებულ ოსებს გარკვეულ შეღავათებს უწესებდნენ: ანთავისუფლებდნენ პირადი ბატონყმური სამსახურისაგან, ასახლებდნენ მებატონის მიწაზე, ამუშავებდნენ მას და წლიურად „მახტას“ (გადასახადს) 5-10 მან. იხდიდნენ – წერს ს. მაკალათია. ავტორის აზრით ლიახვის ზემო მხარეში, ჯავის რაიონში და ნანილობრივ ცხინვალის მიდამოებშიც ოსური მოსახლეობა XIX საუკუნეში წარმოიშვა.²

საარქივო დოკუმენტები და XIX საუკუნის პერიოდიკა ცხადყოფს, რომ ოსური მიგრაცია შიდა ქართლში ჩრდილოეთიდან ამ დროსაც გრძელდებოდა, წუნარში 1824-25 წლებში დვალეთიდან (ნარას და ზრამაგის ხეობიდან) 9 ოსური ოჯახი გადამოსახლებულა.³

საქართველოში ჩამოსახლების ტიპური გზა განვლეს სოფ. ოტრევის მაცხოვრებლებმაც. მართალია, გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში მათ ზუსტად აღარ ახსოვდათ როდის გადმოსახლდნენ ჩრდილო ოსეთიდან, მაგრამ ცნობილი იყო, რომ ამ სოფლის ყველა სავარგული მანამდე მეზობელ სოფელ ვანათის მკვიდრ ქართველებს ეკუთნოდა. როდესაც ოსები ორტევში დასახლდნენ ისინი ვანათელებს მიწისათვის გადასახადს უხდიდნენ: ხორბლის, კარაქის, ყველის, ფულის ან მუშახელის სახით. საბოლოოდ, როგორც თავად ამბობდნენ, ზოგი ძალადობრივი გზით დაეპატრონა მიწას, ზოგმა კი მცირე ფასად გამოისყიდა იგი. მაგალითად, 15 დღიურ სახნავ მიწას (7,5 დესეტინა) ყიდულობდნენ, ორი ცხვრის ან ლიტრა (9 ფუტი) ყველის თუ კარაქის საფასურად. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ან ვანათელებს ჰქონდათ ბევრი მიწა და არაფრად მიაჩნდათ მისი

¹ Абаев В. Осетинский язык и фольклор, Т. I, М. 1949. с.497-501

² მაკალათია ს. ლიახვის ხეობა, თბ. 1971, გვ. 19

³ თოფჩიშვილი რ. კავკასიელთა თანამედროვე ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები, თბ. 2019 გვ.138

გაჩუქება, ან – ოსების გამუდმებული თავდასხმების ემინოდათ და ამგვარად ცდილობდნენ მათ მომადლიერებას, რასაც თავად ოსებიც ადასტურებენ, წერს ფ. ნატიევი 1873 წელს გამოქვეყნებულ წერილში.¹

XVII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული ნასყიდობის სიგელი მოწმობს, რომ ზემო ჯავაში ამ დროისათვის ოსები ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ოსთაგან გაუკაცრიელებულ ზემო ჯავაში, მეტად მძიმე დროება დამდგარა და აქაური, ძიგანიძისეული, მიწის მფლობელებს სულერთიანად (სახნავი მიწით, ვენახით, წყაროებით, წიხვილით, სასაფლაოთი, მთებით და სახლებით) მიყიდიათ მამული მაჩაბლებისთვის. გამყიდველები მადლობას გამოთქვამენ, რომ მოასწრეს მამულის გაყიდვა და ამით თავი სიკვდილისაგან იხსნეს.² ოსმა მკვლევარებმა გ. თოგოშვილმა და ი. ცხოვრებოვმა ხსენებული დოკუმენტი სრულიად საპირისპირო შინაარსით თარგმნეს (თითქოს ზემო ჯავაში ოსები ამოწყვეტეს) და იმის მტკიცებულებად გამოიყენეს, რომ ჯავაში ოსები აქამდეც ცხოვრობდნენ.³

ოსების მეკობრეობა შიდა ქართლის სოფლებში ლეკიანობაზე არანაკლებ ზიანს აყენებდა რეგიონს. ეს მოვლენა „ოსიანობის/ოსობის“ სახელით იყო ცნობილი. ქართულ სოფლებზე ოსების თავდასხმები ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. ზოსიანობის ასალაგმავად და ქვეყანაში ნორმალიზაციის მიზნით სამეფო ხელისუფლება რადიკალურ ზომებს მიმართავდა. თუმცა დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად „ოსები კვლავაც არ ღალატობენ თავიანთი ცხოვრების წესს და ქართველთა დაყაჩაღებით ითბობ-

¹ Очерк Ф. Натиева “Из Южной Осетии” Газ “ Кавказ”, 1873, №10, წიგნში Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, Цхинვალი 1981, с. 183

² მონაცემები მოტანილია ნაშრომიდან Гвасалиა Дж. Шида Картლი и осетинская проблема, б. Осетины в Грузии, Тб. 2015, с.62

³ Гвасалиა Дж. Шида Картли и осетинская проблема, б. Осетины в Грузии, Тб. 2015, с.61-62

დნენ ხელს”.¹ ამ საქმიანობას უმთავრესად მისდევდნენ საქართველოში დამკვიდრებული ოსები, რომლებიც ქურდობდნენ, ადამიანებს ატყვევებდნენ და ჩერქეზეთში ყიდდნენ”. იმდენად რთულად იყო საქმე, რომ მეფე ერეკლე შემწეობას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს პოტიომკინს თხოვდა.²

დასავლეთ საქართველოში ოსური მოსახლეობის ინფილტრაციის საკითხებს შეეხო ქართველი ეთნოლოგი, გ. ჩიქოვანი.³ იგი საველე ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეეცადა, გარკვეული წარემოდგენა შეექმნა რაჭაში ოსების ჩამოსახლების პერიოდის, მარშუტების, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების და ქართულ-ოსური ურთიერთობის ასპექტებზე. გ. ჩიქოვანი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ საქართველოში ოსთა ჩამოსახლების სამი გზა არსებობდა: ერთი, როდესაც იმიერკავკასიიდან წამოსული ოსები საქართველოს მთიანეთში თვითნებურად, ძალით იკავებდნენ ადგილს (ამის ხშირი მაგალითებია დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურის და სხვ. ხეობები); მეორე – როცა ქართველი მეფე ან თავადი თვითონ ასახლებდა ოსებს; მესამე – როცა ეკონომიკური პირობებით შეწუხებული ოსი გლეხი ნებით ეყმობოდა ქართველ თავადს.⁴ რაც შეეხება ზემო რაჭის ტერიტორიას, აქ მკვლევარმა ოსთა ჩამოსახლების ორი გზა და მეოთხე დაადგინა – I. თვითნებური, როდესაც ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან, ასევე დასავლეთ საქართველოს კუდაროს მხრიდან გადმოსულმა ოსებმა, ქართველებისაგან დაუკითხავად აითვისეს მდ. ჭანჭახისა და ღარულას სათავეები და დაარსეს სოფლები ღურშევი (დაახლოებით მე-19 ს. 20-იან წლებში) და კვაჟა/კოზი (მე-20 საუკუნის დასაწყისი). მკვლევარი აქ-

¹ ბურდული მ. ქსნის ხეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმოხილვა, წიგნში ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, თბ., 2015. გვ.20

² ითონიშვილი ვ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარკვევები, თბ., 2008, გვ. 129

³ ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების საკითხისათვის (რაჭა), კეკ, 2003

⁴ ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების საკითხისათვის (რაჭა), კეკ, 2003 გვ. 167.

ვე აღნიშნავს, რომ ქართველების მხრიდან ისინი წინააღმდეგობას არ წაწყდომიან. II. კუდაროელი ოსები იჯარით იღებდნენ მიწას ქართველი აზნაურებისაგან და თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ მდ. სონტარულის ხეობის სათავეებში, რის შედეგადაც დაარსდა ორი ოსური სოფელი – გადამში და ქვებერი (მე-20 ს-ის დასაწყისი).¹

ოსური მოსახლეობის ქართულ მთიანეთში დამკვიდრების პროცესი, ზოგჯერ ერთგვარ შუალედურ ეტაპადაც გვევლინება, მათი საქართველოს ბარის რეგიონებში შემდგომი სვლისათვის. ბ. გამყრელიძის დაკვირვებით, 1886 წ. კუდაროს ხეობაში აღრიცხული იყო 281 ოჯახი, თუმცა აქ ოსური ოჯახების რიცხვი ძალიან ცვალებადი იყო; მათი ერთი ნაწილი მალევე ტოვებდა ამ ადგილებს და საქართველოს სხვა კუთხეებში მიდიოდა, ხოლო ოსური მოსახლეობა ივსებოდა ჩრდილოეთიდან მიგრირებულთა ხარჯზე. ე. ვამაკიძის აზრით, ამ ხშირი მიგრაციების მიზეზი ის იყო, რომ ოსები ტრადიციულად მიწაზე არ იყვნენ მიჯაჭვული, ამიტომ ცდილობდნენ მისთვის რაც შეიძლება სწრაფად და მეტი გამოეწოვათ, გამოეფიტულ მიწებს კი ტოვებდნენ და სხვაგან გადადიოდნენ.² ამ დებულებას არ ეთანხმება ლ. ჩიბიროვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ოსების გადასახლების მიზეზი მცირემინიანობა და მძიმე სამეურნეო ეკოლოგიური პირობები იყო.³

წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა ოს მკვლევრებს საშუალებას არ აძლევდა საქართველოში ოსთა მასობრივი დამკვიდრება XVII საუკუნამდელი პერიოდით დაეთარილებინათ, ამიტომ სასურველი დასკვნების მისაღებად წინა პლანზე წამოსწიეს არქეოლოგიური მასალა და შეეცადნენ ამის საფუძველზე დაედველებინათ სამხრეთ კავკასიაში თავიანთი წინაპრების ბინადრობა. ამ მიმართულებით პირველი სიტყვა ეკუთვნის ყობანური სიძველეების მკვლევარს ბ. ტეხოვს, რომლის სახელსაც უკავშირდება თლიის სამაროვნის აღმოჩენა.

¹ (ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების საკითხისათვის (რაჭა), კეკ, 2003 გვ. 167

² გამყრელიძე ბ., კუდაროს ხეობა, კეკ, VIII., 2003, გვ. 155

³ Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, Сост. Л. Чибиров, Цхинвали, 1987, т. 3, с. 415.

აღსანიშნავია, რომ თავის პირველ ნაშრომებში ტეხოვი გვერდს ვერ უვლიდა ყობანურ და კოლხურ კულტურას შორის არსებულ პარალელებს. იგი ცდილობდა არ შეხებოდა ხსენებულ კულტურათა მატარებელი ერთობების ეთნიკურ ნათესაობას და ამჯობინებდა საუბარს კულტურულ კონტაქტებზე. ერთხანს ტეხოვი ყობანურ კულტურას სამხრეთიდან წამოსულ ქართველურ ტომებსაც უკავშირებდა, რომლებიც თანდათანობით შეერივნენ ადგილობრივ ჩრდილოკავკასიელებს. რაც შეეხება ირანულენოვან მოსახლეობას, ის აქ მოგვიანებით გამოჩნდა.¹ იგი აღნიშნავდა, რომ ამ კულტურის წარმომადგენლები იყვნენ კავკასიელი აბორიგენები, რომელთაც განიცადეს ინდოევროპული კულტურის გავლენა.²

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ტეხოვმა შეცვალა დამოკიდებულება კავკასიის ირანულენოვანი ხალხების წარმომავლობაზე და გამოაცხადა, რომ ირანელები წარმომადგენენ კავკასიის ავტოქთონებს. ამ დებულების დასამტკიცებლად მოგვიანებით მან წინ წამოსწია ჰიპოთეზა ხეთების თავდაპირველად კავკასიაში ცხოვრებისა და აქედან მცირე აზიაში გადასახლების თაობაზე – მოგვიანებით კი კავკასიაში ინდოევროპელთა წამყვანი როლის შესახებ. იგი წერდა - ათასწლეულების მანძილზე არ ყოფილა პერიოდი კავკასიაში, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ ნაწილში, რომ აქ ინდოევროპული და ირანული მოდემის ხალხებს არ ეცხოვრათ. მართალია, მიგრაციული პროცესების შედეგად ბევრი ტოვებდა სამკვიდროს, მაგრამ ირანულენოვანი ტომები მუდამ აქ რჩებოდნენ და ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ ეთნიკურ იერსახეს.³ ბევრი ოსი მკვლევარი (რ. გაგლოითი, ა. ჩოჩიევი და სხვ.) იზიარებს მოსაზრებას, რომ ყობანური კულტურა ინდოევროპული, კერ-

¹ Техов Б.В. Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. М. 1977, с. 190-215

² Техов Б.В. (ред), Очерки истории Юго-Осетинской автономной области, Тб., с. 1985, 29

³ Техов Б.В. К Этнической принадлежности создателей кобанской культуры Центрального Кавказа// От скифов до осетин: Материалы по осетиноведению, М. 1994, с. 8-14

ძოდ კი ირანულენოვანი მოდგმის ხალხების კუთვნილებაა, რომელთა უშუალო წინაპრებად დღევანდელი ოსები გვევლინებიან.

ქართველი არქეოლოგები სრულიად განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ. ადრეული ბრინჯაოს ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ XX საუკუნეში წარმოქმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია არქეოლოგიურ კომპლექსთა ჯგუფი, არქეოლოგიური კულტურის წრე, ეთნიკური ატრიბუციისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. იგი მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი. ეს კულტურა, რომელიც ძვ. წ. აღ IV ათასწლეულის მე-2 ნახევრიდან III ათასწლეულის მე-2 ნახევრამდე გრძელდება, შიდა ქართლის ტერიტორიაზეც მნიშვნელოვანი ძეგლებითაა წარმოდგენილი და გარკვეულ გენეტიკურ კავშირშია უფრო ადრე არსებულ არქეოლოგიურ კულტურასთან.¹ ამ კულტურის შემქმნელთ ეთნიკური ვინაობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს: მკვლევართა ნაწილი მაგ. ე. კრუპნოვი ამ კულტურის შემოქმედებს კავკასიურ იბერიულ სამყაროსთან აკავშირებს, სხვები (გ. მელიქიშვილი, გ. მაჭავარიანი) არ გამორიცხავენ მტკვარ-არაქსის კულტურაში ინდოევროპული ელემენტის მონაწილეობას. ო. ჯაფარიძის აზრით კი, ამ კულტურის შექმნაში კავკასიის მკვიდრი ქართული და ხურიტული ტომები მონაწილეობდნენ.²

ქართველ მკვლევართა თავალსაზრისით, ასევე გენეტიკურად კავშირშია შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრე ბრინჯაოსა და შუა ბრინჯაოს არქეოლოგიური კულტურები.³ ნ. აფხაზავა სამეცნიერო ლიტერატურის, ლინგვისტური და არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ შიდა ქართლი (თავის მთიანეთიანად) ადრე და შუა ბრინჯაოს პერიოდებში სრულიად ერთგვაროვანი მატერიალუ-

¹ ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ. 1991, გვ. 243-245

² ნ. აფხაზავა, კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), კრ. ოსთა საკითხი, თბ. 1995, გვ. 48

³ იქვე, გვ. 49-51

რი კულტურით ხასიათდება და ეთნიკური სიტუაციაც აქ შედარებით სტაბილური უნდა ყოფილიყო.¹

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მკვლევარები არ უარყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ინდოევროპული წარმომავლობის (სკვითების, კიმერიელების) მომთაბარე ხალხების ინფილტრაციას, მიაჩნიათ, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ საქართველოსა და კერძოდ, შიდა ქართლში ეთნიკური სიტუაციის კონსტრუირებაში. ო. ჯაფარიძის დაკვირვებით, გვიანბრინჯაოს ხანიდან შიდა ქართლის მთისსანინეთის ტერიტორიაზე „სამთავრული“ კულტურის მომძლავრება შეინიშნება.² ქართველ მკვლევართა უმეტესობა, არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის, წერილობითი და ეპიგრაფიკული ისტორიული წყაროების შეჯერების გზით მივიდა დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ XV საუკუნიდან IV საუკუნემდე და უფრო მოგვიანებითაც ძირითადად ეთნიკურად ერთი წარმომავლობის ხალხი, იბერები, ანუ ქართველები ცხოვრობდნენ.³ უფრო მეტიც, ნ. აფხაზავას აზრით, უძველესი დროიდან (აღრე ბრინჯაოს ხანა) შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (საბჭოთა პერიოდის სამხრეთ ოსეთი) კულტურულ-ეთნიკური პროცესები, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, უმთავრესად ადგილობრივი, შინაგანი, განვითარების გზით მიმდინარეობდა. ყოველგვარი ცვლილება აქ საერთოქართველურ-კავკასიური „სცენარის“ მიხედვით ხდებოდა.⁴

ქართველ მეცნიერთა ზემოხსენებულ დებულებებს ამყარებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ეპიგრაფიკული მასალა. ამ საკითხებს პუბლიკაციები მიუძღვნეს: მ. ბროსემ, პ. უვაროვამ, ე. თაყაიშვილმა, რ. მემფისაშვილმა, ვ. ცინცაძემ, ი. მეგრელიძემ, ნ. შოშიაშვილმა, გ. ოთხმეზურმა,

¹ იქვე გვ. 556

² ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ. 1991, გვ. 26; Отхмезури Г., Эпиграфика северной части Шида Картли, Осетинский вопрос, Тб.1994, с.142

³ მუსხელიშვილი დ., მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, თბ. 1977, გვ. 70

⁴ აფხაზავა ნ., დასახ. ნაშრ. გვ. 87

გ. გაგომიძემ. ყსოაო-ს ტერიტორიაზე არსებულ ეპიგრაფიკულ მასალაში, დაფიქსირებულია ქართული დამწერლობის ყველა ტიპი და ქართული ნელთალრიცხვისათვის დამახასიათებელი ყველა ნესი.¹

კ. ხარაძე ხაზს უსვამს ოსთა საქართველოში ინფილტრაციის ძალადობრივ ხასიათს, მიგრაციის პირველივე ეტაპზე. იგი მიიჩნევს, რომ XIII საუკუნიდან XVII საუკუნის ბოლომდე ამ მიგრაციებს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და XVIII საუკუნის დასაწისში ოსები თვით ზემო ჯავაშიც არ ყოფილან.²

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან რადიკალურად შეიცვალა ოსი ავტორების დამოკიდებულება საქართველოში მათი წინაპრების მიგრაციის თაობაზე. ახალი ჰიპოთეზის დასამტკიცებელი წერილობითი წყაროების სიმწირიდან გამომდინარე, როგორც ითქვა, ისინი იძულებული იყვნენ არქეოლოგიური მასალის თავისებური გააზრება მოეხდინათ და ოსთა ავტოქთონობის სამტკიცებლად ხელახალი კონცეპტუალური საფუძვლები გამოეძებნათ. ამისათვის მათ სრულიად აწყობდათ ოსების ავტოქთონობისა და ირანულენოვნობის შეთავსების შესახებ ტეხოვის ახალი თეორია. ამდენად, ოსები გამოცხადდნენ კავკასიის უძველეს ხალხად, ადგილობრივი ყობანური კულტურის შემოქმედებად. თუმცა, ოსი ავტორების ნაწილი იმ ხანებშიც რჩებოდა შედარებით ზომიერ პოზიციებზე და სამხრეთ ოსეთს ალანთა სამეფოს იმ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში ალანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ გადავიდა (გალოითი, ხოსტიკოევა).³


¹ Отхмезури Г., Эпиграфика северной части Шида Картли, Осетинский вoпрос, Тб.1994, с.126-156

² ხარაძე კ., შიდა ქართლის ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, კრ. ოსთა საკითხი, თბ.1995. გვ. 162

³ Шнилерман В.А., Войны Памяти, М. 2003, с. 494

2.4 ოსური ისტორიოგრაფია მითოლოგიების ტყვეობაში

საკუთარი ხალხის ისტორიის უზომოდ განდიდებას და წარსულის ძლევამოსილი სურათების აღწერის ჟინი ოსური ისტორიოგრაფიის გარიჟრაჟზეც შესამჩნევი იყო. 1913 წელს ოსურ ენაზე გამოცემულ „ოსეთის ისტორიაში“ თემირხანოვი ოსებს მიაკუთვნებდა ხალხებს, რომელთაც აღმოაჩინეს ცეცხლი და ამის გამო ხალხთაშორის გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირეს. იგი ამტკიცებდა, რომ ოდესღაც სწორედ ოსებმა მოიტანეს ცივილიზაციის მიღწევები ინდოეთსა და ევროპაში.¹



ასების, ალანების და ოსობის იდენტურობის საკამათო და არცთუ მწყობრი თეორია გაიზიარა გ. კოკოვემაც.² მოგვიანებით, ოსი წარმომავლობის ემიგრანტი ა. კუნდუხი ამტკიცებდა, რომ სწორედ ოსებმა (ირონებმა) შემოინახეს ყველაზე უკეთ არიული ენა, არიული კულტურული მემკვიდრეობა და რასობრივი ტიპი. სწორედ ოსებს მიიჩნევდა იგი კაცობრიობის პირველი დამწერლობის შემქმნელებად.³

რადგან ოსური დამწერლობის შესახებ რეალური ფაქტები ვერ აღმოჩნდა, ოსი მკვლევრები ჩაებლაუჭნენ გ. ტურჩანინოვის მეტად საეჭვო „აღმოჩენას.“ იგი საქართველოს ჩრდილოეთ რეგიონში, თრუსოში, სუათისის თერგთან შეერთების მიდამოებში ნაპოვნ სტელაზე (საფლავის ძეგლზე)¹ დატანილ წარწერას სირიულ-ნესტორიანულ ანბანით დანერილ ოსურ ტექსტად მიიჩნევდა

¹ Шнилерман В. Быть аланами, с. 39

² იქვე გვ. 44

³ იქვე გვ. 48

და ნესტორიანული კალენდრის 1637 წლით (გრიგორიანული კალენდრის 1326 წ.) ათარილებდა. თუმცა აქვე აღნიშნავდა, რომ გაშიფრვა საბოლოო არ იყო და მომავალში აპირებდა კვლევას დაბრუნებოდა. ამასთანავე ლინგვისტი წერდა, რომ წარწერაში მძლავრად იგრძნობოდა ქართული სამწერლობო კულტურის გავლენა და ცალკეული გრაფემებიც ამჟღავნებდნენ ქართულთან მსგავსებას. ქართული სადამწერლობო კულტურის გავლენით, ცენტრალური კავკასიის ნესტორიანულ დამწერლობაში, რომლის მაგალითსაც თრუსოს წარწერა წარმოადგენს გაჩნდა ცალკეული ასოების მარცხნიდან მარჯვნივ გამოსახვის ტენდენცია – წერდა იგი.²

როგორც ვთქვი, ტურჩანიანოვის ეს „აღმოჩენა“ მყისვე აიტაცეს ოსმა მკვლევრებმა და მიიღეს იმის ურყევ მტკიცებულებად, რომ ოსები თერგის სათავეებში ჯერ კიდევ მონღოლებამდელ პერიოდში მკვიდრობდნენ.³ ამასთან, სრულიად არ დაინტერესებულან იმით, რომ ტურჩანიანოვის გაშიფვრაში ისტორიული და ეპიგრაფიკული თვალსაზრისით უამრავი შეუსაბამობა არსებობდა. კერძოდ, ოსთა ნესტორიანობის შესახებ საერთოდ არფერია ცნობილი, კავკასიაში ნაპოვნი სირიულ-ნესტორიანული დამწერლობის ბოლო ნიმუში VIII საუკუნეს მიეკუთვნებოდა და თანაც ამ ტიპის წარწერები დერბენდის ჩრდილოეთით არასდროს დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ ტურჩანიანოვის ხსენებული კვლევა არასდროს არ გაუზიარებია არცერთ პალეოგრაფს.⁴

ხსენებული წარწერა გამოქვეყნებული ფოტოპირების მიხედვით შეისწავლა ქართველმა მკვლევარმა გ. გაგოშიძემ. რომელიც ამბობს, რომ თრუსოს სტელაზე ამოკვეთილი გრაფემები ქართული (მხედრული) უნდა იყოს. სტელაზე ჩანს ხუთივე

¹ სურათი მოტანილია ნიგნიდან: Калоев Б. Осетины Историко-этнографическое исследование М. 2004 (М. 1967; М. 1971) с. 28

² Турчанинов Г. Трусовская осетинская сирийско-несторьянская надпись первой половины XIV столетия (опыт чтения и характеристики находки), Памятники алано-осетинской письменности. ред Кузнецов В. Владикавказ, 2013, с. 187

³ Калоев Б. Осетины, М. 1967, с. 53

⁴ Шнирельман В. Быть аланами, с. 70

ქართული ხმოვანი და თანხმოვნები. ეს გრაფემები გვახსენებს სოფ. შვეარდენის „თედოს ქალის“ ეპიტაფიის ასონიშნებს.¹

გასული საუკუნის ბოლო ხანებში შეიმჩნევა ახალი მითოლოგიების შექმნის პროცესი ოსი ავტორების მიერ. ძალიან რთულია ბოლო ხანების რუსულენოვან გამოცემებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიის შესახებ სამეცნიერო ნაშრომი ეწოდოს, რადგან უარყოფილია მეცნიერული არგუმენტაციის და ლოგიკური აზროვნების ელემენტარული ნორმები. ამგვარ „კვლევათა“ ნიმუშს წარმოადგენს ა. ჩოჩიევის ნაშრომები. ჩოჩიემა მიზნად დაისახა შეეთხზა არგუმენტები ოსთა კავკასიასა და საქართველოში ავტოქთონობის დასამტკიცებლად და უზრუნველყო ამ თეორიისადმი რუსეთის ნაციონალისტურ-რადიკალური წრეების მხარდაჭერა. ამ მიზანით მან შექმნა „ას-ალანების არიული იდეოლოგიის“ პოსტულეტები, რომელთა მიხედვით, ოსები უძველესი „არიელების“ შთამომავლები არიან. სწორედ ამ „არიელ ქურუმთა“ წრიდან იყო გამოსული კიევის რუსეთის დამაარსებელი ოლეგ რიჟრიკი. უფრო მეტიც, ას-ალანებმა დაარსეს ქალაქები კიევი და მოსკოვი, ე.ი ფაქტიურად შექმნეს რუსული სახელმწიფო.²

სამხრეთ ოსეთის როლის განდიდების მიზნით ცხინვალის გამოცხადდა არა მარტო ძველი არიელების საკულტო ქალაქად, არამედ უძველესი რელიგიური პროცესების ეპიცენტრად. წერენ, რომ სწორედ ოსეთის მთებში იყო განმარტოებული იესო ქრისტე, ოსების წინაპრები იყვნენ პირველი მონოთეისტები, ხოლო ნართიადა, „ას-ალანების ბიბლია“, არის უძველესი ნაწარმოები, რომელთანაც ავესტა მხოლოდ „უმცროსი დაა“. ას-ალანები, რა თქმა უნდა, წარმოგვიდგებიან ცივილიზაციის საფუძვლის ჩამყრელებად და ლეგენდარული ატლანტიდის დამაარსებლებად. ბუნებრივია, ასეთი გაქანების ხალხი მხოლოდ ცხინვალის რეგიონში ვერ მოთავსდებოდა და ამიტომ ჩოჩიევსა და მის მიმდევრებს ას-ალანების სამშობლოდ მთელი აღმოსავლეთ საქართველო მიაჩნიათ. მათი თეორიის მიხედვით, საქარ-

¹ გაგოშიძე გ. ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობიდან, წიგნში თრუსო – ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები, თბ. 2021, გვ.140-141

² იქვე, გვ. 495

თველოს სწორედ ას-ალანების დინასტია მართავდა, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება უამრავი „არიული“ სახელწოდება, ხოლო ქართული ისტორიული წყაროები ნართიადის გვიანდელ გადამღერებას წარმოადგენენ. ამ ტერიტორიის გაქართველება მოგვიანებით IV-XIII საუკუნეებში მოხდა.¹

ლეგენდებისა და მითების ინტერპრეტირების გზით ისტორიული წარსულის კონსტრუირება ოს ინტელექტუალებში მეტად გავრცელებული მოვლენა ჩანს. რუსი მკვლევარი ე. მელნიკოვა წერს, რომ როდესაც 1986 წელს ძველსკანდინავიური გეოგრაფიული თხზულებები გამოაქვეყნა, მასთან მოსკოვში, ოსეთიდან ერთი ისტორიკოსი ჩავიდა და გულითადი მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ „ოსი ხალხის საწყისი აღმოაჩინა“, რომლებიც ან ღმერთი-ასების ან მათი ნათესავებიდან არიან წარმოშობილი.²

ამ ფონზე თითქოს შედარებით ზომიერია რუსულენოვან სამეცნიერო სივრცეში პოპულარული მკვლევარი, მარკ ბლიევი, რომელიც იზიარებს ყობანური კულტურის ეპოქაში კავკასიაში ინდოევროპელთა, კერძოდ კი, სკვითების საყოველთაო ბატონობის თეორიას. იგი ოსებს და მათ შორის, „სამხრეთელ ოსებსაც“ სწორედ სკვითების შთამომავლებად მიიჩნევს.³ ანტიკურ ხანაში ქართულ-სკვითური გაერთიანებების განხილვისას მ. ბლიევი იმონმებს სტრაბონის ცნობას და აცხადებს, რომ ქართველ წარჩინებულთა უმეტესობას ოსური წარმომავლობა ჰქონდათ; ოსთა დახმარებით გაიმარჯვეს ფარნავაზმა და ქუჯუმი; ოსები ბატონობდნენ საქართველოში ვახტანგ გორგასლის გამეფებამდე; იგი საუბრობს ქსნის ერისთავების ოსურ წარმომავლობაზე, დავით სოსლანის მიერ ფაქტობრივად ოსური სახელმწიფოს შექმნაზე და ა.შ. ერთი სიტყვით, მ. ბლიევის აზრით, ოსური ეთნიკური ელემენტი აღმოსავლეთ საქართვე-

¹ იქვე გვ. 497-498

² Мельникова Е. Ренессанс Средневековья? Размышления, о мифотворчестве в современной исторической науке, Фальсификация исторических источников и конструирование этнократических мифов, М. 2011 с. 80

³ Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006, с.18

ლოში ყოველთვის არსებობდა და ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში წამყვან როლსაც ასრულებდა. ხსენებული მკვლევრის თეორიით, მოგვიანებით აღ. საქართველოში ჩამოყალიბდა ირანული ტიპის ფეოდალიზმი, რომელიც თავისი დესპოტური ხასიათის გამო მიუღებელი აღმოჩნდა მეზობლად მცხოვრები სამხრეთ ოსებისათვის. ამიერიდან, ქართველი წარმომავლობის ფეოდალები მუდმივად ცდილობდნენ ოსი ხალხის დაკაბალე-ბას.¹

საინტერესოა, რა არგუმენტები გააჩნია და რომელი ისტორიული წყაროებით სარგებლობს ოსი მეცნიერი ზემოხსენებული დებულებების დასამტკიცებლად? მ. ბლიევი საზგასმით აღნიშნავს, რომ თემის პოლიტიკური სიმწვავის, საქართველოში არასტაბილური მდგომარეობისა და ექსტრემიზმის გავრცელების საფრთხის გამო, შიშობს არ განადგურდეს საქართველოში დაცული ისტორიული წყაროები და ამის გამო უარს ამბობს ზუსტ ციტირებაზე, მოაქვს მხოლოდ იმ წყაროებისა და ლიტერატურის სია, რომელებზე დაყრდნობითაც შექმნა ნაშრომი.² ხსენებულ პუბლიკაციას, როგორც წესი, სხვა ოსი ავტორები იმონებენ და ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს მათ პუბლიკაციას სოლიდური სამეცნიერო აპარატი გააჩნია. მაგალითად 2007 წ. გამოცემული წიგნის, „სამხრეთ ოსეთი ქართულ-ოსური ურთიერთობების პერსპექტივაში“, რეცენზირებისას რ. ძიძიათი წერს, რომ ამ გამოცემის განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენს ვრცელი სამეცნიერო აპარატი, რომელიც მას ამ ტიპის პუბლიკაციებისაგან გამოარჩევს“,³ რომ ავტორებს გააჩნიათ პრეტენზია, – „ჩაასწორონ საუკუნეების მანძილზე ქართველ მეცნიერთა მიერ „გაყალბებული ისტორია“ – ისინი, დამტკიცებულად მიიჩნევენ, ყობანური და თლიის კულტურების იდენტიურობის საკითხს და ალან-ოსების კავკასიური ავტოქთონობის საკითხს გადანყვეტილად თვლიან.

¹ Блиев М. Южная Осетия в коллизиях Российско-Грузинских отношений, М.2006, с.19-25

² იქვე, გვ. 12

³ Дзаттиаты Р. Г, «Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений» (отклик), Республиканская общественно-политическая газета «Южная Осетия» 3 мая 2008 г.

აქედან გამომდინარე ამტკიცებენ, რომ, მიგრაციები, რომელზეც ქართველი ავტორები აპელირებენ, შიდა მიგრაციის ფორმაა და ერთი ქვეყნის, ოსეთის, შიგნით მიმდინარეობდა. საქართველოში მოსახლეობის გადინება კი გარე მიგრაცია იყო და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რადგან სწორედ ოსები აღორძინებდნენ გაუკაცრილებული კახეთისა და ქართლის სოფლებს.¹ ბოლო ოცდაათ წელიწადში ოსური ისტორიოგრაფიის ტრანსფორმაციის ფონზე ხსენებული ავტორების ამგვარი დამოკიდებულება საკვირველი არაა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი ავტორების ერთი ნაწილი ცდილობს მეცნიერული ეთიკის დაცვას, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურის, აკვიატებული დებულებების და ქართული ენის არცოდნის გამო მათი ნაშრომებიც შორსაა ობიექტურობისაგან. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ვ. შნირელმანის ნაშრომი „მეხსიერების ომები“.² ავტორი სხვა თემებთან ერთად ეხება ოსური და ქართული ისტორიოგრაფიის საკითხებს. ერთი შეხედვით, მათი მიმოხილვისას, იგი ცდილობს ობიექტურობა შეინარჩუნოს, მაგრამ ნაშრომის გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ქართული კულტურული სამყარო მისთვის სრულიად უცხოა,³ ამასთან, ხელი მხოლოდ რუსულ ან ევროპულ ენებზე გამოცემულ ნაშრომებზე მიუწვდება.

ზემომოტანილი მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში თავდაპირველად გაბატონებული მოსაზრება ოსთა სამხრეთით მიგრაციის თაობაზე შედარებით საფუძვლიან არგუმენტებს ეფუძვნებოდა. მას მხარს უმაგრებდა არქეოლოგიური, ლინგვისტური და წერილობითი ისტორიული წყაროები. ამ თვალსაზრისის თანახმად ირანულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოა-

¹ Дзаттиаты Р. Г, «Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений» (отклик), Республиканская общественно-политическая газета «Южная Осетия» 3 мая 2008 г.

² Шнирельман В. Войны Памяти, М. 2003

³ სიმპტომატურია რომ ვ. შნილერმანს ქართველი მკვლევარი ნოე აფხაზავა გვარის დაბოლოების გამო ქალი ჰგონია (შნილერმანი, 2003. 491).

ძვეეს თავდაპირველად ხაზარებმა, ხოლო შემდგომ თურქულმა ტალღებმა. გადავიდნენ რა კავკასიის ქედზე ოსები ხვდებოდნენ ნახური და ქართველური მოდგმის ხალხებს, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო სამხრეთ ოსი ხალხის ჩამოყალიბებას. ამ თეორიის განვითარება და მეცნიერულად დასაბუთება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ძირითადად ქართულმა საიტორიო საზოგადოებამ იკისრა. მიუხედავად მწირი მატერიალური და პოლიტიკური მხარდაჭერისა ქართველმა მეცნიერებმა შეძლეს ზემოხსენებული სამეცნიერო დებულების ახალ სიმაღლეზე აყვანა. XX საუკუნის 80-იან წლებამდე საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო სრულდებოდა ოსი წარმომავლობის მეცნიერთა მიერ. ისინი არქეოლოგიური, ეთნოლოგიური თუ სხვა სახის სამეცნიერო მასალის შედარებით ობიექტურ ინტერპრეტაციას ახდენდნენ. თუმცა, საკუთარი ხალხის ისტორიის დაძველების ტენდენცია იმთავითვე შეიმჩნეოდა. ოს მკვლევართა ნაწილი მათი მიგრაციის „უძველეს დროდ“, III-IV ან VI-VII სს. მიიჩნევდა, სხვანი საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდს ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა გაბატონებას უკავშირებენ. იყო ცდა ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით მათი მიგრაცია XV-XVI სს-ით განესაზღვრათ. განსხვავებული დასკვნები აქვთ ამ საკითხზე ქართველ მკვლევარებს და რუსი მეცნიერების ნაწილს. მიაჩნიათ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII ს-ში დაიწყო, ხოლო დას. საქართველოში მიგრაცია მიმდინარეობდა XVIII ს-ში. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და ქსნის ხეობებში, ოსების დიდი ნაწილი კი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში. სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ბოლო ხანებში გამოცემულ რუსულენოვან სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომელიც ძირითადად ოსური წარმომავლობის ავტორებს ეკუთვნის და ხშირად სრულიად ფანტასტიკურ და არაარგუმენტირებულ დებულებათა ნაზავს წარმოადგენს.

3. ბორდერიზაცია საზღვრის კვლევების ინტარდისციპლინურ კონტექსტში¹

3.1 ლიტერატურის მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეგიონში ბორდერიზაციის აქტიური ფაზა 2011 წლიდან დაიწყო, დღემდე საკმაოდ მცირეა ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებული სამეცნიერო ლიტერატურა, ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენი პროექტის პუბლიკაციები სადაც საზოგადოებრივ გეოგრაფიულ და ეთნოლოგიური კვლევის პერსპექტივიდან არის გაანალიზებული გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლების ყოფა.²

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით მეტი პუბლიკაცია ეხება კონფლიქტის ისტორიასა და 2008 წლის ომის შედეგების გეოპოლიტიკურ, საერთაშორისო სამართლისა და მკრო და მეზო დონის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ანალიზს, რაც იძლევა როგორც ქართველი³ ასევე

¹ კვლევის ეს მონაკვეთი ნაწილობრივ გამოქვეყნდა 2021 წ. ლოლაძე, ნ., „ბორდერიზაციის“ თეორიული ასპექტები: საოკუპაციო (სა)ზღვრის ზეგავლენა ცხინვალის რეგიონის/თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის მიმდებარე გაყოფილ სოფლებზე. *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული XXI*. გვ 106-123.

² იქვე, გვ 109.; ჯალაბაძე, ნ. მცოცავი ანექსია შიდა ქართლში, 2020; ჯანიაშვილი, ლ. რუსული საოკუპაციო პოლიტიკა, 2020; Jalabadze, N.; Janiashvili, L.; Loladze, N. The 2008 Russo-Georgian War and the Transformation of Georgian-Ossetian Traditional Religious Relations. *The Religion and The Law, materials on the international symposium*. Ovidius University Press, 2022

³ Kakachia, K., Kakhiashvili, K., Larsen, J., and Grigalashvili, M. *Mitigating Russia's Borderization of Georgia: A Strategy to Contain and Engage*. Tbilisi: Georgian Institute of Politics, 2017. Available from: <http://gip.ge/mitigating-russias-borderization-georgia-strategy-contain-engage>; ზაქარეიშვილი პ. ხედვა - კონფლიქტები საქართველოში, თბ. 2021; Samkharadze, N., *Russia's Recognition of the Independence of Abkhazia and South Ossetia*. Ibidem Press. 2021

უცხოური მკვლევრების¹ ნაშრომებისა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების² შედარების შესაძლებლობას. აღნიშნული პუბლიკაციები ძირითადად ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთის ომის შემდგომი პოლიტიკის მიზანი საქართველოში არსებულ სიტუაციაზე გავლენის ქონაა, არალეგალურად დაპყრობილი ტერიტორიების, ხელოვნურად დაწესებული საზღვრების, მავთულხლართების და ხალხის გატაცების მეშვეობით. პარალელურად კი ხელს უწყობს საოკუპაციო ხაზის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობაში ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობის გარდაქმნას, გაყოფილი სოფლების იზოლირებისა და ტრადიციული კულტურული და სოციო-სამეურნეო ინსტიტუტების მოშლის გზით.

გამყოფი ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების მიერ განცდილი და მათი თვალთ დასახული ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტის შესახებ, საინტერესო პუბლიკაციას წარმოადგენს კრებული „კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები, ქართულ-ოსური კონტექსტი“³. სამხრეთ ოსურ და ქართულ მხარეს მოთხრობილ ადამიანურ ისტორიებში კარგად ჩანს: „ერთი მხარის მიერ მოვლენათა აღქმის დროს მეორე მხარის დემონიზაციისა და საკუთარი ვიქტიმიზაციის ჩაკეტილ წრეზე ტრიალი, ხოლო მეორე მხარის მიერ შერიგებისა და

¹ Coppieters, B. *The EU and Georgia: time perspectives in conflict resolution*. Vol. 70. European Union Institute for Security Studies, 2007; Van Peski, C. J. Diplomacy and life on Georgia's boundary line. *Security and Human Rights* 2011,22.4: 357-371; Boyle, E. Borderization in Georgia,2016; Toal, G. & Merabishvili, G. Borderization theatre: geopolitical entrepreneurship on the South Ossetia boundary line, 2008–2018. *Caucasus Survey*, 2019, 7:2, 110-133; Sotiriou, S. The irreversibility of history: The conflicts in South Ossetia and Abkhazia. *Problems of Post-Communism* ,2019, 66.3: 172-185.

² საერთაშორისო გამჭვირვალობა მავთულხლართებს მიღმა. 2019; *The EUMM Monitor, Ten Years of Continuous Presence in Georgia*, 2018

³ ალბოროვა, დ.; ალენი, ს.; კალანდარიშვილი, ნ. (რედ) *კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები, ქართულ-ოსური კონტექსტი*. ჯორჯ მელისონის უნივერსიტეტი, 2016

წარსული შეცდომების გააზრების, შესაძლოა, არც თუ სიღრმისეული, მაგრამ მაინც გააზრების, სურვილი”.¹ აღნიშნული განსხვავებული ხედვებისა და აღქმის მიზეზად კი ავტორები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გამყოფი ზოლის სხვადასხვა მხარეს - განსხვავებული საინფორმაციო ველისა და დომინანტი პოლიტიკური ვექტორების არსებობას.

ქართულ-ოსურ-რუსული კონფლიქტის ისტორიის გადააზრებისთვის, მნიშვნელოვან ნაშრომების სერიას წარმოადგენს ახალი თაობის მკვლევართა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში, დოკუმენტებსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით შექმნილი პუბლიკაციები.² მსგავსი სერიის არსებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართულ, ოსურ და რუსულენოვან საზოგადოებებში, პრე და პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში შექმნილ მთელ რიგ ნაშრომებში ნაციონალისტური განწყობებით ინტერპრეტირებული ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ნეიტრალური პოზიციიდან გადააზრების პროცესში.

მიმდინარე ბ/ორდერიზაციის არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაზრისით, წინამდებარე თავი წარმოადგენს პირველ ემპირიულ კვლევას, რომელიც პროცესს საზღვრის კვლევების ინტერდისციპლინური კუთხით აანალიზებს და სავსე სამუშაოებს დროს მოპოვებული ინტერვიუების ანთროპოლოგიურ ინტერპრეტაციას ეყრდნობა.

¹ იქვე. გვ.ნ.

² ჩაკვეტაძე, ნ. (2019) ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიკ გვჯერა. ხელმისაწვდომია: http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/27; ჯიშკარიანი, დ. (2019) თბილისი და ცხინვალი; კობახიძე, ო. (2019) თბილისი, ცხინვალი, მოსკოვი - ორი ათწლეული აგვისტოს ომამდე. ხელმისაწვდომია: http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/25

3.2 კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომის წინამდებარე თავში წარმოდგენილი საველე მასალის ანალიზი 48 ჩაღრმავებულ ინტერვიუს ემყარება, საიდანაც 28 რესპონდენტი 19-დან 75 წლამდე მამაკაცია (საშუალო ასაკი 49.3 წელი) ხოლო 23 რესპონდენტი 21-დან 72 წლამდე ქალი (საშუალო ასაკი 48.7 წელი). ინტერვიუები 2019-2022 წლებში, დუშეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტებში, საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში მოვიპოვეთ.

წიგნის ამ თავში წარმოდგენილ ინტერვიუებში ძირითადად შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონის სოფლებზე ვამახვილებ ყურადღებას, რადგან რაჭის, კონკრეტულად კი ონის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას, გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული მეჩხერი განსახლებიდან გამომდინარე, ნაკლები ყოველდღიური შეხება აქვთ საოკუპაციო ზოლთან. ხოლო, საჩხერის მუნიციპალიტეტისა და განსაკუთრებით შიდა ქართლის რეგიონში, სადაც გამყოფი ზოლი ნაყოფიერ სასოფლო სამეურნეო სავარგულებსა და მჭიდროდ დასახლებულ რურალურ არეალზე გადის, ბორდერიზაცია გაცილებით მძიმე გავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ უსაფრთხოებასა და სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე.

საველე სამუშაოების განმავლობაში ვიყენებდი შემთხვევის შესწავლის (Case Study) მიდგომას, რამაც როგორც ცალკეული შემთხვევის, ისე თემის/ჯგუფის სიღრმისეული შესწავლის საშუალება მომცა - გამჟღავნებული ჩართული დაკვირვების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ვიდეოგადაღების მეთოდით.

წინამდებარე კვლევისათვის, აღნიშნული მეთოდის კიდევ ერთი უპირატესობა მის მოქნილობაში მდგომარეობს, რადგან მისი საბოლოო დიზაინი ყალიბდება და იხვეწება თავად კვლევის პროცესში, მოპოვებული ინფორმაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამასთანავე, მკვლევარს აქვს შესაძლებლობა ერთმანეთს შეუთავსოს როგორც თვისებრივი ისე რაოდენობრივი მეთოდები. მსგავსი კომბინირებისას, ერთი მხრივ, მდიდრდება კვლევის მონაცემები, ხოლო, მეორე მხრივ, მკვლევარს

საშუალება ეძლევა სხვადასხვა კუთხიდან მოახდინოს მისი ანალიზი და გადაამონტოს მიღებული შედეგები.¹

ინტერვიუების თვისებრივი ანალიზის გარდა, ნაშრომში ასევე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული საზღვრების, მათ შორის ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს ისტორიული და სივრცით ანალიზი. ამისათვის, ვაერთიანებ ბიბლიოგრაფიულ და საარქივო მასალას, სავლელ სამუშაოებს დროს მოპოვებულ სივრცით მონაცემებთან; გეოინფორმაციული სისტემების, ESRI-ის პროგრამული უზრუნველყოფის (ArcMap & ArcCatalog 10.2.2) გამოყენებით მოვახდინე უშუალოდ ბორდერიზაციისა და მისი ზეგავლენის ვიზუალიზაცია, კარტოგრაფიული მეთოდით დამუშავება, გეოინფორმაციულ მონაცემთა ბაზირება და სივრცით ანალიზი.

3.3 „თხელი“ და „მსხვილი“ საზღვრები: ბ/ორდერიზაციის თეორიული ჩარჩო

საზღვრების კვლევა, მისი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, ანალიზის განსხვავებულ დონეებს მოითხოვს და შედეგად ინტერდისციპლინური კვლევის საგნად გვევლინება. დღეისათვის არ არსებობს რაიმე კონკრეტული მიდგომა ან თეორია, რომელიც დომინანტურად ჩაითვლებოდა ამ სფეროში. ა. პაასი საზღვრების კვლევის თეორეტიზაციის პრობლემატიკის განხილვისას, ყრადღებას სწორედ საზღვრის, როგორც საკვლევი ობიექტის კომპლექსურობასა და მისი სხვადასხვა განზომილებების კონცეპტუალიზაციის აუცილებლობაზე ამახვილებს, და აღნიშნავს, რომ „ვინაიდან საზღვრები კონტექ-

¹ Loladze, N. (2021) Migratory Movements. გვ. 23; ზურაბიშვილი თ. (2006) *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

სტთან დაკავშირებული ფენომენია, ზოგადი საზღვრების თეორიის შემუშავება მიუწვდომელი ან არასასურველიც კი არის.¹

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში დაწყებული ინტენსიური გლობალიზაციის პირობებში, კაპიტალისა და ინფორმაციის შეუფერხებელი ნაკადების სამყაროში, მკვლევრების ნაწილისთვის საზღვრების არსებობა წარსული მსოფლიო წესრიგის დანატოვარ, შეუთავსებელ მემკვიდრეობად მიიჩნეოდა და მათი როლის შემცირებასა ან სულაც გაქრობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.² თუმცა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, საზღვრების ლიბოის დისკურსი, მალევე ჩაანაცვლა სეკურიტიზაციის დისკურსმა, რამაც საზღვრებს თვისებრივად ახალი და კიდევ უფრო კომპლექსური მნიშვნელობა შესძინა.³

¹ Paasi, A. (2011) A border theory: an unattainable dream or a realistic aim for border scholars? *The Ashgate research companion to border studies*, 11-31. გვ. 27.

² Ditting, H. (2000), 'The end of the nation state? Borders in an age of globalization', in Pratt, M. and Brown, J. (eds.), *Borderlands Under Stress* (London: Kluwer Law International), 49-68; Hudson, A. (1998), 'Beyond the borders: Globalization, sovereignty and extraterritoriality', *Geopolitics* 3:1, 89-105; Kolossov, V. (2005) "Border Studies: Changing Perspectives and Theoretical Approaches," *Geopolitics* 10: 4: 606-632; Kolossov, V. & O'Loughlin, J. (1998) New borders for new world orders: territorialities at the fin de siecle, *GeoJournal* 44:3, 259-73; Newman, D. (2006a), The lines that continue to separate us: Borders in our borderless world. *Progress in Human Geography* 30:2, 1-19; Newman, D. & Paasi, A. (1998), Fences and neighbours in the post-modern world: boundary narratives in political geography. *Progress in Human Geography*, 22:2, 186-207; Ohmae, K. (1990) *The Borderless World*. New York: Harper Collins; Paasi, A. (1998) Boundaries as social processes: territoriality in the world of flows. *Geopolitics* 3:1, 69-88; Shapiro, M.J. & Alker, H.R. (eds.) (1996) *Challenging Boundaries: Global Flows, Territorial Identities*. Minneapolis: University of Minnesota Press.

³ Andreas, P. & Biersteker, T. (2003) *The Rebordering of North America*. New York: Routledge; Andreas, P. & Snyder, T. (eds.) (2000), *The Wall*

პოლიტიკური გეოგრაფები (მაგალითად ნევინსი, ანდერ-სონი, პაასი და სივრცითი დამგეგმარებლები, როგორცაა ჰასელსბერგერი) აღიარებენ, რომ საზღვარი არ არის მხოლოდ წერტილოვანი ხაზი რუკაზე, არამედ არის უმნიშვნელოვანესი მდგენელიც, რომელიც განუყოფელია იმ სახელმწიფოს წარმოშობისგან, რომელსაც ის გარს ერტყმის. ამ მოვლენას ტერიტორიების ინსტიტუციონალიზაცია ეწოდება, რაც საზღვრის, სიმბოლოებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას გულისხმობს.¹ საზღვრები წარმოადგენს ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებს იმ გაგებით, რომ რთულ საზოგადოებებში მათ გარეშე ვერ ხერხდება წესების დაცვა, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზება. ამასთანავე, ფიზიკური საზღვრის განგრძობითი არსებობა ან უშუალოდ ბორდერიზაციის პროცესი ქმნის ახალ სუბიექტებს და მასთან დაკავშირებულ იდენტობებს, რითიც განასხვავებს სუბიექტისადმი მიკუთვნებულ ან გარიყულ ჯგუფებს.² აღნიშნული კონტექ-

Around the West: State Borders and Immigration Controls in North America and Europe (Oxford: Rowman & Littlefield). Berg, E. and Ehin, P. (2006), 'What kind of border regime is in the making? Towards a differentiated and uneven border strategy', *Cooperation and Conflict* 41:1, 53-71; Laitinen, K. (2003) *Post-Cold War security borders: A conceptual approach*, in Berg, E. and van Houtum, H. (eds.), *Routing Borders Between Territories, Discourse and Practices* (Aldershot: Ashgate), 13-34.

¹ Anderson, M. (1996) *Frontiers: Territory and State Formation in the Modern World*. Cambridge: Polity Press; Haselsberger, B. (2014). Decoding borders. Appreciating border impacts on space and people. *Planning Theory & Practice*, 15(4), 505-526; Nevins, J. (2002) *Operation Gatekeeper: The Rise of the 'Illegal Alien' and the Making of the U.S.-Mexico Boundary*. London: Routledge; Paasi, A. (2011) A border theory.

² Nevins, J. (2002) *Operation Gatekeeper*; Choi, E. C. (2011) *Everyday practices of bordering and the threatened bodies of undocumented North Korean border crossers. The Ashgate Research Companion to Border Studies*. Farnham: Ashgate, 507-528.

სტი პირდაპირ მიესადაგება ჩვენ საკვლევ საკითხს და სამხრეთ ოსეთის მსგავს დე ფაქტო სუბიექტებს, რომლებიც ცდილობენ გახდნენ ინსტიტუციონალიზებული ტერიტორიასთან ერთად და შესაბამისად საზღვრების არსებობა მათთვის აუცილებელ სტრატეგიულ, სოციო-კულტურულ და სიმბოლურ მნიშვნელობებს ატარებს.

აღწერილი პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონცეფციის საფუძველზე ვიყენებ ტერმინ ბ/ორდერიზაციას, რათა ხაზი გავუსვა ახლად ჩამოყალიბებული და მოქმედი გარიყვის პრაქტიკის ბუნებას, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ოკუპირებული ყსოაო-ს გარშემო არსებული ბორდერიზაციით გაყოფილ სოფლებში.

ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ბორდერიზაციის თეორიულ ჩარჩოში მოსაქცევად, ვიყენებ ჰასელბერგერის „მსხვილი“ და „თხელი“ საზღვრების კონცეფციას. ჰასელბერგერი, რომელიც საზღვრებს სივრცითი დაგეგმარების პერსპექტივიდან აანალიზებს, ეყრდნობა მოსაზრებას, რომ საზღვრები წარმოადგენს გეოპოლიტიკური, სოციო-კულტურული, ეკონომიკური და ბიოფიზიკური (სა)ზღვრების¹ გადაფარვას ან ერთობლიობას. აღნიშნული კონცეფციით საზღვარი წარმოადგენს ხაზოვან, „მყარ“ სტატიკურ გამყოფ ელემენტს, რომელიც ფიქსირებულია როგორც კონკრეტულ ტერიტორიაზე, ასევე რუკაზე. ხოლო ზღვარი, ერთ-ერთი კონკრეტული ასპექტის შემადგენელი ელემენტია რომელიც შემდეგი ოთხი მდგენელით განისაზღვრება:

1. გეოპოლიტიკური ზღვრები - ტერიტორიული და ფიზიკური, უმეტესწილად იურიდიულად დადასტურებული, დემარკირებული მიწის ნაკვეთი. მაგალითად უბანი, ქალაქი, რეგიონი, სახელმწიფო, ფედერაცია, ევროკავშირი და ა.შ.

2. სოციო-კულტურული ზღვრები - საზოგადოებაში წარმოებული, არადემარკირებული და ზოგჯერ სადავო განსაზღვრების სოციალური და კულტურული მახასიათებლები.

¹ აღნიშნული ტერმინი სა(ზღვარი) შემომაქვს ინგლისური - Boundary (საზღვარი, მიჯნა, ზღვარი) ქართულ შესატყვისად.

3. ეკონომიკური ზღვრები - საზოგადოებაში წარმოებულ, მუდმივად ცვალებადი ჩარჩოები, რომლებიც განისაზღვრება ისეთი ეკონომიკური ასპექტებით, როგორცაა ხარჯების ეფექტურობა ან სიმდიდრე (ეკონომიკური ინკლუზიურობა და ექსკლუზიურობა).

4. ბიოფიზიკური ზღვრები - ბუნებრივი გარემოს მახასიათებლების საშუალებით (მდინარეები, მთები, ლანდშაფტური ზონები) უმეტეს შემთხვევაში ბუნდოვნად დემარკირებული სახმელეთო ან საზღვაო ჰაბიტატები.

შესაბამისად, რაც უფრო რთულად გადასალახი ან შელწევადია აღნიშნული (სა)ზღვრული ელემენტები ან მათი ერთობლიობა, მით უფრო „მსხვილია“ საზღვარი, ხოლო მათი ღიაობის და ადვილად გადალახვის შემთხვევაში „თხელი“.¹

„მსხვილი საზღვრის“ მაგალითებად ჰასელსბერგერს ამერიკა-მექსიკის, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საზღვრებთან ერთად, საბჭოთა წარსულიდან გამომდინარე, საქართველოს რეალობისთვის უფრო ნაცნობი, „რკინის ფარდის“ მაგალითიც მოჰყავს, რომელიც რთულად გადასაკვეთ საზღვარს წარმოადგენდა და აბრკოლებდა ინტერაქციას მეზობელ ქვეყნებს შორის. შედეგად, „რკინის ფარდის“ მიმდებარე მოსაზღვრე რეგიონები, ხასიათდებოდა და ხშირ შემთხვევაში დღემდე ხასიათდება, ეკონომიკური განვითარების შეფერხებითა და მაღალი ემიგრაციის მაჩვენებლით, რაც ამცირებდა მოსაზღვრე რეგიონების სიცოცხლისუნარიანობას.

რაც შეეხება „თხელ“ საზღვრების განმარტებას, იგი „მსხვილისგან“ საპირისპიროდ გამარტივებულ გადაადგილება-სა და კონტაქტს გულისხმობს, რომლის მაგალითად ევროკავშირის სივრცის შიდა საზღვრები გამოდგება (ამავდროულად ევროკავშირის გარე საზღვრები პირიქით, „მსხვილი“ და რთულად გადასალახია). თუმცა, კვლავ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, შეგვიძლია საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საზღვრების მაგალითიც მოვიყვანოთ, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ზემოთჩამოთვლილი ოთხივე (სა)ზღვრის დონეზე, საზღვრები ცალსახად „თხელი“ იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი, „გამსხვილდა“ და გარკვეულ შემ-

¹ Haselsberger (2014) გვ. 510-511.

თხვევებში ისეთი მრავალშრიანი პრობლემური საკითხები წარმოშვა, როგორც სასაზღვრო ზონაში მდებარე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონაკვეთის დემარკაციის მიმდინარე საკითხია.¹ გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი საბჭოთა, „თხელი“ შიდა (სა)ზღვრების პირობებში ნაკლებაქტუალური იყო და განსაკუთრებული სიმწვავე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიძნა - იგი „თხელი“ ადმინისტრაციული საზღვრის, „მსხვილ“, მილიტარიზირებულ „საერთაშორისო საზღვრად“ ტრანზიციის ერთ-ერთი სახასიათო მაგალითია.

ყსოაო-ს საოკუპაციო ზოლის ტრანსფორმაციის თეორიულ ქრილში განხილვის საფუძველს, ბიბლიოგრაფიულის გარდა, საველე სამუშაოების დროს მოპოვებული ინტერვიუების თვისებრივი ანალიზიც იძლევა, რომელიც ნაშრომის 3.5 ქვეთავშია განხილული და ბორდერიზაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის საფუძველზე, „თხელი“ საზღვრის „მსხვილად“ გადაქცევის თანმდევ კომპლექსურ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას.

¹ მირიანაშვილი, ლ. (2009) საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილების ისტორია XX საუკუნეში. კავკასიოლოგიური ძიებანი. I: 493—50., თბ., თსუ.; Metreveli, R., 2019. David Gareji Monastery Complex—an Integral Part of Ancient Cultural Heritage of Georgia. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 13(2). ხელმისაწვდომია: <http://science.org.ge/newsite/bnas/t13-n2/27Metreveli.pdf>

3.4 ისტორიული წანამძღვრები: ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სივრცითი ასპექტები

3.4.1 საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა რუსეთის იმპერიაში

საქართველოს ტრადიციული ადმინისტრაციული მოწყობა, გვიანი შუა საუკუნეების ბოლომდე, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამდე, სამხედრო-ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს - სადროშოებს ეფუძნებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XI-XV საუკუნეებში ოთხი მსხვილი სადროშო იყო: 1. მენინავე - სამხრეთი საქართველო, 2. მემარჯვენე - დასავლეთ საქართველო, 3. მემარცხენე - ქართლის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია (ძირითადად კახეთ-ჭერეთი), 4. მეფის სადროშო - შიდა ქართლი; სადროშო ერთ სარდალს ექვემდებარებოდა და ჰქონდა საკუთარი სიმბოლური ნიშანი - დროშა. თავის მხრივ, დიდი სადროშოები თავის მხრივ იერარქიულად მცირე სადროშოებად და თემებად იყოფოდა. მხოლოდ ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და მას არანაირი სახელმწიფო ადმინისტრაციული დატვირთვა არ ჰქონდა.¹ შესაბამისად, დღევანდელი ყსოაოს ტერიტორია, გვიანი შუა საუკუნეების ბოლომდე ქართლის სადროშოს/სამეფოს ტერიტორიაში შედიოდა და ძირითადად ხეობების მიხედვით იყოფოდა თემებად.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ, ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობის ფორმები მნიშვნელოვნად შეიცვალა. იმპერიის შემადგენლობაში ქვეყნის ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობა რუსულ იმპერიულ სისტემას დაექვემდებარა და კავკასია გუბერნიებად დაიყო. ჩგუბერნიები, თავის მხრივ, მაზრებისგან შედგებოდა, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, ეთნიკური და/ან რელიგიური ნიშნით კომპაქტიურად დასახლებულ ტერიტორიებზე იქმნებოდა ოლქებიც (ოკრუგი).

¹ თოფჩიშვილი, რ. (2010) საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. თბილისი: უნივერსალი. ჩვ. 267-268

ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, 1801 წელს, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებაში, დღევანდელი ყსოაო-ს ტერიტორიაზე ოსებისთვის რაიმე სახის ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეულის მონაცემები არ განიხილებოდა, რაც ოსური კომპაქტური დასახლებების სიმცირით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ პერიოდში აღნიშნული ტერიტორია ორ ნაწილად - გორისა და დუშეთის მაზრებად იქნა გაყოფილი.

რაც შეეხება თავად ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“, როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, დღეისათვის არსებული წყაროების მიხედვით, იგი პირველად 1830 წელს, რუსულ გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ში¹ ანონიმმა ავტორმა უშუალოდ გეოგრაფიული მიმართებით გამოიყენა, რადგან აღნიშნულ ტერმინს ოფიციალური და იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნდა.

პირველად „ოსეთი“ („სამხრეთის“ გარეშე), ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულის სახელად 1843 წელს ფიქსირდება. როდესაც გორის მაზრას, დროებით, ცალკე გამოყო ოსეთის ოკრუგი, რომელიც შედგებოდა ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დვალეთის ნაწილი) უბნებისაგან. აღნიშნულ პერიოდში გორის, თბილისისა და თელავის მაზრებიდან გამოყვეს კავკასიონის სამხრეთის ფერდის ტერიტორიები და შეიქმნა სამი ადმინისტრაციული ერთეული – ოსეთის, მთიულეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგი, რომლებიც უშუალოდ დაუქვემდებარეს საქართველო-იმერეთის გუბერნატორს, თუმცა, სამოქალაქო და სამართლებრივი თვალსაზრისით, კვლავ ყოფილი მაზრების შემადგენლობაში დარჩნენ.

ამგვარი ადმინისტრაციული მართვის მოუხერხებლობა, მალევე გახდა ცხადი. ოსებით დასახლებული გორის მაზრის სოფლები გაუვალი მთიანი ქედებით იყო მოშორებული ადმინისტრაციულ ცენტრს და საჭიროებდა ადგილზე დიდი უფლებების მქონე მოხელის ყოფნას. ამიტომ გადაწყდა ადმინისტრაციული დაყოფა ისევ შეეცვალათ². გოლოვინის გადაწყვეტილებით, 1843 წლის თებერვლიდან მთის ოლქში მთიულეთისა და

¹ Тифлисскія Вѣдомости, №72, 1830.

² Отношение ген. Нейгардта к м.с. Позену. Акты Кавказской археографической комиссии, IX. ТФ. 1884, с. 750

ხევის გარდა შეიყვანეს ძირითადად ქართველებით დასახლებული ქსნის ხეობა (Ксанский участок); ასევე სამ – ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის მონაკვეთებად დაჰყვეს ოსეთის ოკრუგი. ამრიგად ოსეთის ოკრუგი თუმ-ფშავ-ხევსურეთთან, მთიულეთთან და ხევთან ერთად ადმინისტრაციულად მთის ოლქში შევიდა და მის ხელმძღვანელს დაექვემდებარა.¹ თუმცა, მალევე, 1858 წელს, ოსეთის ოკრუგი გაუქმდა, ხოლო ნარის უბანი თერგის ოლქს გადაეცა.

ცხადია, ამგვარ ადმინისტრაციულ ცვლილებას რუსული ხელისუფლება ახორციელებდა საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის უფრო ეფექტურად და საიმედო მართვისათვის. საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ, სწორედ აღნიშნული ადმინისტრაციული ცვლილების მოსინჯვა იქცა ამ მხარეში 1918-1922 წლებში განვითარებული მოვლენების წანამძღვრად, რაც შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით დასრულდა.

ვინაიდან ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ხსენებული პერიოდის დეტალური კვლევა, მით უფრო, იგი გამოწვლილვითაა შესწავლილი, შემდეგ ქვეთავებში შედარებით მეტ ყურდლებას საზღვრის კვლევების კუთხიდან გავამახვილებ უშუალოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე. ხოლო, რაც შეეხება რუსეთის იმპერიის პერიოდის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებს, ამაზე ბევრია დაწერილი და ფაქტოლოგიური მასალა მეტ-ნაკლებად ცნობილია დაინტერესებული საზოგადოებისათვის; გამოქვეყნებულია საკმაო რაოდენობის საარქივო მასალა, საინტერესო ცნობებს ვხვდებით 1918-21 წწ. პერიოდისა და პრესაში. უკანასკნელ ხანებში ამ თემით დაინტერესდნენ ახალი თაობის მკვლევრებიც (დ. სილაქაძე, მ. გუნცაძე და სხვები). ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასევე არაქართველი ავტორების – მ.პლიევის, ა.ჩოჩიევის, ბ.კალოევის, ვ.შნილერმანის და სხვათა ნაშრომები.²

¹ Отношение ген. Нейгардта к м.с. Позену. Акты Кавказской археографической комиссии, IX. ТФ. 1884, с. 750

² თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთი, თბილისი 1991, გვ 12-46; ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, სამ-

3.4.2 პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა: ტერიტორიული ავტონომიების წანამძღვრები და პირველი ქართულ-ოსური დაპირისპირება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკამ, ფაქტობრივად ცარიზმის დროინდელი ტერიტორიული მოწყობის პირობებში იარსება. ცვლილებები ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ ოფიციალურად მხოლოდ 1921 წელს, დამოუკიდებლობის დაკარგვის წინ მიღებული საქართველოს კონსტიტუციით შევიდა ძალაში, რომლის მიხედვითაც საქართველო იყოფოდა 19 ერთეულად (18 ოლქი და დედაქალაქი თბილისი). ოლქების საზღვრები, მცირეოდენი ცვლილებებით, ძირითადად ემთხვეოდა ყოფილი მაზრების საზღვრებს. თუმცა რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დამტკიცდა სამი ავტონომიური ერთეულის შექმნა: 1. აფხაზეთის (სოხუმის) ავტონომიური ოლქი; 2. სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის მხარე) და 3. ზაქათალას

ხრეთ ოსეთის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა, თბ., 1991 გვ. 16-50; მენთეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-20 წლებში, კრებული ოსთა საკითხი, თბ., გვ 276-29; ცხინვალი 1920, <https://www.youtube.com/watch?v=Xu8stfJftn4> და სხვა; გუნცაძე მ. 1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, შიდა ქართლში - შიდა ქართლში XV-XVI, 2013/2014, გვ. 40-58; გუნცაძე მ. ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აკანყების მაგალითზე, მრავალთავი – ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 25, 2017 წ. გვ. 203-210; გუნცაძე მ. ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიისათვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, გვ. კონფერენციის („ქართულ-ოსური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ქრილში“) მასალები, თბ. 2015 115-122; Блиев М., Южная Осетия в Колизиях Российско-Грузинских отношении, М., 2006; Шнирелман В., Войны памяти, М. 2003; Тедеева У. Образование юго-осетинской автономной области как результат установления советской власти в регионе, Исторические, философские, политические и юридические науки, культурология и искусствоведение. Вопросы теории и практики, Тамбов: Грамота, 2017. № 3(77): в 2-х ч. Ч. 1. С. 156-159.

ოლეი¹ (თუმცა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო ეს ცვლილებები აღარ განხორციელებულა).² მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობისთვის ავტონომიის მინიჭებას, აღნიშნული საკითხი სწორედ ამ პერიოდში იქნეს აქტუალურობას და ქართულ-ოსური კონფლიქტის საწყისებამდეც მივყავართ.

ქართულ-ოსური დაპირისპირების პირველ ეტაპად სწორედ 1918-1921 წლები შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც შიდა ქართლის ოსურმა მოსახლეობამ რამდენიმე აჯანყება მოაწყო საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქართველოში ამ პერიოდში არსებულ ყოველგვარ კოფლიქტს საბჭოთა ისტორიოგრაფია კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებად ნათლავდა, და მიაჩნდა, რომ მათ საბოლოო მიზანს სოციალისტური წყობილების დამყარება (როგორც წესი, საბჭოთა რუსეთთან შეერთების გზით) წარმოადგენდა. ამდენად, ეს აჯანყებები, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში, არ შეიძლებოდა ნეგატიურად შეფასებულიყო, რაც აპრიორი გამორიცხავდა ობიექტური დასკვნების მიღებას. ამასთანავე, შიშობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების ობიექტური განხილვა ეროვნული შუღლის ახალ გამწვავებას გამოიწვევდა. ამდენად, ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში ძირითადი ყურადღება ექცეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინებას და აჯანყებულთა მიმართ მათ მიერ განხორციელებული რეპრე-

¹ საქართველოს კონსტიტუცია (1921 წლის 21 თებერვალი), თავი 11, მუხლი 107. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>

² ჩიუქესკა, ა; ჯოხაძე, ა; ვარდოსანიძე ვ; ხოშტარია თ; ძიდიგური პ; (2019) *საქართველოს მუნიციპალიტეტების სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო*. ტომი 3: *ფონური ნარკვევები*; ლოსაბერიძე, დავით; კანდელაკი, კონსტანტინე, აბულაძე, მამუკა; კონჯარია, ოთარ (2016) *ადგილობრივი თვითმმართველობა*. თბილისი: მწვანე კავკასია.

სიების დაგმობას.¹ რა თქმა უნდა, ამგვარი შეფასებები სავსებით გაზიარებული იყო რუსულენოვან (რუსი და ოსი ავტორების მიერ) ისტორიოგრაფიაშიც.

1917 წლის დეკემბერს ცხინვალში გამართულ სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობაზე დაადგინეს, ოსი ეროვნებით დასახლებულ ტერიტორიაზე შექმნილიყო ერთიანი საერო ერთეული (ერობა). მოგვიანებით, 1918 წ. იანვარში „ეროვნულმა საბჭომ“ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, სადაც მოხაზული იყო მათთვის სასურველი ერობის საზღვრები, ოსებით კომპაქტურად დასახლებული რაჭის, გორისა და დუშეთის მთიანი ზოლი. აქვე გამოთქმული იყო სურვილი, რომ ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებებში გამოყენებული ყოფილიყო ოსური ენა, რათა ოსური საზოგადოება სწრაფად და, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ გადასულიყო გვაროვნულ-პატრიარქალური წყობიდან და ჩვეულებითი სამართლის არქაული ნორმებიდან ახალი ეპოქის კულტურულ მონაპოვრებზე.²

„ეროვნული საბჭოს“ პირველი სესია (1918 წლის 2-3 მარტი) თურქეთის მიერ დაწყებული შეტევის მოგერიების საკითხებს მიეძღვნა; დელეგატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აგრესორის წინაარმდეგ გაერთიანებული ძალებით ბრძოლას; აქვე მიიღეს დადგენილება გაეგრძელებინათ მუშაობა სამხრეთ ოსეთის პოლკის ფორმირებისათვის. ამავე სესიაზე გადაწყდა, გაეგრძელებინათ ჩრდილოეთ ოსეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა³.

1918-1921 წლებში შიდა ქართლშო ოსების სამი აჯანყება მოხდა და ყველა მათგანში აშკარად იგრძნობოდა საბჭოთა რუსეთის ხელი. განსაკუთრებით მასშტაბური იყო 1920 წლის

¹ თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთი, თბილისი 1991, გვ. 10; გუნცაძე მ. ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აკანყების მაგალითზე, მრავალთავი – ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 25, 2017 წ გვ. 205

² ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, სამხრეთ ოსეთის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა, თბ., 1991, გვ. 16-17

³ იქვე გვ. 19

აჯანყება, როდესაც ბოლშევიკური რუსეთი აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფინანსურად და შეიარაღებული ძალითაც ეხმარებოდა. იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ოსური პრობლემა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აჯანყებულთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება მოუხდა¹.

ალსანიშნავია, რომ პირველად სეპარატისტულმა მისწრაფებებმა ყსოაო-ს ოსი მოსახლეობის ნაწილში საქართველოს რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებისთანავე იჩინა თავი. 1919 წლის 3 ივლისს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ შექმნილი საზღვრების დამდგენი კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს თავიანთი გადანყევტილება, ერთიანი ოსეთის სახელმწიფოს (სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანების გზით) შექმნის თაობაზე, რომელიც მომავალში რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას უნდა შეერთებოდა. თუმცა, რადგან იმ ეტაპზე ეს ვერ მოხერხდებოდა, კომისიისაგან ითხოვდნენ საქართველოს საზღვრებში პოლიტიკური ავტონომიის სტატუსს; წარმოდგენილი დეკრეტის პროექტში („ოსებით დასახლებული სოფლის საზოგადოებების ცალკე მაზრად გამოყოფის თაობაზე“) მოცემული იყო შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრების იმ დასახლებულ პუნქტების ჩამონათვალი, რომელთა გაერთიანებით უნდა დაარსებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული - „ჯავის მაზრა“.² მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, თუმცა შეიქმნა საუნყებათაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა შორაპნის, რაჭის, დუშეთისა და გორის მაზრების ეთნოგრაფიული რუკის შედგენის საფუძველზე, განეხილა ოსებისთვის ჯავის მაზრის შექმნის შესაძლებლობა, რომელშიც, მოგვიანებით,

¹ გუნცაძე მ. 1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, შიდა ქართლში - შიდა ქართლში XV-XVI, 2013/2014, გვ.55-56

²ჯანელიძე, ო. ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. *ეთნოპოლიტიკა* 2007 (I): გვ. 9

ჯანელიძე, ო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბილისი 2018: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. გვ: 63

სონღულაშვილი, ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში?! თბილისი 2009: უნივერსალი. გვ: 97

საბჭოთა მმართველობის დროს შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან შედარებით, დაახლოებით, 1/3-ით ნაკლები ტერიტორია მოიაზრებოდა.

აღნიშნულმა წინადადებამ სეპარატისტული ჯგუფები არ დააკმაყოფილა და ღიად და აქტიურად დაიწყო ახლადშექმნილი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბოლშევიკურ ძალებთან ერთად მოქმედება. 1920 წლის 28 მარტს „სამხრეთ ოსეთის ნაციონალურმა საბჭომ“ ჩამოაყალიბა „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი“, რომელიც რუსი ბოლშევიკებისგან „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის შექმნას ითხოვდა, რამაც მნიშვნელოვნად დაძაბა ვითარება რეგიონში და სისხლიანი შეტაკებები გამოიწვია.¹ ხოლო, 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრას ოსი მოსახლეობის ნაწილი, როგორც განმანთავისუფლებელ არმიას, ისე შეხვდა.²

3.4.3 მეორე რესპუბლიკა: საბჭოთა საქართველო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოს ტერიტორიული მონყობა კიდევ ერთხელ შეიცვალა. 1921-1922 წლებში, ან უკვე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (რომელიც თავის მხრივ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში გაერთიანდა) ერთდოულად სამი ნომინალურად განსხვავებული ავტონომიური ერთეული დაარსდა: აფხაზეთის ავტონომიური

¹ Jones, S.F., *Socialism in Georgian colors: the European road to social democracy, 1883-1917*. Harvard University Press, 2005; Jones, S.F.(Ed), *A fateful moment: Ethnic autonomy and revolutionary violence in the Democratic Republic of Georgia (1918-21)*. Routledge 2015.

² Welt, C. *A fateful moment: Ethnic autonomy and revolutionary violence in the Democratic Republic of Georgia (1918-21)*. In: *The Making of Modern Georgia, 1918-2012 (pp. 205-231)*. Routledge 2014.

სოციალისტური რესპუბლიკა (ასსრ), რომელიც 1931 წლამდე, საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში ფედერაციულ სანაწილებზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აღნიშნული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სხვა რესპუბლიკებში ეთნიკურ უმცირესობები რაოდენობრივად უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილნი, საქართველო ავტონომიური ერთეულების რაოდენობით საბჭოთა კავშირის ნებისმიერ სხვა რესპუბლიკას აღემატებოდა, რსფსრ-ს გარდა.¹

ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წლის 31 ოქტომბერს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, სამხრეთ ოსეთს მიენიჭა ავტონომიური ოლქის უფლებები, ხოლო საქართველოს საქართველოს რევკომს მოეთხოვა სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ავტონომიის საზღვრების განსაზღვრა. საბოლოოდ იურიდიულად ტერმინები „სამხრეთ ოსეთი“ და „ჩრდილოეთ ოსეთი“ 1922-24 წლებში დაკანონდა, როდესაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისრების საბჭოს მიერ, 1922 წლის 20 აპრილს, №2 დეკრეტის² საფუძველზე ჯერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შეიქმნა, ორი წლის შემდეგ კი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ (ივლისი, 1924), რუსეთის ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული დეკრეტის მიღებიდან დღემდე, მას შემდეგ, რაც გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, არასდროს მომხდარა მისი საზღვრების დემარკაცია და ადგილზე დაზუსტება. რაც მთავარია, აღმოჩნდა რომ დემარკირებული სასაზღვრო ზოლის არარსებობა არამხოლოდ დღევანდელ კონფლიქტურ რეალობაში ქმნის პრობლემებს ცალმხრივი „დემარკაციისა“ და ბ/ორდერიზაციის

¹ Gachechiladze, R. Geopolitics and foreign powers in the modern history of Georgia: Comparing 1918–21 and 1991–2010. In: *The Making of Modern Georgia, 1918–2012* (pp. 205–231). Routledge 2015. გვ.84.

² შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის „მოამბე“ № 33, 1922, გვ. 81-84; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 607, ან. 1. საქმე. 754..

სახით, არამედ საბჭოთა პერიოდშიც იწვევდა გაურკვევლობას, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, ყოფით დონეზე დაძაბულობაშიც გადაზრდილა.

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ეროვნულ არქივში მოპოვებული საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის დეკლასიფიცირებული დოკუმენტები. მაგალითად, როგორც ირკვევა დოკუმენტიდან - „სადავო მიწის ნაკვეთებზე ონის რაიონსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შორის“, საზღვრების დაუზუსტებლობის გამო, ავტონომიური ოლქის შექმნიდან მალევე წარმოიშვა ადმინისტრაციულ სამეურნეო ტიპის დავები ყოფით დონეზე - როგორც ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ასევე მოსაზღვრე ადმინისტრაციულ ერთეულებს შორისაც.¹ ამასთანავე, დოკუმენტში ფიქსირდება რომ საზღვრის დაუზუსტებლობის გამო, თვითნებურად ხდებოდა სამხრეთ ოსეთის აო-ს მიერ მოსაზღვრე ტერიტორიების მითვისება: „იმის გამო, რომ №2 დეკრეტში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მითითებები გამომიჯვენილი პუნქტების შესახებ, მოხდა აღნიშნული მითითებების თვითნებური განმარტება, ამან კი გამოიწვია გარკვეული მიწის ნაკვეთების ძალადობრივი გზით მიტაცება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიერ“. ასევე, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში, სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების ძალადობრივი მითვისება, ავტონომიური ოლქის შექმნიდან, დიდი ხნის განმავლობაში ქმნიდა დაძაბულობას ყოფით ნიადაგზე; თუმცა, შესაბამისი კომისიების მუშაობა წლების განმავლობაში ვერ აგვარებდა აღნიშნულ საკითხს: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისას, მიწის ნაკვეთების ნაწილი, რომელიც ძველთაგანვე ონის რაიონის გლეხებს ეკუთვნოდათ შრომით სარგებლობაში, გადავიდა ახლადშექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კუთვნილებაში. ამის შედეგად დაირღვა ონის რაიონის გლეხთა

¹ სკპცკ (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი), 1931. სადავო მიწის ნაკვეთებზე ონის რაიონსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შორის (ფონდი 284. კატალოგი 1, დოკ. N 1979. გვ: 1-23) საქართველოს ეროვნული არქივის, უახლესი ისტორიის განყოფილება.

უფლებები, რადგან ისინი ველარ სარგებლობდნენ ჩამოჭრილი მიწის ნაკვეთებით. ეს გარემოება გახდა ძალადობრივი ქმედების მიზეზი, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, რაც ზოგჯერ სისხლისღვრასაც იწვევდა. სამომავლოდ ამგვარი არასასურველი მოვლენებისა და აღნიშნული რაიონების მოსახლეობას შორის დავის აღსაკვეთად, როგორც თავად გლეხების, ისე საქართველოს სსრ მმართველი ორგანოების შუამდგომლობით, სხვადასხვა დროს შეიქმნა კომისიები ამ საკითხის გასარკვევად და პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ ამ დრომდე აღნიშნული კომისიების მუშაობას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.“¹

დოკუმენტის დანარჩენ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი ონის რაიონის სოფლების – ლურშევის, ირისა და წნელი-სის, სასოფლო სამეურნეო ტერიტორიის სადავო მონაკვეთები, და კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, რომ „ონის რაიონის სოფ. ირისა და წედისის გლეხების (169 კომლი) ფაქტობრივ შრომით სარგებლობაში არსებული მიწები (1941 ჰა) თვით №2 დეკრეტის საკანონმდებლო არსითაც კი უნდა იყოს მოქცეული ონის რ-ნის ფარგლებში, მარამ ისინი თვითნებურად მიაკუთვნეს სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიას“.²

აღსანიშნავია რომ როგორც აღნიშნულ დოკუმენტს, სადაც ღიად ფიქსირდება 1922 წლის დეკრეტ N2-ის კრიტიკა, მკაფიოდ გამიჯნული საზღვრების არარსებობის გამო, ასევე თავად დეკრეტ N2-ს, ხელს ერთიდაიგივე ადამიანი, ფილიპე მახარაძე³ აწერს: 1922 წელს, როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1931 წელს კი, როგორც საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

მოპოვებული საარქივო დოკუმენტაციიდან ასევე საინტერესოა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი

¹ იქვე. გვ. 3.

² დოკუმენტში დანართის სახით მითითებულია განხილული ტერიტორიების სქემატური რუკები, თუმცა სამწუხაროდ დოკუმენტაცია საქართველოს ეროვნულ არქივში დანართის გარეშეა დაცული.

³ ფილიპე მახარაძე (1868-1941) ქართველი ბოლშევიკი, რევოლუციონერი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის აქტიური მონაწილე.

ბელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის 1933 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც 1933 წლის 4 მარტის სხდომაზე გადაწყდა სტალინირის რაიონის საცხურის სასოფლო საბჭოს ცენტრის სოფ საცხურიდან სოფ. ნალვლში გადატანა. ასევე აღის სასოფლო საბჭოდან ნალვლის სასოფლო საბჭოს შეერთეს სოფლები: კოდისწყარო, ჩორჩანა, ტიტვინის წყარო და ლომისი. ამ შემთხვევაშიც, მსგავსი გადაწყვეტილების მიღება კვლავ დაუდგენელი საზღვრების გამო, სამხრეთ ოსეთის აო-ს მიერ მითვისებული მოსაზღვრე ტერიტორიების გამიჯვნის აუცილებლობამ გამოიწვია.

ამ ეტაპზე მოძიებული სამხრეთ ოსეთის აო-ს საზღვრების ცვლილების საარქივო დოკუმენტაცია იძლევა საფუძველს, რომ მომავალში, სრული საარქივო კვლევა, საზღვრებით დაინტერესებული მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი კვლევების საფუძველი გახდეს. სხვა მხრივ, საბჭოთა კავშირის პერიოდში, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებულ სამოსახლო ტერიტორიების მუნიციპალური მიკუთვნების საკითხს, არსებითი ცვლილება სამხრეთ ოსეთის აო-ს საზღვრებს არ განუცდია.

3.4.4 მესამე რესპუბლიკა: დამოუკიდებლობის აღდგენა და ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობა 1991 წლიდან დღემდე

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის წინაშე დადგა - ინფლაციისა და უმუშევრობის რეკორდული მაჩვენებლების პარალელურად, მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები, ხოლო 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ დაბრუნებული დამოუკიდებლობის ფონზე გაძლიერებულმა ნაციონალიზმის ტალღამ, ქვეყანა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში ჩაითრია. როგორც ნიგნის შესავალ ნაწილში აღინიშნა, 1990 წლის 11 დეკემბერს, ფორმალურად ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ქვეყნის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამ-

ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1990). 1991 წელს გაუქმდა ცხინვალისა და ზნაურის რაიონები, ცხინვალის რაიონი შეუერთდა გორის რაიონს, ხოლო ზნაურის რაიონი — ქარელს. ჯავის რაიონის რამდენიმე სოფელი კი გადაეცა საჩხერისა და ონის რაიონებს.¹

1990-1991 წწ. წლებში ცენტრალურ ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის აო-ის შორის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით 1992 წლის 24 ივნისს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა სოჭის შეთანხმება, რომელიც დაგომისის შეთანხმების სახელითაც არის ცნობილი. შეთანხმება ხელშეკრულების შედეგად, კონფლიქტის რეგიონში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა ქართული, ოსური (სამხრეთ და ჩრდილოეთ) და რუსული სამშვიდობო სამხედრო დანაყოფები. ეს იყო პირველი შემთხვევა როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის სამხედრო შენაერთებს „სამშვიდობო ძალების“ სტატუსი მიენიჭათ. აღნიშული ხელშეკრულების შედეგად, რუსი „სამშვიდობოების“ მხარდაჭერით, სეპარატისტების კონტროლს დაექვემდებარა რეგიონის ოსური სოფლები, ხოლო ქართულ სოფლებს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა (იხ. დან. 1, რუკა 2). შეიძლება ითქვას, რომ სოჭის (დაგომისის) ხელშეკრულება იყო ერთადერთი დოკუმენტი საქართველოსა და რუსეთის უახლეს ისტორიაში, რომელიც ყველაზე დიდხანს, 2008 წლამდე, არ დარღვეულა. შედეგად, რეგიონში ნარჩუნდებოდა მყიფე მაგრამ მშვიდობიანი პერიოდი, რაც დადებითად აისახებოდა ქართულ-ოსურ სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უნ-

¹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (1991) საქართველოს რესპუბლიკის კანონი ცხინვალისა და ყორნისის რაიონების გაუქმების შესახებ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები N4. გვ. 82. ხელმისაწვდომია: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/290429/1/Umaglesi_Sabchos_Uwyebebi_1991_N4.pdf

ყოფდა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესს.¹ რაც მთავარია, საზღვრის კვლევების ჩრილში, კონფლიქტის მხარეების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის შენარჩუნდა ეკონომიკური და სოციალური კავშირები და, ჰასელსბერგერის კონცეფციური ჩრილიდან თუ შევხედავთ, 2008 წლამდე, არ მომხდარა „საზღვრების გამსხვილება“.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მხრივ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია საკვლევ რეგიონზე. 2005 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო „ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“,² რომელმაც შეცვალა მანამდე მოქმედი კანონი „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“.³ აღნიშნული ცვლილებით, შემცირდა თვითმმართველობების რეალური უფლებამოსილები და გაიზარდა ცენტრალური ხელისუფლების ზედამხედველობა. გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობები სოფლებში, თემებში, დაბებსა და ქალაქებში. კანონით განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ორი სახეობა: 1. დასახლებათა ერთობლიობა — მუნიციპალიტეტი; 2. თვითმმართველი ქალაქი. მუნიციპალიტეტები განისაზღვრა ადრე არსებული რაიონების შესაბამისად, ხოლო თვითმმართველი ქალაქები გახდნენ: თბილისი, ბათუმი, ქუთა-

¹ ზაქარეიშვილი, პ. პაატა ზაქარეიშვილი ე.წ. დაგომისის შეთანხმებაზე. რადიო თავისუფლება. 2018 ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/29321737.html>

² სსმ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე) (2005) საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/27802?publication=0>

³ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ. 1997 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33436?publication=11>

ისი, რუსთავი, ფოთი. შესაბამისად, რაიონები გადაკეთდა მუნიციპალიტეტებად.¹

2005 წლის საკანონმდებლო ცვლილება, მნიშვნელოვანი იყო ყოფ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის მხრივაც. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე პირველად შეიქმნა ერედვის, ქურთისა და თიღვის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულები - მუნიციპალიტეტები (იხ. დან. 1, რუკა 6).

მოგვიანებით, 2007 წლის 10 მაისს, კი ამოქმედდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ“.² დროებითი ადმინისტრაციის ძირითად ფუნქციად კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, საქართველოს ხელისუფლებასთან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიური სტატუსის განსაზღვრისა და ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭების მიზნით, ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების სახელით, მოლაპარაკების წარმოება მოიაზრებოდა.

რაც შეეხება ბოლო მნიშვნელოვან ტერიტორიულ ცვლილებებს საკვლევ რეგიონში, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთის მიერ ყსოაო-ს ოკუპაციასა და დე ფაქტო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცალმხრივ აღიარებას მოჰყვა; სწორედ აღნიშნული მდგომარეობის შედეგია მიმდინარე ბ/ორდერიზაციის პროცესი და მისი მძიმე ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ უსაფრთხოებაზე და ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტების გაუარესებაზე.

წინამდებარე ნაშრომის შემდეგი ნაწილი, სწორედ საოკუპაციო ზოლით გაყოფილი სოფლების მაცხოვრებლების მონათხრობზე მიხედვით, ბ/ორდერიზაციის პროცესის შედეგებს აღწერასა და ანალიზს ეძღვნება.

¹ ლოსაბერიძე, et al (2016) ადგილობრივი თვითმმართველობა.

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/100630?publication=0>


3.5 ბ/ორდერიზაციის ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაზე

სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საზღვრის კვლევების კუთხით შესწავლისას, თეორიული ჩარჩოებისა და ადმინისტრაციული მოწყობის სივრცით-დროითი პროცესების ანალიზთან ერთად, უმნიშვნელოვანესია სავსე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალების თვისებრივი ანალიზი. უშუალოდ საოკუპაციო ხაზით გაყოფილი სოფლების მცხოვრებთა თვალთახედვა და მათ მიერ ყოველდღიურობაში განცდილი ბ/ორდერიზაციის პროცესი, საკვლევო საკითხის გაანალიზებისთვის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს.

წინა ქვეთავებში წარმოდგენილი ადმინისტრაციული საზღვრის დროით-სივრცითი დინამიკის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ მიუხედავად ყსოაო-ს ხშირი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტატუსის ცვლილებებისა, ადმინისტრაციული საზღვარი არასდროს ყოფილა დღევანდელივით „მსხვილი“, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ საქართველოს ხელისუფლებას რეგიონზე კონტროლი ნაწილობრივ 1992 წლიდან ჰქონდა დაკარგული.

2008 წლიდან, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით და მისი დამოუკიდებლობის უკანონოდ აღიარების შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ, ბორდერიზაციის სახით მანამდე არნახული პრობლემები წარმოქმნა; საომარი მოქმედებების დასრულებიდან მალევე, სეპარატისტულმა მთავრობამ, რუსეთის დახმარებით ეგრეთ წოდებული სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამუშაოები წამოიწყო. შედეგად, დღემდე გრძელდება დიდწილად სამხრეთ ოსეთის ყოფილი აო-ს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ხელოვნური ბარიერების (ღობეების, მავთულხლართების, თხრილების), სათვალთვალო და სასიგნალო აპარატურისა (ვიდეოკამერები, მოძრაობის სენსორები) და გამაფრთხილებელი ნიშნების/ბანერების აღმართვა. საოკუპაციო რეჟიმის განცხადებით, აღნიშნული სამუშაოები 1970-იან და 80-იან წლებში შედგენილი გენშტაბის რუკების საფუძველზე მიმდინარეობს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ რუკების მასშტაბები განსხვავდება (1:100 000მმ და 1:50 000მმ), რაც საოკუპაციო ძალებს, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, მათი მონაცვლეობით გამოყენებით 500

მეტრიანი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს, რასაც აქტიურად იყენებენ საქართველოს კონტროლირებად სივრცეში მაქსიმალურად შეღწევისთვის.¹



სურათი 1 ბორდერიზაციის ზეგავლენა ყოველდღიურ ყოფაზე, ინტერვიუების მიხედვით

ადგილობრივების მონათხრობის მიხედვით, ეგრეთ წოდებული სადემარკაციო სამუშაოები ფრანგმენტულია და სხვადასხვა სიხშირით, სხვადასხვა მონაკვეთზე მიმდინარეობს. შესაბამისად, განსხვავდება ბორდერიზაციის ზეგავლენა სხვადასხვა სოფელზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, წინამდებარე ნაშრომში, საველ სამუშაოების დროს მოპოვებულ 48 ინტერვიუს ჩალრმავებულ ანალიზს ვიყენებ, ხოლო სურათი 1-ზე წარმოდგენილი რადარი ინტერვიუების შეჯამებით ვიზუალიზაციას ახდენს ომის შემდგომი ბორდერიზაციის პროცესის ყოველდღიურ ცხოვრებაზე

¹ თურმანიძე, თ., (2017) ოკუპაციის ხაზი - რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/89-expert-opinion-geo.pdf>

ზეგავლენის შესახებ. ჩვენთან საუბარში, რესპონდენტების უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყურადღებას განსაკუთრებით ბორდერიზაციის შედეგად გაუარესებულ ეკონომიკურ (34), სოციო-კულტურულ (31) და მიგრაციულ პროცესებზე (26) ამახვილებდა. თუმცა, მოულოდნელი და ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ჩანს რესპონდენტების განცდა ბორდერიზაციის შედეგად ყოველდღიურ ყოფაში საფრთხისა (23) და უსაფრთხოების (17) შესახებ, ისევე როგორც სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე წვდომის დაბრუნება (10). სავლელ სამუშაოების ანალიზმა აჩვენა, რომ მსგავსი აღქმა დამოკიდებულია იმაზე, თუ 1. რამდენად ახლოს ან შორს მდებარეობს შემოღობილი ტერიტორია დასახლებული პუნქტიდან 2. შემოღობილია თუ არა გამყოფი ზოლი. აღნიშნული გარემოებების როლი ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაზე, უსაფრთხოებაზე ზოგადად საცხოვრებელ გარემოზე შემდეგ ქვეთავშია განხილული.

3.5.1 დაკავებები „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით

როგორც სურათი 1-ზე ვხედავთ, რესპონდენტებისთვის უმთავრეს პრობლემას საფრთხის შემცველი საცხოვრებელი გარემო, ანუ საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. „საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის“ ბრალდებით მოსახლეობის დაკავების შემთხვევები წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემა რეგიონში 2008 წლის ომის შემდეგ წარმოიშვა და საკვლევ პერიოდშიც მაღალი სიხშირით ხასიათდებოდა (იხ სურათი 2).


ბ/ორდერიზაციის დაწყების პირველ წლებში, საოკუპაციო ზოლზე მავთულხლართები და ამკრძალავი ნიშნები ყველგან არ იყო დამონტაჟებული (და დღესაც ბევრგან არ არის, განსაკუთრებით, ტყის მასივებში); ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ხვდებოდა, სად გადიოდა ეს ზღვარი და თავისი საყოფაცხოვრებო ინტერესებისათვის (ფიჩხის შეგროვება, კენკრის, ჯონჯოლის, ნაბლის და სხვ. მოგროვება) და სამეურნეო სავარგულების დამუშავების მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობდა; გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობისთვის

წარმოდგენელიც კი იყო ტრადიციულად მათ ყოფაში გამ-
ჯდარი ჩვეული რიტმის შეცვლა. მათ ცნობიერებაში, ისინი
საქმიანობდნენ იქ, სადაც ყოველთვის, და ამასთან, საკუთარ
მინაზე. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის
მესაზღვრეები „დამნაშავეებს“ იჭერდნენ და ცხინვალის წინას-
წარი დაკავების იზოლატორში გადაჰყავდათ. მიუხედავად იმი-
სა, რომ დღეს თითქმის ყველგან არის მოწყობილი ე.წ. უსაფ-
რთხოების ღობეები, ადამიანთა დაკავება, რასაც, შეიძლება
გატაცებაც ვუნოდოთ, კვლავ ინტენსიურად მიმდინარეობს.
ბორდერიზაციის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა გამ-
ყოფი ხაზის გადალახვას სამეურნეო სავარგულების დამუშავე-
ბის, ვაჭრობის, ნათესავების ნახვის, სამედიცინო და სოცია-
ლური დახმარების მიღების, ახლობლების საფლავების მონა-
ხულების ან რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრების მიზნით
ცდილობს.

მაგალითად სოფ. საკორინთლოელი რესპონდენტის ინ-
ფორმაციით:

პჯ: ძირითადად საზღვარზე ღობეები იმ ადგილებშია
გავლებული სადაც შეიძლება ადამიანი გადავიდეს; ტყეებში
და მსგავს ადგილებში არ არის. ამიტომ, ხშირად ყოფილა
შემთხვევა, გზა აბნევიათ და შესულან ოკუპირებულ ტერი-
ტორიებზე და იქ კი დაუჭერიათ. ჯარიმა მგონი რვაასი ლა-
რია. ეს ღობე ომიდან ალბათ 2 წლის შემდეგ - გააკეთეს,
დაახლოებით 2010 წელს, ეს პერიოდი - 2008-2010 წლის
შუალედი, როდესაც ღობე არ იყო, თავისუფლად გადავდი-
ოდით და გადმოვდიოდით. ვისაც ნათესავები საზღვარს
მიღმა სოფლებში დარჩა, დღესაც მალულად კონტაქტობენ -
გადაიპარებიან-გადმოიპარებიან ხოლმე. ადრე შეზღუდვა
არ იყო. რაც ეს ღობეა, უკვე მკაცრად შეგვეზღუდა გადა-
ადგილება. ადგილობრივებს არ მოგვწონს ეს ღობე, ზოგი
კი, თვლის რომ კარგია, რადგან იციან სად გადის „საზღვა-
რი“ და მშვიდად არიან. რომ ისე აღარ იტაცებენ ხალხს,
როგორც ადრე. მაგრამ, რომ ვიცით, რომ საზღვარია და
საშიშია, მაინც ვერიდებით და არ მივდივართ ახლოს...
რუსმა შეიძლება ის ღობე გახსნას, შენს ტერიტორიაზე შე-
მოვიდეს და გადაგიყვანოს, ანუ, იგივე, მოგიტაცოს, რასაც
შვრებიან კიდევ; კამერებიც აქვთ ყველგან. მანდ საზღვარ-

ზე სულ რუსები არიან, ოსები არა, ადგილობრივებთან, სოფელთან მათ არანაირი კომუნიკაცია და კავშირი არ აქვთ.”
(პეჯ: 38 წლის მამაკაცი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში)



სურათი 2 „საზღვრის“ უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეთა დაკავების სტატისტიკა 2009-2021 წლებში ცხინვალის რეგიონის მიმართულებით

ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით, ცხინვალის იზოლატორში გადაყვანილ „დამნაშავეებს“, თუ ვითარება არ გართულდება, ფულადი ჯარიმის გადახდის ფასად (რაც დღეს 800 ლარს უტოლდება) ათავისუფლებენ. ე.წ. საზღვრის განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში „კანონის დამრღვევთ“, ცხინვალის ციხეში სასჯელის მოხდა ემუქრებათ. ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წლის ოქტომბრამდე ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დაკავებულთა უმეტესობას გათავისუფლებისთვის ჯარიმის - 2000 რუბლის გადახდა უწევდა (დაახლოებით 30 დოლარი). მაგრამ 2018 წლის ოქტომბრიდან დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. ჯარიმის თანხა 2 000 რუბლიდან 5 000 რუბლამდე (200 ლარამდე) გაზარდა, განმეორებით დაკავების

შემთხვევაში ე.წ. ჯარიმის თანხა ორმაგდება. მესამედ დაკავებისას კი პირს უკვე რამდენიმეთვიანი პატიმრობა ემუქრება.¹

2021 წლის მონაცემებით, საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის მიზეზით ადამიანთა უკანონოდ დაკავების გამო ყოველწლიურად ასობით საქართველოს მოქალაქე ზარალდება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, 2009-2021 წლებში, ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, ცხინვალის რეგიონში სულ 1420 მოქალაქე დააკავეს.² დაკავებები არ შეწყვეტილა COVID 19-ის პანდემიად გამოცხადების შემდგომ პერიოდშიც. როგორც დასტურდება, რუსი მესაზღვრეები ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის საბაბით მოქალაქეებს ყველაზე ხშირად გაზაფხულზე და შემოდგომაზე აკავენ, რადგან ეს დრო სამეურნეო სამუშაოების პერიოდია და სოფლის მოსახლეობას ნაკვეთებში უწევს საქმიანობა, უსაფრთხოების ღობეები კი ხშირად პირდაპირ მათ მიწაზე გადის.

ინფორმანტთა ცნობით, ზოგჯერ რუსი მესაზღვრეები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდის და მინდვრებსა და ტყეში მომუშავე გლეხებს ან საქონლის მწყემსებს იტაცებენ. ირკვევა, რომ დაკავების დროს, ისინი „დამნაშავეებს“ ჯერ სასაზღვრო ზოლთან (ბანერთან, ღობესთან) ფოტოს უღებენ, იმის საბუთად, რომ მათ საზღვარი დაარღვიეს. შედარებით იშვიათად, თუმცა დაკავებასთან ერთად, რესპონდენტები საუბრობენ მძიმე ფიზიკურ ძალადობაზეც:

„8 წლის წინ სოფელში სკოლიდან ფეხით მოვდიოდი, მანქანა არ მყავდა მაშინ. დამხვდნენ ოსები. იარაღის მუქარით ხეზე

¹ აფციური, გ. რუსიფიკაციის საგანგაშო მასშტაბი - რატომ ტოვებს ხალხი ოკუპირებულ ახალგორს, სექტემბერი 29, 2021 <https://www.radiotavisupleba.ge/>

² სსუს (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება 2021. ხელმისაწვდომია: <https://ssg.gov.ge/news/656/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba> რადიო თავისუფლება, ბორდერიზაცია და დაკავებები საოკუპაციო ხაზთან -2021. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/koBK6>

მიმაბეს და საშინლად მცემეს, ისე რომ თბილისში ოპერაციის გაკეთება დაძვინდა. თავდამსხმელებმა სკოლიდან მომავალი ბავშვების ჯგუფი დაინახეს და გაიქცნენ, შეეშინდათ, სოფელს შეატყობინებნო. ეს ომის მერე იყო, სადაღაც ხატობაზე დამთვრალიყვნენ, რომ შემხვდნენ ქართულად მომესალმენ, თავდაპირველად ქართველები მეგონა, ხელი მომკიდეს და მითხრეს წამოდი ცხინვალშიაო. მეკითხებოდნენ, ატოცში რამდენი პოლიციელი და რა ტექნიკააო. კბილები სულ ჩამიმტვრიეს. გატაცებები ახლა შემცირდა, რადგან ღობე გაკეთდა და ხალხი გაფრთხილებულია, სადამდე შეუძლია მისვლა. ადრე სანამ ღობეს გაავლებდნენ საქონელი გადადიოდა და უნდა გადმოგვეყვანა, რუსი კი ჩასაფრებული იყო და გვიჭერდა. ხალხი კი მე მგონი იმისთვის მიჰყავთ, რომ პრემიას აძლევენ.“

(ქარელის რაიონი, სოფელი კოდა, ხანდაზმული მამაკაცი)

ადამიანთა გატაცების საშიშროება მატულობს ასევე რელიგიური დღეობების პერიოდშიც, როდესაც სოფლის მცხოვრებნი საოკუპაციო ზოლის მიღმა დარჩენილ მამა-პაპისეულ სალოცავში ამა თუ იმ დღესასწაულის აღსანიშნავად ცდილობენ გადასვლას. მაგალითად, 2019 წლის 17 აგვისტოს სოფლების - აძვის, მეჯვრისხევის და ახალუბნის სულ 8 მოსახლე გაიტაცეს, აქედან 7 ფერიცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით ეკლესიაში მიდიოდა.

ჩემი რესპონდენტების ინფორმაციით, ცხინვალში გადაყვანის შემდეგ ხშირად დაპატიმრებულის ნათესავები იქაურ ოს ნათესავებს ან მეგობრებს მიმართავენ დახმარებისთვის და შედეგსაც აღწევენ ხოლმე:

რბ: „ორი თუ სამი წლის წინ დეიდაშვილი დაიჭირეს, ჯონჯოლის საკრეფად გადავიდა; - ხომ იცოდი დაგიჭერდნენ, რატომ გადახვედიო, რო ვკითხე - ისე ესხა, ისე ესხა, რომ არ გადავსულიყავი ალბათ გავგიჟდებოდიო.—მერე ხომ დაგადებინეს ეგ მეშოკიო? ამ მეშოკის გადმოგდება მოვასწარიო. მერე რეკავს - ე, ბიჭო, ეგებ გამიკეთო რაღაცა, გამოაშვებინოო, ამან [მეუღლემ] დაურეკა თავის დას, ერთს მეორეს,

დაჭერილია ეგება ფული შეიტანოთ; მერე გამოუშვეს. დე-
იდაშვილის გულისთვის როგორ არ გაიმეტებდნენ ფულს!
გლებმა რა იცის, ტყეში სად არის საზღვარი?! სად არის ზნა-
ურის [ყორნისი] და სად არის საჩხერის ტერიტორია?! არა,
ზოგან იცინ კიდევ, ჩანს კიდევ ნიშნები, მაგრამ ახლო—
მახლოს რომ არავინ არის, გადადიან. გადავიდა და დაიჭი-
რეს. ჩამოდი დაბლაო რო დაუძახეს იმათ [რუსმა სამხედრო-
ებმა], ამან „ტრი ლარიო“, ჩამოსძახა [იცინის]... ამას ეგონა
თურმე რა ღირს ჯონჯოლიო ეკითხებოდა. რუსული ამათ არ
იციან [იცინის]. წაიყვანეს და გზაში უთქვია, მე დედა ოსი
მყავს, კულუმბეგოვო; თურმე, იმან ქართული იცოდა ამა-
ზე უკეთ. რატომ ადგილზე არ მითხარი, დედა თუ ოსი გყავ-
და, გაგიშვებდიო. გაგიშვებ ეხლა აქედანო და არაო, ამათ არ
დავტოვებო (მაგასთან ერთად ორი სხვა დაიჭირეს). ასე წა-
იყვანეს ცხინვალში. დაჭერთ კი იჭერენ, ვინც გადადის,
მაგრამ ახლა უკვე ეშინიათ, გადასახადი რო გაიზარდა.”
(რბ - 53 წლის მამაკაცი, სოფელი ხაშურის
მუნიციპალიტეტში)

ვვარაუდობთ, რომ საზღვრის უკანონო გადაკვეთის მი-
ზეზით დაკავებულთა რაოდენობა სინამდვილეში დაფიქსირე-
ბულზე უფრო მეტი უნდა იყოს, რადგანაც, გახმაურებული
შემთხვევების გარდა, არის ფართო საზოგადოების ყურადღე-
ბის მიღმა დარჩენილი, გაუხმაურებელი ფაქტები. აღსანიშნა-
ვია ისიც, რომ რესპონდენტების ნაწილი, სიფრთხილის გამო,
თავს იკავებს ზედმეტი ინფორმაციის გაცემისაგან.

საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებულთაგან
ზოგიერთი აღნიშნავს, რომ ცხინვალში მათ ცუდად არ ეპყრო-
ბოდნენ (უნდა ითქვას, რომ ამ შეხედულებისაა რესპონდენტთა
უმეტესობა):

შნ: „120 მეტრია ჩემი სახლიდან საზღვრამდე. აქეთ ჩადის
დიდი ლეღე, აქეთ ჩვენა ვართ, იქით ისინი. არ არსებობს ახ-
ლოს საქონელი თუ გადავიდა და მიჰყვე, დაგიჭერენ, ისევ ის
სჯობია დარჩეს იქით ის ძროხა, 800 ლარია ჯარიმა გადასახ-
დელი. ისევ ლობე გაევლოთ ის სჯობდა, გვეცოდინებოდა
სად არის. მარა რატო შელობავენ? ფულს იღებენ აქედან.

ნჯ: ამ სოფლიდან არიან დაკავებულები?

შნ: რამდენიც გინდა იმდენი წაიყვანეს აქედან, ქალი თუ კაცი, აგერ ძროხას რომ უდგას მწყემსად [მითითებს გამვლელ ქალზე] ძროხა ცოტა იქით რომ გადავიდა იმ წუთას ეტაკნენ რუსები. მეც ძლივს გამოვასწარი რომ დავინახე ტყიდან გამოვიდნენ, ვუყვირე გოგო მოდიან მეთქი, იქვე დავყარე რაც მქონდა და გამოვიქეცი, ამ სიბილში წავიქეცი და მერე რო მოვიხედე და სად არის შენი [დაკავებული ქალის სახელი], მიყავთ. დარეკეს ტელეფონზე [რუსებმა], მოვიდა მანქანა და წაიყვანეს, წიოდა და კიოდა მაგრამ რა?! მერე ამ კაცს [დაკავებული ქალის თანასოფლელი] უძახეს არ გადმოხვიდე დაგიჭერთო, მაგრამ გადავიდა და წაჰყვა, მარტო რო არ გაეშვა. ხოდა ისიც წაიყვანეს ამ ქალთან ერთად.

ნჯ: იქ როგორ ექცევიან, საპატიმროში?

შნ: ამბობენ ცუდად არ ექცევიან არავისო. წაიყვანენ, გაასამართლებენ, გორს გადმოსცემენ და ჯარიმას გადაახდევინებენ, მეორე დღეს გადაიხდიან ფულს და გამოუშვებენ ხოლმე.”

(შნ - 69 წლის ქალი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში)

თუმცა, როგორც ვნახეთ, შნ-ს მონათხრობისგან განსხვავებით, ნაწილი ხაზს უსვამს პატიმრობის პერიოდში ადამიანთა მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტებს. იგივე ვითარებას ადასტურებს მედია და სპეციალური ლიტერატურის მონაცემები, სადაც საუბარია დაკავების დროს ადამიანთა ცემაზე და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე; აღნიშნულია, რომ რუსეთის შნ-ს ბაზების სარდაფებში, სადაც დაკავებულები პირველად გადაჰყავთ, საკმაოდ მძიმე პირობებია. ამ ვითარებას აღიარებს საქართველოს ხელისუფლებაც; მათი ცნობით, დაკავებულების მიმართ ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლების მიერ არასათანადო მოპყრობა ხშირია. არის შემთხვევები, როცა სასტიკად ნაცემი პატიმრები სამედი-

ცინო ჩარევას საჭიროებენ.¹ საქართველოს სახალხო დამცველი დაკავებულთა მიერ მონოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადასტურებს ცხინვალის რეგიონში მდებარე საპატიმრო დაწესებულებებში არსებულ მძიმე ვითარებას, რაც მდგომარეობს პატიმართა სიტყვიერ შეურაცხყოფაში და მათთვის სასმელი წყლისა და საჭმლის შეზღუდვაში.²

3.5.2 თანაცხოვრებიდან გაუხცოვებამდე: ბორდერიზაციის გადაულახავი ბარიერი

რესპონდენტების უმეტესობა, ბორდერიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს უარყოფით შედეგად განყვეტილ ურთიერთობებს ასახელებს რადგან 14 წელზე მეტია რაც მათთვის შეუძლებელია საოკუპაციო ზოლი გადაკვეთა. ნმ-ს მონათხრობიდან ნათელი ხდება რომ 2008 წლის ომის შემდეგ, ბორდერიზაციის პროცესი აჩენს მუდმივი შიშს განცდას, აჩენს იზოლაციას და ჯგუფთაშორის გაუცხოვებას:

„რუსებმა ერთმანეთთან ურთიერთობა აგვიკრძალეს, თუმცა ქართველი რძლები ოსებსაც ჰყავთ და ჩვენც გვყავს ოსები რძლად, სოფელში ერთი ოსური ოჯახიც ცხოვრობს. კოდელი გოგოა გათხოვილი წნელისში (რუსების კონტროლირებად მხარეს), შანსი არ არის, ვერც ჩამოდის, ვერც ვერაფრით უკავშირდება მშობლებს, ტელეფონით თუ დაელაპარაკება მხოლოდ.. სულ ნახევარი კილომეტრი ამორებს მშობლიურ სახლს და რამე რომ მოხდეს, ვლადიკავკაზიდან უნდა მოუაროს [530 კმ] თავისიანების სანახავად. ომამდე ჩავდიოდით, ამოვდიოდით, ერთი ეკლესია გვექონდა, 20 მაისს ერთიანი დღეობა გვექონდა ჭირსა და ლხინში ერთად ვიყავით, ერთმანეთს ვპატიჟობდით. ეგ ეკლესია იქეთ მოექცა

¹ ეუთო *Restriction of Freedom of movement*. საქართველოს დელეგაციის ანგარიში. 2016 ხელმისაწვდომია <https://www.osce.org/files/f/documents/8/c/271471.pdf6>

² საერთაშორისო გამჭვირვალობა 2019, გვ. 34.

და სალოცავადაც ველარ ჩავდივართ. [...] შევარდნაძის დროს ერგნეთით ვირჩენდით თავს, ზნაურის [ყორნისი] რაიონშიც გავდიოთ და ყველაფერი იქედან გადმოგვექონდა, სამსახურიც იქ გვექონდა, საყიდლებიც იქით გავგვექონდა, ამიტომ ხალხს არ უჭირდა. ომის შემდეგ გაფუჭდა საქმე. ჩვენთვის ეგ უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ქარელის რაიონი. აქედანაც გადიოდა ტავარი და ხალხი იქითაც მუშაობდა. ახლა აღარაფერი ურთიერთობაა, რამდენი წელი გავიდა ომის მერე, ახალგაზრდებიც დაიზარდნენ და ერთმანეთზე არაფერი იციან.“

(ნმ. – 61 წლის ქალი, სოფელი კოდა, ხაშურის მუნიციპალიტეტი)

ნმ, ისევე როგორც რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, აღნიშნავს, რომ 2008 წლის ომამდე, ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობები მნიშვნელოვანწილად აღდგენილი იყო და არსებობდა მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირები. რესპონდენტებისთვის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთო რელიგიურ ურთიერთობებს, რაც ბორდერიზაციის პროცესამდე შუფერხებლად ხორციელდებოდა.¹

რესპონდენტები ხაზს უსვამენ ბორდერიზაციის შედეგად განწყვეტილი კავშირების მნიშვნელობას, რომლის შედეგადაც საოკუპაციო ზოლის ორივე მხარეს მყოფი ახალი თაობა, ერთმანეთისგან აბსოლუტურ იზოლაციაში იზრდება, რაც მომავალში კავშირების დამყარებას, ნდობის აღდგენასა და თანაცხოვრებას გაართულებს, ხოლო წარმოქმნილი გაუცხოვების აღმოფხვრა დროის მსვლელობასთან ერთად, უფრო და უფრო შეუძლებლად მიაჩნიათ.

განწყვეტილი სოციალური და ეკონომიკური კავშირები მთავარ უარყოფით შედეგად მიაჩნია ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელში მცხოვრებ აკ-საც, რომლის სახლიც ომის დროს დაინვა:

¹ ბორდერიზაციის ზეგავლენა ტრადიციულ რელიგიურ ურთიერთობებზე განხილულია 4.2.2 ქვეთავში.

აკ: „2005 წლამდე ყველაფერი კარგად იყო, ჩვეულებრივად მიდიოდა ვაჭრობა, დიდი ტვირთების გადატანა, რუსეთში გადასვლა, ბევრს ქონდა იქაური [რუსული] მანქანის ნომრებიც. ჩვეულებრივი ნორმალური ურთიერთობა იყო ქართველებსა და ოსებს შორის. მერე [2005 წელს] ერგნეთის ბაზარი დაკეტეს¹, მარა 2008 წლამდე მაინც გადავდიოდით იქით [ოკუპირებულ ტერიტორიაზე] უპრობლემოდ. ისინიც [ოსები] გადმოდიოდნენ აქეთ. 2008 -მდე ჩემ მიწასაც ვამუშავებდი, ეხლანდელ საზღვართან თუ რაც არის, პრობლემა არ იყო საერთოდ.

[...] აი 2008 მდე პირადად ჩემთან იმ სახლში [რომელიც დაანგრიეს], იქვე იდგა ხოლმე სპეცნაზი, დანგრეულია ეხლა ეს შენობა და ამოდიოდნენ ხოლმე ჩემთან, ბევრჯერ მიქეიფებია ამ სახლში. ერთად მიქეიფებია ბევრჯერ ოსები და ქართველები [სამხედროები], რუსები არა.

ნლ: დღეს რა მდგომარეობაა? ხვდებით ხოლმე იქაურ სამხედროებს? გაქვთ ურთიერთობა?

აკ: რაც ღობეები ააშენეს აღარ, მაგრა მანამდე, აი, აქ მაქვს პომიდვრის ბაღი [რუკაზე მიჩვენებს]. რო გამოვივლიან ხოლმე, ბევრჯერ მივსალმებივარ „ზდაროვა რებიატა“. ზეპირად ვიცი ეხლა მეც, რომელსაც „მასკა“ უკეთია ის ოსია, აბა ეხლა ვლადივასტოკელ რუსს რად უნდა, სად ვიცნობ. მაგრამ, ადგილობრივი როცაა, მაინც იმის ფიქრი აქვს, რომ შეიძლება მიცნოს. ერთხელ დაჟე დავპატიჟე, მეთქი ამოვალ და ამოვიტან სასმელს და დავლიოთ მეთქი, ავედი და რავი აღარ მოვიდნენ, ერთი სამი წლის უკან იყო ეგ. ხო უკრძალა-

¹ 1996-2004 წლებში, სოფელ ერგნეთში, ქალაქ ცხინვალთან ახლოს მოქმედი ბაზრობა, რომელიც მნიშვნელოვან სავაჭრო ობიექტს წარმოადგენდა ქართველი და ოსი მოსახლეობისთვის. ამასთანავე იგი ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი წყარო იყო სადაც ცხინვალის რეგიონის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე რუსული წარმოების კონტრაბანდული კვების პროდუქტები, ნავთობპროდუქტები, სიგარეტები და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხორბალი და ფქვილი შემოდიოდა. ასევე ხშირი იყო ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემთხვევები. ბაზრობა 2004 წელს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაიხურა (ამის შესახებ დანვრილებით განხილულია ქვეთავი 4.4-ში).

ვენ ეხლა ოსებიც და რუსებიც, რო დაინახონ მთავრობამ, რო კონტაქტი აქვთ, სერიოზული პრობლემები შეექმნებათ”.
(აკ — 44 წლის მამაკაცი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში)

აკ-ს მონათხრობიდანაც ჩანს რომ 2008 წლამდე, საქართველოს ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, მოსახლეობას გადაადგილების მხრივ პრობლემა არ ექმნებოდა. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ აკ ყურადღებას არა მხოლოდ მოსახლეობას შორის აღდგენილ ურთიერთობებზე ამახვილებს, არამედ ქართველ და ოს სამხედროებს შორის არსებულ ნდობასა და ახლო ურთიერთობებზეც. ეს ერთის მხრივ შერიგების პროცესის ცალსახად მაღალ ნიშნულზე მიუთითებს, ხოლო მეორეს მხრივ, გვახსენებს რომ ბორდერიზაციის დაწყებამდე დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებული გამყოფი ზოლი, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადვილად შელწევად, თხელ საზღვარს წარმოადგენდა. 2008 ომის შემდეგ კი, ქართველებსა და ოსებს შორის განახლებული სოციალურ ეკონომიკური და კულტურული პროცესები მიზანმიმართლი რუსული სამხედრო ინტერვენციისა და ბორდერიზაციის შედეგად გამიზნულად განყდა.

3.5.3 გაზრდილი მიგრაცია და დეპოპულაციის საფრთხე

საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლები, ისევე როგორც საქართველოს სხვა სასოფლო დასახლებები, რურალურ-ურბანული მიგრაციის მაღალი ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში, სასოფლო ტიპის დასახლებებში, მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება და 1989-2021 წლის მონაცემებით, სოფლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 44.6% დან 40.5%-მდე

შემცირდა.¹ თუმცა, ბორდერიზაციის შედეგად გაყოფილ სოფლებში, აღნიშნულს ახალი გამოწვევები და კიდევ უფრო მძიმე ყოფითი რეალობაც ემატება და დეპოპულაციის ფორმას იღებს.

სხვა რესპონდენტების მსგავსად, ამის შესახებ გუგუტი-ანთკარის 25 წლის მცხოვრებელს გვესაუბრა:

ნლ: რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამ სოფელში?

სვ: როგორ გითხარტ... ზოგი ქალაქში წავიდა, ზოგი საზღვარგარეთ არის... ახლა, ასე 20-22 კომლი იქნება. იცი, როგორ იყო? ეს შერეული სოფელი იყო, 60-მდე ქართულ-ოსური კომლი ცხოვრობდა, მარა მერე ომი იყო - პირველი, მეორე, რამდენისთვის უნდა გაეძლოთ? ზოგი სახლი დაინვა... პირველ ომში ოსებისა დაინვა, მერე, რვიდანა, ქართველებსა. მერე ზოგმა მიატოვა სახლი, ზოგმა გაყიდა და ქალაქში წავიდა. სულ ცარიელია ახლა, ბავშვებს ვერ ნახავ ამ სოფელში. თუ გინდა გავიაროთ ერთად და ბავშვს ვერ ნახავ. მეტიც, აი მე 25 წლის ვარ და მარტო 2 ბიჭია ჩემხელა აქ.

ნლ: რატომ წავიდა ხალხი, რა იყო მთავარი მიზეზი?

სვ: რა ვიცი, ღარიბი სოფელია, უღარიბესი. საძოვრები დაუკარგეთ და საქონელიც აღარ გვყავს, თან ხო საზღვარზე ვართ, არა? ჩვენი ბალები ზედ საზღვარზეა. რუსები სულ დადიან, არ იცი როდის რა მოხდება. რა იცი, იქნებ 100 გრამი აქვს დალეული? რა იცი, როგორ მოიქცევა. შეიძლება გითხრას „იძი სუდა!“ და მერე დაგიჭიროს, ან პირდაპირ გესროლოს. სულ შიშში ვართ, შიში კიდე დიდი რამეა, ხო იცი?! [...] [...] დღესაც რო ვუძლებთ, ჩვენ ისტორიაში შესატანი ხალხი ვართ, ემნუთში არაფერი ისმის თორე რო დაღამდება სახლები ზანზარებს იმხელა რალაცეებს ისვრიან.

ნლ: პოლიგონი აქვთ?

ბკ: ხო პოლიგონი, ეხლა კიდე დღეა და რო დასცხებენ შეიძლება შუშები ჩამოიყაროს . ქალაქელები აქა ვერა სძლე-

¹ საქსტატი (2022) მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონების და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით. ხელმისაწვდომია:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

ბენ, ლამის სწავლებები და ბრაზა-ბრუხი, ზანზარებს სახლი. ჩვენა კიდე მივეჩვიეთ, სხვა რა გზა გვაქვს? სად და მერამდენედ უნდა გავიქცე, თბილისამდე ჩავედი ფეხით. მარა ქალები და ბავშვებია ცოდო. მარა აღარავინაც არ არის, წავიდა ყველა.

სვ, 25 წლის, მამაკაცი, გუგუტიანთკარი, გორის მუნიციპალიტეტი)

სვ-ს მონათხრობიდან ცხადი ხდება რომ მიგრაციის ზრდა, პირდაპირ უკავშირდება ბორდერიზაციის შედეგად გამოწვეულ სპეციფიურ ეკონომიკურ სირთულეებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე წვდომის შეზღუდვა, რაც სვ-ს სოფლის მსგავსად, ყველა გაყოფილ დასახლებაში დიდ პრობლემას წარმოადგენს, რომლის შედეგადაც ხშირად მთლიანი სამეურნეო დარგების (ამ შემთხვევაში მეცხოველეობის) გაქრობა ხდება.

გარდა ეკონომიკური სირთულეებისა, რესპონდენტები ყოველთვის ხაზს უსვამენ ყოფითი უსაფრთოების გამოწვევებს და სვ-ს მსგავსად, მუდმივ ფსიქოლოგიურ წნეხსა და საფრთხისშემცველ საცხოვრებელ გარემოზე ამახვილებენ ყურადღებას. შედეგად, როგორც ჰასელსვერგერის მსხვილი და თხელი საზღვრის თეორიული ჩაჩოს განხილვისას აღვნიშნეთ, საოკუპაციო ზოლის მიდებარე სოფლებში ბორდერიზაციის შედეგად სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების განწყვეტა, ასტიმულირებს მიგრაციას (განსაკუთრებით ეკონომიკურად აქტიურ, ახალგაზრდა მოსახლეობაში) რაც აღნიშნული სოფლების დეპოპულაციის საფრთხეს ქმნის.

3.5.4 ბორდერიზაცია როგორც „სარგებელი“ ცუდსა და უარესს შორის

საველე მასალების ანალიზის შედეგად, ყველაზე საინტერესო და მოულოდნელი მიგნება, ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ბორდერიზაციის პროცესის „დადებითი“ აღქმაა (იხ. სურათი 1). ერთის მხრივ ყველა რესპონდენტისთვის და ზოგადად, საქართველოში არსებული დისკურსის მიხედვით, ბორდერიზაცია ცალსახად ანექსიის მცდელო-

ბასთან არის დაკავშირებული და, როგორც წინა ქვეთავებში აღვნიშნე, განყვეტილ სოციო-ეკონომიკურ კავშირებს, გაზრდილ საფრთხეებს, უკანონო დაპატიმრებებსა და საცხოვრებელ და სასოფლო სამეურნეო საკუთრებაზე წვდომის შეზღუდვას ნიშნავს. თუმცა, სივრცითი კონტექსტის გათვალისწინებით, იმ სოფლებში სადაც რუსმა სამხედროებმა ლობები აღმართეს, მოსახლეობა გარკვეულ გაუმჯობესებულ საცხოვრებელ პირობებზე საუბრობს და აღნიშნავს რომ უსაფრთხოების განცდა ყოველდღიურობაში გაუმჯობესდა. მაგალითად, წინა რესპონდენტების მსგავსად 52 წლის დთ შექმნილ მდგომარეობას შემდეგნაირად აღწერს:

ნლ: საქონელი გყავთ?

დთ: კი, მაგრამ საძოვრები სულ აღარ დაგვრჩა. არი ეხლა, სადაც შელობილია, იქ ლობეზე მთარეკავ საქონელს და აღარ გეშინია, ლობის იქით აღარ გადავა და აღარ წაიყვანენ. მარა სადაც არ არის შელობილი, უკონტროლო ტერიტორიაა, ჩვენც არ ვიცით, საქონელსაც ვერ აუხსნი, რომ იმის იქით ვიზა გჭირდება და არ წახვიდეო [იცინის]. გადავა და უნდა გადაჰყვე და ორივეს დაგიჭერენ. მერე გეტყვიან, გადაიხადე ჯარიმა და წაიყვანეო.

ნლ: რამდენია ჯარიმა?

დთ: როგორც ამბობენ, ახლა 800 ლარი გახდაო - გაძვირებულ ფასებში ჯერ არავინ დაუჭერიათ [იცინის]. აქამდე 2000 რუბლი იყო (8ლარი), 80 ლარად რომ ექსკურსიაზე წახვიდე, მა, რა გინდა? ცხინვალი დაათვალიერო, გაჭამონ, გასვან, დაგაძინონ - 3-4 დღე მაინც უნდა იყო იქა [იცინის].

ნლ: ესე იგი, შემოლობილი რომ იყოს, უფრო მომგებიანია და ნაკლები საშიშროებაა?

დთ: ბარემც არ გვინდა, რომ შემოილობოს, მაგრამ ფაქტიურად ეგრეა. შელობილი რომ იყოს, ხომ ვერ დამიჭერენ, რას იტყვიან? საზღვარი აქ არისო? ეხლა მინდორში გვაქვს შელობილები და ერთი მეტრი არ არის დატოვილი ლობიდან, პირიქით, რუსები გვეჩხუბებიან დატოვებთ 50 მეტრი ლობემდე, მუქარა და ის არის, მარა მაინც ამუშავებენ ლობემდე. აქეთ სადაც არ არის შელობილი, 500 მეტრი გვაქვს დატოვებული იმიტომ, რომ არ ვიცით სადამდე შეიძლება.

(დთ, 52 წლის მამაკაცი, დვანი ქარელის მუნ.)

როგორც დღეს-ს მონათხრობიდან ჩანს, მიუხედავად ბორდერიზაციის მძიმე შედეგებისა, საოკუპაციო (სა)ზღვრის მიმდებარედ მცხოვრებლები საზღვრის გავლებას ხშირად საკუთარი უსაფრთხოებისათვის ხელსაყრელ ქმედებად აფასებენ. ქარელის რაიონის სოფ. დვანელი რესპონდენტის თქმით, ფიზიკური ბარიერის არსებობის შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ყოველდღიური ყოფა ხდება უსაფრთხო, რადგან მცირდება „საზღვრის დარღვევის“ მიზეზით დაპატიმრების ან საქონლის დაკარგვის რისკი, ასევე იზრდება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე წვდომის შესაძლებლობაც, რადგან ღობის არსებობის შემთხვევაში მცირდება ე.წ. 350-500 მეტრიანი ბუფერული ზონა (იხ. დან. 1, რუკა 7).

როგორც შემდეგი ინტერვიუდან ჩანს, ქარელის მუნიციპალიტეტის მსგავსი მდომარეობაა ხაშურის სოფლებშიც:

ნლ: და იქ სადაც შემოღობილი არ არის, როგორ არაკვეთ? ნიშნებიც არ არის ხომ, რო მიხვდეთ სადამდე შეიძლება მისვლა?

გმ: ზოგან არის ნიშნები.

ნლ: სადაც არ არის, იქ როგორ ხვდებით?

გმ: ეხლა, სიტყვაზე, ამ ბილიკზე ნაკვეთს რო ამუშავებ, ხედავ, რო ყოველ დღე დადის რუსის ჯარისკაცი ძალლით და ბილიკია, და უკვე იცი, რო იქ დადიან, არ გადაუხვევს ერთი ნაბიჯით. ჩვენი პოლიციაც ყოველთვის გვაფრთხილებს. აი, ეს ტერიტორია არ არის გაღობილი, გადმოსულია საზღვარი. მე თვითონ კომბაინი მყავს და რო ვამუშავებ, პოლიცია მოდის, სადაც მე ვდგავარ, იქ, 20 მეტრის იქით დგებიან და გვეუბნებიან, რომ გამაფრთხილეთ, წამოვალ, იმუშავეთ, რამდენიც გინდათ, თუ გინდა ლამემდე დარჩითო. ეს ჩემი მოვალეობაა, წამოვალ, დაგიცავო.

(გმ - 64 წლის მამაკაცი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში)

გმ-სთან ინტერვიუს ამ მონაკვეთშიც, კარგად ჩანს ის რთული მდგომარეობა რაც თან ახლავს საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ ყოველდღიურ ცხოვრებას. ტერიტორიის იმ მონაკვეთზე, სადაც არ არის შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშნები ან ფიზიკური ბარიერი, მოსახლეობას გადადგილება, უარეს შემ-

თხვევაში, საკუთარი სისცოცხლის, ხოლო, უკეთეს შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის რისკის ფასად უზღდება. გარდა ამისა, ცხადად მოუნიშნავი საოკუპაციო ზოლის გასწვრივ, 300-500 მეტრის რადიუსის ე.წ. ბუფერულ ზონასაც გულისხმობს, რაც სულ მცირე ათეულობით ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულზე წვდომას უზღუდავს თითოეულ სასოფლო დასახლებას.

ბორდერიზაციის შედეგად შექმნილი მძიმე ყოველდღიურობის ფონზე, რა თქმა უნდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეღობილი საოკუპაციო ზოლის მონაკვეთი გარკვეული სიცხადის და უსაფრთხოების მომტანია. თუმცა, მათ თქმით ეს „სარგებელი“ ცუდსა და უარესის შორის, რადგან მათთვის ცხადია რომ ფიზიკური ბარიერების აღმართვა კიდევ უფრო მეტად აქცევს ოკუპირებულ რეგიონს იზოლაციაში და „მსხვილი საზღვრის“ წარმოქმნა ამ რეგიონის ანექსიის ნიშანია.

4. რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში

2008 წლის აგვისტოს ომი და შემდგომ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები, რასაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ექსპანსიონისტური გეგმის ნაწილია, რომლითაც იგი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს ყსოაო-ს ინტეგრირებას თავის შემადგენლობაში და გარკვეულწილად, კონტროლის აღდგენას სამხრეთ კავკასიაზე.

რუსი პოლიტოლოგი, სტრატეგიული კონიუნქტურის ცენტრის ექსპერტი მ. ჩერნოვი, წიგნში „ოსეთი, დიდი ოცნების დაბადება“, წერს, რომ ოსეთის პრობლემა რუსეთისთვის მეტწილად არა საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის საკითხია და იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის შემადგენლობაში რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი არ შევა, მაშინ რუსეთის მთელი კონსტრუქცია კავკასიაში დიდწილად დაინგრევა. ნაშრომის მთავარი იდეა - „დიდი ოცნების“ საბოლოო მიზანი, გაერთიანებული ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა, რაც წიგნის შესავლის სათაურშივეა გაჟღერებული „ერთიანი ოსეთი: ყველა ოსური მიწის გაერთიანება დიდი ქვეყნის შემადგენლობაში.“¹ აქვე აღვნიშნავთ, რომ ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხს ღიად უჭერს მხარს.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარში ექსპანსია განმარტებულია, როგორც უცხო ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობის, სხვა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილებისა და გავლენის სფეროების გაფართოებისკენ მიმართული პოლიტიკა, რაც გარკვეულ პერიოდთან მიმართებაში კვალიფიცირდება, როგორც კოლონიალიზმი. ის ძირითადად იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი და სამხედრო კონფლიქტებისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცების გზით ხორციელდება; რუსეთის იმპერიის შემთხვევაში, მისი ეკონომიკური ინტერესები რეალიზდებოდა ახალი ტერიტორიებისა და ხალხების რა-

¹ М.Чернов, Осетия: рождение большой мечты М. 2013, გვ. 5.

ოდენობის ზრდის ხარჯზე. ცნობარში განმარტებულია, რომ თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური ექსპანსიის ძველი კოლონიალური ფორმები შეცვალა კულტურულმა, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურმა ექსპანსიამ;¹ თუმცა, თანამედროვე რუსეთთან მიმართებაში ეს მთლად ასე არაა. პოსტ-საბჭოთა პერიოდში რუსეთის პოლიტიკა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (საქართველო, უკრაინას, მოლდოვა, ყირგიზეთი...) მიმართ, ამის ადასტურებს 2008 წლის ომის შემდგომი რუსეთის პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და მათი მოსახლეობის მიმართ, ნათლად წარმოაჩენს, რომ, მისი იმპერიული ხასიათი არ შეცვლილა. ეს პოლიტიკა მუდამ ერთი - იმპერიულ-დერჟავული იყო მეფის დროსაც, საბჭოთა ხანაშიც და ასეთივეა ახლაც.²

რაც შეეხება რუსულ კოლონიალურ ცნობიერებას, მის შესახებ ვკითხულობთ: „რუსული კოლონიზაციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ქვეყნის საზღვრების გაფართოება მეზობელი ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე, რის შედეგადაც რუსული მოსახლეობის ცნობიერებაში ეს მიწები უკვე რუსულ მიწებად იწოდებოდნენ და წარმოადგენდნენ რუსეთის ერთგვარ „გაგრძელებას“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მათ სწამდათ, რომ რუსეთის სახელმწიფო საზღვარი გადის იქ, სადაც გადის რუსის ჯარის წინა ხაზი...რუსის გაგებით, მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ვრცელდება რუსული მმართველობა, უკვე რუსეთია; მაგრამ საბოლოოდ იგი „რუსეთად“ მაშინ იქცევა, როდესაც იქ აიგება რუსული ეკლესია.“³

როგორც მაიაშვილის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების დეპარტამენტის პროფესორი როჯერ ე. კანეტი წერს, ახალი რუსული სახელმწიფოს შექმნის დღიდან მოსკოვის პო-

¹ სამოქალაქო განათლების ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4166>

² ჯანელიძე, ო. ორი რუსეთი (მითი თუ რეალობა?), რონდელის ფონდი, <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2886.pdf>, გვ.5

³ ბუხრაშვილი, პ. რუსული კოლონიალური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, № 2, მონრეალი-თბილისი 2000, გვ 72-85/73

ლიტიკური ლიდერები მზად არიან რუსეთს ველიკოდეჟავული სტატუსი დაუბრუნონ და აღადგინონ იმპერიული პოლიტიკური წესრიგი, რომელიც ვითომდა 1991 წელს დაინგრა.¹ პუტინმა თავის გამოსვლაში რუსეთის დუმის წინაშე საბჭოთა კავშირის დაშლა საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეაფასა; დასავლელი მეცნიერები კი მიიჩნევენ, რომ „დიდი რუსეთის“ აღდგენის ვალდებულება ძველი იმპერიული ურთიერთობების ნგრევაზე რუსეთის ლიდერთა საპასუხო რეაქციაა.²

რუსეთის ექსპანსია დე ფაქტო სამხეთ ოსეთში მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს; ეს მიმართულებები კი იმდენად გადაჯაჭვული და ურთიერთშეპირობებულია, რომ ერთიან სისტემას ქმნის, სადაც ერთის გააქტიურება დანარჩენებსაც ააქტიურებს. უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, სურათი ასეთია: ოსური მხარე საოკუპაციო საზღვრის დემარკაცია-გაფართოვებას, ანუ ბორდერიზაციას, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მესაზღვრეების დახმარებით ახორციელებს; რუსეთი ამ ე.წ. საზღვარს ამაგრებს სამხედრო სასაზღვრო ბაზებით, ყოველწლიურად ზრდის სამხედრო კონტინგენტს და აძლიერებს მათ სამხედრო შეიარაღებას - ახდენს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას; საოკუპაციო რეჟიმი აპატიმრებს ე.წ. „საზღვრის“ „დამრღვევთ“; რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს უკანონო პატიმართა სიცოცხლის ხელყოფას; ინტენსიურად ტარდება სამხედრო წვრთნები; სამხედრო ძალის დემონსტრირება საოკუპაციო საზღვრის აქეთ მყოფ მოსახლეობას მორალურად ანადგურებს და მუდმივ შიშში ამყოფებს; ბაზებზე მსახურობენ რუსი სამხედროები, რომლებიც აქ ოჯახებით ცხოვრობენ; სამხედროთა რაოდენობა პერმანენტულად იზრდება; მათი შვილებისთვის იხსნება რუსული საბავშვო ბაღები და სკოლები; მომსახურე პერსონალი რუსი ან რუსულენოვანია; საქმის წარმოება ე.წ. სახელმწიფო უნ-

¹ Roger E. Kanet ,The Return of Imperial Russia: Russia and Its Neighbors, ACDIS Occasional Paper, University of Illinois at Urbana-Champaign September 2008, pg.1

² Roger E. Kanet ...pg. 8. Beissinger, Mark R. (2008). “The Persistence of Empire in Eurasia,” NewsNet: News of the American Association for the Advancement of Slavic Studies, vol. 48, no. 1, pp. 1-8.

ყებებში რუსულ ენაზე მიმდინარეობს; თითქმის გაუქმდა ქართული სკოლები, დარჩენილი კი ეტაპობრივად გადადის რუსულ სწავლებაზე; რუსული დიასპორისთვის აშენდა ეკლესია, რომელიც რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ექვემდებარება; რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსეთის ბაზარზე; გააუქმეს სამხრეთ ოსეთის როკის საბაჟო; დანარჩენ საქართველოსთან კავშირის არქონის გამო, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ჩრდილოეთისკენ გადის; ადგილობრივ ოსურ და რუსულენოვან სკოლებში ასწავლიან გაყალბებულ ისტორიას, სადაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ისტორიულ ოსეთად არის წარმოდგენილი, ხოლო ქართველები ოსების მტრებად; რუსეთი ხელს უწყობს და გზას უხსნის ოკუპირებული რეგიონის ახალგაზრდებს რუსეთში უმაღლესი სწავლებისაკენ; ინტენსიურად მიმდინარეობს ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, შესაბამისად, რუსული პენსიით სარგებლობა და ა.შ.

ანუ, მოკლედ რომ ჩამოვაცალიბოთ, სახეზეა სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული, დემოგრაფიული და მორალურ-ფსიქოლოგიური ექსპანსია, რის საფუძველზედაც, საქართველოს ეს ისტორიული ტერიტორია საბოლოოდ რუსეთის შემადგენლობაში უნდა აღმოჩნდეს.

4.1 სამხედრო ექსპანსია

მონოგრაფიის შესავალში ითქვა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში ოკუპირებული ტერიტორიების საერთო ფართობი 3.8 ათას კმ²-ია, ხოლო ამ მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტია, საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი საქართველოს მიერ კონტროლირებადი 135 სოფელი; დღეს, ოკუპირებულ რეგიონის ტერიტორიაზე განთავსებულია რუსეთის ფედერაციის მე-4 სამხედრო ბაზა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის და რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის 19 სასაზღვრო ბაზა,

რომლებიც, ფაქტობრივად, საოკუაციო საზღვრის გასწვრივაა განლაგებული.

2008 წლის 17 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 10 წლიანი ვადით, ხუთწლიანი პერიოდებით ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით¹. 2010 წლის 7 აპრილს კი გაფორმდა ხელშეკრულება ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე გაერთიანებული რუსული სამხედრო ბაზების 49 წლის ვადით განთავსების შესახებ, ყოველ 15 წელიწადში განახლების შესაძლებლობით². 2015 წლის მარტში ვლადიმერ პუტინმა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ, რომლის ვადაც 25 წელი განისაზღვრა, მისი შემდგომი 10 წლიანი პერიოდებით გაგრძელების შესაძლებლობით³.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნულ შეთანხმებებში რიგი დებულებები ოკუპირებულ რეგიონს მთლიანად რუსეთზე დამოკიდებულ სუბიექტად აქცევს⁴, რაც გამოიხატება: რუსეთის მცდელობაში სრულად მართოს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო; სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო უწყებებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ოფიციალური მიმონერის რუსულ ენაზე წარმოებაში; სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების ყოველმხრივ გამარტივებაში; რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ

¹ Rondelis Fondi. კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხელმისაწვდომია: <https://gfsis.org/ge/projects/vi-ew/roadmap-to-kremlins-policy-in-abkhazia-and-the-tskhinvalire-gion>

²Двусторонние договоры https://archive.mid.ru/foreign_policy/international_contracts/2_contract/-/storage-viewer/bilateral/page-89/45159

³ კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი <http://kremlin-roadmap.gfsis.org/ge/timeline>

⁴ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მათი გავლენა ადამიანის უფლებებზე. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, გვ.01

ოსეთის მიერ შეთანხმებული საშინაო პოლიტიკის წარმოებაში; თავდაცვის და უსაფრთხოების საერთო სივრცის ფორმირებაში, ანუ, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების თავდაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რისთვისაც, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები და უსაფრთხოების ორგანოების ცალკეული დანაყოფები რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების ორგანოების შემადგენლობაში შედიან; სამხრეთ ოსეთის საბაჟო ორგანოების რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოებთან ინტეგრირებაში; რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში მომუშავე პირებისთვის საშუალო ხელფასის ოდენობის ზრდაში; რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის საპენსიო შემწეობის გაზრდაში; სამხრეთ ოსეთში განათლების დონის ზრდისთვის რუსეთის ფედერაციასთან ერთად განათლების სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავებაში და ა.შ.

ხელშეკრულებებში ჩადებული ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები ეტაპობრივად განხორციელდა და ხორციელდება დღესაც, რაც მიზნად ისახავს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. სტრუქტურების ეტაპობრივ გაუქმებას და მათ ინტეგრირებას რუსულ უწყებებში. მაგალითად, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის საბაჟო ორგანოების რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოებთან ინტეგრირების მიმართულებით უკვე გადაიდგა ნაბიჯი და 2020 წლის დეკემბერში ოკუპირებულ ცხინვალსა და რუსეთის ფედერაციას შორის „საბაჟო პროცედურების გამარტივების“ მიზნით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის როკის მონაკვეთზე ცხინვალის საბაჟო პუნქტი გაუქმდა და შესაბამისი პროცედურები ერთობლივად ხორციელდება რუსეთის საბაჟო პუნქტ „ქვემო ზარამაგზე“.¹ ანუ, საბაჟო პოსტები გაერთიანდა რუსული დროშის ქვეშ.²

¹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების.... გვ. 6

² კახიშვილი ნ., ცხინვალში რუსეთის საბაჟო ორგანოებთან ინტეგრაციის გეგმაზე იმსჯელებს <https://netgazeti.ge/news/530934/>

ზემოხსენებული ინტეგრაცია, სამხედრო თვალსაზრისითაც ეტაპობრივად ხორციელდება. სამხრეთ ოსეთის მე-4 რუსულ სამხედრო ბაზა, რომელიც ცხინვალის და ჯაეის (სოფ. უგარდანთა) რაიონის ტერიტორიებზეა განლაგებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო ფორმირებაა. საერთოდ, ოკუპირებულ რეგიონში სამხედრო ბაზების (ცეკულისხმობთ ასევე ე.წ. მესაზღვრეთა ბაზებს), მშენებლობა 2008 წლიდან დაიწყო. მე-4 რუსული ბაზა სამხედრო თვალსაზრისით სრულყოფილად არის აღჭურვილი და პერიოდულად მიმდინარეობს ბაზის სამხედრო პოტენციალის შეირაღების ახალი კომპონენტებით განახლება და როტაციები; მაგალითად, 2015 წელს ცხინვალის ბაზა 150 ერთეული ახალი ტექნიკითა და შეიარაღებით განახლდა, მათ შორის ახალი ტანკებით, უპილოტო საფრენი აპარატებითა და უახლესი ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსით ისკანდერ-M-ით, რომელსაც 500 კილომეტრის რადიუსში რეაქტიული კომპლექსების, არტილერიისა და ვერტმფრენების განადგურება შეუძლია.¹

ოკუპირებული რეგიონის სამხედრო და სასაზღვრო ბაზებზე 2019 წლისათვის საავარაუდოდ 4000-დან 4500-მდე სამხედრო იმყოფებოდა; სამხედროთა რაოდენობა ინტენსიურად იზრდება და თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთი, ფაქტობრივად, დიდ სამხედრო ბაზად გადაიქცა². 2008 წლიდანვე აქ უწყვეტად შენდება ათობით ყაზარმა, სასწავლო პოლიგონი, სკოლები, საბავშვო ბალები. ამენდა სპორტული კომპლექსი საცურაო აუზით და დასასვენებელი ცენტრით, ამოქმედდა ახალი საავადმყოფო, სადაც ადგილობრივი სპეციალისტებიც არიან დასაქმებული; მათი ხელფასები ცხინვალის მედპერსონალის ხელფასებთან შედარებით ბევრად მაღალია. როგორც ადგილობრივები ამბობენ, სამხედრო მოსამსახურეთათვის ცხოვრების კარგი პირობებია შექმნილი; მათ მიაჩნიათ, რომ რეგიონში მე-4 რუსულ სამხედრო ბაზის არსებობა გარანტიანა სამხრეთ ოსეთის არსებობისთვის. ოსურ და რუსულ მედიაში პერიოდულად შუქდება ცხინვალის სამხედრო ბაზაზე არსებული ვითა-

¹„რუსეთი, სავარაუდოდ თურქეთის წინააღმდეგ ომისთვის ემზადება“<https://metronome.ge/story/34111>

² სამხედრო ბაზები...გვ 08

რება: „ეს დიდი და ლამაზი მიკრორაიონია, რომელმაც დაამშვენა ცხინვალის და რომლის გარეშეც დღეს ის წარმოუდგენელია“.¹

აღსანიშნავია, რომ თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთში 2011 წელს გაიხსნა კადეტთა სკოლა, როგორც სამხრეთ ოსეთის თავდაცვის უწყების სტრუქტურული ქვედანაყოფი. კადეტთა სკოლა დღეს სოფელ ირი-ყაშუშია განთავსებული, ეს იგივე სოფელი ზემო დვანია, რომელიც ომამდე ზნაურის რაიონს ეკუთვნოდა და ოკუპირებული რეგონის დე ფაქტო ხელისუფლებამ სახელი გადაარქვა. საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკ ოსეთის“ ცნობით, დღეს აქ სწავლობს 116 კურსანტი, როგორც ადგილობრივი, ისე ჩრდილოეთ ოსეთიდან. მათ შორის 22 გოგონა და 94 ვაჟი. სპეციალიზებულ დაწესებულებაში სწავლა არ შემოიფარგლება სამხედრო და ზოგადასაგანმანათლებლო დისციპლინებით. კადეტები მონაწილეობენ შეჯიბრებებში, სხვადასხვა ღონისძიებებში და აწყობენ ექსკურსიებს რუსეთის ქალაქებში. სკოლას ემსახურება ავტობუსები, რომელსაც მოსწავლეები დილას მიჰყავს ცხინვალიდან და სწავლის დასრულების შემდეგ უკან მოჰყავს. სასწავლო გაკვეთილების მერე კურსანტებს უტარდებათ სამხედრო გაკვეთილები და პრაქტიკული მეცადინეობები. იგივე წყარო აღნიშნავს, რომ კადეტთა სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამხედრო-პატრიოტულ განათლებას. რეგულარულად ტარდება მამაცობის გაკვეთილები, რომლის დროსაც იმართება შეხვედრები „რესპუბლიკის თავისუფლებისთვის მებრძოლებთან“. კადეტთა სკოლა აქტიურად მონაწილეობს რუსეთის კადეტთა კორპუსებისა და სკოლების ყრილობებში, ოსი ახალგაზრდებს ხშირად აქვთ კარგი შედეგები სხვადასხვა შეჯიბრებებში. სკოლის კურსდამთავრებულებს აქვთ რუსეთის სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაბარების უპირატესობა. ისინი აგრძელებენ სწავლას რუსეთის ყველაზე პრესტიჟულ სამხედრო უნივერსიტეტებში: მოსკოვში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უნივერსიტეტში, პეტერბურ-

¹ Новости на "России 24". Российская военная база украсила Цхинвал. xelmisawvdomia: <https://www.vesti.ru/video/2058608>

გის სამედიცინო უნივერსიტეტში, საჭაერო სადესანტო ძალების სკოლაში.”¹

თვითალიარებული რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკა ოს ახალგაზრდებში ანტიქართული განწყობის ჩამოყალიბებისაკენ და ქართველების მტრის ხატის ფორმირებისკენ არის მიმართული; ახალ თაობას ქართველთმოდულე თაობად ზრდიან: „ძირითად აქცენტს საგანმანათლებლო პროცესზე ვაკეთებთ, რადგან ჩვენი შვილები უნდა იცნობდნენ დიდი სამამულო ომის გმირებს, ავღანეთის გმირებს, ასევე უნდა იცნობდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ საქართველოს აგრესიის დროს, იცავდნენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას.” მოსწავლეებს კადეტთა სკოლაში ასწავლიან, რომ ქართველები დაუნდობლად ებრძოდნენ ოსებს და არ ზოგავდნენ არც მოხუცებს, არც ბავშვებს და არც ორსულებს.² კადეტთა სკოლის მეათე კლასის მოსწავლე გოგონას თქმით: „საქართველო სხვა ქვეყანაა, სამხრეთ ოსეთი კი დამოუკიდებელი ქვეყანაა და ჩვენ მათ ვებრძოდით; ქართველებს უნდოდათ ქალაქის განმენდა სამშვიდობოებისა და ოსებისგან”.³

2017 წლიდან მე-4 სამხედრო ბაზის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ოსური ბატალიონი, სადაც კონტრაქტის საფუძველზე შეუძლიათ იმსახურონ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთ; აქ რეგიონისთვის კვალიფიციურ სამხედროებს ამზადებენ. ადგილობრივი კადრი რუსულ სამხედრო ბაზაზე გადის სამსახურს და რუსეთის ფედერაციის კანონებს ექვემდებარება. ცხინვალში, ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებთან ერთად სხვადასხვა ტიპის ერთობლივი სამხედრო წვრთნები ტარდება.⁴ პოლიგონი განადგურებულ ქართულ სოფელ ძარნემშია მოწყობილი. 2022 წლის 1 თებერვალს ცხინვალში საზე-

¹ Никаких поблажек: как парни и девушки учатся в Кадетской школе в Южной Осетии, Спутник, Южная Осетия, 04.04.2021 <https://sputnik-ossetia.ru/>

² იქვე

³ Дмитрий Виноградов, Южная Осетия: 5 лет без Грузии, но с грузинами 01/03/2020. <https://ria.ru/20130808/954899179.html>

⁴ კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რონდელის ფონდი, <http://kremlin-roadmap.gfsis.org/ge>

იმოდ ანიშნეს რუსეთის ფედერაციის მე-4 სამხედრო ბაზის დაარსების მე-13 წლისთავი.¹

ნათელია, რომ რუსეთის ფედერაცია ინსტიტუციონალურ დონეზე ცხინვალის ე.წ. სუვერენიტეტს ეტაპობრივად აუქმებს, რასაც ცალსახად აღნიშნავს თავის ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური: „აფხაზეთშიც და ცხინვალშიც ოფიციალური მოსკოვის სტრატეგიულ მიზანს და ფაქტო უწყებების სერვისებსა და ფუნქციებზე (ე.წ. საზღვრის დაცვა, „საბაჟო მომსახურება“, „სამართალდამცავი უწყებების“ ფუნქციონირება, ე.წ. თავდაცვის უწყების მუშაობა) სრული ეფექტური კონტროლის დამყარება წარმოადგენს.“²

ოკუპირებულ რეგიონში სამხედრო ხასიათის ამოცანების შესრულებისთვის და საკუთარი სამხედრო პოტენციალის დემონსტრირებისთვის, სწავლება მიმდინარეობს არა მხოლოდ მე-4 ბაზაზე, არამედ პროცესში ე.წ. სასაზღვრო ბაზებშიც აქტიურად არიან ჩართული. სროლების და აფეთქებების ხმები, ბუნებრივია, საოკუპაციო საზღვრის მიმდებარე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასაც ესმის, რაც მუდმივ შიშში ამყოფებს მათ.

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა სასაზღვრო ბაზებთან ახლოს არსებული სოფლების მცხოვრებთა მონაცემები:

„წვრთნები რომ აქვთ, სახლებს სულ ზანზარი გააქვთ, იფიქრებთ, ინგრევა სახლებიო. ასეთი წვრთნები 2 კვირაში ერთხელ აქვთ. ძალიან ახლოს არის ცხინვალი, იქამდე 7 კილომეტრია სულ.“

(საველე მასალა, გორის მუნ. ზარდიაანთკარი, 2021)

¹ В Южной Осетии отметили 13-ю годовщину создания российской военной базы <https://sputnik-ossetia.ru/20220201/>

² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში <https://ssg.gov.ge/> გვ 5

„არ ვიცი, რატომ და ასე ხშირად რისთვის ისვრიან! ხან ისეთ „ოჩერედს“ გაუშვებენ, რო გული გვისკდება! ალბათ ჩვენი შეშინება უნდათ, მე ესე ვფიქრობ.“
(საველე მასალა, გორის მუნ., სოფ. ქორდი, 2021)

„ახლო-მახლო სოფლებში ყოველდღე ისმის სროლის ხმა, ხან საკმაოდ ხანგრძლივადაც. ლამის მივეჩვიეთ უკვე!“
(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. არბო, 2021)

განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება სოფ. ქორდელი რესპონდენტის მიერ დაფიქსირებული რუსული სასაზღვრო ბაზის მესაზღვრეების საქმიანობა. ეს ბაზა ადვილად მოჩანს გარშემო სოფლებიდან, აქედანვე კარგად ჩანს ახალგორიდან ცხინვალისკენ მთაზე გაჭრილი ახალი გზაც. სწორედ აქ დაინახა მთხრობელმა, თუ როგორ გამოთხარეს კლდე და შეიყვანეს შიგ „რალაც რაკეტასავით ტექნიკა“ (საველე მასალა, სოფ. ქორდი, 2021).

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ არბოს მკვიდრის თქმით, იმ დროიდან როდესაც 2022 წლის თებერვალში რუსეთმა უკრაინასთან ომი დაიწყო, „გაუთავებელი სროლის ხმა ისმის, თანაც ისვრიან მძიმე ტექნიკიდან“. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მე-4 ბაზის ჯარების დიდი ნაწილი უკრაინაში საბრძოლველად გაიყვანეს, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებმა ცხინვალის დატოვება დაიწყეს.

საფრთხის შემცველია რეგიონის მილიტარიზაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის. ქართველი ხელოვნებათმცოდნეების აზრით: „...არ ვიცი როდის, რა დაემუქრება იქ დარჩენილ ისტორიულ ნაგებობებსა და ძეგლებს. მით უმეტეს, თუ მათ ამჟამინდელ მდგომარეობასაც და იქ მიმდინარე პროცესებსაც გავითვალისწინებთ. იქ, სადაც საარტილერიო დანადგარებია და წვრთნებს ატარებენ, ტაძრების განადგურების საფრთხეზე საუბარი ბუნებრივია.“¹

¹ ნ. ჩიბჩიური, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლები ნადგურდება 18.08.2020 <https://factcheck.ge/ka/story/38572>

გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის განწყობა რუსი მესაზღვრეების მიმართ ცალსახად ერთნაირი არ არის. მათი ნაწილის აზრით რუსები ძალიან წესიერად იქცევიან, არ აღიზიანებენ და არ ეუხეშებიან მოსახლეობას, თავაზიანები არიან. მაგალითად, ზარდიანთკარელი მთხრობლის მონაყოლით:

„ღობე არის გავლებული. ალაგ-ალაგ არის დატოვებული ადგილები მავთულხლართებია, შემთხვევით ვერ გადახვალ. რამდენი წელია უკვე გავლებულია 2-3 წლის წინ ალბათ, სანამ შეღობავდნენ საქონელი გადადიოდა, თუ არ მიახწრებდი შეიძლება დაგკარგვოდათ. აქედან ვილაც გაეტაცოთ ეგეთი რამე არ ყოფილა, გადადიან და მიჰყავთ, ფაქტი სახეზეა, არ გადახვიდე და არ მოგიტაცებენ. 24 საათი ღობისძირას ვაძოვებ ძროხას არავის გაუუტაციავარ. კატა გაძვრა ჩემი და რუსმა მომანოდა, აი, შენი კატაო. საქონელი გადავიდა ერთხელ, კოშკელისა იყო, და დააბრუნეს. ბიჭებმა თქვეს ვქეიფობდითო და რუსმა ხლართების ქვემოდან პივა მოგვანოდა, დააყოლეთო. რუსები არ არიან აგრესიულები, ვესალმებით ხოლმე. თუ მიაწვდი ღვინოს, გამოგართმევენ. ქალი იდგა, მესაზღვრე, და ჩვენმა ქალებმა ბალი მიაწოდეს, გაუხარდათ ძალიან. ქალებიც არიან სამხედროები. იმ რუსებშიც ზოგი ცუდია, ზოგი კარგია. ოჯახში არ არის ყველა ერთნაირი და...”

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ზარდიანთკარი, 2021)

სამაგიეროდ, სრულიად საპირისპირო განწყობა იკვეთება ხურვალეში არსებული ჰუმანიტარული დანესებულების დირექტორის მონათხრობში:

„ურთულესი სიტუაციაა, ნაღმზე ვზივართ! ტელეფონის სიგნალებს რუსები ახშობენ, ისედაც სუსტი ინტერნეტია. იცით როგორ მდგომარეობაში ვართ? რომელი მხრიდან ვინ გილალატებთ და ჩაგარტყამთ დანას ზურგში, არ იცი! გუშინწინ გამოდგნენ, დიდი მანქანით იქ, მთაზე, თავიანთი ე.წ. მესაზღვრეები, დაინყეს მუშაობა. ჭოგრიტი მაქვს და იმით ვუყურებდი, ცელები ჰქონდათ მოთიბეს იქაურობა, მერე ბლინდაყები აქვთ გაკეთებული, აქვთ მობილური სა-

გუშაგო მანქანა, საგუშაგო რომელიც დადის და დგება რომელიღაცა მონაკვეთზე; მონიშნული აქვთ სადაც ეს მანქანა უნდა შევიდეს და გაკეთებული აქვთ სადგომი, ნახევრად ამოშენებულია ქვებით, შეღობილი აქვთ. რომ გადმოდგნენ, დათო ქაცარავას შევატყობინე და გაგუშვით დრონი; ყველაფერი გადავიღეთ რასაც აკეთებდნენ. ეს აჩვენა ტელევიზიამ. ეს ყველაფერი გადავიღეთ და, როგორც კი მიხვდნენ, დრონი მათ თავზე ტრიალებდა, ჯერ ხომ გამოიხედეს, მერე ზურგი შეგვაქციეს და სახეები დამალეს, რატომ თუ იცით?! სახეებს იმიტომ მალავენ, რომ ესენი გადმოდიან ტურისტებად შაბათ-კვირას თბილისში, დაგულაობენ. ვინმე შეუშლით ხელს, ყაზბეგიდან რომ გადმოვიდნენ? დასასვენებლადაც მიდიან, ზღვაზეც და, სადაც გინდა. ჩვენ ვართ დალუპული, უთავმოყვარეო ერი! რუსი გადმოდგა იმ დღეს, რომ დავინყე გადაღება, ჩაიხადეს და უკანალი მომიშვირეს, ეს გადაიღეო. აქ ლობის გასამართავად კი არ იყვნენ, იქ რალაც ჩამხშობებს აკეთებენ, რალაც ინჟინერია მიდის. რუსეთის მესაზღვრეები რა დონის არიან, გაგიჟდები, ქაჯები! არანაირი განათლება! კონტაქტი მქონდა მათთან, პირველად, როცა ჩემი მზარეული ქალი გაიტაცეს თავისი ეზოდან საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით. არაფერი არ გადაუკვეთია, მავთულხლართების მიღმა ჰყავს ბიძაშვილი და ზოგჯერ აწოდებდა ყველს, ისინიც რალაცას აწვდიდნენ, რა გასაკვირია, გუშინ და გუშინწინ ისინი ერთად ცხოვრობდნენ! რუსებმა დაინახეს და წაიყვანეს. ლობიდან გადააწოდა ყველი იმ ნათესავს და რომ მოდიოდა, დაინახა, რომ ვილაც გდია ბალახებში; იფიქრა, გალოთებულია სულ ხალხიო! ძალიან ახლოს მივიდა, რომ ენახა, ვინ იყო? ცუდად ხომ არავინ გახდა მეზობელიო? უცებ წამოუხტა მესაზღვრე იქიდან, ჩასაფრებული; თვითონ ყვებოდა, 15 წუთი მელაპარაკა, სანამ რუსებს არ დაუეკავშირდა და არ მოიყვანა მესაზღვრეებიო. სტაცეს ხელი, გადაახტუნეს საზღვარზე და წაიყვანეს. ისეც მოხდა, რომ ერთმა აქ მცხოვრებმა იქ იყიდა სახლი და მერე, მავთულხლართი რომ გააბეს, მისი სახლი იქით მოხვდა; ეს კაცი გარდაიცვალა და აქეთ უნდა დაემარხათ, მაგრამ არ გამოატარეს რუსებმა. ლობეზე გადმოაწოდეს მკვდარი. ყველანაირად შეურაცხყოფილები ვართ.”

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ხურვალეთი, 2021)

ამ ამბავს მერე მედიაში დიდი რეზონანსი მოჰყვა.

როგორც ვიცით, ბორდერიზაციის შედეგად ლობეებით 34 სოფელი გაიყო; სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და ტყეებზე სხვადასხვა კრიტერიუმით, სულ 800-1000-მა ოჯახმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა წვდომა,¹ საოკუპაციო საზღვრის მიღმა აღმოჩნდა 20 მოსახლის საცხოვრებელი სახლი.² დღეისათვის შიდა ქართლით რეგიონში დასახლებულ პუნქტებთან თითქმის ყველგან არის აღმართული ლობეები. ტყის მასივები და მიუვალი ადგილები ალაგ-ალაგ მონიშნული არ არის.

ქვემოთ წარმოვადგენთ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მიმდინარე ბორდერიზაციის ქრონოლოგიას:

2011 წ. - დიდი და პატარა ხურვალეთი, ქვემო ნიქოზი (გორის რაიონი)

2012 წ. - მეჯვრისხევი, ზარდიანთკარი (გორის რაიონი)

2013 წ. - მერეთი, დიცი, ქსუისი, გუგუტიანთკარი, ციცაგინთკარი, აძვი, ქვეში,

ბერშუეთი, ჯარიაშენი, ქვემო ხვითი, ზემო ნიქოზი (გორის რაიონი);

დვანი, თამარაშენი, ატოცი, კნოლევი, ავლევი, ცერონისი, კოდა,

ლოლეთი, საკორინთლო, თვაურები (ქარელის რაიონი); დირბი (კასპის

რაიონი)

2014 წ. - ქერე, (გორის რაიონი), ატოცი (ქარელის რაიონი)

2015 წ. - ნითელუბანი (გორის რაიონი)

2016 წ. - ავლევი (ქარელის რაიონი, გაგრძელდა ბორდერიზაციის პროცესი)

2017 წ. - ყარაფილა (კასპის რაიონი), ბერშუეთი, კნოლევი, ცერონისი

ავლევი (ქარელის რაიონი, კვლავ გადმოინია საზღვარმა)

2018 წ. - ატოცი (ქარელის რაიონი, გაგრძელდა ბორდერიზაციის პროცესი)

¹ Amnesty International, За колючей проволокой, https://www.kavkaz-uzel.eu/articles/behind_barbed_wire_ru/

² საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო მოძრაობა მშვიდობისა და ადამიანთა უფლებების დაცვისთვის

2019-2020 წ. - ჩორჩანა (ხაშურის რაიონი), ტახტისძირი, დირბი (ქარელის რაიონი)

2021 წ. - ტახტისძირი, დირბი (ქარელის რაიონი, გაგრძელდა ბორდერიზაციის პროცესი)

2022 წ. - კირბალი (გორის რაიონი), ირი-კვაისას გზა (ონის რაიონი), მეჯვრისხევი, ჯარიაშენი (გორის რაიონი)

ლობებისა და მავთულხლართების უკანონოდ აღმართვა დღემდე მიმდინარეობს; ზემოთ წარმოდგენილ ჩამონათვალში ბოლო პუნქტი ასახავს ახლახანს, 2022 წლის იანვრიდან მიმდინარე პროცესებს: 2022 წლის 7 იანვარს ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“-ს ლიდერმა დავით ქაცარავამ პატრულირებისას, რაჭაში, კვაისა-ირის გზაზე საოკუპაციო ძალების ახალი აქტივობის კვალი აღმოაჩინა. მისი განცხადებით, მესაზღვრეებმა მავთულხლართები განაახლეს. 19 იანვრის დილას სოფ. კირბალში (გორის მუნიციპალიტეტი) „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერის სიახლოვეს, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, საოკუპაციო ძალებმა სადემარკაციო სამუშაოები დაიწყეს. მათ „საზღვარი“ გადმოკვეთეს და თეთრი ლენტებით მონიშნეს საოკუპაციო ზოლის მიმდებარე პერიმეტრი. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ მონიშვნა ახალი საოკუპაციო ზოლის გავლების წინაპირობაა, რაც ნიშნავს, რომ სოფელ კირბალის მთელ პერიმეტრზე საოკუპაციო ზოლი ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაახლოებით 100 მეტრით შემოიჭრება¹. რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევთან საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე სოფელი ჯარიაშენის გასწვრივ, უკანონო ბორდერიზაცია და სხვა ტიპის უკანონო აქტივობები განახორციელეს².

¹ მინდიაშვილი ე., ცხინვალის რეგიონში საოკუპაციო ხაზთან არსებული ვითარების მონიტორინგი 2022 / 02 / 06, კრემლის პოლიტიკის... <http://kremlin-roadmap.gfsis.org/ge/monthly-review/display/1465>

² სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, <https://ssg.gov.ge/news/745/saxelmtsifo-usaftrxoebis-saxuris-gancxadeba>

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის პო-
ზიციით, ბორდერიზაციის უკანონო პროცესის წარმოება საო-
კუპაციო ძალების მიერ დე ფაქტო უწყებებთან კარგად არის
კოორდინირებული და მიზნად ისახავს საქართველოს ხელი-
სუფლების ე.წ. საზღვრების „დელიმიტაციის“ და „დემარკაცი-
ის“ პროცესში „ჩათრევას.“¹

4.2 კულტურული ექსპანსია

4.2.1 გამყოფი საზღვარი, განწყვეტილი ეთნო-კულტურული ურთიერთობები და სამოქალაქო იდენტობის შეცვლის საკითხი

მონოგრაფიის წინა თავებში უკვე ითქვა ქართველთა და
ოსთა ურთიერთობაზე ისტორიულ ძრილში. ისიც გამოიკვეთა,
რომ ეს ურთიერთობა მტრულიც იყო და მეგობრულიც, ერ-
თმანეთში შუღლიც ჰქონდათ და ერთმანეთის მხარდამხარაც
იღწვოდნენ. ამ ხალხებს შორის მიმდინარე მრავალმხრივი კო-
მუნიკაცია მათი ურთიერთობის და დამოკიდებულების ხასიათს
განაპირობებდა. მათი დაპირისპირებისა თუ მხარში დგომის
ისტორიული გამოცდილება კი ქართველთა და ოსთა ამბივა-
ლენტურ სტერეოტიპებში ჰპოვებდა გამოძახილს. თუ, ერთი
მხრივ, დადებითი სტერეოტიპები ქმნიდა ნიადაგს ქართველთა
და ოსთა შორის პოზიტიური ურთიერთობისათვის, მეორე
მხრივ, უარყოფითი სტერეოტიპები ქართველთა და ოსთა და-
პირისპირებას საფუძველს უმაგრებდა. სწორედ ამ უარყოფით
სტერეოტიპთა გამიზნული აქცენტირებით, ქართულ-ოსური
ურთიერთობა გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა მანიპულაციების
იარაღი ხდებოდა. რუსეთი, მოქნილი პროპაგანდისტული პო-
ლიტიკის და პრაქტიკული ქმედებების გზით ქართველებსა და
ოსებს შორის ბზარს აფართოვებდა. 1990-იან წლებში განვითა-
რებული ქართულ-ოსური შეიარაღებული დაპირისპირების და

¹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში
01.01.2017-31.12.2017,gv.6, <https://ssg.gov.ge>

მისი სავალალო შედეგების (ეთნონმენდა, დევნილობა, მიგრაციები) მიუხედავად, ტრადიციული ურთიერთობის ფესვები საკმაოდ გამძლე აღმოჩნდა იმისათვის, რათა შენარჩუნებულიყო ქართველებსა და ოსებს შორის პირადი ურთიერთობები და ეარსება შერიგების ტენდენციას. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ რეგიონში ქართული სოფლების მოსახლეობა ჯერ კიდევ ადგილზე იყო და მას ქართულ-ოსური ურთიერთობის მოგვარებაში, მედიუმის როლი ეკისრებოდა.¹ 2008 წლის აგვისტოს ომმა კი ქართველთა და ოსთა ურთიერთგანწყობას მიმართულება რადიკალურად შეუცვალა და მისი დადებითი პერსპექტივა შორი მომავლისკენ გადასწია. პრაქტიკულად მოისპო პირადი კონტაქტები, დაზარალებულ მოსახლეობაში იმატა უიმედობამ და ფრუსტრაციამ. ჩვენ მიერ გამოკითხული 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კარგად აცნობიერებს რუსეთის უარყოფით როლს მათი ურთიერთობის დინამიკაში და იმასაც ამბობს, რომ „რუსი რომ არ იყოს, ჩვენ ერთმანეთში ისევ კარგად ვიქნებოდითო” (საველე მასალა, ხაშურის რაიონი, 2019); „ხალხს რომ მისცეთ საშუალება, თვითონ აღადგენს ურთიერთობას. ჩვენ არ გვქონია ერთმანეთთან პრობლემა, მაგრამ რუსია შუაში და რას იზამ”. („საველე მასალა, ონის რაიონი, 2020) მაგრამ რუსეთის არყოფნა, იმის ფონზე, როდესაც თვითონ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა რუსეთთან შეერთების მოსურნეა, რთული მისაღწევია.

რავგარი იყო ქართველებისა და ოსების ეს „კარგად ყოფნა” და როგორია დაზარალებული მოსახლეობის დამოკიდებულება ქართველთა და ოსთა შეწყვეტილ ურთიერთობებთან დაკავშირებით?

როგორც ვიცით, კულტურათაშორისი კავშირების რეალიზაციასა და ამის საფუძველზე ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შერეული ქორწინებები. შერეული ქორწინებების შემთხვევაში ადგილი აქვს კულ-

¹ ჯალაბაძე, ნ. ქართულ-ოსური ურთიერთობის ეთნოფსიქოლოგიური ასპექტები

ტურის ელემენტთა დიფუზიას, რაც კულტურული კომუნიკაციისათვის აუცილებელი პირობაა.¹

ქართულ-ოსურ ისტორიული მნიშვნელობის დინასტიურ ქორწინებებზე რომ არაფერი ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოში ეთნიკურად შერეული ოჯახების დიდი წილი ქართულ-ოსურ საქორწინო წყვილებზე მოდიოდა. შერეული ქართულ-ოსური ოჯახების სინშირეს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, პირველ რიგში ამ ხალხთა ფიზიკური სიახლოვე განსაზღვრავდა; საკვლევ რეგიონში, მხოლოდ პირობითად შეიძლება გვესაუბრა სუფთად ოსურ და ქართულ სოფლებზე, რადგან, როგორც საერთოდ ცნობილია, და ჩვენი მთხრობლებიც გადმოგვცემენ, არ იყო ოჯახი, სადაც ოსი სიძე ან რძალი არ ჰყავდათ. ეს განაპირობებდა მათ ენობრივ, კულტურულ-ტრადიციულ ერთიანობას და ორივე ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას. ეს კარგად ჩანს ჩვენს ინტერვიუებში ადგილობრივ მთხრობლებთან:

„ჩვენ და ოსები ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან. შერეული ოჯახები იყო, თხოვდებოდნენ და ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე. ჩვენს სოფელში ნაკლებად იყო, მაგრამ წეღისში უფრო ხშირი იყო. ეხლა ველარ ვხვდებით ერთმანეთს. ადრე გვექონდა ხშირი შეხვედრები.“ (საველე მასალა, ონის რაიონი, სოფ. ირი, 2021)

„ოსი ბევრი არ ცხოვრობდა პერევეში, მაგრამ აქაური გოგოები ხშირად თხოვდებოდნენ ოსებზე, იქ არიან შერეული ოჯახები, აქაც არიან ოსის ქალები რძლებად. ნათელმირონობაც გვაერთიანებდა, ოსი ახალგაზრდა კარგ სასიძოდ ითვლებოდა. ოსური მოსახლეობა საჩხერესთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ცხინვალთან და ჯავასთან; საავადმყოფო სჭირდებოდათ თუ ბაზარი, აქ მოდიოდნენ; გზა კარგია, და საჩხერესთან კონტაქტობდნენ.“ (საველე მასალა, საჩხერის რაიონი, პერევი, 2020)

¹ ჯალაბაძე, სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიტიკურ საზოგადოებაში, თბ. 2011, გვ.211

„სოფელი წნელისი ახლა იმათ მხარეზეა, იქ რომ ჩახვიდე, ქართული სოფელი გეგონება, ისე კარგად ლაპარაკობენ ქართულად, სულ ქართველი რძლები არიან.“
(საველე მასალა, ხაშურის მუნ. სოფ. ყობი, 2019)

ჯ. გვასალია აღნიშნავდა, რომ შერეულ ქართულ-ოსურ ოჯახების გარდა, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, შეძლებული თბილისური ოჯახები ძიძებად ოს ქალებსაც ქირაობდნენ. ასე რომ, გარდა სისხლით ნათესაობისა, ქართველებს ოსი ძუძუმტეებიც ჰყავდათ.¹ ანუ, მათ შორის ხელოვნული დანათესავების ამგვარი პრაქტიკა, რომელიც უნივერსალურია კავკასიელი ხალხების კულტურებისთვის, ჯერ კიდევ აქტიუალური იყო. ხელოვნური დანათესავების კიდევ ერთ ტრადიციას - ნათელ-მირონობას, ბოლო დრომდე საკმაოდ ინტენსიური სახე ჰქონდა; ანუ, იმ დრომდე, სანამ ეს ხალხი მესამე ძალის აქტიური ჩარევით ერთმანეთს არ გაემიჯნებოდა. ჩვენი რესპონდენტი იხსენებს:

„ქართველებსა და ოსებს ნათელ-მირონობა ჰქონდათ. ბიძაჩემს ჰყავდა ნათლული; ნათელ-მირონობაში ქორწინება არ იყო. ვერ გეტყვით მათ რელიგიას, მაგრამ შვილებს რომ ნათლავდნენ, ვიცი, ქართველებს ანათლიდნებდნენ ხოლმე. ნათლიებმა, ნათლულებმა ერთმანეთის დახმარება იცოდნენ.“

(საველე მასალა, ონის რაიონი, სოფ. ირი, 2021)

უნდა ითქვას, რომ შერეული ოჯახების არსებობა ქართულ-ოსურ კონფლიქტთან მიმართებაში ცალსახად მომგებიანი არ ყოფილა. იყო შემთხვევები (და უფრო ხშირად), როდესაც შერეული სისხლის ფაქტორს კონფლიქტურ ვითარებაში დაზარალებული მხარის სასარგებლოდ უმუშავია და პირიქით,

¹ Гвасалиа, Дж.Шида Картли иОсетинская Проблема, Осетинский Вопрос., бзд, "Кера XXI" Тбилиси1994, გვ.36

ქართველების რძლობის გამო, ოსი დედები მოლაღატეებად გამოუცხადებიათ.

ჩვენი რესპონდენტის ინფორმაციით, სოფელ კოდაში რამდენიმე გვარია ჩასიძებული, ძირითადად კი შუბითიძეები და ხარაზიშვილები ცხოვრობენ. სიძეებიდან, ზოგი ოსია და ზოგიც ქართველი:

„ჩვენზე მეტი ოსები არიან, რამდენიც გინდათ, რძლები არიან ოსები. ჩვენებიც არიან იქით გათხოვილები, და ისინიც აქეთ. მაგათმა გვიშველეს, შეგვინახეს პირველი ომის დროს. ოსების სოფლებიდან ხომ მოდიოდნენ –არიქა, კაზაკები არიანო, ჩეჩნებიო! ოსის კაცებმა არ შემოუშვეს, ჩვენი გოგოები დაიცვეს! ძალიან შეგვინახეს, იმიტომ, რომ მეტი წილი ოსები არიან რძლები. ყველა ქართულად ლაპარაკობს და ქართული ტრადიციებით არიან. ყველას ქართული სკოლა აქვს დამთავრებული. სოფელ ბალთის სკოლა აქვთ დამთავრებული. ოსებთან, როგორც გვექონდა, დღესაც ისეთივე კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ველარ მივდივართ. რუსები ოსებსაც უშლიან საზღვართან მოსვლას. ამასწინათ საქონელი დაჰკარგვოდათ და შორიდან გვიყვიროდნენ მანდ იქნებიან და ოღონდაც გადმოგვირეკეთო. სიმართლე უნდა ითქვას! რუსები არიან, ყველაფერი მათი ბრალია!“

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. კოდა, 2019)

საპირისპირო განწყობა იკვეთება ცხინვალისგან დევნილის მონათხრობში:

„ჩვენ თამარაშენლები ვართ. მე დედა ოსი მყავს, მაგრამ ცხინვალის ომის დროს, ისიც ისევე დაატყვევეს ოსებმა, როგორ სხვა ქართველები. თამარაშენიდან ყველა აიყვანეს 9 აგვისტოს. თვითმხილველები ამბობენ, რომ, როდესაც როკიდან რუსის ჯარი შემოვიდა, ჩვენმა არმიამ უკან დაიხია და რუსები ტანკებით წამოვიდნენ ქართულ სოფლებზე... რუსის ჯარმა რომ ჩაიარა, მეორე დღეს წამოვიდნენ ოსი ბოევიკები და ბანდფორმირებები, რომლებმაც სოფლებში დარჩენილი მოსახლეობა სახლებიდან გამოიყვანეს, მანქანებზე შეყარეს და ცხინვალში ჩაიყვანეს. დედაჩემს უცვნია ერთ-ერთი შეიარაღებული ოსი, ოსურად მიუმართავს, ქმა-

რი ავად მყავს და იქნებ გამიშვაო; მაგრამ იმას დედაჩემის-
თვის ფეხებთან ავტომობის ჯერი გადაუტარებია, უშვერი
სიტყვებით ულანძღვია, შენ მოლაღატე ხარ, ქართველების
რძალი რომ ხარო. ეს ხალხი დაატყვევეს, ციხის შენობაში
ჰყავდათ შეყრილები, იმ დროს, როცა გერგიევი კონცერტს
ატარებდა; მის უკან კადრებში რომ ჩანს, სწორედ იმ შენო-
ბაში იყვნენ ქართველები. მათ უკიდურესად დამამცირებ-
ლად ექცეოდნენ. სიბინძურეში ამყოფებდნენ, ერთმა მოყვა,
„გრეჩიხას“ პირდაპირ მინაზე გვიყრიდნენ, აქედან ჭამეთო”
(ავტორის საველე მასალა, დევნილი
თამარაშენიდან, თბილისი 2011)

მიუხედავად ინტერეთნიკური დამოკიდებულებების ცვა-
ლებადობისა, რაც რეალურად კონფლიქტის შემდგომ პერიოდს
ახასიათებს, ერთგვაროვნად დადებითია განწყობა კონფლიქ-
ტამდელი პერიოდის ნარატივებში. რაჭაში გამოკითხული რეს-
პონდენტები იხსენებენ მათსა და ოსების შორის კარგ დამოკი-
დებულებას და სამეგობრო ურთიერთობებს:

„ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთდახმარება
ყოველთვის იყო. მათ ერთმანეთში კერძები ჰყავდათ, თუ გა-
იგებდა რომ გარდაიცვალა თავისი კერძი, გადმოდიოდა
პურმარილით. ნანადირევიც შეიძლებოდა გადმოეტანათ.
ბავშვებსაც აძიძავებდნენ. ბაბუაჩემი იქ გაიზარდა, წავიდა
11 წლის და გადმოვიდა 22 წლის, იქ გაზარდეს, ძიძა ყავდა
იქით. იქიდან არავინ გადმოსულა ბავშვი. აქ ჭირდა ცხოვრე-
ბა, სამუშაო იყო იქით, ხელობა იცოდნენ, გადადიოდნენ
იქით სამუშაოდ. ოჯახში დადგებოდა ერთი წელი, ორი წელი
და გაიზრდებოდა იქა. 12 წლის ბავშვს უშვებდნენ იქით რომ
ცხვარს გადევნებოდნენ, ცხვარი, საქონელი ყავთ იქა.
მწყემსად მიჰყავდათ. ოსი ქალი გაზრდიდა შვილივით; ბაბუ-
აჩემი ამბობდა, დედას და მამას ვეძახოდიო. ბაბუაჩემი და
მისი მამა სულ გადადიოდნენ იქით.”
(საველე მასალა, ონის მუნ. სოფ. ჭიორა, 2021)

ქათული ენის განმარტებით ლექსიკონში „კერძობა“,
„კერძი“, განმარტებულია, როგორც „ცოლ-შვილი“, „სახლკა-
რი“. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ

„კერძობა“ იგივე „ყონალობაა“; „ყონალობის“ შინაარსი ქართულ სინამდვილეში უფრო ფართოა და ნიშნავს სხვადასხვა გვარ-ტომისა და სარწმუნოების წარმომადგენელთა შორის მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც მათ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და ადათით განმტკიცებული სახალხო ეტიკეტით ერთი მეორის წინაშე სრულიად გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს¹. ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში ეს მოვლენა რამდენიმე განსხვავებული ტერმინით აღინიშნება: რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში მას „კერძი“ „კერძობა“ ეწოდება. იგი თავის ეტიმოლოგიურ დასაბამს ძველი ქართულის „კერძ“, „კენ“ თანდებულიდან უნდა იღებდეს, რომელიც ძველი ქართულის მოგვიანო ძეგლებში ტრანსფორმირებულია სახელად - „კერძი“, „კერძნი“, რაც თანმხლებს, მომხრეს, მხარდამჭერს აღნიშნავს. რაჭველისა და ლეჩხუმელისათვის სწორედ მათი მომხრე, მხარდამჭერი, მფარველია ყონალი/კერძი, უცხოტომელთა მიწაზე მოგზაურობისა და ცხოვრების დროს; „ყონალობა“, შესაბამისად, „კერძობა“ ხალხთა ურთიერთობის ის პროგრესული ფორმაა, რომელიც ჯანსაღი კავშირის ძაფებს აბამდა და აბამს სარწმუნოებრივი თუ ტომობრივი შუღლით გათიშული ხალხების წარმომადგენლებს შორის.² ასე, რომ რაჭველებსა და ოსებს შორის მეგობრობის ეს ფორმაც საკმაოდ იყო გავრცელებული; გასათვალისწინებელია, რომ მარტო *კერძი* კი არ იყო *კერძისთვის*, არამედ მათ უკან ნათესავების დიდი წრე იდგა, რაც კიდევ უფრო აფართოებდა „კერძობის“ ნიშნით შეკავშირებულ სოციუმს:

„ოსებში ბაბუას ჰყავდა მეგობრები და ამბობდა ხოლმე, ჩვენი კერძნიაო. მეგობრებს ეძახდნენ ეგრე. როგორც ნათესავი და ახლობელი, ისე იყო; ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ნათესაობდნენ; ბავშვი ვიყავი, მახსოვს, ოსები რომ ჩამოდოოდნენ, ბაზარში დადიოდნენ აქ რაიონში, აქედან არ მიდიოდნენ ღამით, დარჩებოდნენ ჩვენთან, გაათენებდნენ და მეორე დღეს მიდიოდნენ ხოლმე. კერძებს შორის დაქორწინება

¹ აზიკური, ნ. ყონალობა საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. II, თბ. 1998, გვ. 12

² იქვე, გვ. 14-15

არ იყო. ძალიან ახლობლობდნენ. დღეობებზე მოდიოდნენ ხოლმე“.

(საველე მასალა, ონის მუნ, სოფ. ირი, 2021)

2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც ქართული მოსახლეობა გამოდევნილ იქნა ცხინვალის რეგიონიდან და, ასევე, თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებიც დაიცალა ქართველებისგან, ქართულ-ოსური ნათესაური კავშირების დამყარების პერსპექტივამ, ბუნებრივია, იკლო. ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის (რომლის ერთ-ერთი პირობა ინტერპიროვნული ურთიერთობის ქონაა) აღარ არსებობს ის ასპარეზი, რაც თავის დროზე მჭიდროდ კრავდა ქართულ და ოსურ სოციუმს:

„ადრე ოსებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვექონდა, ჭირი თუ ლხინი იყო, ერთად იყვნენ. გვერდში დგომა იცოდნენ. დღეობა იყო გიორგობა, ამალლება იცოდნენ, საკლავს კლავდნენ. იმათმა რომ იცოდნენ აღნიშვნა ჩვენ სად ვიცოდით. გვეპატიუებოდნენ, სუფრას შლიდნენ, ხორცის დიდი ნაჭრების დადება იცოდნენ. ახლა, ჩაკეტვამდე რომ გადავდიოდით, ვისაც ვიცნობდით ისევ ისე კარგად გვხვდებოდნენ როგორც ადრე. თვითონაც სწყდებათ გული!“

(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. პერევი, 2020)

რესპონდენტი სოფ. ირიდან იხსენებს:

„პირველი ომი რომ იყო, როცა არეულობა პირველად დაიწყო, ჩვენს რაიონს არაფერი არ მოჰქონდა ჩვენამდე. პროდუქტი რამე. ჩვენ ვსარგებლობდით ოსებით. საზღვრამდე მოჰქონდათ პროდუქტები და რაიონშიდაც კი ამ გზით მიჰქონდათ საქონელი. ისეთი ნდობა იყო, თუ ფული არ გქონდა გეტყოდნენ: ნაილე კაცო როცა გექნება მაშინ მოგვეციო. ნამუსიანი ხალხი იყო. ბევრი პატივისცემა გვახსოვს ჩვენ იმათგან. არც ყაჩაღობა არ ყოფილა. ნედისის მხრიდან კი იყო ყაჩაღობა, ჩვენკენ არა.“

(საველე მასალა, ონის მუნ. სოფ. ირი, 2020)

დვანელი რესპონდენტის ინფორმაციით:

„ზემო დვანში (ოსური სოფელი, დღეს საოკუპაციო ხაზს იქითაა) არც ადრე იყვნენ ახალგაზრდები, უფრო მესაქონლეობას მისდევენ და დიდად მიწებს არ ამუშავებდნენ. ქართული კარგად იცოდნენ, აქცენტი ჰქონდათ, მაგრამ იცოდნენ კარგი ქართული, ოსური სკოლა ჰქონდათ, გუგუთში იყო სკოლა. ურთიერთობა კარგი ჰქონდათ, დღემდე ინარჩუნებენ როგორც ვიცი. გატაცებები რომ ხდება ურეკავენ ერთმანეთს, ღიად არ ესაუბრებიან ერთმანეთს, ეშინიათ მაინც. მაგალითად ჭოლიბაური იქით დარჩა ერთი პატარა ჩიხი, ორღობე გვყოფს. საქონელი გადმოვიდა და ჩვენმა ბიჭებმა გადარეკეს. მტრული დამოკიდებულება არ არის. ჩვენი მხრიდან, ყოველ შემთხვევაში“.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. დვანი, 2019)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ველზე მუშაობამ მეტად საინტერესო ფაქტი გამოავლინა: იმ ოსებს, ვინც 1990-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს საქართველო არ დატოვა და ადგილზე დარჩა, ცხინვალელი ოსები „გამსოებს“-ს ეძახიან და აგდებით მოიხსენიებენ. ეს პერიოდი გამსახურდიას მმართველობის ხანაა, „გამსოში“ კი გამსახურდიას ოსები, ანუ, გადატანითი მნიშვნელობით, მოლაღატე ოსები იგულისხმებიან. „საზღვრის უკანონოდ კვეთის“ გამო ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლაცორში ნამყოფი ქალბატონის ინფორმაციით, იქაურ ოსებს დაუნყიათ მისთვის წამოძახება, „თქვე გამსოებო, თქვენაო!“. უარყოფითი დატვირთვის მატარებელი „გამსო“, სალანძღავ სიტყვად არის ქცეული (საველე მასალა, ყარაფილა 2019). ეს ტერმინი საკვლევ რეგიონში ფართოდ გავრცელებული არ ჩანს.

მართალია, ქართველი სპეციალისტებისთვის უშუალოდ ცხინვალში მუშაობა და მასალის ჩანერა დღეს შეუძლებელია, მაგრამ მაინც მოხერხდა გარკვეული ინფორმაციის მოპოვება ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ოსებზე:

„კულუარებში მესმის, რომ განიცდიან თვითონაც ამ სიტუაციას. თავიდან არა, მაგრამ მერე, იქ რუსმა დაუნესა საზღვარი, იქ რუსმა დაუნესა დღის წესრიგი და უკვე შეცბნენ. თავიდან ეგონათ, ვსო, ჩვენ ვართ და გაფორინდებითო. ჩვენთან შედარებით იქ პენსია მაღალია, 400 ლარია. მაგრამ

იქ სიძვირეა. კარტოფილი აქრომ ლარი ღირს, იქ 4 ლარი ღირს, ჩვენ ფულზე. დალაგებულ, დაწყნარებულ, ძალიან კარგი სიტუაცია იყო, ოსები რომ არ აპყოლოდნენ ფეხის ხმას. ჩვენზე კიდევ უკეთესი პირობები ჰქონდათ. ვინც აურია ტვინი, კი ვიცით. აქ არ მომხდარა სასტიკი დაპირისპირებები. რუსი რომ ჩადგა, ჩვენ შორის ყაჩაღობაც აღარ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, კონტაქტებიც განყდა. საჩხერეში მიწისძვრა რომ მოხდა, აქედან წავიდნენ ოსები ვლადიკავკაზში და იქ ვერ აიტანეს ის ხალხი, ვერ დაფუძნდნენ იქ და წამოვიდნენ ისევ უკან. სამი სოფელი დაიცალა და ისევ უკან დატრიალდნენ შემდეგ.”

(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. ჭალა, 2020)

გორის რაიონში ჩანერილი მასალით:

„90-იანი წლების შემდეგ რამდენჯერმე ვიყავით ცხინვალში. არიან ქართველები დარჩენილები, ვისაც ოსი ცოლი ყავდა, ან ქმარი. მაგალითად მამაჩემის ძმის შვილი, ოსი ცოლი ყავდა და დარჩა, ერთმა მისმა შვილმა ოსურად გადაიკეთა გვარი, მეორე დარჩა ისევ გოგოძის გვარზე. ეს ბიჭი, გოგოძის გვარზე რომელიც დარჩა, ორჯონიკიძეში წავიდა და იქ ცხოვრობს, ცხინვალში აღარ არის. პინციპში 30 წელი გავიდა და ისინიც, ვინც მაშინ დარჩა, გაოსებულები იქნებიან, ოსური მენტალიტეტი ექნებათ. მაგალითად ქელები რომ იყო მაშინ ვერ გაიგებდი ოსების ქელებია თუ ქართველების, ტრადიციები სრულდებოდა, როგორც ჩვენ ქელებში; რომ აირია ურთიერთობები, მერე მომინია ცხინვალში ქელებში მისვლა, მაგიდებიც სხვანაირად ეწყო, წვენი ჩამოატარეს ჯამებით, თითო ნაჭერი ხორცი იყო შიგ, ალბათ ძველებური წესი ჰქონდათ ეგეთი. არ გადმივიღე, ვიფიქრე არ დამექცეს მეთქი; ველოდი, ჩვენი წესით ხაშლამას ჩამოატარებენ, მეთქი, არ ჩამოატარეს. დავრჩი მშვიერი. ათი კაცი მაგიდასთან ზის, მოიტანენ მოხარშულ ერთ დიდ ნაჭერ ხორცს და დადებენ. დანა უნდა გქონდეს, რომ ჩამოიჭრა. ეს ძველი წესი იყო, ადრეც შევსწრებივარ, ჯავისკენ რომ წასულიყავით, ეს წესი იყო ყოველთვის, ანუ ოსური წესი. ახლა ისევ ეს წესი აღადგინეს ცხინვალშიც.”

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ქორდი, 2021)

„ცხინვალელი ოსები კმაყოფილები არიან; ორი კვირა იქ ნება დამირეკა ძმაკაცმა: ორჯონიკიძეში ვიყავი ისევ აქ გადმოვედი ცხინვალშიო. ვეკითხები, მუშაობ თქო? მეუბნებიან სამუშაოსო, მაგრამ რად მინდაო - 800 ლარამდე ჩვენს ფულზე პენსიას იღებს. ეხლა ქართულ პუნსიასაც ავიღებო 200 ლარია ხომ? ეგ შენი 1000 ლარი პენსია აქვს. თავის ცოლსაც ეგრევე. თვეში 2000 აქვს შემოსავალი, რაღად უნდა რომ იმუშაოს. რაღაცა „ბაევოის“ ეძახიან, ყველას აქვს შელავათები. ეს ყველაფერი რუსეთისა აქვს. ახალგაზრდები, ვისაც პენსია არ აქვს ძირითადად რუსეთში გაედინებიან, სულ იქ არიან. ცხინვალში ახალგაზრდობა ნაკლებად არის. ამ სოფლებშიც ახალგაზრდობა თითქმის აღარ არის დარჩენილი“.

(გორის რაიონი, დევნილი ცხინვალიდან, 2019).

ჩვენი დაკვირვებით, ქართველების მიმართ ოსების განწყობაში ორი, ტოლერანტული და ქსენოფობიური ხაზი შეიმჩნევა; ტოლერანტულს პირობითად მივაკუთვნებთ ოსთა იმ კატეგორიას, ვისაც ეთნიკურად შერეული გენეტიკა აქვს (თუმცა, შეიძლება არც ჰქონდეს), ამდენად, ორივე კულტურის წარმომადგენლად ითვლება და ქართულ-ოსური ტრადიციული ურთიერთობის ნიუანსებს მეტ-ნაკლებად იცნობს. ამ კატეგორიას ყოველთვის ნაკლებად ეცალა პოლიტიკურ აქციებში ჩართვისთვის. ისინი ნაწილობრივ ქართველებთან ურთიერთობის გაფუჭებას, ბოლომდე ინარჩუნებენ მათ მიმართ კეთილგანწყობას და უარს არ იტყვიან „ძველი დროის“ დაბრუნებაზე. იგივე ითქმის ქართველებზედაც.

მაგალითად, ეროვნებით ოსი რესპონდენტის აზრით:

„არ უნდა წამოგვებოდით პროვოკაციას. ისე ვიყავით გადახლართული და გადაბმული ერთმანეთზე, ლამის გათანაბრებული ვიყავით, ერთმანეთში ჩახუტებული. და მე პირადად, არავისთან არაფერი მქონდა გასაყოფი, როგორც ცრემლი ისეთი სუთა ვარ, მაგრამ ხომ გავმწარდით!“

(საველე მასალა, ხაშურის მუნ. სოფ. ყობი, 2019)

ქსენოფობიური განწყობები შეიმჩნევა ოსთა იმ კატეგორიაში, ვინც რუსულ ანტიქართულ პროპაგანდას იოლად წამო-

ეგო ან შეგნებულად აუნყო ფეხი; მათ სძულთ საქართველო, ქართველები და ისინი მტრად მიაჩნიათ. ეს განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაა, რომელიც ქართველებისგან იზოლაციაში გაიზარდა. დიდი ალბათობით, კულტურული კავშირების წყვეტა, განათლების რუსულ ენაზე მიღება, ჩაკეტილი სივრცე, ქართული კულტურული ღირებულებების არცოდნა, შეთხზული ისტორიის სწავლება, ახალგაზრდა თაობას საბოლოოდ ქართველოფობებად ჩამოაყალიბებს. რუსეთისთვისაც ასეთი ვითარება ხელსაყრელია, ვინაიდან, თუ ქართველი აღარ იქნება რეგიონში და ქართველებთან კონტაქტები განწყდება, იგი იოლად განახორციელებს ჩანაფიქრს.

„ახლა, ოღონდ ქართველთან არ იცხოვროს ოსმა, ყველასთან იცხოვრებს“.

(საველე მასალა, დევნილი ცხინვალიდან, 2021)

ქართველების მიმართ სიძულვილით გაჟღენთილია სოციალური მედია, ტელერეპორტაჟები. მაგალითად, წერილში „სამხრეთ ოსეთი, 5 წელი ქართველების გარეშე, მაგრამ ქართველებთან ერთად“,¹ ვცნობით ინტერვიუს ცხინვალის საბავშვო ბაღის დირექტორთან, რომელიც თავიდანვე აცხადებს, რომ „ვერ იტანს ქართულ ლაპარაკს“. ჟურნალისტი იქვე აკომენტარებს, რომ „ოსების ზიზღი ქართველების მიმართ საუკუნეების სიღრმეშია ფესვგადგმული და თითქმის საბავშვო ბაღიდან ვლინდება“. დირექტორი იხსენებს, თუ როგორ დაბომბეს ქართველებმა ცხინვალის საბავშვო ბაღი ღამით, როგორ გაიქცა ის დილას, რომ ენახა მსხვერპლი. მსხვერპლი არ იყო. მას სჯერა, რომ ქართველებს არ უნდოდათ ბავშვების დახოცვა, და ბომბი რეალურ მიზანს ასცდა. ინტერვიუში გრძნობებს აყოლილ დირექტორს (ან ჟურნალისტს) ავიწყდება, რომ აგვისტოში საბავშვო ბაღები არ ფუნქციონირებს, მით უფრო ბავშვები ღამით იქ არ იქნებოდნენ; ხოლო დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ცხინვალიდან ქალები და ბავშვები რამდენიმე დღით ადრე ავტობუსებით ჩრდილოეთში გაიყვანეს.

¹ Дмитрий Виноградов, Южная Осетия: 5 лет без Грузии, но с грузинами 01/03/2020. <https://ria.ru/20130808/954899179.html>

ბალის დირექტორის თქმით, მათთან მხოლოდ ერთი ქართველი ბიჭი სწავლობს, მაგრამ ისინი ეთნიკური ნიშნით არ არჩევენ ბავშვებს; განა ბავშვის ბრალია, რომ მისი გვარი „შვილ“-ზე მთავრდება და ა.შ. მსგავსი ცინიკური ხასიათის ანტიქათული შინაარსის მატარებელი პასაჟები მრავლადაა ამ რეპორტაჟში და მსგავსს სხვაგანაც ბევრს ნახავთ.

ქართველებშიც შეიმჩნევა ქსენოფობიური განწყობა, მაგრამ შედარებით ნაკლებად. ეს განწყობა კი ძირითადად დევნილ მოსახლეობაში ჩანს. მაგალითად, ჩვენი რესპონდენტი აგვისტოს ამბებს იხსენებს:

„ომი რო დაინყო აქ ვიყავით. მერე გავედით. ომის დროს რუსები აკონტროლებდნენ აქაურობას, მანქანებით დადიოდნენ. მოსახლეობას აფრთხილებდნენ თუ რამე შეატყვევთ, ოსები განუხებენ ან რამეო, ტელეფონებსაცა სტოვებდნენ რუსები. თვითონ ოს მარადიოროებსაც ეშინოდათ მაგათი. რუსი არ მარადიორობდა. შეიძლება მაღაზია გაეტეხათ სიგარეტი წაეღოთ ან რამე, მაგრამ როგორც აი ოსის ქალები, ბავშვებით დიცში რო დარბოდნენ, კამპოტები მიჰქონდათ, სარდაფებს აცარიელებდნენ - ეგეთ რამეს რუსი არ აკეთებდა. ოსები ერედვიდან ჩამოდიოდნენ და სულ აცარიელებდნენ სარდაფებს. რო გაიგებდნენ ბეტეერების ხმას, გარბოდნენ. აი იქით, ცხრა სოფელი რომ დარჩა, ჯერ გაძარცვეს, მერე დაწვეს. უფრო ოსებმა, რუსები არა, უფრო ოსები ძარცვავდნენ. ერედვი მდიდარი სოფელი იყო გორის რაიონში, იმდენი ოსი არ იყო, რომ ყოფნოდა ამ სოფლის გაძარცვას. სანამ ის სოფლები გაძარცვეს ჩვენამდე ველარ მოვიდნენ. ორჯონიკიძისკენ ბაზრობა გახსნეს და სულ მუქთად იყიდებოდა ამ სოფლებიდან გატანილი ყველაფერი. მერე რუსებმა კანონი გამოუშვეს რომ გვირაბში აკრძალეს გატანა მაცივრების, ტელევიზორებს... მერე მე არ მინახავს მაგრამ ამბობდნენ, რომ ართმევდნენ ამ ნაძარცვ ნივთებს, დაბლა ყრიდნენ და მთელი მთა იდგა მაცივრების, ტელევიზორების და ეგეთი რამეებისო.“

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ქორდი, 2019)

რა გამოსავალს ხედავს ჩვენი გაყოფილი საზოგადოება? შესაძლებელია ქართველებსა და ოსებს შორის ოდინდელი კე-

თილგანწყობილების აღდგენა?

„ოსი მაშინ არის კეთილშობილი, როცა გასაქანი არ აქვს. ეხლა რუსი უდგას გვერდში, იმის იმედი აქვს. მე, მაგალითად, პროგნოზს ვერ ვაკეთებ, ასე თუ გაგრძელდა არაფერი არ გვეშველება. რუსი უნდა წავიდეს, აი რუსის იმედი რომ აღარ ექნებათ, მერე ისევ ჩაკმენდენ ხმას. ვინც წასასვლელი იყო იმან რუსეთს შეაფარა თავი და კარგადაც მოეწყო, ნაწილიც წავა, ვინც დარჩება ისინი როგორც მანამდე იყვნენ, ისევე დაუბრუნდებიან თავიანთ კალაპოტს. მაგრამ ეს ამბები დროში არ უნდა გაიწელოს, თაობები შეიცვალა.“

(დევნილი თამარაშენიდან)

4.2.2 პასპორტიზაციის საკითხი

ქართულ-ოსური ურთიერთობის რევიტალიზაცია თავად ოსების უმრავლესობისთვის მიუღებელია, ხოლო ურთიერთობის აღდგენის მსურველთათვის, ძნელად წარმოსადგენი; ამ განწყობის ჩამოყალიბებაში რუსეთის კარგად გათვლილი სტრატეგია თამაშობს როლს. რუსეთი დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობას ანიჭებს და პასუხისმგებლობას იღებს მათ წინაშე, როგორც თავის მოქალაქეებზე.

ჯერ კიდევ ომამდე, ყსოაო-ს ქართული მოსახლეობის საქართველოს სივრციდან მოწყვეტის და სამოქალაქო იდენტობის ტრანსფორმაციის მიზნით რუსეთის ერთ-ერთი პოლიტიკური აქტი „პასპორტიზაცია“ იყო. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონით 2002 წელს რფ პრეზიდენტმა ვ. პუტინმა სასწრაფოდ აფხაზეთის მთელ ზრდასრულ მოსახლეობას და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ორ მესამედს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების სტატუსი მიანიჭა. ახალი კანონი „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ 2002 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა. მასში რუსეთის მოქალაქეობა განისაზღვრება, როგორც „პირის მდგრადი სამართლებრივი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, რაც გამოიხატება მათ ორმხრივ უფლებებსა და მოვალეობებში“. გარდა ამისა,

კანონის მე-7 მუხლში ნათქვამია: „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ, უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის ფედერაციის მზრუნველობითა და მფარველობით“. ანუ, რუსეთის მოქალაქეები დაცული არიან რუსეთის ფარგლებს გარეთაც. რასაკვირველია, რუსეთს კიდევ უფრო შორს მიმავალი განზრახვა ამოძრავებდა, რისთვისაც შემდეგ „თავისი მოქალაქეების“ უსაფრთხოების დაცვის მიზნით სეპარატისტულ ტერიტორიებზე საომარი ქმედებები წამოიწყო და შედეგად რუსული ოკუპაცია მივიღეთ.

პასპორტიზაციის თემას სპეციალურად განიხილავს კ. ყალიჩავა. მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ კრემლის მიერ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც ქართულ, ასევე 90-იან წლებში მიღებულ რუსულ კანონმდებლობასთან, რაც, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანას საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ უუფლებოდ ტოვებდა.¹ 2008 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, ქართული და უცხოური მედია, საკმაოდ აქტიურად აშუქებდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს: გარკვეული ტერიტორიების დანაღმვას, ქართული უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოგდებას და სხვა, რამაც საბოლოოდ კრემლს მისცა საბაბი, გამოეცხადებინა, რომ „რუსეთის მოქალაქეებს“ იცავდა ქართული აგრესიისაგან და ღიად მოეხდინა ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში.²

კ. ყალიჩავა აანალიზებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ 2012 წელს გამოცემულ ი. კიროვას ნაშრომს „სახალხო დიპლომატია და კონფლიქტის მოგვარება: რუსეთი, საქართველო და ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“ და წარმოგვიდგენს მის ძირითად დებულებებს ამ მიმართულებით: 1. პასპორტიზაციის პოლიტიკას რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის მცხოვ-

¹ კ. ყალიჩავა, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში თბილისი 2016, გვ.13-14

² იქვე, გვ.38

რებთათვის საკმაოდ „მიმზიდველ“ სარჩულს – ეკონომიკურ მხარეს უძებნიდა და მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – პენსიების პოლიტიკა იყო: „2008 წლის მონაცემების მიხედვით, რუსული პასპორტის მფლობელებს აფხაზეთში ეძლეოდათ პენსია 1600 რუბლის ოდენობით მაშინ, როდესაც თავად დე ფაქტო რესპუბლიკის მიერ გაცემული პენსიის რაოდენობა 100 რუბლს შეადგენდა. იგივე მდგომარეობა იყო სამხრეთ ოსეთშიც. 2. ახალგაზრდებს ეძლეოდათ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების საშუალება.¹ 3. რუსული ენის დამკვიდრება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, რაც აქ მცხოვრებ მოსახლეობას აქცევს რუსულად მოსაუბრეებად – რუსულენოვან სოცოუმად; ეს თავის მხრივ, კიდევ ერთი სერიოზული ბერკეტია რუსეთის ხელში, ოკუპირებულ რეგიონებში საკუთარი ინტერესების გასაძლიერებლად (2011 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის დაახლოებით 84-მა პროცენტმა თანხმობა განაცხადა სეპარატისტულ ერთეულში, ოსურთან ერთად, რუსული ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესახებ)². დღეს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში რუსული ენა, ოსურთან ერთად სახელმწიფო ენას წარმოადგენს.

2021 წლის 4 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთთან „ორმაგი მოქალაქეობისა და „რესპუბლიკის“ მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული პროცედურის შესახებ“ ე.წ. შეთანხმების პროექტი დაამტკიცა.³

ჯერ კიდევ 2019 წლის 6 აგვისტოს დე ფაქტო პრეზიდენტი ა. ბიბილოვი სიამაყით აღნიშნავდა, რომ „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების 95% უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და ეს მარტო სწორი კი არა, აუცილებელიცაა“, რადგან, მისი განმარტებით, „სამხრეთელი“ ოსები თავს მუდამ რუსეთის ფედე-

¹ ი. კიროვა. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 17-19.იხ. კ. ყალიჩავას მითითებულ ნაშრომში. გვ 164.

² ყალიჩავა, კ. დასახ. ნაშრომი გვ.162-164

³ პუტინმა ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთთან ორმაგი მოქალაქეობის შესახებ პროექტი დაამტკიცა, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31393856.html>

რაციის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

რუსეთის ფედერალური კანონის თანახმად, რუსეთი საკუთარ მოქალაქედ თვლის ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობაც. შეთანხმების პროექტის თანახმად, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები სამხედრო სამსახურს იქ გაივლიან, სადაც განვევის დროს მუდმივად ცხოვრობენ. ამას გარდა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, რომლებმაც სამხედრო სამსახური ერთ-ერთ მხარეს უკვე გაიარეს, მეორე მხარეს განვევისაგან თავისუფლდებიან¹

როგორც საქართველოს ხელისუფლებაში, ისე ექსპერტულ წრეებში რუსეთის პრეზიდენტის მიერ მიღებულ განკარგულებას „ორმაგი მოქალაქეობისა და რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივებული პროცედურის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული რეგიონის ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებენ. ოკუპირებული ცხინვალის მოქალაქეები მანამდეც ფლობდნენ რუსეთის მოქალაქეობას, თუმცა, რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურა ბოლო წლებში გართულებული იყო, ეს გადაწყვეტილება კი კრემლში ცხინვალის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მიიღეს. რუსეთის მოქალაქეობა ცხინვალის მცხოვრებლებს სოციალური შეღავათებით, უკეთესი პენსიით და სხვა დივიდენდებითაც უზრუნველყოფს. დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი დარწმუნებულია, რომ შეთანხმება რეგიონის მოსახლეობას ცხოვრებას გაუმარტივებს, კერძოდ, ის მათ დამატებითი სოციალური გარანტიების მოპოვებაში დაეხმარება. გარდა ამისა, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ცხინვალის ხელისუფლებაში თანამდებობებს იკავებენ, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობასაც მიიღებენ².

ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ შეთანხმების პროექტის დამტკიცება „მოსკოვის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციისა და დე-ფაქტო

¹ პუტინმა მხარი დაუჭირა ოკუპირებულ ცხინვალთან ორმაგ მოქალაქეობის რეჟიმს, <https://civil.ge/ka/archives/435558>

² კუნჭულია, ლ. ჭამაში მოსული მადა - რას ნიშნავს რუსეთის ახალი ნაბიჯი?, აგვისტო 05, 2021, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31395625.html>

ანექსიის პოლიტიკის გაგრძელებას“ ნიშნავს. მათი შეფასებით, რუსეთი წინასწარ განსაზღვრული, მიზანმიმართული გეგმით მიიწვევს წინ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის შეფასებით: „პასპორტიზაციის ფართო პროცესის მოწმე ჩვენ ადრეც ვიყავით, მაგრამ ამ ახალ ნაბიჯებს რუსეთი ახლა სწორედ იმ გეგმის შესაბამისად დგამს, რომელსაც ცხინვალთან მან 2015 წელს მოაწერა ხელი. ეს იყო ანექსიის გეგმა და ახლა უკვე პასპორტიზაციის ცალკეულ შემთხვევებზე კი არა, ანექსიის გეგმის განხორციელებაზე ვლაპარაკობთ. რეალურად ყველაფერი ანექსიისთვის მზადდება და შემდეგ მხოლოდ გამოცხადება იქნება დარჩენილი... ამაზე ჩვენ სერიოზული განგაში თუ არ ავტეხეთ, სწორად თუ არ ვიმოქმედეთ, ის ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს“.¹

4.2.3 ქართულ-ოსური ტრადიციული რელიგიური ურთიერთობის ტრანსფორმაცია

როგორც წინა თავებში აღვნიშნავდით, ე. წ. საოკუპაციო საზღვარმა გათიშა არა მხოლოდ კარგად ინტეგრირებული ქართული და ოსური საზოგადოება, არამედ რიგი სოფლების ტერიტორია გაყო და მოსახლეობის ნაწილისთვის მიუწვდომელი გახდა მათი კერძო და საზოგადოებრივი საკუთრება - საცხოვრებელი სახლი, ბალ-ვენახი, სახნავ-სათესი სავარგულეები, სარწყავი წყლის სათავეები, საძოვარი, სასაფლაო, მათ შორის ეკლესიები და სალოცავები². გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ამ კატეგორიას გაუუარესდა საარსებო პირობები, მათთვის ძალზე მტკივნეულია, რომ დღეს ველარ ახერხებენ წინაპართა სასაფლაოებზე და სალოცავებში მისვლას; მავთულ-

¹ კუნჭულია ლ. იქვე.

² AMNESTY INTERNATIONAL, „Behind Barbed Wire, Human Rights Toll Of “Borderization” In Georgia” (2019), pg. 44, Available from: <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/EUR5605812019ENGLISH.PDF>

ხლართების მიღმა აღმოჩნდა მათთვის სულიერი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ეკლესიების ერთი ნაწილი, სადაც რელიგიურ დღესასწაულებზე ტრადიციულად სისტემატურად იკრიბებოდნენ ხოლმე. ბორდერიზაციის გამოისობით ირღვევა მათი რელიგიის თავისუფლებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. თუმცაღა, სულიერი კავშირების შენარჩუნების მოთხოვნილება და ტრადიციის სიმძლავრე დაზარალებული საზოგადოების წევრთა ერთ ნაწილს აიძულებს თავისუფლების რისკის ფასად საოკუპაციო საზღვარი მალულად გადაკვეთოს, ტრადიციას არ უღალატოს და წინაპართა სალოცავებში მივიდეს. სწორედ ამიტომ, ცხინვალის რეჟიმის მიერ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა არცთუ მცირე ნაწილი ამ კატეგორიას მიეკუთვნება. ეს განწყობა კარგად ჩანს ზარდიანთკარელ რესპონდენტის ნათქვამში:

„ჩემად იპარება ხალხი და იჭერენ. დღეს მაგალითად დღეობაა და შეიძლება დღესაც გაიპარონ. შეიძლება მეც გავპარულიყავი! დღეს მაცხოვრობაა. დმენისშია, ვანათშია, ხელჩუაშია, აჩაბეთშია, იქითა ხუთშაბათს ამაღლება იქნება. ტყვიავის დღეობაა. სანამ ეს ომი იქნებოდა ერთად აღვნიშნავდით დღეობას. აქ არის ღვთისმშობლის ეკლესია. სალოცავად ზევით ნიშია მაცხოვარს ეძახიან, იქ დავდიოდით. დღეობა უნდოდათ პურის ჭამა და ერთად ჭამდნენ პურს“.

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ზარდიანთკარი, 2021)

როგორც ვიცით, ქართველებისა და საქართველოს ოსების ინტეგრაციაში რელიგიამ, კერძოდ ქრისტიანობამ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა; ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოში ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული ოსები, თანდათან შემოდრიოდნენ ქართულ კულტურულ სივრცეში, ეზიარებოდნენ ქრისტიანულ ტრადიციებსა და ნეს-ჩვეულებებს; მათი ქრისტიანიზაციის თვალსაზრით დიდ როლს ასრულებდა ქართული ენა, სწორედ ქართული ენიდან შედიოდა და მკვიდრდებოდა ოსი ხალხის ლექსიკაში ქრისტიანული ტერმინები. ამის ნათელ წარმოდგენას ქმნის ოსურ ენაში შესული ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ლექსიკა: ძუარი - ჯვარი, კუირი - კვირა, თარანჯელოს - მთავარან-

გელოზი, მორხო - მარხვა, ბარისჩი, ბარაესკაე - პარასკევი და სხვ.¹

მართალია, ქართული კულტურის ზეგავლენით ოსები ქრისტიანობას და ქართველთა რელიგიურ ტრადიციებს ეზიარნენ, მაგრამ თავიანთ უძველეს წეს-ჩვეულებებს არ ივიწყებდნენ, რაც მათ რელიგიურ პრაქტიკაში დღემდე აქტუალურია. შეიძლება ითქვას, საქართველოს ოსების რელიგიური ყოფა ერთგვარი ჰიბრიდული ფორმით განაგრძობს არსებობას. ეთნოგრაფიული მასალა ნათლად ასახავს ამ რეალობას. მაგალითად, საჩხერელი მთხრობლის ინფორმაციით:

„ოსებს თავიანთი ეკლესია არა აქვთ, ისინი ამოიჩვენებენ რამე ხეს და იმაზე ილოცებენ, კერპთაყვანისმცემლები არიან. კაცი რომ მოკვდება იმის სახელზე წყაროს გააკეთებენ და იქ ილოცებენ. ქართულ სალოცავებში გადმოდიოდნენ გიორგობას. ვასტერჯის ეძახიან ეგენი. მაისში და შემოდგომაზე. იმათ შემოდგომის გიორგობა იცოდნენ უფრო. ხეს აირჩევენ, ლენტებს შეაბამენ და დაარქმევენ ეს არის ჩვენი სალოცავიო და მიდიან მთელი სოფელი... და დაარქმევენ რალაცის ჯვარს, ამის ჯვარი, იმის ჯვარიო. ვერ გამოთქვამენ და ძუარს უძახიან. ვასტერჯი მგ ზაფრის მფარველი წმინდა გიორგია. ჩვენც გადავდიოდით და მიგვიღია მაგათ დღეობებში მონაწილეობა.“

(საველე მასალა, საჩხერის მუნ. 2020)

ცხინვალიდან დევნილი ქალბატონი აღნიშნავს:

„დღესაც არ ვიცი მაგათ რომელი სარწმუნოება აქვთ, არც ქრისტიანები არიან, არც მუსულმანები. მერე, ჩვენ რომ დაგვინახეს, ვნათლავდით, ნელ-ნელა დაიწყეს ბავშვების მონათვლა... დამპალეთში, მაგალითად, ჩემი დედამთილის სოფელია, სანაკოვეები ცხოვრობდნენ, ერთი მუხის ხე იყო

¹ სოსიაშვილი გ., ოსების ენა და კულტურა საქართველოში (ნარსული და დღევანდელი, ზოგადი მიმოხილვა), კრ. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VI, 2017, გვ. 94-95

და იმაზე ლოცულობდნენ, ფულებს ყრიდნენ იმის ძირში, სანთლებს ანთებდნენ.“

(საველე მასალა, გორის მუნ. 2019)

ანალოგიურია რაჭველი მთხრობლის აზრი რაჭაში და მათ მეზობლად მცხოვრები ოსების რელიგიის შესახებ:

„ეს ოსები არ არიან არც ქრისტიანები, არც მუსულმანები, ძირითადად წარმართები არიან. დიგორის ოსები არიან გარკვეული ნაწილი მუსულმანები, ნაწილი არიან წარმართები, თუმცა ქრისტიანული რელიგიიდან აღიარებენ წმინდა გიორგის, ვასტერჯის, და მასზე ლოცულობენ. გაბრიელ ქიქოძემ 1870 წელს მონათლა მთელი ეს ოსების მხარე, სპეციალურად იყო ამოსული ერთი თვე და ჯავიდან მოყოლებული ყველა ოსი მონათლა, თუმცა, რეალურად, მართლმორწმუნე ქრისტიანები არ არიან. ამბობენ, რომ ვართ ქრისტიანებიო, მაგრამ რეალურად წარმართები არიან. დღესასწაულებს, გიორგობას აღნიშნავენ, მაგრამ აქვთ თავიანთი დღესასწაულებიც, მაგალითად, ყვავილების დღესასწაული, ცხოველების დღესასწაული და ა. შ.“

(საველე მასალა, ონის მუნ. 2021)

საკვლევ რეგიონში მცხოვრებ ოსებს ჰქონდათ როგორც საკუთარი, ასევე ქართველებთან საზიარო კულტები და სალოცავები; ერთ შემთხვევაში მეზობელ ქართველებს თავიანთ დღეობებში ეპატიჟებოდნენ, მეორეში კი ქართველებთან ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს; მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 2008 წლის შემდეგ; ქართულ-ოსური რელიგიური ურთიერთობის ტრანსფორმაცია პირველ რიგში განაპირობა იმან, რომ ქართული მოსახლეობის უმრავლესობა გამოძევებულ იქნა რეგიონიდან; ომმა სავალალო გავლენა მოახდინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი, დევნილი და ბორდერიზაციით დაზარალებული მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე და მათ რელიგიურ პრაქტიკაზე. როგორც რეგიონის მოსახლეობა აღნიშნავს:

„წინათ ოყო საერთო დღეობები, ერთად დღესასწაულობდნენ ოსები და ქართველები; მეზობელ სოფელში გვქონდა

კოხინჯრობა, აღდგომის მესამე პარასკევს, ერთად ავდიოდით სწორზე, ოსურ ხაჭაპურს გვაჭმევდნენ, ჭიდაობა იმართებოდა, სუფრები იშლებოდა ერთადაც და ცალ-ცალკეც”.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. დვანი, 2019)

„ეს ახალაშენებული ეკლესიაა, ადრე ძველი ეკლესია სასაფლაოზე გვეკონდა. დიდი ეკლესიაა მეთორმეტე საუკუნეში აშენებული. ღვთისმშობელში ოსებიც გადმოდიოდნენ და ჩვენც დავდიოდით სალოცავად. თვითონ სად ჰქონდათ ეკლესიები?! ჩვენს ეკლესიებში ლოცულობდნენ. ერთად ვმართავდით სუფრებსაც. მერე სულ მოიშალა, გაფუჭდა ყველაფერი.”

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. კოდა, 2019)

„საერთო დღეობები გვაქვს ქართველებს და ოსებს, გორგობა, ღვთისმშობლობა აღდგომის მეორე დღეს. ლუდს კაცები ხდიან. აქ არის ეკლესია აგერ სამ კილომეტრშია. ძველისძველი ეკლესიაა, უფრო სალოცავს ეძახიან. ღვთისმშობლის სახელობისაა, ჩვენი სოფლისაა, ქართველები და ოსები ერთად მივდიოდით სალოცავში. აბა, როგორ! განსხვავება არ იყო”.

(საველე მასალა, კასპის მუნ. სოფ. ხვითი, 2019)

ზემო რაჭის ორ სოფელში, ღარსა და კვაყა-გომში აღდგომიდან მერვე კვირა დღეს აღნიშნავენ დღესასწაულს - საჯვარეობას, ამ დღეს მთავარანგელოზს ოჯახის და კუთხის კეთილდღეობას ავედრებენ. ცხენზე ამხედრებული დღეობის მონანილენი სიმღერით გადიან გზას მთავარანგელოზის სალოცავამდე საჯვარის მთაზე; ღარელებთან ერთად დღეობაში მიდიოდნენ ოსებიც. ასეთი რიტუალი იყო:

„როცა ღარელები აივლიდნენ, ოსები ხვდებოდნენ კვაყაში პურიით, მარილით, ღვინით; ოსებიდან, ვისაც ენდომებოდა, მთის სალოცავში წავიდოდა; ქალებს ხატის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ. მამაკაცები გაათევდნენ ღამეს, დაიკვლებოდა საკლავი; იმართებოდა საერთო ღვინი. იმ სალოცავზე გინება, უხეში მოპყრობა, ჩხუბი აკრძალული იყო, არც არავინ უნდა გალახულიყო; თუ ვინმე იუზრდებოდა,

მოკიდებდნენ ხელს და მიაბამდნენ ხეზე, პირში ჩაუდებდნენ ჯოხს და სანამ არ გამოფხიზლდებოდა, იქნებოდა ასე დაბმული. დილით ახსნიდნენ და მერე წამოიყვანდნენ.“
(საველე მასალა, ონის მუნ. სოფ. ირი 2021).

მომლოცველები უკან მეორე დღეს, სალამოსპირზე ბრუნდებიან. წინ მახარობელი მოუძღვით, რომელიც სოფელში მომლოდინე ხალხს მათ მშვიდობიან დაბრუნებას ამცნობს. ამის მერე იმართება ქეიფი და დროსტარება. რესპონდენტის თქმით:

„სალოცავის პირდაპირ დგანან რუსები. 2008-ში რომ დაიკეტა, იმის შემდეგ რაჭველები სალოცავშიც ვეღარ გადადიან. ჩვენი კვაჟა სადაც არის ნასოფლარი, მაგ ტერიტორიაზე შემოდიან და ჩერდებიან.“
(საველე მასალა, ონის მუნ. 2021)

2008 წლის ომამდე ქართველებსა და ოსებში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ლიახვის ხეობელთა მთავარი სალოცავის - სასწაულმოქმედი გერის წმინდა გიორგის ერთად მოლოცვის ტრადიცია (გერისთობა); თუმცა, თავისებური კვალი კულტურული ინტეგრაციის ამ ფენომენს, უკვე მანამდე, ქართულოსურმა პირველმა კონფლიქტმა (1990-91 წწ-ში) დაასვა. თუ ადრე ქართველები და ოსები ერთად აღნიშნავდნენ გერისთობას და ერთობლივ ლხინს მართავდნენ, პირველი კონფლიქტის მერე, გერში სალოცავად მისულები, ერთმანეთს ერიდებოდნენ, სუფრებსაც ცალკე შლიდნენ და ცდილობდნენ არ ეკონტაქტათ.

2008 წლის ომის შემდეგ გერის სალოცავში მისვლა შეუძლებელია. სოფელი არბო, რომელზედაც გადიოდა გერისკენ მიმავალი გზა, ლიახვის ხეობის გორის რაიონის სოფლებიდან ერთ-ერთი პუნქტია, რომლის იქითაც მოსახლეობა დღეს უკვე ვეღარ გადადის. გერისთობას სწორედ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფ. არბოს ეკლესიაში აღნიშნავენ; ეს ბუნებრივიცაა, რადგან არბო ითვლებოდა წმ. გიორგის ბარის საბრძანისად.¹

¹ მაკალათია, ს. ლიახვის ხეობა, საბჭოთა საქართველო, თბ., 1971, გვ.61

ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაში გიორგობას ოსები ქართველებთან ერთად დღესასწაულობდნენ:

„აქ მოდიოდნენ სალოცავად საჩხერიდანაც. ტყეზე გადმოდიოდნენ და ბევრი ცხვარი მოჰყავდათ. გერი, სარკე¹ და ეს ჩვენი ატოცის წმინდა გიორგი იყვნენ სამნი ძმანი. სარკისა და გერის ჯვარი ისე იყო, რომ ერთმანეთს მისჩერებოდნენ. ატოცში უფრო შემოდგომაზე, ნოემბრის გიორგობას იხდიდნენ; დიდძალი ხალხი მოდიოდა ხოლმე. ახლა კი გაზაფხულზეც იციან. გარს სულ ოსები გვარტყია. 92 წლის ვარ და, მახსოვს, გადმოდიოდნენ ხოლმე მთელი ეგ ოსები. იმდენი ოსები გადმოდიოდნენ! მთელი ეს მინდორი ხალხით იყო სავსე, ცხვრებით მოდიოდნენ და ლოცულობდნენ. ღამეებს ათევდნენ. ახლა ღამისთევები აკრძალეს დღეობებზე. ოსებმაც ისევე იცოდნენ დღეობის აღნიშვნა, როგორც ქართველებმა. წინათ გიორგობა კი არა, ქაშვეთობას უძახდნენ. სამი სწორი იცოდა დღეობამ, სამივეს ქაშვეთობას უძახდნენ, ერთ თვეში იყო სამი დღეობა, ეს სოფელიც სავსე იყო ხალხით, მაგრამ ახლა სადღაა, დაცლილია სოფელი“.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. ატოცი 2021)

ოსი მამაკაცი სოფ. ყობიდან (ხაშურის რაიონი) აღნიშნავს, რომ ადრე ყობში გერის სალოცავიდან ჩამოუტანიათ ქვა და სალოცავი დაუარსებიათ:

„მთელი საჩხერის ოსობა, ვისაც არ ჰქონდა საშუალება, გერში წასულიყო, სალოცავად აქ მოდიოდა. საჩხერელი, კორბოულელი, ჩამოდიოდა. კორბოულში მე მამიდაშვილები და ბიძაშვილები მყავს და ყველა ჩამოდიოდა. მოჰყავდათ ქათამი, ცხვარი, მოზრები იკვლებოდა ხოლმე. საერთო სალოცავი იყო, ქართველებიც აქ ამოდიოდნენ. ატოციდანაც ჩამოდიოდნენ ხოლმე ქართველები სალოცავად. ატოცში მონასტერია და აქედანაც მიდიოდნენ იქით. დღეობაა 20 მა-

¹ სარკის (სარკის) წმინდა გიორგის მონასტერი, მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზღუდეთის სამხრეთით

ისობა. 20 მაისობას უქმე დღე იყო, კოდაც, ჩვენი სოფელიც, წნელისიც და ბერძენაულიც ხელს არ აკარებდა მიწას. წვიმა მოდიოდა მაგ დღეს. მთელ ამ სოფლებს ამ ეკლესიაში მოჭქონდათ კვირის თავზე, ვისაც რა ჰქონდა.”

(საველე მასალა, ხაშურის მუნ. სოფ ყობი, 2019)

რიგ სალოცავებში მისვლა საოკუპაციო ზოლს აქეთ მდებარე დასახლებებიდან დღეს შეუძლებელია. ამიტომ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა, რომლებიც ველარ გადადის თავის წინაპართა სალოცავებში, ტრადიციულ დღესასწაულებს აღნიშნავს იქ, სადაც ამჟამად სახლობს. არის შემთხვევები, როდესაც ადგილზე ახალ ეკლესიებს აშენებენ; მაგალითად, მთხრობლის მონაყოლით:

„გუგუტიანთკარში დღეობები იციან ღვთისმშობლობა, აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს; სალოცავი არის ჩვენს სოფელში, ომის შემდეგ ველარ მივდიოდით; ეხლა აქაც შენდება ახალი ეკლესია. ჩვენებური ბიჭი აშენებს, გუგუტიშვილია ისიც. ცოტა ზემოთ დავკარგეთ წმინდა გიორგის სალოცავი. მერე ჩუმად გაიპარნენ ბიჭები და ნიში ჩამოიტანეს, როგორ წამოიღეს არ ვიცი და აქ ააშენეს პატარა ეკლესია წმინდა გიორგისა. ეხლა უფრო ვერ გადადგამ გზის იქით ნაბიჯს.”

(საველე მასალა, გორის მუნ., სოფ. გუგუტიანთკარი, 2021)

ცხინვალის რაიონიდან დევნილთა დასახლებებში ახალი სალოცავების მშენებლობის ტენდენცია შეიმჩნევა. მაგ. სოფელ ბერბუკში ამოქმედდა გერის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომლის კედელშიც გერის ტაძრიდან ჩამოტანილი ქვა დაატანეს. ის დევნილების თხოვნით აიგო. გორში ე.წ. ვერხვების დასახლებაში ეკლესია გერმანელებმა ააშენეს, აიგო ეკლესია წეროვანშიც და მას საკმაოდ დიდი მრევლი ჰყავს. სხვაგან დევნილები ახლოს არსებულ ეკლესიებში დადიან, მაგალითად გორში - ძირითადად გორიჯვარში და ა.შ.

ამავე დროს, თუ ერთი მხრივ, მოქალაქები საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან ველარ მიდიან საოკუპაციო საზღვრის იქეთ არსებულ წინაპართა სალოცავებში, მეორე

მხრივ, ცხინვალის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრილი მოსახლეობა ველარ ახერხებს საოკუპაციო ზოლის აქეთ არსებულ სალოცავებში გადმოსვლას. ასეთია, მაგალითად, ლომისის წმინდა გიორგის სალოცავი ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე; საერთო რელიგიური კულტმსახურების ტრადიცია უცხო არ იყო ქსნის ხეობის ოსური და ქართული მოსახლეობისთვისაც. ლომისობას, ქართველები და ოსები ერთად აღნიშნავდნენ, სწირავდნენ საკლავს (ცხვარი, კურატი, ოსები კი მამალსაც), მიჰქონდათ ქადები, ხაბიზგინები, სანთელი, ლუდი, არაყი და სუფრებს შლიდნენ:

„ჩვენ მივდიოდით ხოლმე დიდი ლომისა როა, მლეთასთან. ლომისაზე ოსებიც ადიოდნენ; ჩვენ საერთოდ გაყოფილი სალოცავი არა გვქონდა არასოდეს (ლომისის წმინდა გიორგის გულისხმობს. ნ.ჯ.), საერთო იყო, სუფრებსაც ერთად ვაკეთებდით. მამაჩემი ყოველ წელს ხარს კლავდა ხოლმე. ლომისა ახალგორიდან უფრო ახლოს არი, ვიდრე მლეთიდან. ჩემი სოფლიდან იქვეა. ახალგორიდან გამოსვლის მერე, მე ისევ იმ მხარეს დავდივარ, მლეთის მხარეს. ვინც ახალგორში ცხოვრობს, ისინი ზაფხულში ისედაც იქ არიან. მთაში დადიან, მეურნეობა აქვთ, თესავენ, ან საქონელი ყავთ, ჰოდა, ვინც იქ იმ მხარეს არის, ის ლომისაში ველარ მიდის.“
(საველე მასალა, მცხეთის მუნ. სოფ. ნილკანი 2013)

2008 წლის აგვისტოს ომის მერე, საოკუპაციო საზღვრის მიუხედავად, ახალგორის რაიონში დარჩენილი ოსები მაინც ახერხებენ ლომისაში მოსალოცად. მისვლას; ამას ისინი ხან მესაზღვრეების მოქრთამვის ხარჯზე ახერხებენ, ხან ჩუმად იპარებიან. იმდენად ძლიერია ეს ტრადიცია, რომ თავისუფლების საფრთხეში ჩაგდების ფასად, თუნდაც რამოდენიმე საათით, ხდებიან რელიგიური იდენტობის ნიშნით გაერთიანული სოციუმის ნაწილი. სამწუხაროდ, ქნის ხეობის ოკუპაციის შემდეგ, „საზღვრის დარღვევას“ არაერთხელ მოჰყოლია მესაზღვრეების მხრიდან ძალადობის ფაქტები, ამიტომ ახალგორიდან ამოსული მომლოცველები სიფრთხილეს იჩენენ და ძველებურად ბოლომდე ველარ ებმებიან საერთო ლხინში.

საერთო რელიგიური პრაქტიკა საფუძველს უმყარებდა ქართველთა და ოსთა ახლო ურთიერთობას, რასაც ასევე გა-

ნამტკიცებდა შერეული ქორწინებების სიხშირე და ნათლობის გზით ხელოვნური დანათესავების პრაქტიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტენსიური ურთიერთობა ხელს უწყობდა ორივე ხალხის ტრადიციული ეთნოკულტურული ელემენტების ურთიერთშეღწევას და, შესაბამისად, ინტეგრაციის ხარისხის ზრდას. როგორც აღნიშნავდა ე. დიურკემი, რელიგიური რიტუალების დროს, თემი ან საზოგადოება შეიძლება დროდადრო ერთად შეიყაროს ერთიდაიგივე აზრის გასაზიარებლად, საერთო იდეის გარშემო, საერთო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად; მისი შეხედულებით, რელიგიური რიტუალების გზით ინდივიდებს გადაეცემათ ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ღირებულებები და ნორმები, რაც იძლევა „კოლექტიური მღელვარების“ განცდას და ემსახურება ჯგუფის გაერთიანებას.¹ სწორედ ეს „კოლექტიური მღელვარების“ განცდა იყო ის ფაქტორი, რაც მჭიდროდ აკავშირებდა ქართულ-ოსურ სოციუმს და მათ რწმენას ამყარებდა. ეს რწმენა კი ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ნაწილისთვის თავისუფლების დაკარგვს შიშზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. სწორედ ეს რწმენა განაპირობებს იმას, რომ რაჭაში ზემოხსენებული საჯვარეობის დროს, როდესაც მედლეობებს საოკუპაციო ზოლთან უწევთ მისვლა, ოსი სამხედროები კი მათ დაკავებას ერიდებიან.

საბჭოთა პერიოდში ათეისტური იდეურ-პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, რელიგიამ არსებობის ერთგვარი კონსპირაციული ფორმა მიიღო და უფრო მეტად საოჯახო სივრცეში გადაინაცვლა. ხოლო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როდესაც საბჭოთა იდეოლოგიას თანდათან საფუძველი გამოეცალა, საქართველოში, და მათ შორის საკვლევ რეგიონშიც², დაიწყო ქრისტიანული რწმენისა და ეკლესიის აღორძინების, ქართული ეკლესიის ოდინდელი რენომეს აღდგენის პროცესი, რაც გამოიხატებოდა ქრისტიანული

¹ The issue of ethnic identity and aspects of cross-cultural orientation of the Greeks in Georgia (the example of Ts'alk'a Greeks) STUF - Language Typology and Universals. Volume 69, Issue 2, Pages 193–211, ISSN (Online) 2196-7148, ISSN (Print) 1867-8319, DOI: 10.1515/stuf-2016-0009, June 2016

² ამგვარი გამოცოცხლება განსაკუთრებით ახალგორის რაიონის რელიგიურ ყოფაში შეიმჩნეოდა.

მსახურების გამოცოცხლებაში, ღვთისმსახურთა, მრევლის და ქრისტიანულ დღესასწაულებში მონაწილეთა რიცხვის განუხრელ ზრდაში, მიტოვებული ტაძრების რესტავრაციასა და ახალი ტაძრების მშენებლობაში. საბჭოთა პერიოდის ათეისტურ ყოფას პოსტსაბჭოთა პერიოდში რელიგიის რევიტალიზაციის პროცესი დაუპირისპირდა და თავისუფლებამოპოვებული ხალხების რელიგიური ცხოვრება არსებობის ახალ ფაზაში შევიდა. ქართულ რელიგიურ სივრცეში კარგად ინტეგრირებული ოსები ქართველებთან ერთად თავისთავად იქცნენ ამ პროცესის მონაწილეებად.

დღეს ოკუპირებული რეგიონი, ოფიციალურად საქართველოს საპატრიარქოს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის იურისდიქციაში შედის. იგი მოიცავს ცხინვალს, ახალგორს, ჯავას, ზნაურს და მათ მიმდებარე ტერიტორიას. თუმცა, ამჟამად აქაური მღვდელმთავრის (მეუფე ისაია ჭანტურია) უფლებამოსილება მხოლოდ მდინარე ლიახვის აუზით შემოიფარგლება, ეპარქიის მნიშვნელოვან ნაწილზე მისი იურისდიქცია მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს.

ნიქოზის ეპარქია არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.) იგი ერთიანი ქართლის ეპარქიის შემადგენლობაში შევიდა და მხოლოდ 1995 წლიდან აღდგა უკვე ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის სახით. 1990-იანი წლებიდან საკლევო რეგიონის რელიგიურ ვითარებაზე უშუალოდ აისახა ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მესვეურთა სეპარატისტული პოლიტიკა, რაც მათი ეკლესიის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისგან გამოყოფის მცდელობაში გამოიხატება.

ამ მიმართულებით მდგომარეობა ასე განვითარდა: 1990-იანი წლების დასაწყისში ცხინვალის უნივერსიტეტის სტუდენტის, ალექსანდრე ფუხათის (ფუხაევი) ინიციატივით ჩამოყალიბდა ორი სამრევლო, რომელთაც თავიდანვე სურდათ შეერთებოდნენ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. 1992 წელს ა. ფუხათმა მიმართა მოსკოვის საპატრიარქოს სამხრეთ ოსეთის სამრევლოს მის შემადგენლობაში მიღების თხოვნით, მაგრამ უარი მიიღო - რუსეთის ეკლესიამ არჩია საქმე არ გაერთულებინა საქართველოს ეკლესიასთან. ამის შემდეგ ფუხათმა მიმართა რუსეთის ემიგრაციულ ეკლესიას; მისი თხოვნა

დაკმაყოფილდა და 2000 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ახალ-დაარსებულ სამხრეთ ოსეთის ეპარქიას ემიგრანტული ეკლესიის საზღვრებში. ამ დროისთვის მართლმადიდებელთა რაოდენობა ყსოაო-ში დაახლოებით 6 ათასს შეადგენდა. მოგვიანებით, ემიგრანტულ ეკლესიაში განხეთქილება მოხდა და ის ორად გაიყო; 2001 წელს, ე.წ. ალანიის სამღვდელოება გამოეყო მას, რადგან შიშობდა, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებისას სამხრეთ ოსეთის ეპარქიას კანონიერად საქართველოს ეკლესიას მიაკუთვნებდნენ. 2003 წელს შეიქმნა ე.წ. ალანიის ეპარქია; 2005 წელს ოსმა მორწმუნეებმა, რომელთაც არ უნდოდათ ჰქონოდათ კავშირი არც რუსულ და არც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, მიმართეს საბერძნეთის ერთ-ერთ სქიზმატურ საკრებულოს, ე.წ. ქრიზოსტომოსის სინოდს და ისინი მეძველსტილეთა დაჯგუფებაში მიიღეს. ალანიის ეპარქიის მთავარი ტაძრის (ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი ცხინვალში) პირველი მეთაური გახდა გიორგი (ალექსანდრე) ფუხათი, რომელიც 2005 წლის 7 ნოემბერს ალანიის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს¹. 2011 წელს ეკლესია გადაიბარა ეპისკოპოსმა ამბროსი მეთონელმა, რომელსაც თავის დროზე ე.კოკოითმა მიანჭა დე ფაქტო რესპუბლიკის მოქალაქეობა. ამასობაში, 2015 წლიდან ცხინვალში დაიწყო რუსული ეკლესიის მშენებლობა, რასაც დიმიტრი მედვედევი ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას ჯერ კიდევ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაპირდა. ტაძრის მშენებლობისთვის დაფინანსება „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ფონდმა“ უზრუნველყო, რომელიც ცხინვალში 2009 წელს დარეგისტრირდა. ეს ფონდი რუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1992 წელს და მისი სათავე ოფისი მდებარეობს მოსკოვში. ის ახორციელებს პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას რუსეთის სახელმწიფოს, ეკლესიისა და არმიის მი-

¹ საკლესიო სიახლეების და ღვთისმეტყველების ცენტრი <https://m.facebook.com/nikodimoscentre/>; ლელა გიორგაძე, საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004 წლებში), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2014, გვ.129

მართ. ახალი ტაძრის პროექტი პირადად პატრიარქმა კირილემ შეარჩია.

2017 წ. 22 სექტემბერს ეპიკოპოსმა ამბროსიმ საზოგადოებას ამცნო დამოუკიდებელი, ადგილობრივი, ალანიის სახელმწიფოს მართლმადიდებლური ავტონომიური ეკლესიის დაფუძნების შესახებ. ამას მოჰყვა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვთან მისი შეხვედრა, სადაც ბიბილოვი ცდილობდა დაერწმუნებინა იგი, შეერთებოდა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას და რომ ეს საკითხი რუსეთის პატრიარქთან უკვე განხილული იყო. ალანიის ეპარქიის მესვეურებსა და მრევლს დამოუკიდებლობის დაკარგვა არ სურდათ; მათი აზრით, ბიბილოვი, რომლის მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი რუსეთთან ინტეგრაცია და მის შემადგენლობაში შესვლაა, მზად იყო, ამ მიზნით ალანიის ეპარქია გაენადგურებინა¹. ამის შემდეგ, 2018 წლის 18 აპრილს ეპისკოპოს ამბროსის ოსმა მესაზღვრეებმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე პასპორტი ჩამოართვეს. ეპისკოპოსი ამბროსის შემდეგ ადგილობრივი ეკლესიის მეთაური გახდა დეკანოზი იაკობ ხეთაგუროვი, რომელიც ითხოვს, რომ სახელმწიფო დონეზე დაისვას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ალანიის მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენის საკითხი.

2018 წლის იანვარში დასრულდა წმ. სამების რუსული ტაძრის მშენებლობა. ტაძარი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაშია. აქ საეკლესიო მსახურება 2017 წლის მიწურულიდან მიმდინარეობს. ამჟამად ტაძრის წინამძღვარია მღვდელი სერგი კოკოევი, ერისკაცობაში იგი თადარიგის მაიორი იყო და მონაწილეობდა 2004-2008 წლებში სამხედრო-საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ. იგი ვლადიკავკაზში 2013 წლის 23 ნოემბერს ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ზოსიმემ მღვდლად აკურთხა მას შემდეგ, რაც ბიბილოვმა ეპისკოპოსი ამბროსი რუსეთის ეპარქიის შემადგენლობაში შესვლაზე ვერ დაითანხმა, დე ფაქტო პრეზიდენტი სადღესასწაულო მსახურებებს პრინციპულად

¹ Келехсаева И. Зачем Аланскую епархию подталкивают в лоно РПЦ? 2017, *Эхо Кавказа* <https://www.ekhokavkaza.com/a/28840765.html>

ესწრება არა ალანიის ეპარქიის კუთვნილ ტაძარში, არამედ რუსულ ეკლესიაში¹.

ფაქტია, რომ ქართული სახელმწიფოს აღნიშნული ტერიტორიის ოკუპაციის შემდგომ რელიგიის თემა კრემლისთვის ერთგვარ მანიპულაციის ობიექტად და პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად იქცა. კვლავ აქტუალურია ოკუპირებული რეგიონის ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოყოფის საკითხი. ოფიციალურად ორივე - რუსული და ბერძნული ეკლესიები საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ იურისდიქციას აღიარებენ, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზეც, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ფაქტობრივად, საკვლევ რეგიონში სამხრეთ ოსეთის ალანიის ეპარქია და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ერთმანეთის მოქიშპეებად შეიძლება წარმოვიდგინოთ; რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სამხრეთ ოსეთის ეკლესიას თავისი იურისდიქციის ქვეშ ოფიციალურად არ იღებს, თუმცაღა რეგიონში ფეხს აქტიურად იკიდებს; ტრადიციული რელიგიის მიმდევართა ჯგუფი კი, რომელსაც არცთუ უმნიშვნელო ადგილი აქვს რეგიონის რელიგიურ ცხოვრებაში, ლეგალურად დამკვიდრებას ცდილობს.

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ომის დროს დაინგრა და გაპარტახდა მათი დიდი ნაწილი; ე.წ. მცოცავი ოკუპაციის შედეგად დაზარალებული სოფლების მცხოვრებლებს ამჟამად არ აქვთ წვდომა სულ მცირე ცხრა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომლებიც გამყოფი ხაზის იქით მოხვდნენ, ესენია: ბერშუეთის ღვთისმშობლის ტაძარი, კირბალის ლომისას ნმ. გიორგის ეკლესია, აძვის ნმ. გიორგის ეკლესია, ნმ. გიორგის და კვირაცხოვლის ტაძრები ქერეში, ლომისას ნმინდა გიორგის ეკლესია მეჯვრისხევში, მთავარანგელოზის ეკლესია ქვეში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დვანში, კარის საყდრის ეკლესია საკორინთლოში. გარდა ამისა, ხურვალეთისა და ქვეშის მოსახლეობამ დაკარგა წვდომა სოფლის სასაფლაო-

¹ საკლესიო სახელების და ღვთისმეტყველების ცენტრი <https://m.facebook.com/nikodimoscentre/photos/a.1848499165217806/3700316993369338/?type=3&source=57>.

ებთან. საოკუპაციო ხაზთან აღმოჩნდა რვა სოფლის სასაფლაო.¹ ჩვეულებრივ, მიცვალებულის საფლავთა მონახულება რელიგიური ტრადიციის ნაწილია; სპეციალურ დღეებსა თუ გარკვეული საეკლესიო დღესასწაულების დროს სასაფლაოზე რეგულარულად გადიან მიცვალებულის ახლობლები. შექმნილმა ვითარებამ კი ადგილობრივ მოსახლეობას, სოფლის სასაფლასთან მისვლის თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

აგვისტოს ომის შემდეგ საოკუპაციო ზოლის საპირისპირო მხარეებზე დარჩენილი მოსახლეობის გაუცხოებისაკენ მიმართული რეჟიმის პოლიტიკა გულისხმობს ასევე ტარდიციული რელიგიური პრაქტიკის კარდინალურ ტრანსფორმაციას ქართველთა და ოსთა სასულიერო ერთობის გახლეჩის გზით. ამ მიმართულებით ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე ქმედებები და საქმიანობა, რელიგიური ექსპანსის ტიპური სურათია. ჯერ კიდევ 2016 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საერთაშორისო ანგარიშში რელიგიის თავისუფლების შესახებ, გაცხადებული იყო, რომ სამხრეთ ოსეთის ოთხიდან სამ რაიონში (ცხინვალი, ზნაური და ჯავა) ქართული ეკლესიები საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გამოეყვნენ და ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუერთდნენ. მეოთხე რაიონში, ახალგორში კი, რვა მოქმედ ქართულ ეკლესიაში, მხოლოდ ორ სასულიერო პირს, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაია ჭანტურიასა და ერთ მღვდელს, ანტონ ჩაკვეტაძეს, ჰქონდათ წირვის ჩატარების საშუალება.²

დემოკრატიული კვლევის ინსტიტუტის (DRI) 2021 წლის მოკვლევით, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას არ ჰყავს საეკლესიო მსახურები ცხინვალში და ვერ განკარგავს კონფლიქტამდე მის სარგებლობაში არსებულ ქონებას და რელიკვიებს, ვერ უწევს შესაბამის მხარდაჭერას ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ მრევლს; ქართველ მორწმუნეებს არ აქვთ თავიანთი რწმენის და კულტურული უფლებების რეალი-

¹ იქვე

² 2016 წლის საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ, გვ. 12 <https://ge.usembassy.gov/wp-content/uploads/sites/165/relgeo2017.pdf>

ზების შესაძლებლობა. უკიდურესად მცირეა ქართველი სასულიერო პირების რაოდენობა და იშვიათია ქართული წირვალოცვის მოსმენა, სამაგიეროდ აქტიურად მიმდინარეობს ღვთისმსახურება რუსულ ენაზე. ახალგორში, ქართული ეკლესიის გარდა, უკვე ფუნქციონირებს ოსური ეკლესიაც, რომელიც ალანის ეპარქიას ექვემდებარება და სადაც წირვალოცვა ოსურ ენაზეც აღევლინება. ახალგორში ვერ ბრუნდება ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია, რომელიც მოსაბრუნის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვის დროს ახალგორში არ იმყოფებოდა და ვერ შეძლო დაბრუნება.¹ კონფლიქტის შემდეგ ოსებმა ქართული ეკლესია-სალოცავები ოსური კულტურის ძეგლებად გამოაცხადეს, ზოგი გადაღებეს, ზოგიც განადგურდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ეკლესიის კედლებიდან ის ქვები ამოიღეს, რომლებზეც ქართული წარწერები და მართლმადიდებლური ჯვრები იყო გამოსახული.²

ალანის ეპარქია ინტენსიურად ახორციელებს ძეგლთა „სარეაბილიტაციო“ სამუშაოებს. მაგალითად, ალანის ეპარქიამ რუსი სპეციალისტების დახმარებით სარესტავრაციო სამუშაოები თვითნებურად ჩაუტარა XI საუკუნის გერის წმინდა გიორგის ეკლესიას. 2019 წლის სექტემბერში დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა რეაბილიტაციის პროცესის ფოტოები, რომლებზეც ჩანს, რომ ეკლესია ახლა კრამიტით არის გადახურული³.

¹ რელიგიის თავისუფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, (DRI), 20.07.2021 <http://www.democracyresearch.org/geo/682>

² ჯალაბაძე, ნ. 2008 წელს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის ყოფის ზოგიერთი ასპექტი (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბილისი, 2014, კვ XV, გვ 117

³ იაგორაშვილი, ი., ვინ აზიანებს რეალურად „ცხინვალის ეკლესიას“ - საბერძნეთის თუ რუსეთის ეკლესია? 2019, მითების დეტექტორი: <https://www.mythdetector.ge/ka/myth/vin-azianeps-realurad-tskhinva-lis-eklesias-saberdznetis-tu-rusetis-eklesia>

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში, ცხინვალთან ახლოს, სოფელ ხოდში ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლესიის ძველ ნანგრევებზე ახალი კონსტრუქცია ააგო.¹

ჩატარდა აჩაბეთის ციხის „რეაბილიტაცია“. ქართველი ხელოვნებათმცოდნეების შეფასებით: „აჩაბეთის ციხეზე ... რაღაცეები გალესეს და რესტორანი გეგონება რომ შეხედავ, ისეა სამუშაოები შესრულებული. ისტორიული ძეგლები განადგურების საფრთხის წინაშეა და იქ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება“.²

პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე იკორთის ტაძარზე 2008 წლამდე სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა, მაგრამ ომის შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა. ცხინვალმა 7 წლის წინ სამუშაოების გაგრძელება დააპირა; „რეაბილიტაციას“ რუსული კომპანია დე ფაქტო სახელმწიფო ორგანოებთან შეუთანხმებლად შეუდგა. რესტავრაცია თირის მონასტერშიც დაიწყო - მონასტერს სახურავი გადახადეს და მცირე სამუშაოები აქაც ჩაატარეს; ორივე ობიექტი მნიშვნელოვნად დაზიანდა, დაზიანება ფრესკებსაც შეეხო. ამ პროცესში არაპროფესიონალების მიერ იმდენად უხეში ჩარევა მოხდა, რომ თვითონ ცხინვალის წარმომადგენლობაც შეშფოთდა; ამ საქმეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და შედეგად რესტავრაცია შეაჩერეს.

ცხინვალში აცხადებენ, რომ მათ ტერიტორიაზე 300-მდე კულტურული ძეგლი სასწრაფო კონსერვაციას საჭიროებს. ყველაზე რთულ მდგომარეობაში კი სწორედ იკორთის და თირის მონასტრებია.³

საეკლესიო სიახლეებისა და ღვთისმეტყველების ცენტრის 2022 წლის 11 თებერვლის ინფორმაციით, ოკუპირებული რეგიონში, სოფელ დმენისში, მიმდინარეობს ტაძრის „რესტავრაცია“ და დამახინჯებულია მისი იერსახე. გაირკვა, რომ მსახურებას ეკლესიაში აღავლენს მოსკოვის საპატრიარქოს ვლა-

¹ ზურაბ მენალარიშვილი, „ეს არის ძეგლის დამახინჯება“ - ცხინვალთან ნაეკლესიარზე ახალ ტაძარს აშენებენ, 8 ივლისი, 2021 <https://netgazeti.ge/news/553156>

² ჩიბჩიური ნ., ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ისტორიული ძეგლები ნადგურდება 18.08.2020 <https://factcheck.ge/ka/story/38572>

³ იქვე

დეკავკაზისა და ალანიის ეპარქიის მღვდელთმსახური მღვდელი სერგი კოკოვეი. იგი ამასთანავე არის ცხინვალის ყოვლანმინდა სამების რუსული ეკლესიის წინამძღვარი. აღნიშნული ქმედება კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საზღვრებში შემოჭრასა და კანონიკური სამართლის დარღვევას.¹

წლების წინ სპეციალურად ვიკვლევდი ქართულ-ოსური ურთიერთობის ეთნოფსიქოლოგიურ ასპექტებს და ვმუშაობდი 2008 წლის ომის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობასთან. დაზარალებულთაგან ხშირად ვისმენდი ისტორიებს ხეობაში არსებულ ეკლესიებში მომხდარი სასწაულების შესახებ:

„თურმე ქურთის ღვთისმშობლის ეკლესიიდან საღამოობით ისმის ხოლმე გაურკვეველი ხმები, კვილის თუ გოდების. ამის შიშით ოსები თურმე ეკლესიასთან ახლოსაც კი ვერ მიდიან. ერთხელ თურმე მარშრუტკა მოდიოდა ჩრდილო ოსეთიდან და მძღოლს შუშასთან წინ გადაედოთა თეთრებში ჩაცმული ქალი, სად წაიყვანეთ ჩემი შვილებიო, მერე ავარია მოუვიდა იმ მძღოლს. ესეთი ამბები სხვა ეკლესიებზედაც გამიგია. ხალხი ამბობს, რომ ოსები ძალიან შეშინებულები არიანო!“

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ტირძნისი, 2012)

ჩანს, რომ რელიგია და კონკრეტულად კი ხეობაში არსებული ქართული ეკლესიები და ქრისტიანული წმინდანები ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა წარმოდგენებში იქცა ქართველების თავს დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებზე შურისძიების ერთადერთ ვირტუალურ იარაღად.²

ამრიგად, როგორც ვხედავთ დაზარალებული მოსახლეობა საკუთარ სალოცავებსაც მოსწყდა და ველარ აღნიშნავს საეკლესიო დღესასწაულებს, დავინყების პერსპექტივა აქვს ერ-

¹ საეკლესიო სიახლეებისა და ღვთისმეტყველების ცენტრი <https://m.facebook.com/nikodimoscentre/photos/pcb.4922889157778776/4922859277781764/?type=3&source=49>

² ჯალაბაძე, ნ. ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნო-ფსიქოლოგიური ასპექტები, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, №12, თბ.

თობლივ ხალხური დღეობებსა და საერთო რელიგიურ პრაქტიკას. ქართული ისტორიული რელიგიური ძეგლები იერსახეს იცვლის... რელიგიური თვალსაზრისით წლების წინ საკმაოდ მონოლითური და კარგად ინტეგრირებული საკვლევე რეგიონის სოციუმი, კრემლის მიერ ამ მიმართულებით წარმოებული პოლიტიკის გამოისობით, რელიგიური დეზინტეგრაციის წინაშეა, რაც დიდი ალბათობით, ქართული სახელმწიფოსაგან მათ გაუცხოებას გამოიწვევს და ინტერკულტურული კომუნიკაციის ამ ტრადიციულ ფორმასაც მოსპობს.

4.3 გამყოფი ხაზი, დაზარალებული მოსახლეობა და მათი განათლებისა და ჯანდაცვის პრობლემები

წინამდებარე ქვეთავში გვინდა განვიხილოთ ბორდერიზაციით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემები განათლებისა და ჯანდაცვის კუთხით. ზოგადი სურათის გარდა, შევეცდებით, ვაჩვენოთ, თუ როგორ იყენებს რუსეთი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის ამ მიმართულებებს თავისი ექსპანსიონისტური გეგმის რეალიზაციისთვის. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2020 წლის ანგარიშში, ისევე, როგორც წინა წლების ანალოგიურ დოკუმენტებში, ხაზგასმულია, რომ საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციას ეწევიან, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა.¹ ანგარიშის ეს პუნქტი ეფუძნება ბოლო პერიოდში გალისა და ახალგორის რაიონებში ქართული სკოლების რუსულენოვან სწავლებაზე ეტაპობრივად გადაყვანის, ასევე, აბიტურიენტებისთვის თბილისში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების, მოსწავლეებისთვის სკოლაში ქართულად საუბრის აკრძალვის და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის სხვა ფაქტებს.

¹ საქართველოს სახელმწიფო...2017, გვ 5

სანამ დღევანდელ ვითარებას განვიხილავთ, მოკლედ გავანალიზებთ, თუ რა მდგომარეობა იყო საგანმათლებლო კუთხით ყოფილ სოაო-ში. 1922 წლის 11 სექტემბერს ქართული ენა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის მიერ სახელმწიფო ენად იქნა აღიარებული, მაგრამ სინამდვილეში, მისი ფაქტობრივი მდგომარეობა სახელმწიფოებრივი ენის სტატუსს არ შეესაბამებოდა.¹ რუსული ენა საბჭოთა აპარატის თითქმის ყველა რგოლში გაბატონდა; მაგალითად, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.² საქართველოს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1924 წლის 2 ივლისის დადგენილების თანახმად, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ს.ს. რესპუბლიკებთან და ახალქალაქის და ბორჩალოს სამაზრო აღმასკომებთან ყოველგვარი მიწერ-მოწერა რუსულ ენაზე უნდა ეწარმოებინათ.³

საქართველოს რეგიონებში, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის უგულვებელყოფის შესახებ ა. სონლულაშვილს მოჰყავს პოლიტპატიმრის ა. ჭიაბერაშვილის მიმართვა ხელისუფლებისადმი, სადაც ვკითხულობთ:

„ქართველებს რუსული ენის არცოდნის გამო დევნიან სამსახურიდან, ფორმალურად დატოვებული სახელმწიფო ენა, ფაქტობრივად განდევნილია ყველა ორგანიზაციიდან... რუსული ენა გაბატონებულია კომკავშირსა და პროფკავშირში... ენის შესახებ თქვენმა დეკრეტებმა გამოავლინეს მთელი შინაგანი სიყალბე... ქართული ენის სტატუსი არ ვრცელდება რეგიონებზე, ოსეთში არცერთი რუსული ენის მცოდნე არ ცხოვრობს, ასევე სოხუმში... ოსებსა და აფხაზებს არც ოსურად წერა-კითხვა არ შეუძლიათ. მაშ, რატომ უნდა ისაუბრონ იქ რუსულად, როდესაც იციან ქართული?“⁴

¹ ა. სონლულაშვილი, ქართული ენა და ეთნიკური უმცირესობა, თბილისი 2012, გვ. 147

² ლ. თოიძე. ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია, თბ., 1991, გვ. 180

³ ა. სონლულაშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 155

⁴ იქვე, გვ. 157-158

შალვა ხიდაშელი თავის მოგონებებში ცხინვალს აღწერს, როგორც ეთნიკურად საკმაოდ ჭრელ ქალაქს, სადაც ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ებრაელები და რამდენიმე ოსური ოჯახი; არაქართველები ქართველებისგან არ განსხვავდებოდნენ, ყველა ქართულად ლაპარაკობდა, მხოლოდ სარწმუნოებაში იყო განსხვავება.¹

ქართველი ისტორიკოსების პოზიციით: „როცა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ბრმად იღებდა რუსულ შაბლონს საეროვნებათაშორისო ურთიერთობის დარგში, საქართველოს აყენებდა ფაქტობრივად, „მეტროპოლიის“ პოზიციაში, რომელსაც მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსები სათვის უნდა შეექმნა გამორჩეული პირობები ეროვნული სკოლის, ეროვნული კულტურის გასავითარებლად. საქართველოს ხელისუფლებისათვის ეს ამკარად სიზიფეს შრომას უდრიდა, რადგან საქართველოში 19 ერის წარმომადგენელი კომპაქტურად ცხოვრობდა, ხოლო კიდევ 33 ეროვნების წარმომადგენელი – გაფანტულად. ასეთმა პოზიციამ საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის საკითხები უკანა პლანზე გადასწია და 20-იანი წლების

შუა ხანებში სერიოზულად გაართულა საეროვნებათაშორისო ურთიერთობანი, რადგან საქართველოსაგან ავტომატურად მოითხოვდნენ ისეთივე ეროვნული პოლიტიკა განეხორციელებინა, როგორიც რუსეთში იყო: უნდა შეექმნა ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, რაც საქართველოს ეროვნული ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, უნდა შეეჩერებინა უკვე დაწყებული პროცესი ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით, რომ ეს ნაციონალიზმის გამოვლენად არ ჩათვლილიყო, უნდა ეზრუნა ნაციონალურ სკოლებზე იმ პირობებში, როცა ამისათვის არც კადრები, არც შესაძლებლობები არ არსებობდა, ხოლო საქართველოს ეროვნული ინტერესები კი მოითხოვდა სკოლის უნიფიცირების საფუძველზე ნაციონალური კონსოლიდაციის გაძლიერებას. ფაქტობრივად, ნაციონალური სკოლა, რომლის ფირნიშის ქვეშ, იქმნებოდა სკოლები აფხაზი და ოსი ეროვნების ახალგაზრდობისათვის, სომხებისა და

¹ ჯიშკარიანი, დ. თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები, თბ. 2019, გვ.4.

აზერბაიჯანელებისათვის, ფაქტობრივად, რუსულ სკოლებად გადაიქცა, რამაც კი არ დააახლოვა ეს ერები ქართველებს, არამედ დაახლოვა პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის რუსეთს.”¹ საბჭოთა მოდერნიზაცია შეეხო სამხრეთ ოსეთსაც. სხვა ნაციონალობების სასწავლებლების გარდა, გაიხსნა ოსურენოვანი სკოლები.²

1923 წლის აგვისტოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო: „შემოღებულ იქნას თანდათანობით მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებულ იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ-ოსეთთან ხსენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“ ე.წ. „სამხრეთ-ოსეთის“ მხარეთმცოდნეობის საზოგადოება ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა სახელმწიფო დაწესებულებებში ოსური ენის შემოღებასთან დაკავშირებით. განზრახული იყო ყველა დაწესებულების საქმის წარმოების ოსურ ენაზე გადაყვანა; ამავე პერიოდში შეიქმნა ლათინიზებული ოსური ანბანი“. როგორც ვიცით, ეს ანბანი ასათვისებლად რთული იყო და ოსური ბგერების გადმოსაცემად საკმაოდ შეუსაბამო. ამისთვის ქართული ანბანი ბევრად უფრო მოსახერხებელი და თანაც, უკვე პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო; ქართულ ანბანზე გადასვლას ხელს უშლიდნენ ოლქის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი ოსი ეროვნების ანტიქართული ძალები. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, ოსები ყოველივე ქართულისაგან შორს ყოფილიყვნენ. ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა ძალებმა ანბანის შეცვლის საკითხი კვლავ წამოაყენეს. წარმოადგინეს ორი პროექტი. ერთი მხარე მოითხოვდა ოსური ანბანის ქართულ ანბანზე დაფუძნებას, მეორე კი მისი რუსულის ბაზაზე შექმნას. თავად ოსები ქართული ან-

¹ ნათელაძე, მ., დაუშვილი, ა., წენგუაშვილი, კ., საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008, გვ. 307-308

² ჯიშკარიანი, დ. დასახ. ნაშრომი, იქვე.

ბანით სარგებლობის მომხრენი იყვნენ.¹ მოგვიანებით, 1938 წლის 1 ივლისს, მიუხედავად ანტიქართული ძალების წინააღმდეგობისა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადანაცვლებით მიიღეს დადგენილება „ოსური ანბანის ქართულის ბაზაზე გადასვლის შესახებ.“²

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაგრძელდა ჰომოგენიზაციის პროცესი და 1949 წელს სოაო-ს საოლქო და, აღმასრულებელი კომიტეტების გადანაცვლებით, დაწყებით კლასებში სწავლება ოსური ენიდან ქართულ ენაზე გადაიყვანეს. 69 სკოლაში სრულებით შეწყდა ოსურ ენაზე სწავლება და 292 სკოლაში მნიშვნელოვნად შემცირდა ოსური ენის საათები. სამხრეთ ოსეთში ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. 1953 წელს, სტალინის გარდაცვალებისა და ბერიას დაპატიმრების შემდეგ, საქართველოს ცკ სამდივნოს 1953 წლის 7 სექტემბრის გადანაცვლებით, სამხრეთ ოსეთში I-IV კლასებში სწავლება აღადგინეს მშობლიურ, ოსურ ენაზე, ხოლო V-XI კლასებში გააფართოვეს სწავლება რუსულ ენაზე, იმავე წლის დეკემბერში კი ოსური დამწერლობა რუსულ გრაფიკაზე გადაიყვანეს.

გასული საუკუნის 50-იან წლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში განათლების საკითხი არცთუ სახარბიელო იყო. 1952-1953 წლისათვის 697 ბავშვი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. 1953 წლის 1 ივნისის მონაცემებით ოლქში სულ 361 სკოლა იყო. აქედან 269 იყო ქართული და 92 რუსული. ქართულ სკოლაში სწავლობდა 7902 ეთნიკურად ოსი მოსწავლე, რუსულ სკოლაში - 5142. რუსულ სკოლაში სწავლობდა ეთნიკური ქართველების მინიმალური რაოდენობა 133 მოსწავლე მთელ ავტონომიურ ოლქში.³

¹ სონლულაშვილი, ა. ქართული ენა და ეთნიკური უმცირესობა, თბილისი 2012, გვ.195-196

² სონლულაშვილი, ა. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობამ თბილისი 2018, გვ. 624

³ ჯიშკარიანი, დ. დასახ. ნაშრომი. გვ.6-7

შედგომ პერიოდში ავტონომიურ ოლქში რუსიფიკაციის პოლიტიკა საკმაოდ აქტიურად და შედეგიანად მიმდინარეობდა. ჩვენი ოსი ეროვნების რეპონდენტი ხაშურის რაიონის სოფელ ყობიდან (ოსური სოფელი), იხსენებს:

„კომუნისტების დროს აქ იყო რუსული სკოლა, სულ რუსული პროგრამა იყო, ქართულს საერთოდ არ ვსწავლობდით; ისე, ქართული ყველამ იცოდა. ნაღვლში დავდიოდით რვა კლასი, გამოცდებს ვაბარებდით, მერვე კლასიდან გადავდიოდით ზნაურში. ზნაურში დავდიოდით სკოლაში...“

(საველე მასალა, ხაშურის მუნ. სოფ. ყობი, 2020)

ვითარება შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის, როდესაც საქართველოს მისწრაფებამ დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ ეროვნული მუხტი გააძლიერა და ქვეყანა ნელ-ნელა ქართულ რელსებზე გადავიდა. თბილისში მიმდინარე მოვლენები პერიფერიაზეც აისახა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქართულ მოსახლეობაშიც პატრიოტული იმპულსები გააძლიერა. ამის პარალელურად, ფაქტობრივად, რუსეთის პროპაგანდისტული პოლიტიკით ნასაზრდოები ცხინვალის სეპარატისტული ძალები საქართველოდან გამოყოფის და რუსეთთან შეერთების უკანონო მოთხოვნებს უყენებდნენ თბილისს. ეს პროცესები კი საბოლოოდ ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტით დაგვირგვინდა, რის შესახებაც ამ მონოგრაფიის პირველ თავშია საუბარი.

იქამდე კი, ცხინვალიდან დევნილი რესპონდენტის ინფორმაციით, ცხინვალში სულ 12 სკოლა იყო, აქედან ქართული 2 და დანარჩენი რუსული. ოსური სკოლები არ იყო. ოსური აქ ისწავლებოდა როგორც მეორე ენა, ისევე როგორ ქართული, მე-4 კლასიდან. ქართველების დიდი ნაწილი რუსულ სკოლებში სწავლობდა, ისინი მეორე ენად უმეტესად ქართულს სწავლობდნენ, ოსები კი ოსურს. ქართულთან შედარებით, ოსური ენა უფრო ღრმად და საფუძვლიანად ისწავლებოდა. მთხრობელი გვიყვება:

„მე ქმარი ოსი მყავდა და ბავშვებიც ოსურ გვარს ატარებდნენ; მე, როგორც ქართველმა, გადავწყვიტე, რომ მათ მეორე ენად ქართული უნდა ესწავლათ, მაგრამ როდესაც დირექტორს მივმართე, წინააღმდეგობა გამიწია, ოსებმა ქართული რატომ უნდა ისწავლონო. ახსნა-განმარტება დამ-

ჭირდა, ოფიციალური განცხადება მომთხოვეს, და საქმე საბოლოოდ ჩემი სურვილისამებრ გადაწყდა; თუმცა, ნამდვილად იყო წინააღმდეგობა. ისიც მახსოვს, რომ ჩვენი სკოლის დირექტორმა (ვალერი გაზაევემა, რომელიც შემდეგ ადამონ ნიხასის სულისჩამდგმელი იყო), ეროვნული ამბები რომ გაძლიერდა, კრება მოიწვია და მშობლებს გამოუცხადა, ჩვენი სკოლა ოსური გავხადოთო. ოსი მშობლები მაშინ წინააღმდეგი წავიდნენ, ჩვენ გვითხრეს, თქვენ რა გიჭირთ, თქვენ ბავშვებს საქართველოში წაიყვანთ, ჩვენებმა ოსურად რომ ისწავლონ, ოსური ზღუდერს იქით არავის არ გამოადგებაო... საერთოდ, ოსურად ლაპარაკი სირცხვილად ითვლებოდა. ცხინვალის ე.წ. მაღალ საზოგადოებაში, რუსულად ლაპარაკობდნენ. ოსურად მოლაპარაკებებს დაცინვით უყურებდნენ”

(ავტორის სავლე მასალა, თბილისი 2010).¹

იმავე მთხრობლის ინფორმაციით, როდესაც საქართველოში ეროვნული ამბები დაიწყო და სკოლებში ქართული ენის საათები გაიზარდა, ცხინვალშიც წამოუჭრიათ სკოლებში ოსური ენის საათების გაზრდის საკითხი, მაგრამ ოსები აქაც წინააღმდეგი წასულან, „მაგას ჯობია ოსური საერთოდ არ ისწავლონ“.

1990 წლამდე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა სკოლაში გამონაკლისის გარეშე ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას ვ.გუჩუას სახელმძღვანელოთი. სამხრეთ ოსეთის ისტორია, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინა არ არსებობდა; 1980-იანი წლებიდან იყო ამ სახელმძღვანელოს შექმნის რამდენიმე მცდელობა და საბოლოოდ ის 1992 წელს გამოიცა სათაურით სამხრეთელი ოსების ისტო-

¹ ავტორის სავლე მასალა ამოღებულია ავტორისავე სტატიიდან, ჯალაბაძე, ნ. ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნო-ფსიქოლოგიური ასპექტები, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, №12, თბ., 2012, გვ. 175

რია.¹

1990-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთში ქართული სკოლები გაუქმდა, ისინი მხოლოდ ქართულ სოფლებში ფუნქციონირებდა. ქართული სკოლები იყო ასევე ლიახვის მარჯვენა მხრის ქართულ სოფლებშიც.

2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, ოკუპაციისგან დაზარალებულ მოსახლე-ობასთან მიმართებაში საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა ორი მიმართულებით წარიმართა: საჭირო გახდა ოკუპირებული რეგიონის ქართული და ე.წ. საოკუპაციო საზღვრის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის განათლების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავება. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩენილ ქართულ სოფლებში ვითარება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. როგორც ვიცით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართული მოსახლეობა თითქმის მთლიანად გამოვიდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ადგილზე დარჩენილი ქართველები ძირითადად შერეული ოჯახების წევრები იყვნენ. ქართულმა სკოლებმა ფუნქციონირება გააგრძელეს ახალგორის რაიონში; გამყოფი საზღვრის მიღმა დარჩენილ ქართულ სოფლებში ქართული სკოლები ეტაპობრივად გააუქმეს, დარჩენილი კი (მაგ. სინაგურში) თავიანთ საგანმანათლებლო სისტემას დაუქვემდებარეს.

2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ.“ ინიციატივა ითვალისწინებს სამ მიმართულებას, საიდანაც ერთ-ერთი არის განათლების შესაძლებლობების განვითარება აფხაზეთისა და ყსოაო-ს მცხოვრები მოსახლეობისათვის; სამშვიდობო ინიციატივის მიზანია ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაზრდა და გამარტივება, განათლების ყველა სა-

¹ Мифы и конфликты на Южном Кавказе ТОМ 1 Инструментализация исторических нарративов Редакторы Оксана Карпенко, Джана Джавахишвили, International Alert 2013, გვ.99

ფეხურთან ხელმისაწვდომობა და ხარისხიან განათლებაზე წვდომა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.¹ ინიციატივის ფარგლებში შემუშავდა სკოლის შემდგომი პროგრამა, რაც გულისხმობს ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სპეციალურ მოსამზადებელ კურსებს უფასო მოსამზადებელი ცენტრის ბაზაზე თბილისსა და ზუგდიდში. მაგალითად, 2019 წელს სამინისტროს ინიფორმაციით, პროგრამაზე დარეგისტრირებული 142 აბიტურიენტიდან 140 გალის, ხოლო 2 ახალგორის რაიონიდან იყო. 70 მათგანმა კურსი თსუ-ში გაიარა, 72 კი - ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტიში².

სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, შერჩეულ საგნებში საჭირო კრედიტების დაგროვებისა და საბოლოო ტესტირებაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ბაკალავრიატზე შემდგომი სწავლის გაგრძელება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით და საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფას. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ისინი ზოგადი უნარების გამოცდას არ აბარებენ; ბარდება ორი გამოცდა: ქართულ ენაში და იმ საგანში, რომელსაც მათ მიერ არჩეული მიმართულება ითხოვს. სტუდენტთა განათლება სრულად ფინანსდება. ეს პროგრამა ფაქტობრივად 2019 წლიდან ამოქმედდა.³ ამას გარდა, ინიციატივა ითვალისწინებს: პროფესიული განათლების შეთავაზებას იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ვერ დააგროვებენ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისათვის საჭირო ქულებს; უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული პირების განთავსების ხარჯების დაფარვას; საერთაშორისო

¹ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ. 7. https://smr.gov.ge/uploads/prev/Report_201_81155c2d.pdf

² ნ. ჩიბჩიური, 2019-2020 წლებში გასამმაგდა ოკუპირებული რეგიონებიდან სტუდენტების რაოდენობა, <https://factcheck.ge/>; <https://civil.ge/ka/archives/302604.07/09/2018>

³ 2019-2020 წლებში გასამმაგდა ოკუპირებული რეგიონებიდან სტუდენტების რაოდენობა (<https://factcheck.ge/ka/story/39359-2019-2020>)

საგანმანათლებლო პროგრამებზე მათ წვდომას; საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების უზრუნველყოფას; ასევე, ხელს უწყობს სამეცნიერო თანამშრომლობას სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში და საერთაშორისო პროგრამებში („ჰორიზონტი 2020“, ფულბრაიტის პროგრამა, ა.შ.) ჩართვის გზით და ა.შ.¹

ყოფილი სოაო-ს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დღეისთვის ქართული სკოლები ფაქტობრივად მხოლოდ ახალგორის (ლენინგორის) რაიონში დარჩა. ოკუპირებულ ახალგორის რეგიონში განათლების საკითხი 2015 წელს სპეციალურად შეისწავლა ეთნოლოგმა მ. ბურდულმა² და მასზე დაწვრილებით აქ აღარ შეეჩერდებით. აღვნიშნავთ, რომ ამჟამად, ახალგორის მუნიციპალიტეტში ექვსი ქართული სკოლაა, ერთი დაბა ახალგორში და ხუთი სოფლებში: იკოთში, ბალანში, კორინთაში, ახმაჯში და ზემო ბოლში. 2018 წლის სექტემბერში ახალგორში გაიხსნა ახალი რუსული სკოლა, რომლის მშენებლობაც რუსეთის ფედერაციამ სოციალური და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დააფინანსა. 2017 წლიდან ქართულ სკოლებში I-VI კლასებში სწავლების ენა ქართულიდან რუსულ ენაზე ეტაპობრივად გადავიდა. დღეს ქართული ენა და ლიტერატურა საგნის სახით ისწავლება. 2020 წელს გაათავისუფლეს ახალგორის და იკოთის საშუალო სკოლების ეთნიკურად ქართველი დირექტორები. როგორც ზემოთაც ითქვა, ადგილი აქვს ახალგორელი ქართველი აბიტურიენტების დაშინებას: დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აბიტურიენტებს კატეგორიულად „მოსთხოვეს, რომ თბილისში სწავლის გაგრძელებაზე უარი თქვან და სწავლა ცხინვალის უნივერსიტეტში გააგრძელონ. გარდა ამისა, ახალგაზრდები გააფრთხილეს, რომ ეგრეთ წოდებული საზღვრის ჩუმად გადაკვეთა არც სცადონ, თორემ ადმინისტრაციული წესით დაისჯებიან,

¹ დასახ. ნაშრომი, გვ. 3-6

² მ. ბურდული, ნ. ჯალაბაძე. ლ. ჯანიაშვილი... ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, თბილისი 2015, გვ.125-150

ხოლო ვინმე თუ მაინც გაბედავს და თბილისისკენ გაიპარება, უკან ველარასოდეს დაბრუნდება.”¹

2021 წლის სექტემბრის ინფორმაციით ახალგორის რაიონში 2021-2022 სასწავლო წელს სულ 17 პირველკლასელი მიიღეს, მათ შორის 9 – ახალგორის რუსულ სკოლაში, 3 – ახალგორის ქართულ სკოლაში, 3 – სოფელ ორჭოსანში და თითო-თითო იკოთისა და კორინთის სკოლებში. არ მიუღიათ პირველკლასელები ახალგორის რაიონის რამდენიმე სოფელში (წინაგარი, ზაყორი, ბოლი, ბალანნი, ახმაჯი). ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ნათქვამია, რომ „ახალგორის რაიონის ექვს სკოლაში სწავლება ქართულად მიმდინარეობს მე-7-დან მე-11 კლასამდე. დანარჩენ შემთხვევებში, ქართულ ენას კვირაში მხოლოდ ხუთი საათი ეთმობა. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, ყველა სკოლაში განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზე დაიშვება.”²

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორის, უნანუაშვილის განცხადებით, „დანყებულია ახალგორის რუსიფიკაციის პროცესი - სკოლებში ბავშვებს, პედაგოგებსა და ტექნიკურ პერსონალს ერთმანეთთან ქართულად საუბარს უკრძალავენ“.³ „ახლა სკოლაში საუბარიც კი იკრძალება ქართულად. არადა, იქ, დაბაში, ყველა ქართულად საუბრობდა, მათ შორის ოსებიც და უცებ გადაწყვიტეს, რომ სწავლა ეტაპობრივად რუსულ ენაზე გადაეყვანათ, მაგრამ ამ ეტაპობრიობას, ის მოჰყვა, რომ მშობლებს ურჩევნიათ ბავშვები დაბიდან წაიყვანონ და სხვაგან მიაღებინონ ნორმალური განათლება. ახალგორში ველარც ქართულად სწავლობენ, ველარც რუსულად.”⁴

¹ გოგა აფციაური, კაგებეს ზენოლა ახალგორელ აბიტურიენტებზე, რეგიონის დეპოპულაციის მცდელობა, 18.06.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30678195.html>

² კახიშვილი ნ. ახალგორის რამდენიმე სოფელს წელს პირველკლასელები არ ჰყავს <https://netgazeti.ge/news/562149/>

³ გ. აფციაური, როგორ ხდება ახალგორის რუსიფიკაცია, 14 თებერვალი, 2020 <https://www.radiotavisupleba.ge/>

⁴ გ. აფციაური, რუსიფიკაციის საგანგამო მასშტაბი - რატომ გოვებს ხალხი ოკუპირებულ ახალგორს, სექტემბერი 29, 2021 <https://www.radiotavisupleba.ge/>

ამას დაემატა ისიც, რომ COVID-19 პანდემიის პირობებში ჩაიკეტა გამშვები პუნქტები, მათ შორის მოსაზრუნი/რაზდახანის და ახალგორის ქართული სკოლის რამდენიმე მასწავლებელი რაიონში აღარ შეუშვეს.

რეგიონთან კავშირში მყოფი ინფორმანტის ცნობით, ცხინვალის მიერ განხორციელებული ეს დისკრიმინაციული აქტები ეხმიანება საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებული რეგიონის ქართველი ახალგაზრდებისთვის, საგანმანათლებლო პირობების გაუმჯობესების კუთხით გადაგმულ ნაბიჯებს.

COVID-19 პანდემიის გამო ჩაიკეტა პერევი-სინაგურის გამშვები პუნქტიც და სინაგურის სკოლაში ველარ შევიდნენ პერევიდან იქ მომუშავე მასწავლებლებიც. საჩხერის რაიონის მიმდებარე ოკუპირებულ ტერიტორიაზე საგანმანათლებლო კუთხით არსებული ვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაცია მოგვანოდეს ოკუპირებული სინაგურის სკოლის პედაგოგებმა, რომლებიც პერევიში ცხოვრობენ. ერთ-ერთი მათგანი, პერეველების რძალი, ცხინვალელი ოსი, ჩვენი ინტერვიუს დრომდე ერთი წლით ადრე უკვე პენსიაზე იყო გასული; სხვათა შორის, ის იმ ცხინვალელ ოსთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც ცხინვალში ქართულ სკოლაში სწავლობდა და ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა. იგი წლების განმავლობაში ასწავლიდა ისტორიას სინაგურის საშუალო სკოლაში, ოკუპაციამდეც და მის შემდეგაც:

„თავის დროზე სინაგური საკმაოდ დიდი დასახლება იყო. თვითონ სინაგურში დღეს 22 ოჯახია. სინაგურის საშუალო სკოლაში 15 ბავშვი გვყავდა; სწავლება 11 წლიანია. თითო კლასში 2-3 მოსწავლე იჯდა. სწავლა რუსულ-ოსურად იყო. ერთი ჯგუფი იყო ქართული, ჯგუფში 2 ბავშვი იყო. საგანს რუსულად ვუკითხავდი. იქ ოსური ენა, როგორც საგანი, ისე ისწავლება მეხუთე კლასიდან. ოსი კლასიკოსები ისწავლება, კოსტა ხეთაგუროვი, თანამედროვე მწერლებიც. სინაგურის სკოლაში პროგრამები მოსკოვის მიერ იყო დამტკიცებული, ფაქტიურად რუსეთის ისტორია და ოსეთის ისტორია ცალკე ისწავლება. მე რომ წამოვედი დარჩა იქ ისტორიის მასწავლებელი იქაური, სინაგურელი. მასწავლებლის იქაური ხელფასი დაახლოებით 13-15 ათასი რუბლია. გამშვები პუნქტი უნდა გაგვევლო და გადავდიოდით. მაგრამ იქაური სკოლა

პუნქტიდან შორს არის, ფეხით ვერ მიხვალ. რომ გადავდიოდით, ყოველდღიურად ვანერდით ხელს, მაგალითად, რომ შევედი და, ასევე, გამოსვლის დროს. მივდიოდით მანქანით, მანქანით გადასვლაში დაახლოებით 600 ლარს ვიხდით. ექვსნი ვიყავით და 100-100 ლარი გვინევდა თითოს. ლამის ნახევარ ხელფასს იქ ვტოვებდით. იცოდნენ, სხვა გზა არ გვექონდა. როგორც იქ მომუშავეს, იქაური პენსია დამინიშნეს, დაახლოებით ჩვენს ფულზე 300 ლარია. ორჯონიკიძის ოსების პენსია უფრო მაღალია. უფლება მაქვს რომ ორივე პენსია ავილო, აქაურიც და იქაურიც, მაგრამ ამ წუთში ვერ ვიღებ იქაურ პენსიას, გზა რომ გიხსნება, მერე კი ავიღებ.”
(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. პერევი, 2020)

ერთგვარად ავსებს პირველი რესპონდენტის მონათხრობს მეორე ინფორმანტის მონაყოლი:

„სინაგურის სკოლა საშუალოა, სულ ძველი დროიდანაც საშუალო იყო, პერევი არ იყო ადრე სკოლა და მამაჩემის ტოლ ხალხსაც კი სინაგურში აქვთ დამთავრებული საშუალო სკოლა. სულ ერთნი ვიყავით მაშინ. ადრე სინაგური უფრო დიდი სოფელი იყო ვიდრე პერევი, მაგრამ მასში მარტო სინაგური კი არ დადიოდა, შემოდოდა თედელეთი, ჯალაბეთი, ქარძმანიც, ჯავის რაიონის სოფელი. მანდ იყო დიდი საშუალო სკოლა და იქ სწავლობდნენ. მერე გაიხსნა პერევიც სკოლა. მიწისძვრაზე სინაგურის სკოლა დაინგრა და ფერმის შენობაში იყო დათმობილი ორი ოთახი და იქ მიდიოდა სწავლა.

სინაგურის სკოლაში მასწავლებლები ძირითადად ოსები არიან, სულ 11 პედაგოგი გვყავს და აქედან 4 ქართველი. ცხინვალიდან მონვეული მასწავლებლებიც გვყავდა, მაგრამ ვერ გაჩერდნენ და წავიდნენ.

რაც ჩაგვეკეტეს ახლა, სინაგურში აღარ ვყოფილვარ, თორემ ოფიციალურად ვითვლები კვლავ მასწავლებლად. ვასწავლიდი ფიზიკა-მათემატიკას. ვასწავლი რუსულადაც და ქართულადაც, ორივე სექტორზე. ახლა სინაგურში გვყავს 12 ბავშვი. ძირითადად ქართველი არის 5 ბავშვი; დეკანოძეები კი არიან სინაგურში, მაგრამ იმათი ბავშვები რუსულ სექტორზე სწავლობენ, ქართული წერა-კითხვა უჭირთ.

ქართული სექტორი არ არის. ეს ბავშვებიც რუსულ სექტორზე ჰყავთ გაფორმებული, მაგრამ ქართულად ასწავლიან ამ ორ ბავშვს: დეკანოიძეები არიან კახეთიდან გადმოსული და კიდევ ოსები არიან, გაგიევეები, ოლონდ საჩხერეში, ჩიხაში, სწავლობდნენ; ოსური საერთოდ არ იციან და ისინიც ქართულად სწავლობენ. რუსი მოსამსახურეების ბავშვები იყვნენ ორნი, ნ თვე ისწავლეს და წავიდნენ, ეგენი ხომ ხელშეკრულებით არიან და თან დაჰყავთ ცოლ-შვილი. ოფიციალურად ქართული სექტორი არ არის, არაოფიციალურად ქართული მაინც აქვს ორ კლასს ჩასმული. ერთი ბავშვი გადმოვიდა მეექვსეში და მეორე - მეშვიდეში. მეექვსე კლასს მისცეს ქართული და მეშვიდე კლასს არ მისცეს. მხოლოდ მშობლიური ენა და ლიტერატურა ისწავლება ქართულად, დანარჩენი რუსულად. ექვსი საათია ქართული, მეტი კი არა. ოსეთის ისტორიას თვითონ ოსები ასწავლიან. რუსულად არის ოსების ისტორია. ოსურად სწავლობენ მხოლოდ ოსურ ენას და ლიტერატურას. თარგმანები აქვთ და იმას ასწავლიან. პროგრამა არის სამხრეთ ოსეთის სამინისტროს დამტკიცებული. ოსურს აქვს 3-3 საათი დათმობილი, რუსულს 3-3 საათი დაწყებითებში, 9 საათი აქვთ რუსულ ენას და ლიტერატურას. მერე მე-11 კლასში ადის 7 საათზე, დანარჩენი სულ ასეთი საათები აქვთ. ფიზიკა და მათემატიკა, ბუნებრივია, რუსულად ისწავლება. სწავლება თერთმეტწლიანია. ათწლიანი იყო და ამათ მოამატეს. ქართულ ენა-ლიტერატურას ჩვენი სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით ასწავლიან, ქართული სახელმძღვანელოებით. დღესდღეობით მარტო ერთი კლასი არის. მერე დაიხურება ალბათ ქართული სექტორი. საქართველოს ისტორია არის შესული ისტორიის ნიგნში ძალიან ცოტა. ოსეთის ისტორიას სხვა მასწავლებელი ასწავლის. ოსია, სინაგურელი, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, ახალგაზრდაა. მოძველებული ნიგნი აქვთ და იმასაც შეცვლიან ალბათ. პატრიოტული აღზრდა, ისე, როგორც ადრე იყო, დღესაც ასე არის, ოლონდ თავისებურად უხსნიან, ოსურ დროშაზე და რუსულ დროშაზე თეთრი რას ნიშნავს, ლურჯი რას ნიშნავს, ყვითელი რას ნიშნავს, წითელი რომ სიძლიერეს ნიშნავს... სამხედრო ღონისძიებებს ატარებენ, სამხედრო გაკვეთილები აქვთ.

იქაურმა ორმა თუ სამმა ბავშვმა აქ, პერევი დაამთავრა სკოლა და ახლა სამედიცინოზე სწავლობენ. იქაურ ბავშვებს შეღავათები აქვთ, უფასოდ და უგამოცდოდ ლეზულობენ. გაისად იქნება სამი ბავშვი კიდევ, თუ გზა გაიხსნება. თერთონ იქაურ სკოლადამთავრებულებს აქ არ ჩაუბარებიათ. იქეთ ვინც ამთავრებს სკოლას, ყველა მიდის ან რუსეთში, ან ოსეთში (გულისხმობს ჩრდილოეთ ოსეთს.ნ.ჯ). მიდიან რუსულ ჯარში და აბარებენ სამხედრო აკადემიაში, პოლიციაში მიდიან. სინაგურში გაზრდილი ბავშვი რუსეთის მოქალაქედ მიიჩნევა თავს და არა ოსეთის, ჯერ მაგამი ვერ ერკვევიან.“
(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. პერევი, 2020)

სამეცნიერო ნაშრომების კრებულში,” მითები და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში” (II ტომი), განხილულია მითების შექმნისა და გავრცელების მექანიზმები სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ისტორიის სახელმძღვანელოებში. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალი (პოსტსაბჭოთა) სახელმძღვანელოები ეფუძნება იმავე იდეოლოგიურ პარადიგმას, რასაც საბჭოთა სახელმძღვანელოები. ისინი იყენებენ ერთსა და იმავე ენას, ნაციონალისტურ დისკრიმინაციულ დისკურსს, გამორიცხავენ ისტორიის, როგორც ნარატივის გაგებას და გვთავაზობენ ისტორიული რეალობის და დღევანდელი მდგომარეობის გაგების ფაქტობრივად საბჭოთა ესენციალისტურ მოდელებს. „ხალხებს შორის მეგობრობამ“ ადგილი დაუთმო „სხვების“ მიმართ მტრული განწყობის მატარებელ ეროვნულ ისტორიებს, რომლებიც „ჭეშმარიტებად“ არის წარმოდგენილი; ეს უნდა დაიმასხოვრონ ბავშვებმა, რამაც ერის ფსიქიკაში მტრის ხატი უნდა გაამყაროს. ჩვენს რეგიონში გაბატონებულ ესენციალისტურ დისკურსსა და თანამედროვე პოსტმოდერნულ აზროვნებას შორის არსებული უფსკრული მიუთითებს იმაზე, რომ ახალი თაობა იზარდება ზუსტად იმ მითებზე, რომლებსაც ხშირად მიჰყავს საზოგადოებები სტაგნაციამდე და ფასეულობათა ჩიხში შეჰყავს¹.

¹ Мифы и конфликты на Южном Кавказе ТОМ 1 Инструментализация исторических нарративов Редакторы Оксана Карпенко, Джана Джавахишвили, International Alert 2013, გვ. 10

ზუსტად ამ პრინციპებზეა დაფუძნებული ის ახალი სახელმძღვანელოები, რასაც „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის“ განათლების მესვეურნი ახალი თაობისთვის ქმნიან, იმ თაობისთვის, ვისაც ასწავლიან, რომ ქართველი მათი მტერია.

რაც შეეხება საქართველოს იურისდიქციაში დარჩენილ ე.წ. საზღვრისპირა სოფლებს, იქ ბევრი საშუალო სკოლა დაიხურა, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციასთან. განსაკუთრებით დაიცალა საზღვრისპირა სოფლები რაჭაში; მთხრობელთა გადმოცემით, ქართულ-ოსურ კონფლიქტამდე ამ სოფლების ახალგაზრდები მეზობელი სოფლის იმ სკოლებშიც სწავლობდნენ, რომლებიც დღეს გამყოფი ხაზის იქეთ აღმოჩნდა:

„კვაისა 12 კილომეტრშია აქედან. პირველი ოსური სოფელი იყო კვაისა და იმის შემდეგ იყო კიროვი. აქედან იქ კინოში დავდიოდით ხოლმე. ჩვენი სოფლიდან სკოლაში ფეხითაც დადიოდნენ. საშუალო სკოლა იყო კიროვში, ქართულად იყო სწავლება. მასწავლებლები აქედან დადიოდნენ. მაშინ ქართველებით იყო დასახლებული კიროვი. მერე ჩამოვიდნენ ოსები, მაგრამ რომელ წლებში ვერ გეტყვით.მამაჩემს იქ აქვს სკოლა დამთავრებული. მდგმურად ცხოვრობდა იქ და შაბათ-კვირას გადმოვდიოდი სახლშიო, ამბობდა. აქ იყო დანყებითი სკოლა, რვა კლასამდე იყო წედისში და ირის ზემოთ აქეთ აღარ იყო სკოლა, ან კიროვში უნდა ევლოთ, ან ონში. კვაისა და კიროვი თითქმის გადაბმულია ერთმანეთზე.“

(საველე მასალა, ონის მუნ. სოფ. ირი, 2021)

სოფელ თვაურების მკვიდრის ინფორმაციით, „ადრე გვექონდა იქითა მხარესთან ურთიერთობა, ნათესავეები, გვყავდა, სკოლაშიც დადიოდნენ, ახლა ველარ გადადიან. სკოლაში ზოგი ლამისყანაში დადიოდა, ზოგი ახმაჯში. ახალგორშიც სწავლობდნენ“ (საველე მასალა, თვაურები, 2019).

დღეს, სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაციის ფონზე, სკოლის ასაკის ბავშვთა მინიმალური რაოდენობის გამო, ზოგან სკოლები დაიხურა და მოსწავლეები მეზობელი სოფლის

სკოლებში დადიან, მოსწავლეები მათთვის სპეციალურად დანიშნული მიკროავტობუსით უფასოდ გადაადგილდებიან.

„ახალგაზრდობა არის სოფელში, როგორც ადრე იყო ისე აღარ, მაგრამ არიან. სკოლა იყო და გააუქმეს, ლამისყანაში სწავლობენ პირველკლასელები. მარშუტკა მოდის და მიჰყავთ ბავშვები“.

*(საველე მასალა, კასპის მუნიციპალიტეტი
სოფ. ხვითი, 2019)*

დაზარალებული სოფლების მკვიდრ მოსწავლეებს აქვთ შეღავათები უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისას. ეროვნულ გამოცდებში მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, ისინი სწავლის საფასურს არ იხდიან. სახელმწიფო დახმარებას იღებენ ის სტუდენტები, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წელი სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლება მიიღეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლებში. ადგილობრივთა ინფორმაციით, ამ მიზეზით, ზოგმა ოჯახმა ბავშვი ქალაქიდან საზღვრისპირა სოფლის სკოლაში გადაიყვანა. სოფ. დვანელი რესპონდენტის თქმით:

„ახალგაზრდების რაოდენობა შემცირებულია, სტუდენტები იშვიათად ბრუნდებიან უკან. სად უნდა იმუშაონ, მენაწებიან, წელს ბევრი ბავშვი გახდა სტუდენტი, 30 ბავშვი სტუდენტი გახდა წელს. 80 სახლია დაკეტილი. ბოლო სამი წელია ბავშვები აქ ეწერებიან, აქ ამთავრებენ სკოლას, დაფინანსება რომ ეძლევათ, იმ შეღავათის გამო. ოფიციალურად ეწერებიან როგორც ამ სოფლის მაცხოვრებლები. ბებიებთან ცხოვრობენ. ერთი მხრივ არ მოგვწონდა, ძალიან გაბერილი სიებია მოსწავლეების. შარშანწინ 2 ბავშვი შევიდა. თავიდან 10 ბავშვი რომ არის სკოლაში და ამთავრებს ბოლოს 30, ცოტა სირთულე არ შეექმნათ ამ ბავშვებს, გვემინია. ვაითუ სახელმწიფომ უარი თქვას ამათ დაფინანსებაზე და ჩვენი შვილებიც დაზარალდნენ. მთლიანად 80-90 სტუდენტი მაინც გვყავს. ადგილობრივ მუნიციპალიტეტს აქვს შეღავათები, პედაგოგები ადგილობრივი გვყავს. მხოლოდ რუსულის პედაგოგი გვყავს ჩამოსული, სხვათა შორის ოსია, გორიდან დადის. უცხოელების პროგრამა აქ არ ყოფილა;“

ბევრნი, შიშის გამო ერიდებოდნენ აქ მუშაობას. ინგლისურის სპეციალისტი არ გვყავს, გერმანისტებმა გააკეთეს გადამზადება. მოსწავლეები კერძოდაც ემზადებიან, კარგ შედეგებს დებენ ბავშვები. ბევრი ემზადება აქ, მაგრამ ინგლისურის სპეციალისტი არ გვყავს და დადიან გორში. 45 კილომეტრია გორამდე, აქედან ავტობუსი დადის. კულტურული ღონისძიებები ადრე ტარდებოდა, ახლა აღარაფერი, სკოლიდანაც კი დავყავდით ადრე — ზაზაობა, ფანასკერტელობა იმართებოდა ხოლმე ორთუბანში, დედათა მონასტერია ახლა. იყო სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდა. სკოლაში არის წრეები, მუსიკალურ სკოლაში ბავშვები ბრეთში დადიან.”

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. დვანი, 2019)

„ხუთწლიანი სკოლაა სოფელ დვანში, მერე ბავშვები სოფ. აბანოში გადადიან, სულ 4 ბავშვია; აქ არც საბავშვო ბაღია, ისიც აბანოშია; ბავშვებს მარშუტკა ემსახურება“.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. დვანი, 2019)

„არის შეღავათი სტუდენტებზე, მაგრამ ჩვენთან სკოლა არ არის, ატოცში ამთავრებენ სკოლას ჩვენი ბავშვები. აქ დანყებითი იყო, მარშუტკით მიჰყავთ და მოჰყავთ ბავშვები, უფასოა ტრანსპორტი, მასწავლებლები იხდიან. ბრეთიდანაც დადიან მასწავლებლები“.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. 2021)

რადიკალურია ხურვალეთელი რესპონდენტის პოზიცია, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლადამთავრებული აბიტურიენტებისთვის მინიჭებული კვოტების არასამიზნე ჯგუფების მიერ გამოყენების გამო:

„სკოლა სხვა თემაა, სხვა ტრაგედიაა, კიდევ. ეს სოფელი მიაკუთვნეს მაღალმთიან ზონას და თან საზღვრისპირა სოფელია. 850 მეტრზე ვართ ზღვის დონიდან. საზღვრისპირა სოფლებში ვინც სკოლას ამთავრებს და მერე უმაღლესში აბარებს, იმათთვის სწავლა არის უფასო. ვილაცხეები ეწერებიან, ვითომ მე-11 მე-12 კლასში აქ სწავლობენ. თვალით არ უნახიათ ხურვალეთი თუ მეჯვრისხევი! ამთავრებინებენ ამათ სკოლას! კორუფციის ბუდე და ქაობია! თითქმის ყვე-

ლა საზღვრისპირა სოფელში ხდება ასეთი რაღაც. ნელსაც რამდენიმე ბავშვმა დაამთავრა, ვისაც საერთოდ არ უვლია სკოლაში. ისეთი დონის ბავშვებია, აზროვნების უნარი არა აქვთ! აქ ბავშვები არიან დევნილების ხარჯზე. ახალი ხურვალეთის კოტეჯებიდან მარშუტკით მოყავთ ბავშვები, თორემ აქ ადგილობრივი სულ, ალბათ, 15 ბავშვი იქნება.”
(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ხურვალეთი, 2021)

ამდენად, როგორც ჩანს, ეს პრაქტიკა საკმაოდ ფეხმოკიდებულია საზღვრისპირა სოფლებში და ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

სრულიად განსხვავებულია ვითარება განათლების კუთხით ოკუპირებულ ყსოაო-ში. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავის საქმიანობას ახორციელებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებთან, **რუსეთის ფედერაციის და ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან** (ხაზი ჩვენია, ავტ.) და სამხრეთ ოსეთის აღორძინებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებში დახმარების უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობით; იქვეა მოცემული ინფორმაცია დე ფაქტო რეგიონის საგანმანათლებლო სისტემის შესახებ. ოკუპირებულ რეგიონში ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღსაზრდელი სასწავლო დაწესებულება - 14 ქალაქის და 6 სოფლის; ქალაქში მომუშავე მასწავლებელთა ხელფასები სოფლის მასწავლებელთა ხელფასებზე უფრო მეტია - ქალაქში დაახლოებით 13 907 რუბლია, სოფლად -10 928.¹ „დამოუკიდებლობის” შემდეგ საბავშვო ბალებს სიახლეები დიდად არ შეხება, თუ არ ჩავთვლით გადასახადს (100-დან 300 რუბლამდე), რომელსაც მშობლები ყოველთვიურად იხდიან. ეს თანხა ძირი-

¹ რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი, ოფიციალური გვერდი, განათლება (რუსულ ენაზე) <https://south-ossetia.info/respublika-yuzhnaya-osetiya-segodnya/obrazovanie/>

თადად საყოფაცხოვრებო ხარჯებს ხმარდება. აღმზრდელების ხელფასი კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა.¹

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც ძველებური სისტემით მუშაობენ და ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან; დღესდღეობით ცხინვალში 10 სახელმწიფო სკოლაა; არის მოქმედი 3 კერძო სკოლა; იყო მეოთხეც, რომელიც, ჩვენთვის ცნობილი ინფორმაციით, აღარ ფუნქციონირებს და არის ერთი ინტერნატი. სამხრეთ ოსეთის რაიონებსა და სოფლებში კერძო სკოლები არ არის, ინტერნატები ფუნქციონირებს ასევე დაბა ჯავახა და ლენინგორში. კერძო სკოლებში განათლების დონე უფრო მაღალია და შესაბამისად, მაღალია მასწავლებელთა ხელფასებიც, რასაც მათ მოსწავლეთა მშობლების მიერ გადახდილი ყოველთვიური გადასახადიდან უხდიან. ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში საუნივერსიტეტო საფეხურზედაც განათლების ძველი სისტემაა შენარჩუნებული (ხუთწლიანი) და სწავლება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან; ხუთწლიანი კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა დიპლომი. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში კორუფცია საკმაოდ მძლავრად არის ფეხგადგმული; უნივერსიტეტში აბიტურიენტები, არც თუ იშვიათად ერთამის საშუალებით ხვდებიან.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გამოყოფილია კვოტები აბიტურიენტებისთვის დე ფაქტო სამხრეთ ოსეთიდან. კვოტები, ძირითადად, მოსკოვის, სანკტ პეტერბურგის, ვლადიკავკაზის უმაღლეს სასწავლებლებში გამოიყოფა, ასევე - პიატიგორსკის, როსტოვის, ასტრახანის, კრასნოდარის, ნალჩიკის სასწავლებლებში. სხვა კატეგორიაში გადიან აბიტურიენტები, რომლებიც კვოტებს სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან იღებენ; ეს კვოტები 2010 წლიდანაა გამოყოფილი. ყოველწლიურად 5-5 ადგილი გამოიყოფა საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტსა (МГИМО) და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიაში, ასევე, 2-2 ადგილი ამავე სასწავლებლებში ასპირანტურაში სწავლისთვის. ამ ადგილებს ძირითადად შეძლებუ-

¹ როგორ მუშაობს განათლების სისტემა სამხრეთ ოსეთში, 22 თებერვალი, 2015 <https://netgazeti.ge/life/38861/>

ლი ოჯახის შვილები ავსებენ. აბიტურიენტებისთვის ასევე გამოყოფილია კვოტები რუსეთის სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში. რუსეთში კვოტებით წასული აბიტურიენტების უმრავლესობა იქვე საქმდება. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში, რეალურად, სამსახურს ადვილად ისინი შოულობენ, ვისაც ხელისუფლებაში ნათესავები ჰყავს. რომელიმე სამთავრობო უწყებაში დასაქმება ნათესაური კავშირის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

თვითალიარებული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადანყვეტილებით იმ აბიტურიენტებმა, ვინც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში (МГИМО) აბარებს, უნდა გააფორმოს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, განათლების მიღების შემდეგ ისინი სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავის მხრივ, ასევე დაინტერესებულია სპეციალისტებით, რომლებსაც აქვთ პროფილური დიპლომატიური განათლება.¹ ასე, რომ რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა (სწავლება რუსულ ენაზე, საქმის წარმოებაში რუსული ენის დომინირება, სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადება ოსურთან ერთად, რუსულენოვან სამყაროსთან ასოცირებული მომავლის პერსპექტივა, ქართულ სამყაროსთან კავშირების განწყვეტა) ერთი მხრივ მიმართულია ოკუპირებული რეგიონის ახალგაზრდების რუსულ სივრცეში ინტეგრირებისაკენ (სკოლები ისედაც რუსულია, მაგრამ მათი უმაღლესი განათლების რუსეთში მიღების პერსპექტივა, თავისთავად რუსული ორიენტაციის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებას აიძულებს).

ამრიგად, ნათლად იკვეთება, რომ რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა საგანმანათლებლო კუთხითაც საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს. ქართული სკოლების გაუქმებისა და რუსულ სკოლებად მათი გარდაქმნის ტენდენცია, ქართული ენისა და ლიტერატურის საათების უკიდურესად შემცირება, სკოლებში ქართული ენაზე საუბრის და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბა-

¹ როგორ მუშაობს განათლების სისტემა სამხრეთ ოსეთში, 22 თებერვალი, 2015 <https://netgazeti.ge/life/38861/>

რების აკრძალვა, კულტურული ანექსიის გაცხადებული სურათია; ოფიციალურმა თბილისმა მსგავსი საქმიანობა რუსიფიკაციის პოლიტიკის მორიგ მანიფესტად და ოკუპაციის ნამდვილი სახედ შეაფასა.¹

4.3.1 საქართველო და რუსეთის პოლიტიკა ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან მიმართებაში

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ ვითარებას საკვლევი რეგიონის მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. ცნობილია, რომ ბოლო ხანს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიასთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებს, რომლებიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (19 დასახლება). მოსახლეობის ამ კატეგორიას გაეზარდა პენსია და მათთვის მოქმედებს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები რაც მათი ვეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. შეძლებისდაგვარად, საზღვრისპირა სოფლებში გაიხსნა სამედიცინო პუნქტები, თუმცა მომსახურება ერთმნიშვნელოვნად ხარისხიანი არაა და სამედიცინო თვალსაზრისით შედარებით მცირე დასახლების მკვიდრნი გარკვეული პრობლემის წინაშე დგანან. ხურვალეთელი რესპონდენტის ინფორმაციით:

„სამედიცინო პუნქტის პრობლემა ჩვენთან, არის ყველაზე დიდი ტკივილი. ერთი პატარა ოთახია კვირაში ერთხელ მოდის თერაპევტი და პედიატრი. ე.წ. ამბულატორიაში კვირაში ორჯერ მოდის ჩვენი ოჯახის ექიმი, სადაც ხელის დასაბანი ადგილიც კი არ არის, ელემენტარულად ტუალეტი არ არის. ვინც მოდიან პარლამენტარები, არასამთავრობოები, ოპოზიცია ყველას ვეუბნები, არ არის ამბულატორია. დავუშვათ, ვინმემ ოპერაცია გაიკეთა და გადახვევა სჭირ-

¹ იქვე.

დება, უნდა წავიდეს გორში. დაეუშვათ, გამოწერეს და სჭირდება პროცედურები მაგალითად წვეთოვანის დადგმა, უნდა წავიდეს გორში. ექთანია, ვენაში შესვლა არ იცის და წვეთოვანის დადგმა. აცრისთვის ბავშვი უნდა წაიყვანონ გორში?"
(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ხურვალეთი, 2021)

ჯანდაცვის მიმართულებით საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას მიეცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს ჯანდაცვის მომსახურებით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე; ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის ჩართვა საქართველოს სოციალური დაცვისა და შეღავათების სისტემაში; სამედიცინო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის.¹ ამ მხრივ გრძელდება სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ფუნქციონირება, რომელიც ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურებას უფასოდ აწვდის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში.

სახელმწიფოს ღია პოლიტიკის შედეგად გაჩნდა გადაადგილების ზრდის პოზიტიური ტენდენცია, განსაკუთრებით სახელმწიფო სერვისების მიღების მიზნით. საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები, ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფზე. ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გაცილებით გაიზარდა. მათი 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მათ სიცოცხლის რისკის ფასად არალეგალური გზებით უხდებათ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა. ბოლო პერიოდში, კერ-

¹საქართველოს საკანკმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის განკარგულება №107,2010 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

ძოდ, COVID -19-ის პანდემიის პერიოდიდან, ცხინვალის იზოლაციაში ამყოფებს „თავისი მოქალაქეებს“ და უარს ამბობს ჩვენი ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ სამედიცინო დახმარებაზე; რიგ შემთხვევებში მათ უარს სავალალო შედეგები მოსდევს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგორი-ცხინვალის დამაკავშირებელი გზა, რელიეფის გამო პაციენტებისთვის განსაკუთრებით რთული გადასატანია, ახალგორის მთავარი ექიმის განკარგულებით, პაციენტები სამკურნალოდ მხოლოდ ცხინვალში გადაჰყავთ. ამის გამო, რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა კრიტიკულად დამძიმდა; მარტო 2022 წლის იანვარში, ცხინვალის იზოლაციურმა პოლიტიკამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეინარა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, ახალგორის მაცხოვრებლებისთვის თავისუფლად გადაადგილების აკრძალვა, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთს ფედერაციას და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმს ეკისრებათ.¹

გამყოფ საზთან მცხოვრები და ამ ტერიტორიაზე ჩასახლებული ოკუპირებული რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა ერთგვარად აღმფოთებულია, იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა ოკუპირებული რეგიონში დარჩენილ ოსებს უფასოდ მკურნალობს, ყველანაირ პირობას უქმნის მათ, მაგრამ მადლობასაც კი არ აზღვის არ უხდის; ოსები თვლიან, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულია მათ წინაშე, მაშინ, როდესაც დაზარალებული სინამდვილეში ოკუპირებული რეგიონიდან დევნილი ქართველი მოსახლეობაა:

„რო მოდიან აქ, საავადმყოფოში, ხომ უფასოდ მკურნალობენ! ოპერაცია, რამე, აქვთ უფასო! ბინის ქირა, რამე - ყველაფერს უხდის სანაკოვეის მთავრობა, ანუ, საქართველოსი. დიახაცო, უნდა გვიმკურნალოთო, ტაქსითაც უნდა გვატაროთო, ღამე დაგვესხითო თავს, თქვენ დაინყეთ ომიო, ჩვენი დახოცვა გინდოდათო, ჩვენ დავავადმყოფდითო და, დიახაც, უფასოდ უნდა გვიმკურნალოთო! ასე იგებენ ეგენი, რომ თითქოს ჩვენა ვართ მათი მტრები! ახლა, „ლიჟები“ ქარ-

¹ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის საინფორმაციო ბიულეტენი, №1, იანვარი, 2022, გვ.2 <https://www.democracyresearch.org/>

თველთან არ იცხოვროს ოსმა, ყველასთან იცხოვრებს.
თვლიან რომ ჩვენ დავეშავეთ რაღაც.”
(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ქორდი, 2021)

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას ცხინვალის რეჟიმი ბარიერებს უქმნის და ყველანაირად ცდილობს მათ სასარგებლოდ გაადადგმული ყოველი ქმედება ქართველთა საინააღმდეგოდ გამოიყენოს. რუსული პროპაგანდისტული მანქანა საკმაოდ წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას რეგიონში, სისტემატური და მიზანმიმართული სახე მიიღო დეზინფორმაციულმა პროპაგანდისტულმა გზავნილებმა საქართველოს წინააღმდეგ, საინფორმაციო პლატფორმებზე საქართველოს ასოცირებამ საფრთხესთან.¹

სამხრეთ ოსეთში მოქმედი საინფორმაციო პლატფორმებიდან აქტიურად აქვეყნებდნენ ე.წ უშიშროების კომიტეტის განცხადებებს და მათზე დაყრდნობით წერენ, რომ საქართველო მიზანმიმართულად ცდილობდა სამხრეთ ოსეთში COVID-19-ის გავრცელებას და ამ საქმიანობაში მას ამერიკელი ინსტრუქტორები ეხმარებოდნენ. არა ერთი მასალა მომზადდა ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, სადაც აღნიშნული დაწესებულება იხსენიება ბიოლოგიური იარაღის შექმნისა და გავრცელების წყაროდ. ყალბი ინფორმაციები გავრცელდა ამერიკის მთავრობის მიმართაც. საკუთარ აუდიტორიას უქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ საფრთხეს არა ადგილზე არსებული სუსტი ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენდა, არამედ საქართველოს ხელისუფლება. ამ განცხადებებს მოჰყვა საქართველოსთან ყველა „საზღვრო გამშვები პუნქტის“ ჩაკეტვა; პოპულიზმად ჩაითვალა საქართველოს მთავრობის შემოთავაზებები სამედიცინო თვალსაზრისით ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის დახმარების შესახებ. დე ფაქტო რეჟიმმა ადგილზე ჩასვლის და მუშაობის შესაძლებლობა არ მისცა „ჯანდაცვის

¹ ბოკუჩავა, მ. პანდემია ოკუპაციის პირობებში [აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საინფორმაციო პლატფორმების გზავნილები] გვ. 40-41; 44-45; <http://gcsd.org.geiqve>, გვ. 44-45

მსოფლიო ორგანიზაციას.¹ ნაცვლად იმისა, რომ აუდიტორიის ყურადღება მიეპყროთ ჩრდილოეთ ოსეთისკენ და, ზოგადად, რუსეთის ფედერაციისკენ, სადაც ყოველდღიურად ათასობით ადამიანი ავადდებოდა - ყურადღების ვექტორი საქართველოსკენ მიმართეს. ამასობაში კი ე.წ საზღვარს რუსეთთან, გარკვეული კატეგორიის მოქალაქეები და, მათ შორის, ცხინვალის №4 სამხედრო ბაზის სამხედროები აქტიურად კვეთდნენ. საინფორმაციო პლატფორმები სრულად იყვნენ უშიშროების სამსახურის და სხვა დე ფაქტო უწყებების გზავნილების გამავრცელებლები.² ამდენად, როგორც დე ფაქტო რეჟიმმა, ასევე ცხინვალის საინფორმაციო პლატფორმებმა პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ფოკუსირების ნაცვლად, გაამყარეს საქართველოს მტრის ხატი.

სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო პლატფორმაზე გასულ ერთერთ სიუჟეტში საუბარია სწორედ იმაზე, რომ სამხრეთ ოსეთში არ დაუმკვებენ საქართველოდან კორონავირუსის შემოსვლას და გამშვები პუნქტების დაკეტვას ამ მიზეზით ხსნიან. ქარძმანის, სინაგურის, თედელეთის და ჯალაბეთის მოსახლეობას უხსნიან მიზეზს და სთავაზობენ კვალიფიციურ დახმარებას სინაგურის მედპუნქტში, სადაც, თითქოს საამისო პირობებია შექმნილი. ამ მედპუნქტის შესახებ შესახებ მთხრობლისგან შემდეგი ინფორმაცია ჩავიწერეთ:

„სინაგურში არის ამბულატორია, სადაც ჯერ არ მახსოვს, ერთი ადამიანი მაინც დაწოლილიყოს. 10 საწოლზე აქვთ გაკეთებული. ერთი თუ გადასხმაა, მიიყვანენ და გაუკეთებენ, გაუშვებენ სახლში. 24 შტატი აქვთ. მრეცხავი, დამლაგებელი, პოვარი, ზავხობი, კაჩეგარი, ყარაული, ექთნები და რაკიცი კიდევ რა!“

(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. პერევი, 2020)

პერეველები ეჭვობენ, სინაგურის მედპუნქტში კორონავირუსით დაავადებულ პაციენტს მკურნალობის შესაფერისი პირობები შეუქმნან.

¹იქვე, გვ. 44-45

² იქვე, გვ. 46

ასე რომ, თუ ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარეობს ჯერ კიდევ არსებული ქართული საგანმანათლებლო სისტემის მოსპობა, გამალებული რუსიფიკაცია, რაც მოსახლეობის სამოქალაქო ორიენტაციას ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის სასარგებლოდ აბრუნებს და ახალგაზრდებს ქართველოფობებად აყალიბებს, მეორე მხრივ, ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სრულ იზოლაციაში მოქცევით, ცდილობს განყვიტოს ის მცირე კავშირებიც, რაც გარკვეულ თაობებს შორის ჯერჯერობით კიდევ არსებობს; ოსეთის კავშირი საქართველოსთან დამლუპველად არის წარმოაჩენილი; როგორც ამბობენ ჩვენი მთხრობლები: „საერთოდ, იქედან, ოსების მხრიდან, არანაირი იმპულსი არ მოდის შერიგებისა“.

4.4 ეკონომიკური ექსპანსია: 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის ტრანსფორმაცია საოკუპაციო ზონაში

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებული მოვლენები განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა ყსოაო-ის რეგიონის მოსახლეობაზე, კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ოკუპაციის პირობებში. რუსული სამხედრო მანქანა მკაცრად აკონტროლებს საოკუპაციო ზონას, უზღუდავს მოსახლეობას გადაადგილებას და შესაბამისად რადიკალურად ცვლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურული კომუნიკაციის ვექტორს. ერთმანეთისაგან საოკუპაციო ხაზით დაშორებული ქართულ-ოსური სამეურნეო და საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობები თითქმის შეწყდა. ამ რეგიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, საცხოვრებელი ადგილები მიატოვა და შიდა ქართლში საგანგებოდ შექმნილ დასახლებებში ან რფ-ში გადავიდა. თითქმის მთლიანად დაიცალა სოფლები, დაირღვა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირები, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, შეიცვალა ბევრი ოჯახის შემოსავლის წყარო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემურ

პრობლემას წარმოადგენს, რადგან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის მთლიანობას.

ქართული სახელმწიფო ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ეთნოსოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენით შედგება ბუნებრივად, სისტემას წარმოადგენს, სადაც მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაყოფებს თავის მხრივ ქვედანაყოფები გააჩნია, რომლებიც ხეობების მიხედვით მიკრო და მაკრორეგიონებად იყოფიან. ხეობების//ხევების სისტემა ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ისინი ხევების სოფლების ერთობლიობას წარმოადგენდნენ და ერთიან ეკონომიკურ კომპლექსებს და სოციალურ ერთეულებს ქმნიდნენ.¹ ამასთანავე, ერთი ხეობის მკვიდრთ ლანდშაფტიდან გამომდინარე ერთმანეთთან ბევრად უფრო ინტენსიური სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ, ვიდრე სხვა ხეობებთან. ვახუშტი ბაგრატიონის დაკვირვებით თითოეულ ხეობას აქავს საკუთარი „დაბლობი“ და „მთა“. ამიტომ. საქართველოს დარაიონებაში სწორედ ლანდშაფტმა, ბუნებრივ-ვერტიკალურმა ზონალობამ და სამეურნეო-ისტორიულმა ფაქტორებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მაგალითად, ქსნის ხეობას გ. ჩიტაია, სამეურნეო თვალსაზრისით პირობითად სამ ზონად ყოფს: ბარის – ახალგორამდე, მთის ძირის – ლარგვისამდე და მთის ზოლის – ლარგვისის ზემოთ.² საქართველოში ჩამოსახლებული ოსები ბუნებრივად აღმოჩნდნენ ხსენებულ სისტემაში მოქცეული და დაექვემდებარენ ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს გავლენას.

XX საუკუნის დასაწყისში ოსები სახლობდნენ შიდა ქართლის მდინარეთა ხეობებში. სამეურნეო-ეკონომიკური კომუ-

¹ ჩიტაია გ. ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ, შრომები ტ. IV, გვ. 90; მუსხელიშვილი დ. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაციები, თბ. 2014, გვ-89; ჩიქოვანი გ. საქართველოს ჩრდლოეთ მთიანეთის დასახლების სტრუქტურა და სახადხო საკრებულოს ადგილი მასში, თბ. 2015 11-12

² ჩიტაია გ. ქსნური მთის გუთანის, ენიმკის მოამბე V-VI, თბ. 1940 გვ. 486

ნიკაციის მიმართულება ემთხვეოდა ამ მდინარეთა მდინარე-ბას სამხრეთისაკენ, მთიდან მთისწინეთისა და ბარისაკენ. ეს ხეობები იყო კუდარო (მდინარე ჯეჯორა რაჭაში), დიდი და პატარა ლიახვის ხეობა, ჭფრონეების ხეობა, მეჯუდას ხეობა, ლეხურას ხეობა, ლუდა (თეთრი არაგვის სათავე), თრუსო (მდინარე თერგის სათავე). ეს ხეობები ერთმანეთისაგან საკმაოდ მაღალი მთებით იყო გამოყოფილი და სხვადასხვა ქართულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულში (საერისთავოში) შედიოდა. ამის გამო ოსი მოსახლეობა, რომელსაც ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი თუნდაც მეზობელ ხეობასთან, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბარში არსებულ ქართულ ცენტრებთან. უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისა და ცხინვალის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადებისას, გაითვალისწინეს, არა ეთნიკური შემადგენლობა. არამედ რეგიონის ეკონომიკური კონსოლიდაციის პერსპექტივა. კერძოდ, ცხინვალის გარდა შეუძლებელი იყო სხვა ქალაქი შერჩეულიყო დედაქალაქად. თავისი მდებარეობით იგი ხელმისაწვდომი იყო თუნდაც ფრონეების, დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდასა და ლეხურის ხეობის მთისა და მთისწინეთისათვის, თუმცა სრულიად მოუხერხებელი – ქსნის ხეობის, ოსური დასახლებებისათვის. რაც შეეხება არაგვისა და თერგის ოსურ მოსახლეობას მათი შეყვანა ახლადშექმნილ წარმონაქმნში, ხსენებული გარემოების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა რეგიონის ტრადიციული სისტემიდან სრული ამოგლეჯა და ეთნოსოციალური ვითარების რადიკალური ტრანსფორმაცია. ოსების ეთნიკური კონსოლიდაციის და რუსეთთან მათი კავშირის გაძლიერების მიზნით, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო საკომუნიკაციო ქსელების მოწესრიგება ორი მიმართულებით: პირველი გულისხმობდა ავტონომიური ოლქის დედაქალაქთან მოსახლეობის მიმოსვლის გაადვილებას, მეორე კი – ჩრდილოეთ ოსეთთან დამაკავშირებელი საუღელტეხილო მაგისტრალების გაყვანას. ამასთანავე, რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რაც კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ეგიდით მიმდინარეობდა თავისთავად განაპირობებდა ძველი სამეურნეო-კულტურული ვითარებისა და ტრადიციული ეკონომიკური კომუნიკაციის

სისტემურ ცვლილებას. როგორც გ. ჯალაბაძე აღნიშნავს, ლანდშაფტურ-ზონალური, ეკოლოგიური და ეთნიკური ფაქტორების გარდა რეგიონის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ვითარებაზე გავლენას ახდენდა სოციალ-პოლიტიკური კონიუნქტურაც. საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის შედეგად ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობების მოშლამ და რეგიონის მაღალმთიანი ადგილების მთლიანად მეცხოველეობაზე გადაყვანამ, ძლიერი მიგრაციული პროცესი და მთის სოფლების თანდათანობით დაცლა გამოიწვია.¹

გასაბჭოებამდე სოაო-ის ხეობების სოფლებისათვის, ისე როგორც მთელი საქართველოსათვის, დამახასიათებელი იყო ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებული მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზი. მთაში წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა, მთისწინეთსა და ბარში კი მისი სვედრითი წილი მინათმოქმედების სასარგებლოდ მცირდებოდა. შესაბამისად ბარის მოსახლეობას სჭირდებოდა მთის რეგიონებში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტი, ხოლო მთის მოსახლეობა ბარში წარმოებულ სამინათმოქმედო პროდუქციაზე იყო დამოკიდებული. როგორც ითქვა, გასული საუკუნის 20-იანი წლებისათვის ოსური მოსახლეობა ძირითადად მთიან ზოლში იყო კონცენტრირებული. ეს ზონა მცირემინიანობით ხასიათდებოდა, რაც მინის შედარებით მაღალ ღირებულებას განაპირობებდა. ი. ზეიდლიცი წერს, რომ ოსები ძალზე მაღალ ფასს ადებენ სახნავ მიწებს (ზოგჯერ დესეტინა თითქმის 1000 მანეთამდე ღირს). ის ბედნიერი ადამიანები ვინც დაბლობებზე გადასახლდებიან, მამაპაპისეულ მიწებს, როგორც წესი, არ თმობენ და გარკვეული პირობებით უტოვებენ იქ დარჩენილ ღარიბებს.² ოჯახის ბარში გადასახლების შემთხვევაში მას უფლება ჰქონდა საკარმიდამო თანამოგვარისთვის მიეყიდა, რათა გვარს ეს ქონება არ დაჰკარგვოდა. ასევე შეეძლო მიწა თავისთვის დაეტოვებინა, ამოსულიყო და დაემუშავებინა, ან თანა-

¹ ჯალაბაძე გ., ქსნის ხეობის მოსახლეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 17-2

² Зейдлиц Н., Поездка в нагорную Осетию. Известия Кавказского отделения Императорского русского географического общества, Т.2, Тифлис, 1873-1874 с. 106-111

მოგვარისათვის სანახევროდ მიეცა. ლიახვისა და ქსნის ხეობებში მიწები ძირითადად ქართველ მემამულეებს ეკუთნოდა, ამიტომ საქართველოში ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალურად ე.წ. ხიზნის კატეგორიაში შედიოდა. ოსებით დასახლებულ სოფელში ახალმოსახლეს სამი წლის განმავლობაში ადგილობრივად არ თვლიდნენ. მას თავისთვის მიწის ყიდვაც არ შეეძლო. სამი წლის მერე იკრიბებოდნენ ნიხასზე და ამ ახალმოსახლეს ნაკვეთს გამოუყოფდნენ იქ, სადაც მიწა შედარებით სწორი და ადვილად დასამუშავებელი იყო.¹ ტრადიციული წესის მიხედვით ოსებს მუშაობა კვირაში მხოლოდ სამნახევარ დღეს (ზუსტად ნახევარი კვირა) შეეძლოთ. კვირა, ორშაბათი, პარასკევი და შაბათის პირველი ნახევარი უქმე დღეებად ითვლებოდა და მხოლოდ უკიდურესი საჭიროება თუ აიძულებდა მათ პარასკევს და შაბათს ემუშავათ, ისიც თუ თავის სამეზობლოს გასამასპინძლებლად მსუქან ცხვარს შესწირავდა.²

ჩრდილოეთიდან გადმოსული მიგრანტები ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცარიელებულ მაღალმთიან ან ტყიან ადგილებში სახლდებოდნენ, სწორედ აქედან მიმდინარეობდა მათი ინფილტრაცია შიდა ქართლის სამხრეთით და საქართველოს სხვა რეგიონებში.³ ახალ საცხოვრისს ირჩევდნენ იქ სადაც წყალიც იყო, გზაც და წისქვილის გაკეთებაც შეიძლებოდა, ტყეებს კი კაფავდნენ.⁴ საახოე სისტემა მთიანი ზოლის ქართულ მოსახლეობაშიც მოქმედებდა. ამ სისტემასთან დაკავშირებით გამოიყენებოდა ხელით შრომის ისეთი იარაღები,

¹ Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование), М., 1967, с. 66.

² анонимный автор «Вероисповедание, суеверия, обряды, правление, обычай и нравы осетин». Письмо VI Газ. «Тифлиские ведомости» 1830 г., 84

³ Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование), М., 1967, с. 66; ქანთარია მ. თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, საველე მასალა, ქურთათის ხეობა, სოფ. ბარიზიყაუ

⁴ ქანთარია მ. თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, საველე მასალა, ქურთათის ხეობა, სოფ. ბარიზიყაუ

რომლიც ბარში არ გვხვდება.¹ ახოს თოხით ამუშავებდნენ, და როდესაც ფესვები ჩაღებოდა, შეიძლებოდა მოხვნა. ქართულის მსგავსად მთის ლანდშაფტსა და ნიადაგის თავისებურებებს იყო მორგებული ოსური სახვნელი იარაღი. მთიან რეგიონში გავრცელებული ოსური სახნისი, მართალია, სახნავი იარაღების მარტივ ტიპს განეკუთვნება, რომელსაც მხოლოდ ნიადაგის აჩეჩვა შეეძლო, მაგრამ იგი ეფექტურად იყო მორგებული მთის თხელ და ფხვიერ ნიადაგებს. იარაღის ეს ტიპი გამოიყენებოდა სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც (კოლხეთი, ლენქორანი).² „ძივირი“ (ძუგური) ქართული ჩუთისა და კავის ანალოგიური იყო, იგი კონსტრუქციის უბრალოებით გამოირჩეოდა და მხოლოდ ერთი უღელი ხარი და ერთი მუშა სჭირდებოდა; წინამთიანეთსა და დაბლობ ადგილებში ოსები მიწას ძირითადად ქართული ტიპის იარაღებით ამუშავებდნენ; კერძოდ, ეს იყო: ხის გუთნი (хъадын гутон), რომელსაც 2-დან 4 უღელ ხარამდე ესაჭიროებოდა და რთული კონსტრუქციით გამორჩეული დიდი ქართული გუთანი, რომელიც მუშახელისა და გამწვევი პირიტყვის დიდ რაოდენობას მოითხოვდა.³ აღსანიშნავია, რომ სამინათმოქმედო იარაღების უმეტესობა ქართულის ანალოგიური იყო და ტერმინებიც ქართულთან მსგავსებას ამჟღავნებდა,⁴ მაშინ როდესაც მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგია ირანული იყო.⁵ ოსების სამი-

¹ კედელაძე მ., მოსავლის აღებასთან დაკავშირებული სამეურნეო იარაღები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 71

² ჩიტაია გ. ოსური სახვნელი იარაღი – ძუბურ, თხზულებანი ტ. 1, გვ.157,160-161; .Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование), М., 1967, с. 68

³ Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб. 1985, с: 131-132

⁴ Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб. 1985, с. 131-132; Кантария М. Некоторые вопросы земледельческого быта в горной Осетии, Кавказский Этнографический Сборник, V, 1980, с. 100-154

⁵ Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование), М., 1967, с.:75

ნათმოქმედო კალენდარულ ციკლში გარკვეულწილად ასახული იყო მესაქონლეობასთან დაკავშირებული დღესასწაულები, რაც მათ ურთიერთკავშირზე მიუთითებს.¹ მინათმოქმედების დარგებიდან ისინი მხოლოდ მემარცვლეობას მისდევდნენ, მევენახეობას, მებაღეობას და მებახჩეობას კი ნაკლებად იცნობდნენ, ხოლო ქართული მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში, პირიქით, სწორედ ამ დარგებს ეჭირა წამყვანი ადგილი. შიდა ქართლის დაბლობზე მინათმოქმედება მაღალ დონეზე იყო განვითარებული და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოზე მორგებული, რაც მის მაქსიმალურ ეფექტურობას განაპირობებდა.²

რეგიონის ქართულ და ოსურ მოსახლეობაში გავრცელებული კოლექტიური შრომის ფორმები ერთმანეთის მსგავსი იყო. ქართველებში – ნაცვალგარდობა, შრომის გაერთიანება, როდესაც სამაგიეროს გადახდა შეიძლებოდა სხვა სახის სამუშაოს შესრულებით: მკა, თიბვა და ა.შ. ჩვეულებრივ – „დღემი დღე“ რასაც დანაცვლებას ეძახდნენ. ქართველებმა იცოდნენ, ასევე დაძახილი მუშა, მამითადი, ულამი და ა.შ.³ ოსურ დასახლებებში ღარიბი და თვით საშუალო გლეხებიც კი მიწებს მეზობელთა გაერთიანებული უღლეულებით ამუშავებდნენ. ამგვარ გაერთიანებებს სხვადასხვა პირობით ადგენდნენ, ითვა-

¹ Чибиров Л. Народный земледельческий календарь осетин, Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тбилиси, 1977, с.19

² Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб. 1985, с. 129-131; კედელაძე მ., მოსავლის აღებასთან დაკავშირებული სამეურნეო იარაღები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ.71-76; გელაძე თ., მემინდვრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973: გვ. 78-97; Кантария М. Некоторые вопросы земледельческого быта в горной Осетии, Кавказский Этнографический Сборник, V, 1980: с. 92-174).

³ გელაძე თ., მემინდვრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 80, 89)

ლისწინებდნენ რამდენი გამწვევი პირუტყვი ეკუთნოდა ამა თუ იმ პირს, ვისი იყო ულელი და ა.შ. ფართოდ იყო გავრცელებული ძველი ოსური ურთიერთდახმარების ფორმა „ზიუ“, რომელიც ნაცვალგარდობის მსგავსად სამაგიეროს გადახდაზე დაფუძნებული ტრადიცია იყო. იგი გარკვეულ ვალს წარმოადგენდა, „დღეს მე დამეხმარები, ხოლო ხვალ შენ უნდა დაგეხმარო“.¹

მთის ზონაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უპირატესობით, მისდევდნენ მეცხვარეობასაც. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მსხვილფეხა საქონელი გავრცელებული იყო ყველგან, როგორც მენველი, ისე გამწვევი ძალის სახით. მეცხვარეობას მისდევდნენ უფრო ხეობების შუა და ზემო ნაწილში, რადგან მის ქვემო წელზე განვითარებული ინტენსიური მინათმოქმედების პირობებში ცხვრის ფარისა და თხის მოშენება ნაკლებად იყო შესაძლებელი.² მსხვილფეხა პირუტყვთან დაკავშირებულ სქესობრივ-ასაკობრივი თუ სხვა სახის ქართული ტერმინოლოგია მთლიანად ემთხვევა საქართველოში სხვაგან არსებულ მონაცემებს.³ მაშინ როდესაც, აბაევის თანახმად, თითქმის ყველა ოსური სიტყვა რომელიც მესაქონლეობას უკავშირდება, ძველირანული წარმომობისაა.⁴ ოსებში, როგორც ეტყობა, მეცხვარეობა ყოველთვის იყო მეტ-ნაკლებად განვითარებული მეურნეობის დარგი, რაც მოწმდება, არა მარტო არქეოლოგიური მასალით, არამედ ფოლკლორული და მითოლოგიური მონაცემებით. ოსურ პანთეონში არის საგანგებო ღვთაება ფალვარა, რომელიც უძველესი დროიდან წარმოადგენდა მეცხვარეობის მფარველ ღვთაებას. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ ასევე იმასაც, რომ მეცხვარეობა შედარებით გვიანდელ ეპოქაშიც საკმაოდ პოპულარული იყო. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ გადარეკვითი მეცხვარეობა, რომელიც ცენტრალურ კავკასიაში III ათასწლეულში ჩამოყალიბდა, ოსებშიც უნ-

¹ Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование), М., 1967 с.175

² მაკალათია მ. მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 197, გვ. 1973: 56

³ იქვე, გვ. 58

⁴ Абаев В. Осетинский язык и фольклор, Т. 1, М-Л 1949, с.56-59

და ყოფილიყო გავრცელებული. ცალკეული ცნობებიც ადასტურებს, რომ ალანებს ჰყავდათ ცხვარიც, რომელსაც ზაფხულობით მთებში ინახავდნენ, ხოლო ზამთრობით – კუმიკების მცირეთოვლიან სტეპებზე. ნართების ეპოსში ხშირადაა ნახსენები შავი ცხვრის ფარები. მას შემდეგ, რაც ალან-ოსები კავკასიონისაკენ შეაფინროეს მათი მესაქონლეობის მასშტაბები ბუნებრივად შეიზღუდა, გაქრა გადარეკვითი მეცხვარეობა და მეცხენეობა. თუმცა, ცალკეულ მკვლევართა დაკვირვებით, მთებში ბოლომდე შემორჩა ცხვრის თუ მსხვილფეხა საქონლის ცალკეული ძველი ჯიშები.¹

საქონლის სადგომად ზაფხულობით ოსები გამოიყენებდნენ საგანგებოდ შეღობილ ნაკვეთებს („ქართი“). წვრილფეხა რქოსანი საქონლისათვის აშენებდნენ მოწნულ, მსხვილფეხასათვის კი ქვის სადგომებს. სიცივეების დადგომასთან ერთად საქონელი შეჰყავდათ ბოსლებში. უნდა ითქვას, რომ ტერმინი „ქართი“ იგივე მნიშვნელობით ქართველებშიც გვხვდება და ჩრდილო კავკასიელებშიც. ზამთრობით საქონელი გადადიოდა ბაგურ კვებაზე, აძლევდნენ სიმინდის ჩალას, თივას და ბზეს, ხოლო ცხენებს უმატებდნენ ქერსაც. სოფლების მახლობლად განლაგებული საძოვრები განკუთვნილი იყო მსხვილფეხა პირუტყვისათვის, ხოლო სათიბები უფრო მოშორებით, მაღალ და ძნელადმისადგომ ადგილებში მდებარეობდა, საიდანაც თივა ძირითადად თოვლის შემდეგ მოჰქონდათ. მისდევდნენ გადარეკვით მესაქონლეობას.²

პირუტყვის მოვლა-პატრონობა მთასა და დაბლობებზე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. თუ მთისწინეთსა და დაბლობში მსხვილფეხა პირუტყვის მწყემსვა მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მაღალმთიან რაიონებში პირიქით წელიწადში თითქმის 7 თვე პირუტყვი ბაგურ კვებაზე იმყოფებოდა. აქედან გამომდინარეობდა განსხვავება სკვების დამზადებაში, მწყემსების დაქირავებასა და მოვლა-პატრონობაში. მთის თემებში მწყემსს ქირაობდნენ მხოლოდ ზაფხულობით, ხოლო

¹ Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование, М., 1967 с 78-79.

² Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование, М., 1967 с 129;

დაბლობებში მთელი წლის მანძილზე. სათიბები საერთო სათემო საკუთებას წარმოადგენდა, ამიტომ იყო გარკვეულ თიბვის დასაწყისი გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა.¹

ბარის და მთისწინეთის მოსახლეობაში ძირითადად გავრცელებული იყო გადარეკვითი მეცხვარეობა.² ცხვარი „დიდ მთებზე“ თიბათვის პირველ რიცხვებში უნდა წაეყვანათ. ქსნის ხეობის მეცხვარეები თავს იყრიდნენ წითელ ხატთან (ჟამურის ხეობა) დვრიტეულში და „სამხთოს“ იხდიდნენ. წითელ ხატს მხოლოდ წითელ ბატკნებს სწირავდნენ. „სამხთოს“ იხდიდნენ მარიამობის თვეშიც, როდესაც ცხვარ-მეცხვარე უკან ბრუნდებოდა ცხვრის საზამთრო საძოვრებად კი ძირითადად ქსნის ხეობის ბარი (ძეგლევი, ქსოვრისი, მუხრანი, ალაიანი, წეროვანი, ქანდა, ოკამი, ციხისძირი, წილკანი, ჩობალაური და ა.შ) გამოიყენებოდა. ლიახვის ხეობიდან ცხვარი მიჰყავდათ ტირიფონის ველსა და გორიჯვარზე.³

რეგიონის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში საბჭოთა პერიოდამდე გარკვეული როლი ენიჭებოდა შინამრეწველობასაც, განსაკუთრებით იმ დარგებს, რომლებსაც ნედლეულის ბაზა ადგილზე ჰქონდა, ან რომელიც მეურნეობის ძირითად დარგებს უკავშირდებოდა. მაგ. მესაქონლეობის ბაზაზე განვითარებული იყო რძის პროდუქტებისა და შალის ნაკეთობების წარმოება. კავკასიის ხალხებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ოსური შალის ნაწარმი. აკეთებდნენ ნაბდებს, ქუდებს და ა.შ. საკმაოდ განვითარებული იყო ტყავის ნაკეთობათა შინაურ პირობებში დამზადება.⁴ ოსები ამზადებდნენ თექის ნა-

¹ Анонимный автор, Вероисповедание, суеверия, обряды, правление, обычай и нравы осетин, Газ. Тифлиские ведомости, 1930 г., 84 Письмо VI

² Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб. 1985, с.129; მაკალათია მ. მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 62-65; Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование, М., 1967 с 79

³ მაკალათია მ. მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 63-66

⁴ Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб. 1985, с.133; Магометов А., Культура и Быт осетинского крес-

წარმსაც, რომელიც მცენარეული საღებავებით იღებებოდა და ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. ხშირად მას საქართველოს ბაზრებში ჰყიდდნენ და სანაცვლოდ ქარხნული წარმოების ქსოვილებს, მარილს და სპილენძის ქვაბებს ყიდულობდნენ. დამუშავებული ტყავისაგან მზადდებოდა უხეში ფეხსაცმელი (არჩი), თოკები და ა.შ. თითქმის ყველა სოფელს ოსეთში თავისი ხელოსნები ჰყავდა, რომლებიც აკეთებდნენ უნაგირებს, უზანგებს, კავეებს და ა.შ.¹ საქართველოში მცხოვრები ოსები მისდევდნენ ასევე მეთუნეობას; ამზადებდნენ დოქებს, თეფშებს, კეცებს და თონეებსაც.² ოსები მეურნეობის ხსენებული დარგების გარდა დადიოდნენ გარე სამუშაოებზე, ჰქონდათ ხელოსნობის სხვადასხვა დარგები, იცნობდნენ საჭაპანო და სააღლო ტვირთშიდი ტრანსპორტის დამზადებას და ა.შ.³ მე-19 საუკუნის ბოლოს ქსნის ხეობის ოსთა შორის ფართოდ გავრცელდა ქალების სამუშაოზე გასვლა. ჯანმრთელი ახალგაზრდა დედები მიდიოდნენ თბილისში და იქ შეძლებულ ოჯახებში ძიძად მსახურობდნენ. ეს ძიძები დიდი პოპულარო-

тъянства., Орджоникидзе, 1963, с. 1963: 49; ყარაულაშვილი ც., ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 99-118; გასიჭამვილი გ. ხის დამუშავების ხალხური წესები და სატრანსპორტო სამუშაოებები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 133-152; ბედუკიძე ლ., ქსნური ხის ავეჯი, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 156-167; ზანდუკელი მ., ქსნის ხეობის კერამიკა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973, გვ. 169-188; Т е х о в Ф. Охотничий язык у осетин, ИЮОНИИ АН ГССР, вып. XXIII, Цхннвали, 1972, с. 121; Калоев Б. Осетины, с. 92; Скитский Б.В. Хрестометия по истории Осетии, Часть 1, Орджоникидзе, 1956, с. 145

¹ Скитский Б.В. Хрестометия по истории Осетии, Часть 1, Орджоникидзе, 1956, с. 145

² Робакидзе А. (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Тб. 1985, с.133)

³ Калоев Б. Осетины, с. 62-83

ბით სარგებლობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ განსაკუთრებით მსუყე და ჯანმრთელი რძე ჰქონდათ.¹

შინამრეწველობის ნაწარმს და მეცხოველეობის პროდუქტს ოსები ქართულ ქალაქებსა და სოფლებში ასაღებდნენ. ზოგჯერ ცვლიდნენ – ქართლის ბარში მოწეულ მინათმოქმედების პროდუქციაზე, ზოგჯერ კი საბაზრო ადგილებში ჰყიდდნენ (ონი, ცხინვალი, გორი, თბილისი) და მათთვის საჭირო საქონელს იძენდნენ. XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი წერდა, რომ ცხინვალში წელიწადში ორჯერ იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ ოსები სავაჭროდ. ჰყიდდნენ ცხვარს, ხბოს, ყველს, კარაქს და ა. შ.² ცხინვალის ბაზარზე ფულის ნაცვლად, ზოგჯერ მათ პროდუქტში მარილს უხდიდნენ, რაც მთიელებში მეტად ფასობდა. მართალია, ვაჭრები ხშირად ძალიან იაფ ფასებში ართმევდნენ სურსათ-სანოვაგეს; ატყუებდნენ მათ ზომა-წონაში; სანონად იყენებდნენ ბეჭდიან ქვებს; რუსულ წყრთას რამდენადაც შეეძლოთ აპატარავებდნენ და ასე უზომავდნენ გასაყიდ ტილოს ან შალის ქსოვილებს. ზოგიერთი ამ ტყუილში უფრო შორს მიდიოდა. გადაუზომავდნენ საქონელს ზომაზე ბევრად შემცირებული წყრთით და ეუბნებოდნენ, რომ ესაა ახალი, გორში მიღებული საზომი. ოსები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, ოღონდ მიედლოთ საქონელი რომელის შეძენა, ცხინვალის გარდა, არსად არ შეეძლოთ.³

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული კოლექტივიზაციის შედეგად რადიკალურად შეიცვალა სამეურნეო გარემო. მეურნეობის სიმპიოზური ფორმის ტრანსფორმირება, რაც მთის ზონაში მინათმოქმედების ხვედრითი წილის შემცირებაში და საოჯახო მეურნეობებისათვის სავარგულებისა და სათიბი მიწების შეზღუდვაში, ხოლო ბარში კერძო საქონლის

¹ სონლულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბ. 2009, გვ. 173-174

² აიხვალდი ე. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გიგელაშვილმა, თბ., 2005. გვ. 235

³ სონლულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბ. 2009. გვ. 188-189

ოდენობის შეზღუდვაში, მინების კოლმეურნეობებში გაერთიანებაში და უფრო მომგებიანად მიჩნეული მეურნეობის დარგების დანერგვაში მდგომარეობდა.

მთის ზონაში მანამდე კერძო საკუთრებაში მყოფი ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონელი, საკოლმეურნეო ფერმებში გააერთიანეს. შედეგად მოხერხდა მეურნეობის ამ დარგის რენტაბელობის გაზრდა.¹ თუმცა შემცირდა ამ სფეროში დასაქმებულთა ოდენობა და მოტივაცია, მოიმატა მიგრაციამ. შრომის ორგანიზაციის საბჭოური სისტემის პირობებში დავინწყებას ეძლეოდა ურთიერთახმარების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფორმები: მამითადი, ზიუ და ა.შ. მექანიზაციის ხვედრითი წილის გაზრდის შედეგად იზღუდებოდა ყოფაში ძველი სამინათმოქმედო იარაღების გამოყენება. თითქმის მთლიანად ამოვარდა ხმარებიდან ადგილობრივი სახვინელის ტიპები. მკვიდრდებოდა ახალი სამინათმოქმედო კულტურები და ქრებოდა ძველი. კოლექტივიზაციის და მრეწველობის განვითარების პირობებში ირღვეოდა ტრადიციული ურთიერთობები. ყოველივე ეს ხდებოდა ძლიერი მიგრაციული და ურბანული პროცესების ფონზე. აღსანიშნავია, რომ ოსების პირველი მასობრივი მიგრაცია საქართველოდან (შიდა ქართლი, თრუსო, არაგვის ხეობა) 1940-იან წლებში განხორციელდა. 1944 წ. ჩრდილო კავკასიიდან დეპორტირებული ინგუშების ნასოფლარებზე გადასახლების მსურველი შიდა ქართლის ოსურ სოფლებშიც მრავლად აღმოჩნდა. 1946-48 წლებში ატენის ხეობის მთიანი ზონისა და შიდა ქართლის ოსებით დასახლებული რვა სოფელში (ზემო ახალსოფელი, იკვნევი, ღვედირეთი, ხენე, წერეთი, ურიული, დიდთავი, ნადარბაზევი) მცხოვრებმა ოსებმა ადგილებრივ ხელისუფლებას განცხადებით მიმართეს, რომ ისინი ჩრდილოკავკასიის მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე გადაესახლებინათ. მართალია, ისინი ამ სურვილს მცირემინიანობით და ნაკლებშემოსავლიანობით ასაბუთებ-

¹ Магометов А., Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 197-200

დნენ, მაგრამ თრუსოს მოსახლეობისაგან განსხვავებით ხსენებული ოსები საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ.¹

სსრკში საკოლმეურნეო მოძრაობა მეტად მტკივნეულად წარიმართა. მარქსისტული იდეოლოგიის ფუძემდებლური პრინციპები გულისხმობდა კომუნისტური გადატრიალების შემდეგ მიწის კერძო მესაკუთრე ღარიბი გლეხობა „მიწის მუშა გამხდარიყო“ და კოლექტიურ კოლმეურნეობაში განწევრიანებულიებს საერთო დოვლათის შექმნაში ქალაქის პროლეტარიატის მსგავსად მიეღო მონაწილეობა. სწორედ ამიტომ, ოქტომბრის გადატრიალების პირველ წლებში ლ. ტროცკის ინიციატივით როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში იქმნებოდა „შრომითი არმიები“, რათა წარმოება მთლიანად გადასულიყო კოლექტივისტურ საფუძვლებზე და ტოტალური განზოგადება მომხდარიყო. მაგრამ სოფლად მზარდი უკმაყოფილების ტალღამ საბჭოთა ხელისუფლება აიძულა კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზევე წასულიყო კომპრომისზე და კოლმეურნე გლეხებს მცირეოდენი პირუტყვი და საკარმიდამო ნაკვეთები დაუტოვეს. ამგვარი დათმობა გარკვეულ შეღავათს აძლევდა ნაყოფიერ მიწებზე, მცხოვრებ გლეხებს, მაგრამ ფაქტიურად არაფრის მომტანი იყო იმ რეგიონების მოსახლეობისათვის სადაც მცირე საკარმიდამო ნაკვეთზე მნიშვნელოვანი მოსავლის მოწევა შეუძლებელი იყო.² XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა საკოლმეურნეო საქმიანობის ორგანიზება. კიდევ უფრო გაიზარდა კერძო მეურნის დაინტერესება, კერძოდ, შემოიღეს მიწის ნაკვეთებისა და საქონლის გაპიროვნების წესი.

ცენტრალიზებული კომუნისტური მმართველობის სისტემისა და გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის პირობებში უფრო ინტენსიური გახდა სოაო-ის მოსახლეობის კომუნიკაცია საქართველოს სხვა რეგიონებთან; გაიზარდა კულტურულ-სამეურნეო და გეოეკოლოგიური ინტეგრაცია; ჩამოყალიბდა საკმაოდ მტკიცე ოსურ-ქართული სამეურნეო და სოციალ-

¹ ალამბარაშვილი ი. ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში – მიზეზები და მიზნები, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XV, თბ., 2019 გვ. 333, 338

² ა. დაუშვილი, კოლმეურნეობა საქართველოში, წიგნი I, თბ., 2020, გვ. 298-299.

კულტურული კავშირები. ძირითად მიმართულებად კვლავ სოფლის მეურნეობა რჩებოდა, ერთ სულ მოსახლეობაზე აქ 42 %-ით ნაკლებ პროდუქციას აწარმოებდნენ, ვიდრე საშუალოდ საქართველოში.¹ გორის და ცხინვალის რაიონში წამყვანი ადგილი ეჭირა მებალეობა-მევენახეობას, ჯავაში – მესაქონლეობას.² ასევე წამყვანი იყო მესაქონლეობა ახალგორის რაიონის (ქსნის ხეობის) მთიან ნაწილში, ხოლო ბარში აქაც მინათმოქმედება წარმოადგენდა ძირითად დარგს.³ აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს სხვა რეგიონებს საკმაოდ ჩამორჩებოდა. მისი მოსახლეობა ქვეყნის საერთო წილის 2%-ს შეადგენდა, მთლიანი შიდა პროდუქტის 1,2%-ს აწარმოებდნენ და მასზე რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 1,5% მოდიოდა. ეროვნული შემოსავლის წარმოების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ოლქში საშუალო-რესპუბლიკურ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მხოლოდ 60,4 პროცენტის ტოლი იყო. ინდუსტრიული განვითარების დონე ძალიან ნელა იზრდებოდა, ოლქი ჯერ კიდევ აგრარულ-ინდუსტრიულად რჩებოდა. სამხრეთ ოსეთში ერთ სულ მოსახლეზე 42,7 პროცენტით ნაკლებ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებდნენ, ვიდრე საშუალოდ მთელ რესპუბლიკაში. 80-იანი წლების დასასრულს სამხრეთ ოსეთში საშუალო თვიური ხელფასიც დაბა-

¹ თოთაძე ა., ოსები ქართულ მინა-წყალზე, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996, გვ 1996:223; ხარებოვი ბ., სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია, ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზების ძიება, თბ., 2011, გვ, 6-7

² მაკალათია ს, ლიხვის ხეობა, თბ. გვ.7

³ ჯანიაშვილი ლ. 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის თავისებურებები ახალგორის რაიონში, წიგნში ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, თბ. 2015. გვ.162

ლი იყო - 148 მანეთი (საქართველოში - 186 მანეთი, სსრკ-ში - 220 მანეთი)¹

1930-იანი წლებიდან დაიწყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ინდუსტრიული განვითარება, თუმცა ძირითადად იქმნებოდა შედარებით წვრილი, კუსტარული ტიპის საწარმოები და მათი ხვედრითი წილი მეურნეობის მხოლოდ 13%-ს შეადგენდა. ძირითადი ადგილი ეჭირა ახალმშენებლობებს და ნედლეულის წყაროების ათვისებას.² საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოები იყო განთავსებული: კვასისა ტყვიისა და ცინკის საბადო, ქარხნები - „ელექტროვიტრომაშინა“ და „ემალპროვოდი“, რესპუბლიკური დაქვემდებარებისა კი - „საქტალკი“, სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკები, ავტობუსმემკეთებელი და საავიაციო ქარხნები და სხვა საწარმოები. ასევე აქ იყო ადგილობრივი მრეწველობის ობიექტები. ოლქიდან გადიოდა სამშენებლო მასალები, ხე-ტყე, მინერალური წყლები. ტრანსკავკასიური მაგისტრალი სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთთან პირდაპირ აკავშირებდა. სოფლის მეურნეობას სახელმწიფო სტრუქტურები ეწეოდნენ (კოლმეურნეობებს საბჭოთა მეურნეობები ჩაენაცვლა.³ საბჭოთა მეურნეობების პირობებში საქონლის ფერმებში ბევრად უფრო ნაკლები მუშახელი იყო საჭირო, ძირითადად მესაქონლეობით დასაქმებული ოსების დიდი ნაწილი ამ საქმიანობისაგან გამონთავისუფლდა, გააქტიურდა ურბანული პროცესები, რაც მთის ოსური მოსახლეობის დაბლობებში ძირითადად საქალაქო ცენტრებში (ცხინვალი, ახალგორი, გორი და ა.შ) გადაადგილებაში მდგომარეობდა. რაც სავლელ ეთნოგრაფიულ მასალაშიც კარგად ჩანს.

„20-იან წლებში სულ 20 ოსური ოჯახი ცხოვრობდა ახალგორში. პოლიტიკა იყო ასეთი, რაიკომის მდივანი თუ ქართველი იყო, აღმასკომის თავმჯდომარე ოსი უნდა ყოფილი-

¹ ხარებოვი ბ. დასახ. ნაშრ., გვ.6-7; Тадтаев Т. Промышленность Южной Осетии в 20–40-х гг. XX в. с. 31 /internet versia/ <https://cyberleninka.ru/article/n/promyshlennost-yuzhnoy-osetii-v-20-40-h-gg-hh-v>

² Тадтаев Т. Промышленность Южной Осетии в 20–40-х гг. XX в. с 35

³ ხარებოვი ბ. დასახ. ნაშრ., გვ.7

ყო. ისე ხდებოდა, რომ ჩვენი ბედოვლათი რაიკომის მდივნები ვერაფერს აწყობდნენ, ხოლო ცხინვალიდან დავალება ჰქონდათ, რომ ოსები, ახალგორში ჩამოესახლებინათ. ეს ოსები მწყემსები იყვნენ, აძლევენ ბინებს, მაგრამ მათ ნაკლებად აინტერესებდათ ქალაქი, თუმცა შვილებს აგზავნიდნენ საცხოვრებლად. მე 1980 წელს მივიღე ბინა ახალგორში. ჩვენს კორპუსში 12 ოსური ოჯახი ჩამოასახლეს. ადრე ახმაჯში (სოფელია ლ.ჯ.) არც ერთი ოსური ოჯახი არ იყო. 50-იან წლებში თანდათან დაიწყეს ჩამოსვლა და ახლა ნახევარი სოფელი ოსებია.”

(ხანდაზმული მამაკაცი, მცხეთის მუნ.
წეროვანის დასახლება)

მთისწინეთსა და დაბლობებში, იქ სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ, წამყვანი ადგილი ეჭირა მინათ-მოქმედებას. საბჭოთა პერიოდში დანიშნაურდა მებაღეობა-მევენახეობა. ამას ხელი შეუწყო საირიგაციო სისტემის განვითარებამ. მართალია ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის და სხვა ხეობების მოსახლეობას ძველთაგანვე ჰქონდა მონყობილი სარწყავი, არხები, მაგრამ საბჭოთა პერიოდში კოლმეურნეობათა შემოსავლის გაზრდის მიზნით გაკეთდა რამდენიმე კაპიტალური სარწყავი მაგისტრალი. დიდი ლიახვის ხეობაში სამი, პატარა ლიახვის ხეობაში – ორი, მდინარე ფრონის ხეობაში კი ერთი ცენტრალური არხი ფუქციონირებდა ამ სოფლებში წამყვანი იყო ვაშლის ბაღები. ეს ზონა და ზოგადად შიდა ქართლი მოსავლიანობისა და ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. აქაური ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია: ჩინური, გორული მწვანე, ატენური, ბუდეშური, ანდრეული, ასურეთული, დირბულა, დაკიდულა, თავკვერი და სხვა... ქართლში, უმეტესად ვაზის დაბლარი ჯიშები ხარობდა. კოლმეურნეობებში მონეული პროდუქტი ძირითადად სახელმწიფოს ბარდებოდა და რუსეთში იგზავნებოდა; საკარმიდამო ნაკვეთში მოყვანილი პროდუქციით ნაწილი კი ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა. უმეტესად მთაში მცხოვრები ოსები და დაბლობში მცხოვრები ქართველები ურთიერთსარგებლიან ვაჭრობაში იყვნენ ჩართული. ოსებს ხორცი, ყველი, მატყლი, კარტოფილი, ხის ნაკეთობები ჩამოჰქონდათ ბაზარზე, ქართველებს კი – ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული. სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა

ბაზრის სიახლოვისა და საკომუნიკაციო სისტემის გამართულობაზე იყო დამოკიდებული. კუდაროს მოსახლეობა ძირითადად ონთან იყო დაკავშირებული, ზემო იმერეთის მიმდებარედ მცხოვრებნი – საჩხერესთან, ფრონეების ხეობა – ხაშურთან და ქარელთან, დიდი და პატარა ლიხვი ცხინვალთან და გორთან, ჯეჯორა – კასპთან, ქსნის ხეობა კი თბილისთან.

„სინაგურის ოსური მოსახლეობა საჩხერესთან უფრო ახლოსაა ვიდრე ცხინვალთან და ჯავასთან საავადმყოფო სჭირდებოდათ თუ ბაზარი აქ უფრო ახლოსაა. გზა კარგია, და საჩხერესთან კონტაქტობდნენ. საჩხერე-ჭალის თემის წარმომადგენელი .მათთვის სავაჭრო ურთიერთობა უფრო მომგებიანია საჩხერესთან, ვიდრე ჯავასთან და ცხინვალთან. რომ ჯავაში გასვლა ძალიან ჭირდა აქედან, რადგან ჯერ ტრანსპორტი ჭირდა და საჩხერე აგერ ახლოს იყო.

(საველე მასალა საჩხერის მუნიციპალიტეტი)

გადმოდიდნენ კვაისელი ოსები ონის ბაზარში. ფქვილი მოჰქონდათ, დიდი მანქანით, ყველაფერი რაც გასაყიდი იყო, შედარებით იაფად მოჰქონდათ. აქედან საქონელზე ცვლიდნენ, ცოცხალი საქონელი მიჰყავდათ. თვითონ ბევრი ყველი ჰქონდათ, გადმოჰქონდათ აქეთ გასაყიდად

(საველე მასალა, ონის მუნიციპალიტეტი)

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული კონფლიქტი და საერთო ეკონომიკური სტაგნაცია ყოფილი ავტონომიური ოლქის და მიმდებარე დასახლებების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახა: გაუქმდა კოლმეურნეობები, გასხვისდა საქონლის ფერმები, გაჩერდა საბჭოთა პერიოდში მოქმედი მცირე სამრეწველო ობიექტები, პრობლემები შეექმნა საირიგაციო სისტემას, დაირღვა სამურნეო-ეკონომიკური კავშირები, გახშირდა კრიმინალი, ყსოაო-ს საკონტაქტო ზონა განსაკუთრებით რაჭასა (კვაისა) და იმერეთში (სინაგური) იქცა ნარკოტრაფიკის ადგილებად. ჩვენი მთხრობელების ცნობით რაჭაში, სადაც მინისძვრის გამო გზა დაზიანებული იყო, კვაისიდან ნარკოტიკების გადმოსატანად იყნებდნენ ცხენებსა და “კოლხოზნიკებს” (მაღალი გამავლობის საბჭოთა მანქანა), ხოლო იმერეთში საქმე უფრო მარტივად იყო, მიმოსვლა გაადვილებული

და ნარკოტიკის მომხმარებლებიც უმეტესად ამ მხარეს ეტანებოდნენ. ნარკოტიკებით ვაჭრობაში ყსოაო-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული.

ჩემი თვალთ მატვს ნანახი ნარკობაზარი გაშლილი. პირდაპირ ლიად მიდიოდა ვაჭრობა. ჩემთვის კითხვის ნიშანი დარჩა, მართლა მიშა სააკაშვილმა ქაქუზოვები, ძმები რომ გადმოიყვანა და ავტონომიური რესპუბლიკა რომ შეუქმნა ერთი შინაგან საქმეთა მინისტრად რომ დასვა და ერთი ძმა ჯემალა პირდაპირ ნარკოტრეფიკიორი იყო და ის აკონტროლებდა ყველაფერს. სამი ძმები იყვნენ ერთ-ერთი იყო ჯავის მილიციის უფროსი, კოკოითის პერიოდში რალაც კონფლიქტი მოუვიდა და მიშამ ჩამოიყვანა, პირადად ვიცნობდი ჯემალას და მეორე იყო თემურა, ეგ ორი კაცი აკონტროლებდა მაგ ნარკოტიკის გზას. ვინ აღარ მოდოდა - მხედოინი, გვარდია. აფხაზეთიდან ნაყაჩალარი მანქანები მოყავდათ, ცვლიდნენ. ტრაგედია იყო, რა თქმა უნდა ადგილობრივი რამდენიმე ადამიანიც ჩაითრიეს ამ ამბებში. 1992 წლიდან 1994 წლამდე 16 კაცია ამ გზაზე ირი-კვაისას გზაზე მკვდარი წამლის დიდი დოზის მიღების გამო. უფრო სწორად კვაისა პიპილეთის მონაკვეთში. აქ რომ მეტ-ნაკლებად დაიკეტა ნარკოტიკების გზა მერე კვაჟადან დაიწყეს შემოტანა. 1995-96 წლებში, როცა სახელმწიფო ცოტათი მოძლიერდა დაიკეტა მაშინ ეს გზა, თვითონ ოსებიც, ჩიბიროვი ძალიან კარგი და განათლებული ადამიანი იყო და მანაც ძალიან იმუშავა ქართულ მხარესთან ერთად რომ შეეზღუდათ ეს საშინელება. ორივე მხრიდან იყო ინტერესი, რომ დამთავრებულიყო ეს საშინელება. შემდეგ უკვე კულუარებში გადაინაცვლა.
(საველე მასალა, ონის მუნიციპალიტეტი)

მაშინ რუსები არ იყვნენ შემოსული, ეგ მასა იყვნენ საყაჩაღოდ გამოსული ოსები. მერე, როცა მთავრობა ჩაერია, კი გამოვისყიდეთ. კვაისელი ოსები იყვნენო ასე ამბობდნენ. ნარკოტიკებისგან რამდენი მიცვალებული დამინახია მაშინ. თუ რამე ტექნიკა იყო საქართველოში, აქ მოჰქონდათ სინაგურში, ნებისმიერი ნივთი იცვლებოდა ნარკოტიკზე. მთელი საქართველო აქ ამოდიოდა (საჩხერე).

იქით ნარკოგამსაღებლები აიყვანეს, აქედან გზა გაჩერდა. მანამდე ყოველ 5 წუთში მანქანა მიდიოდა, ჭიათურა, საჩხერე, ზესტაფონი, ქუთაისი სულ ამ გზაზე იყო. რაჭის გზაზე, კვაისაშიც იგივე სიტუაცია იყო, ერთი მომწოდებელი იყო. იყო უიარალო ბრძოლა. აქედან მოტაცებული მანქანებიც გადაყავდათ. რეალურად, როცა რუსები შემოვიდნენ და თავის საზღვრად გაავლეს, მოძრაობას არ უშლიდნენ არავის და თავიანთ საძოვრებზე იქით პერეველელებს წვდომა ჰქონდათ. სინაგური-პერევი ჩვეულებრივი მოძრაობა იყო (საველე მასალა, საჩხერის მუნიციპალიტეტი)

ქართულ-ოსური საკონტაქტო ზონები ნარკოტიკის გარდა დეფიციტური საქონლის მიმოქცევის ადგილებადაც იქცა. ეკონომიკური კრიზისის და კონფლიქტის შედეგად გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობა ცდილობდა ყოფილი ეკონომიკური კავშირები აღედგინა და სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა ერთმანეთთან:

მაგათ ჰყავდათ კოლხოზნიკები, რითიც ფქვილი, შაქარი, ბენზინი მოჰქონდათ და ამოიტანდნენ და აქვე ვაჭრობდნენ, იყიდებოდა, იყო კიდევ რომ შეკვეთებს ლებულობდნენ, ფქვილი გინდოდა თუ რამე სხვა მოგიტანდნენ. ფული გადიოდა ქართულიც და რუსულიც. ძირითადად მაინც რუსულ ფულზე ვაჭრობდნენ. ჩვენს სოფელთან ჰქონდათ უფრო კავშირი, რადგან ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს და ენდობოდნენ. ამ სოფელში სხვა სოფლებიდან ამოდიოდნენ თუ არა ოსებთან სავაჭროდ ვერ გეტყვით, შეიძლება იყო ესეთი შემთხვევებიც.

(საველე მასალა, ონის მუნ.)

განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ შიდა ქართლში, ცხინვალის გარშემო განლაგებულ სოფლებში მცხოვრებ ქართველებს ქალაქის ბაზარზე ისედაც შეჰქონდათ ხილი, ყურძენი, რძე და რძის პროდუქტები, სახლებში კი მიჰქონდათ ყველაფერი, რისი ყიდვაც შეიძლებოდა ბაზარზე თუ მაღაზიებში – ხორცი, ყველი, კარაქი, ბურღულეული, შაქარი და პურიც კი. მალე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა გაფართოვდა და ამისათვის საგანგე-

ბო ე.ნ. „ერგნეთის ბაზრობა შეიქმნა“. ხსენებული ბაზრობა ცხინვალის-გორის გზის გასწვრივ რამდენიმე კილომეტრზე გადაიჭიმა, მას ოსები „ტეკს“¹ ხოლო ქართველები „ერგნეთის ბაზრობას“ უწოდებდნენ. ბაზრობას რომდენიმე ჰექტარი ფართობი ეკავა. აქ მოწყობილი იყო სასაწყობე ნაგებობები, სავაჭრო ჯიხურები, ღია სავაჭრო მოედნები, კავშირგაბმულობისა და სამედიცინო პუნქტები, აფთიაქები, გაზისა და ბენზინგასამართი სადგურები და ა.შ. საკვები პროდუქტების გარდა იყიდებოდა, ავტოსათადარიგო და სამშენებლო მასალები; შეიძლება იყოს ფეკილის, შაქრის, ცემენტისა და სხვა საქონლის ბითუმად შექმნა. ერგნეთში ოსებს ჩრდილოეთ კავკასიის ბაზრებიდან ჩამოჰქონდათ საქონელი, ხოლო ქართველებს – თურქული პროდუქცია და საკუთარ ბაღ-ბოსტანში მოწეული მოსავალი. აქ იღებოდა გარიგებები, ინიშნებოდა საქმიანი შეხვედრები და ა.შ.² ამ ბაზრობას სახალხო დიპლომატიის თვალსაჩინო მაგალითად მიიჩნევდნენ, სადაც ადამიანებმა ვაჭრობისა და უშუალო კონტაქტების მეშვეობით უფრო მეტის მიღწევა შეძლეს, ვიდრე ეს ოფიციალური მოლაპარაკებების, „მრგვალი მაგიდების“, პოზიციების დაახლოების მიზნით ერთობლივი პროგრამების შემუშავებით მოხერხდა. მსგავსი ბაზრობა ახალგორის და ზნაურის რაიონების საზღვარზეც მოეწყო.³

2004 წელს, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ერგნეთის ბაზრობა გაუქმდა, მიზეზად კი იქ გავრცელებული კონტრაბანდა, კორუფცია და კრიმინალი დასახელდა, რაც რეალობასთან ახლოს იდგა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერგნეთის ბაზრობამ ხელი შეუწყო 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ ოსი და ქართველი ხალხის დაახლოებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბაზრის დახურვამდე როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს შეეძლო ყუსოაო-სა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადაადგილებულიყო. ეს ბაზრობა

¹ საბჭოთა პერიოდში აქ განთავსებული იყო საექსპლუატაციო კანტორა (რუსულად – ТЭК), ბაზრობის გახსნის შემდეგ ამ აბრივაციურამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა – „სავაჭრო-ეკონომიკური კომპლექსი“ (რუსულად ასევე ТЭК).

² ხარებოვი ბ. დასახ. ნაშრომი, გვ.10

³ იქვე გვ.10-11

ძალზედ მომგებიანი იყო შიდა ქართლის გლეხობისათვის. მათ მიერ მოყვანილი ხილი (რაც ყველაზე მეტად გასავლიანი იყო ერგნეთში) კარგ ფასად იყიდებოდა. ზოგჯერ ოსები სახლში აკითხავდნენ ხილის მეპატრონეებს საქონლის შესაძენად. ცხინვალის გზით პროდუქცია რუსეთში გაჰქონდათ, რაც საქართველოს სხვა ადგილებში მცხოვრებლებსაც აძლევდა შესაძლებლობას თავიანთი საქონელი ერგნეთის ბაზრობაზე გაეყიდათ. საერთო სავაჭრო-ეკონომიკურმა ინტერესებმა ოსებისა და ქართველების ერთგვარი „შერიგება“ გამოიწვია. თუმცა, როგორც ითქვა აქ ნამდვილად იყო კონტრაბანდა, რუსეთიდან შემოსული საქონელი საბაჟო კონტროლს არ გადიოდა, თანაც ქართული მხარე აქ გამშვებ პუნქტს ვერ გააკეთებდა, რადგან ეს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ერთგვარ აღიარებას ნიშნავდა.¹ ერგნეთის ბაზრობის გაუქმებამ განსაკუთრებით დააზიანა მიმდებარე სოფლებში ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა, რაც საველე მასალითაც დასტურდება.

ერგნეთის ბაზრობაზე ლაპარაკი ამ ეტაპზე უაზრობაა. იქ მოსახლეობა აღარ არის, ვილა ამოვა სავაჭროდ ბაზარზე? ქართულ სოფლებში რაც მოსავალი მოდიოდა მოდიოდა იმიტომ რომ ქართველი მეურნეობას თავს აკლავდა, საერთოდ ჩვენები ხომ საუკეთესო მეურნეები იყვნენ! ოსებს რაც დარჩათ ეს ხილი, გადაუჯიშდათ ამ წლებში. რამდენადაც ვიცი, ნუნუნებენ, ძალიან წვრილი ვაშლი მოდისო ან საერთოდ აღარ მოდისო. რას მოვა, თუ არ შენამლე, არ გასხალი... .. ეს ცხრა სოფელი, ხეობის ქართულ სოფლებს ვგულისხმობ, საერთოდ მთელ ქართლში გამორჩეული სოფლები იყო. ოსური სოფლები ქართულისაგან მაგით გამორჩეული იყო

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ქორდი)

ყველაფერს ოსებსაც ნუ დავაბრალებთ. უბრალო ხალხმა რა დააშავა. ერგნეთის ბაზრობაზე დავდიოდით კი. ვაჭრობდა ხალხი. კმაყოფილი იყო ხალხი სიიაფე იყო, მაგრამ რომ

¹ ერგნეთის ბაზრობა და მისი აკვარგიანობა საქართველოსათვის /ინტერნეტვერსია/ <https://intermedia.ge/სტატია/91165>

ჩახვიდოდი ავტომატიანი დაგხვდებოდა, წესებს იცავდნენ და დავუშვით ფქვილი რომ მოგქონდა გაგაჩერებდნენ, ვინა ხარ, რა ხარ, ეტყოდი ესა და ეს ვარ, ვისგან მოგაქვს? ამისგან მომაქვს, თუ ვინმე დაგხვდეს ჩემი სახელი უთხარიო, თუ არც ბლატი გქონდა, არც პატივს სცემდი, ვსიო, წაგართმევდნენ.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. ატოცი)

საველე-ეთნოგრაფიული მასალის თანახმად 2004 წლამდე ერგენეთის ბაზრობაში ჩართული იყვნენ საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც, მაგრამ განსაკუთრებით – ყსოაო-ს მიმდებარე შიდა ქართლის, იმერეთის და რაჭის რეგიონის მაცხოვრებლები.

ერგენეთის ბაზრობა რომ იყო აქედან გადმოდიოდა ფქვილი, სანჯავი, ზეთი, შაქარი, ვაჭრობდნენ მიდიოდნენ-მოდიოდნენ. ნარკოტიკებით ვაჭრობაც იყო.

(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. პერევი)

ერგენეთის ბაზრობის გაუქმების შემდეგ ყსოაოს და მიმდებარე რეგიონების მოსახლეობა ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ კვლავ აგრძელებდა სავაჭრო ურთიერთობას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ამ მიმართებით გარდამტეხი გავლენა იქონია. რუსული საოკუპაციო ძალები მკაცრად აკონტროლებენ გამყოფ ზოლს, თუმცა, ამის მიუხედავად, შიდა ქართლში მაინც დარჩა რამდენიმე საკონტაქტო წერტილი, სადაც ორივე მხარის მოსახლეობა მალულად ცვლის ერთმანეთთან პროდუქციას (აქედან გადის ძირითადად ყურძენი, ვაშლი და ა.შ. იქედან შემოდის სასაურსათო საქონელი).

უკვე აღინიშნა, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში საოკუპაციო ზონის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო არის სოფლის მეურნეობა. საბჭოთა საკოლმეურნეო სისტემის გაუქმების შემდეგ მოსახლეობას სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთები. თუმცა იმთავითვე იჩინა თავი უამრავმა პრობლემამ. კომუნისტებისდროინდელი მექანიზაცია თანდათანობით მოძველდა; მანქანა-ტრაქტორები მწყობრიდან გამოვიდა. გაუქმდა საირიგაციო სისტემები; სოფლად მიწების მნიშვნელო-

ვანი წილის დამუშავება მიმდინარეობს მცირე სასოფლო ტექნიკის საშუალებით; თანდათანობით შემცირდა აგრონომების რიცხვი; აგროსექტორში დასაქმებული ადამიანები ძირითადად კონსულტაციებს იღებენ მუნიციპალურ ცენტრებში არსებულ სოფლის მეურნეობის სერვისცენტრებში, სადაც დასაქმებული პერსონალის კომპეტენცია აგრარული მეცნიერების სფეროში ყოველთვის არაა სათანადო დონეზე. ქვეყნის აგროსექტორისათვის საერთო პრობლემებს საკვლევ რეგიონში დამატება ისიც, რომ საოკუპაციო ზონის მიმდებარე თითქმის ყველა სოფელს ოკუპანტებმა წაართვეს ტრადიციულად მათ სარგებლობაში არსებული სავარგულების ნაწილი, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სოფლის მოსახლეობისათვის აუცილებელი მიწის ფონდი, ამასთანავე, მეტად რთულია სასოფლო პროდუქციის გასაღება. შიდა ქართლის სოფლებში სადაც წამყვანი იყო მებაღეობა და მოსახლეობის ძირითად შემოსავალს ვაშლის გაყიდვით მიღებული სახსრები შეადგენდა, ეს ხილი ძირითადად რუსეთში გადიოდა, ამჟამად კი მოსავლის გაყიდვა მეტად უჭირთ.

წინა მთავრობის დროს შეიქმნა ტექნიკის ცენტრები. ერთი წელი კარგად ვისარგებლე. გაყიდეს, აუქციონზე გაიტანეს და გაყიდეს. ტექნიკაში თანხას რომ ვიხდიდით იმას თავისი თავი კიდევ უნდა განეახლებინა, რომ მომხდარიყო კვლავწარმოება და პარკი შეცვლილიყო 6-7 წლის შემდეგ და სარგებელიც უნდა მოეტანა ხალხისთვის. მენეჯმენტი და ეკმაყოფილებინა. ხუთი მექანიზატორი ჰყავდათ და 25 ხელმძღვანელი, ველარც თავისი თავი განაახლა, წავიდა ზარალზე და გაყიდეს საბოლოო ჯამში; სულ დაინგრა თორემ გვყავდა და ვსარგებლობდით.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. ატოცი)

შიდა ქართლის სოფლებში მეხილეობასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მემინდვრეობას. აქ ითესებოდა ქერი და პური, შედარებით მწირ ნიადაგზე კი ცერცვი და შვრია.¹ საბჭოთა პერიოდში კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილი იყო სოფლების აგრონომიული მომსახურეობა, სასუქე-

¹ მაკალათია ს. ლიახვის ხეობა, გვ.7

ბითა და შხამქიმკატებით უზრუნველყოფა, რაც შედარებით სტაბილურ მოსავლიანობას განაპირობებდა. 90-იანი წლებიდან დაწყებული კრიზისი მეურნეობის ამ დარგსაც შეეხო. პრობლემები ხშირად არასწორი ორგანიზებით, აგრონომიული ცოდნის სიმწირით და თანამედროვე მიდგომების გაუთვლელისწინებლობით არის განპირობებული, რაც კარგად ჩანს საველე მასალაში:

ადრე მინერალურ სასუქად ვიყენებდით ფოსფორს და კალიუმს. ისრაველი აგრონომისგან გავიგეთ, რომ კალიუმში ტყუილად ვიხდიდით ფულს, რადგან კალიუმში ჩვენს ნაკვეთებს ზომავზე მეტი აქვს და წლების მანძილზე ტყუილად ვაყრიდით. აზოტიც უნდა, მაგრამ ის რაოდენობა არა რაც ჩვენ შეგვექონდა 300 კილოგრამი შეგვექონდა. სჭირდება 50 კილოგრამი აზოტი.

(საველე მასალა, ქარელის მუნ. სოფ. ატოცი)

საქართველოში გვექონდა სათესლე მეურნეობა, სადაც ახალი ჯიშები გამოჰყავდათ, დღეს არსებობს სადმე? ერთ-ერთ პროექტში ვიღებთ მონაწილეობას, ამერიკული პროექტია, 50/50-ზე იყო ჩვენი ხარჯებიც შრომა და ფინანსები და მათი გრანტიც იყო და უნდა მოგვეყვანა ქერი, ხორბალი, მარცვლოვანი კულტურები და შემოგვიტანეს ერთი წელი სათესლე ჯიში. ახლა თქვეს, რომ ქართული ძირძველი ჯიშები გვინდაო და საუბარია მახა, ზანდური ამ ჯიშებზე და გვკითხეს მიიღებთ მონაწილეობასო? ეგ ჯიშები ხომ დაბალ მოსავლიანია მაგრამ ძალიან მაღალი ხარისხის და დავთანხმდით. გათვლის მხრივ ფინანსური კუთხით მოგება ნაკლები აქვს, და რეალიზაციის პრობლემაც არის. 10 ტონა უნდოდან სათესლე მასალა და მთელ საქართველოში ვერ იშოვეს, ქართული წითელი დოლი და დიკა ვერ იშოვეს. თქვეს აღარ არსებობს სათესლე მეურნეობა და საიდან უნდა ვიშოვოთო. ლომთაგორას მეურნეობა აქვს და ეგ დავტესტეთ, მაგრამ ბევრ რამეზეა შეჯვარებული და არ არის ისეთი ხარისხიანი. რუსული, ევროპული ჯიშებიც ამართლებს მაგრამ თესლი დოლარზე შემოაქვთ და 2,5-3 ლარამდე უწევს კილო თესლი. ხორბალი საშუალოდ სრულ მოგებას 1000 ლარს ტოვებს. ჰექტარზე ითესება 300 კილო თესლი, საუკეთესო პირობებ-

ში შესაძლებელია 5 ტონა მოიყვანო საშუალოდ სამი ტონა. თუ კარგი ჯიშის ხორბალია და ისე მიხედავ როგორც საჭიროა 5 ტონამდე მოვა.

(საველე მასალა, შიდა ქართლი)

ფრონისა და ორივე ლიახვის სოფლებში ათი წლის წინ ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ვაზის ისეთი იშვიათი ჯიშები, როგორიცაა: ქართლური ქროლა, ხარისთვალა, თავკვერი და სხვა. ბოლო ხანებში ამ ჯიშებს თანდათანობით ანაცვლებენ მაღალმოსავლიანი და შედარებით ადვილადმოსავლელი ჰიბრიდული ჯიშებით (განსაკუთრებით ე.წ. ალადასტური, ადესა და ა.შ) ამის გამო, მრავალი, მეტად საინტერესო ვაზის სახეობა დაიკარგა. საირიგაციო სისიტემის გაუქმებამ მევენახეობაზეც იმოქმედა და უწყლობის გამო ამ კუთხეში ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი გახმა. რაც შეეხება საოკუპაციო ზოლს მიღმა დარჩენილ სოფლებს იქ მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა სოფლები: ერგნეთი, არკნეთი, ხეთაგუროვი, დიდმუხა, ნული, აენევი, დვანი, ძლევისჯვარი, ბრეთი იძლეოდნენ სრულფასოვან სუფრის თეთრ ღვინოებს და ხარისხოვან მასალას ცქრიალა ღვინოებისათვის. აქ ძირითადად გავრცელებული იყო ვაზის ჯიშები: გორული მწვანე, ჩინური, ბუდეშური, თავკვერი და შავკაპიტო. სამწუხაროდ, დღეს ამ სოფლებში ვენახების არსებობის შესახებაც კი ინფორმაცია აღარ მოგვეპოვება.¹

დასავლეთ საქართველოში ტრადიციულად სასოფლო პროდუქტების მოყვანა ნაკლებადაა დამოკიდებული სარწყავ სისტემებზე, მცირე ტექნიკის (მინიტრაქტორების) გამოყენებაც უფრო ეფექტურია თუმცა მოსავლიანობა აქ აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით ნაკლებია. რაჭისა და იმერეთის სოფლებში მიწის დასამუშავებლად ხარებს ნაწილობრივ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე იყენებდნენ. მოსახლეობის ნაწილი აქაც დასაქმებული იყო მცირე საწარმოებში (მაგ. კრამიტის ქარხანა სოფ. პერევეში, ბარიტის ქარხანა სოფ. ირში), და-

¹ სეფისკვერაძე ლ., რა მდგომარეობაშია დღეს ვენახები ოკუპირებულ სამაჩაბლოში - 10 წელი ოკუპაციიდან, /ინტერნეტ ვერსია/ <http://old.allwine.ge/ka/blog/10-weli-okupaciidan-ra-mdgomareobasia-dres-venaxebi-okupirebul-samacablosi-1942/>

დიოდნენ გარე სამუშაოებზე და ა.შ., როგორც მთაგორიან რეგიონში; ასევე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქონლის ფერმებს რომლებსაც საზაფხულოდ მთებზე, ალპურ საძოვრებზე აგზავნიდნენ.

სიმინდი, ლობიო, გორგა მოდის. სარწყავი არ არის, ბუნებრივი წვიმა უნდა, მიწაა ისეთი. მეურნეობას არავენ არ მისდევს, ყველაფერს ვყიდულობთ. ოჯახის სამყოფს თუ მოვიყვანთ. მეფუტკრეობა არის კარგად, წაბლის და ცაცხვის თაფლი არის. სოკო, მოცვი, ჯონჯოლი სადაც იყო, ის ადგილები ჩაკეტილი არის ჩვენთვის. წაბლიც აღარ არის. ნიგვზები ნახევარი არ ივარგებს. კარტოფილი, ლობიო, ჭადის ფქვილი. ეს მდინარე ლებურაა. აქ არაფერია, მწირია შემოსავალი. სავანე, არგვეთი, ჭალიდან ცოტა ნაყოფიერი ადგილებია, კარგი მოსავალი მოდის. ჩვენ მხარეში ჭალას ზევით მოხვა და სარეკი რომაა, ნაკლებია მოსავალი. მცირემინიანი რაიონია, კახეთში თითო გლესს 3-4 ჰექტარი აქვს, აქ განიგამონიე 5000-6000 მეტრი მიწა ჰქონდეს გლესს. სახლი გინდა, ბოსტანი გინდა ვენახი გინდა, 6000 მეტრი მიწით რა უნდა მოიყვანოს, მიტომ მიდიოდნენ სამუშაოდ სხვაგან. სოფლის მეურნეობა არც ადრე და არც ახლა სარგებლიანი არ არის. კახეთში 10-20 ტონა ყურძენი მოჰყავთ და კი ირჩენენ თავს, და აქ სოფლის მეურნეობით თავს ვერ ირჩენ. ახლაც ასე სამუშაოდ გასული ხალხი. ხან ჩაის საკრეფად დადიოდნენ. ახლა ჩაი აღარ არის და მანდარინი, იმათ თავიანთი თავი უჭირთ. ახლა ძირითადად მშენებლობაზეა დაკავებული ხალხი, ზოგი კაფელის ხელოსანია, ზოგი მლესავი და ასე. ყველაფერზე მუშაობდა კაცი, რომ მიდიოდა. ახლა გლესსაც აღარ აქვს იმდენი შემოსავალი, რომ დაიქირავოს ვინმე და ამუშაოს.

(საველე მასალა, საჩხერის მუნ. სოფ. პერევი)

გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი მტკივნეულად აისახა ყსოაო-სა და მიმდებარე მუნიციპალიტეტების მრეწველობაზე. სამრეწველო ობიექტები თითქმის მთლიანად დაიხურა, აღარ მუშაობს საკონსერვო ქარხნები, სადაც ხილის გადამამუშავება ხდებოდა. რუსული საოკუპაციო პოლიტიკა ხელს უშლის ყოველგვარ ეკონომიკურ აქტივობებს. ეს შეეხება მეცხოველოების სფეროსაც.

წინათ საკონსერვოები იყო, იბარებდნენ ხილს, ამ სოფელში არ იყო მაგრამ მანქანა-მანქანაზე მოდიოდა, იბარებდნენ ხილს. გორში. აგარაში საკონსერვოები იყო. ყველგან მიღება იყო, ახლა არსად არაფერია. აგერ, მთელი კახეთი ჩიოდა, გვიღებო ატამი! არ არის პატრონი. ახალგაზრდობა ბევრი დაბრუნდებოდა რომ გაჩენილიყო რამე პერსპექტივა.

(საველე მასალა, შიდა ქრთლი)

ძალიან კარგი პროდუქცია გვექონდა, აქედან ბევრი ხორცი ბარდებოდა კომუნისტების დროს, 500-600 სული საქონელი ყავდა ჩემს მეუღლეს, ფერმის გამგე იყო. ყოველ წელს 10 ტონა ხორცს აბარებდა, ახლა მოისპო ყველაფერი. დაავადმყოფდა ხალხი თანაც გაზარმაცდა. თუკი შენ მუშაობა არა გნადია და არ გინდა ისე ვინ მოგეხმარება. 5-6 კაცი რომ შეიკრიბოს და ვთქვათ, მეცხოველეობის ფერმა გააკეთო, დაასაქმონ ხალხი, ამ შემთხვევაში ალბათ მიეხმარებათ ეს სახელმწიფო, საძოვარი კიდევ მაშინ მთაში მიყავდათ ფერმის საქონელი იქაც, საზაფხულო ფერმა იყო სპეციალური გაკეთებული, ქალებიც კი მიდიოდნენ იქ სამუშაოდ. მშრალი საქონელი ცალკე ყავდათ, მენველი ცალკე. 14 სული საქონელი მარტო მე მყავდა ხოლმე 25 სული ღორი და ქათამს ხო ვერ ვთვლიდი ხოლმე. დღეში ხუთ პარტია სტუმარს გავისტუმრებდი ხოლმე. უპატრონობა ძალიან ძნელია.

(საველე მასალა, ხაშურის მუნ. სოფ. ყობი)

მრეწველობას არც საბჭოთა პერიოდში ეჭირა საკვლევი რეგიონის ეკონომიკაში მაღალი წილი. 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ კი მანამდე არსებული მცირე საწარმოები სრულიად მოიშალა. გაპარტახებული და გაჩერებულია საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ: ბარიტის საწარმო სოფ ირში (ონის რაიონი), ტალკის გადამამუშავებელი ქარხანა სოფ ატოცის და ჩორჩანას მიმდებარედ (ქარელის და ხაშურის მუნ.), დოლომიტის მომპოვებელი კარიერი ფრონეების ხეობაში, კვანისას მადანგადამამუშავებელი ქარხანა, კვანისას ცემენტის ქარხანა და ა.შ. თავის დროზე ამ საწარმოებში საკმაოდ დიდი რაოდენობის მოსახლეობა იყო დასაქმებული მიმდებარე სოფლებიდან:

აგერ დოლომეტის კარიერია, კარიერზე მარტო 190 კაცი მუშაობდა, რუსთავის მეტალორგიული ქარხანა ფეჩებს მაგის გარეშე ვერ ამუშავებდა. მალალ ტემპერატურას უძლებს, მაგას ყრიან ფეჩის გარშემო და 10-15 გამოდნობას უძლებს. აქ, ზევით იყო ტალკის ქარხანა, მედიცინაში რომ ხმარობენ, ვინ არ იღებდა, ქალები მოდიოდნენ ტომრებით მიჰქონდათ ნატეხები და ნაყავდნენ ხოლმე. აქ, გარშემო რაც სოფლები არის ყველა დასაქმებული იყო. იმიტომ აიყარნენ და გავიდნენ აქედან ეგენი ყველა სამსახურის ხალხი იყო, ხელფასები ჰქონდათ, პატარა ბაღჩები ჰქონდათ, მიწაზე არ იყვნენ მიბმული. წალვლში 500 კომლი იყო, 100 კომლი აღარ იქნება, სულ წავიდნენ. ოსებიც იყვნენ და ქართველებიც, ახლაც არიან ოსები. ასევეა აბანო, კოდა, ატოცი, ჭვრიონისი, საციხური... წარმოება სადაც იყო იქ დასახლებაც იყო.
(საველე მასალა, ხაშურის მუნ. 2019)

ოსური მხარე დიდ იმედებს ამყარებდა ახალი კავკასიური რკინიგზის გაყვანაზე, რომელსაც ყსოაო-ს ეკონომიკური განვითარებისათვის ძლიერი იმპულსი უნდა მიეცა. „ამჟამად კავკასიური რკინიგზის მშენებლობა, სამხრეთ ოსეთის მთებქვეშ გვირაბის გათხრით, დღის წესრიგში კვლავ დადგა. მიმდინარეობს ტექნიკური მახასიათებლების შესწავლა. პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ მშენებლობა მცირე ფინანსურ დანახარჯებსა და დროს საჭიროებს. „ასეთი გზის მწყობრში ჩადგომით გადანყდება კვაისას მადნეულის მოპოვების აღდგენის საკითხი, სხვა სამრეწველო საწარმოებს თავისი სიმძლავრეების გაზრდის შესაძლებლობა მიეცემათ, სოფლის მეურნეობის მუშაკებს სტიმული მიეცემათ, გაჩნდება ტურიზმისა და საკურორტო სექტორის განვითარების პერსპექტივები, რესპუბლიკა უფრო მიმზიდველი გახდება ინვესტორებისთვის“ წერდა ბათრაძ ხარებოვი.¹ თუმცა, ამჟამად ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია.

¹ ხარებოვი ბ., სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია, კრ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება (ოს ავტორთა სტატიები), თბ. 2011, გვ. 27

რეალურად, საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მომსახურეობის სფეროში დაასაქმოს და ნაკლებად აინტერესებს მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. დღეისათვის ყსოაო-ს სანარმოების ამუშავება პოლიტიკურის გარდა, სხვა სახის პრობლემებსაც უკავშირდება. ცალკეა კვაისას ტყვიისა და ცინკის საბადოს მუშაობის აღდგენის საკითხი. იმისათვის, რომ სანარმო სრული დატვირთვით ამუშავდეს, აუცილებელია მაღაროებიდან წყლის ამოტუმბვა, უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა, თანამედროვე ტექნიკის, დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, მისასვლელი გზების შეკეთება, გამამდიდრებელი ფაბრიკის ამოქმედება, სპეციალისტების მოწვევა და ადგილობრივი კადრების მომზადება. საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, სანარმოო ურთიერთობების აწყობა, გასაღების ბაზრის პოვნა და ა.შ.¹ რაც დღევანდელ პირობებში შეუძლებელი ჩანს. თუმცა, საოკუპაციო ზოლს აქეთ მცხოვრებით მიაჩნიათ, რომ რუსული რეჟიმი უკეთეს პირობებს უქმნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ადამიანებს.

ნებისმიერ ოჯახში ყველა მუშაობს. ხელფასები მაღალი აქვთ, პენსიებიც ჩვენზე მეტი. 45 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კაცები მუშაობენ პოლიციაში, აფთიაქი აქვთ, ამბულატორია, სკოლა. დიდი-დიდი 40 კომლი მოსახლე იყოს. სამი ოსური სოფელია იქით: ჯალაბეთი, თედელეთი, სინაგური. (საველე მასალა, სოფ. პერევი, 2020).

რომ ორი კვირა იქნება დამირეკა ბიჭმა, ორჯონიკიძეში ვიყავი ისევ აქ გადმოვედი ცხინვალში. ვეკითხები მუშაობ თქო? მეუბნებიან სამუშაოსო, მაგრამ რად მინდაო 800 ლარამდე ჩვენს ფულზე პენსიას იღებს. ეხლა ქართულ პუნსიასაც ავიღებო 200 ლარია ხომ? ეგ შენი 1000 ლარი პენსია აქვს. თავის ცოლსაც ეგრევე. თვეში 2000 აქვს შემოსავალი, რაღად უნდა რომ იმუშაოს. რაღაცა „ბაევოის“ ეძახიან, ყველას აქვს შეღავათები. ეს ყველაფერი რუსეთისა აქვს. ახალგაზრდები, ვისაც პენსია არ აქვს ძირითადად რუსეთში გაე-

¹ ხარებოვი ბ., დასახ. ნაშრ. გვ.8-9

დინებთან, სულ იქ არიან. ცხინვალში ახალგაზრდობა ნაკლებად არის.

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ქორდი, 2019)

სახელმწიფო შემწეობები და პენსია, საოკუპაციო ზონის მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.¹ საველე მასალის მიხედვით ძალიან ბევრი დასახლებული პუნქტი სარგებლობს „მთის კანონის“ მიხედვით დაწესებული შეღავათებით, პენსიაზე ემატებათ 40 ლარი, ელექტროენერჯის გადასახადი განხევრებული აქვთ, ბუნებრივი გაზი ყოველწლიურად 200 ლარით სუბსიდირდება, საოკუპაციო ზონის მიმდებარედ მცხოვრებ სტუდენტებს სახელმწიფო უფინანსებს სწავლის საფასურს. ცალკეულმა ადამიანებმა უცხოური დახმარებაც მიიღეს (მაგ. სოფ ყოზში კონფლიქტის შენდეგ დამწვარი სახლები ნორვეგიული პროექტით აუშენეს), თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ დახმარებას არასაკმარისად მიჩნევს:

ყველა სოფელს ეშველა, ერგნეთში ფულიც მისცეს და სახლებიც გაურემონტეს. ჩვენ არაფერი გვეშველა, სად იყავით აქამდეო. როცა გავიგეთ მაშინ მოვედით. მანამდე რა უნდა გამეგო, აქ ვერც შემოდიოდა ხალხი. 2012 წელს დავბრუნდით. ზოგი თბილისში იყო და ზოგი გორში და ზოგი სად. სახლები უნდა აღადგინონ, სახურავები. ფანჯრები აღარა აქვს სახლს. აქ სულ თარეშობდნენ ეგენი. მუქები კი გამოიყვანეს, გზაზე ასფალტიც დააგეს. არხის წყალი ფასიანი. საზღვრისპირა სოფელია არც არხის სარწყავი წყალის ფულს უნდა ვიხდიდეთ წესით, არც დენის ფულს. ერედვში მაგალითად, ჯერ კიდევ პირველი ომის შემდეგ 100 კილოვატს თუ დაწვავდნენ არანაირი გადასახადი არ ჰქონდათ.

(საველე მასალა, გორის მუნ. სოფ. ზარდიაანთკარი, 2021)

¹ გამყოფ საზთან მცხოვრებ მოსახლეობას ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაენევა და სტუდენტების 2021-2022 სასწავლო წლის დაფინანსება გაგრძელდება /ინტერნეტ ვერსია/ <https://smr.gov.ge/ge/news/read/2170/>

საოკუპაციო ზოლის მიდებარე სოფლების ეკონომიკურ განვითარებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ქართული სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა. სოფლის განვითარება წარმოდგენილია შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების გარეშე, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ საწარმოო პოტენციალის სრულყოფილად გამოყენებას, მექანიზაციის როლის ზრდას, სასოფლო პროდუქციის ბაზრების მოძიებას და ა.შ. ამ მიმართულებით ოპტიმალურად ითვლება კოოპერატივების ფორმირება. საქართველოში მოქმედებს კანონი, რომელიც არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო ხელშეწყობასთან, მათი საქმიანობის მონიტორინგთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მართალია, საოკუპაციო ზოლის მოსახლეობა ნაკლებად სარგებლობს სახელმწიფო პროგრამებით, მაგრამ ჩვენ ვნახეთ ინდივიდუალურ აქტივობაზე დაფუძნებული ბიზნესნამოწყების რამდენიმე საინტერესო შემთხვევა. ტიპურად შეიძლება ჩაითვალოს სოფ. დვანში არსებული ხილის გადამამუშავებელი საწარმო „ჩირჩხელა“ (იხ. დანართი II).

რუსული საოკუპაციო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელია, რეგიონის ეკონომიკური დაკნინება ტრადიციული საკომუნიკაციო სისტემის მოშლისა და გამყოფი ზოლის ორივე მხარის მოსახლეობის ურთიერთიზოლაციის ხარისხის გაზრდით, რაც მიგრაციული პროცესების გააქტიურების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. შეიარაღებული კონფლიქტები, ეკონომიკური და სხვა კავშირების განწყვეტა დანარჩენ საქართველოსთან უარყოფითად აისახა ყსოაო-ს დემოგრაფიაზე. გ. გაჩეჩილაძის აზრით, დადებითი ფაქტორის როლი ოსური ეთნოსის შენარჩუნებაში ამჟამინდელი გამყოფი ხაზის როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით შეეძლებოდა ეთამაშა ქართულ მოსახლეობასთან მშვიდობიანი კონტაქტების აღდგენას.¹

2008 წლის ომის შემდეგ შექმნილი ვითარება კიდევ უფრო ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის საოკუპაციო ზონაში მცხოვრები

¹ გაჩეჩილაძე რ., ადამიანური ფაქტორი ხალხთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში: საქართველოში მცხოვრები ოსების თვალსაზრისის შესწავლა, კრ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება (ქართველ ავტორთა სტატიები), თბ. 2011, გვ.58

მოსახლეობის მიგრაციული განწყობებისათვის. მიმდებარე სოფლები მოსახლეობისაგან იცლება. საოკუპაციო ზოლში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში მიგრაცია ძირითადად მიმართულია აღ. საქართველოს ქალაქებისაკენ (გორი, თბილისი, რუსთავი), დევნილები შიდა ქართლის სოფლებში აგებულ კოტეჯებში მოათავსეს. ყსოაო-ში არსებული ქართული სოფლების უმეტესობა მთლიანად დაცლილია და მათი სახლები ოსებმა დაიკავეს. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა ყსოაო-დან ოსური მოსახლეობის გადინებაც ინტენსიურია. ისე რომ, შედარებით სარწმუნო მონაცემებით, აქ სულ 26-დან 30 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს.¹ სავლელე მონაცემების თანახმად ოსების მიგრაცია ყსოაო-დან მიმართულია, ვლადიკავკაზის და რუსეთის მსხვილი ქალაქებისაკენ; საოკუპაციო ზოლს აქეთ არსებული ოსური სოფლებიდან, რუსეთს გარდა ასევე – თბილისისაკენ. დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის გადინებაზე, კონფლიქტისა და ეკონომიკური კრიზისის გარდა, გავლენა იქონია 1991 წლის მიწისძვრამაც. ამ პერიოდში მოსახლეობა საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებიდან კახეთსა და ქვემო ქართლში (მარნეული) კი გადასულა საცხოვრებლად.

ქართული პოლიტიკური და სივრციდან მთლიანად ჩამოშორების მიზნით მოსკოვის კარნახით ყსოაო-ს დეფაქტო ხელისუფლებამ გაატარა რამდენიმე ღონისძიება სახელი შეუცვალეს ახალგორს და საბჭოთა პერიოდის სახელწოდება ლენინგორი დაუბრუნეს; დაიგეგმა ეთნიკური ქართველებისათვის 1990-იანი წლების შემდეგ მიღებული „უკანონო“ საცხოვრებელი ფართების და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა (სავარაუდოდ, 90-იან წლებში რეგიონიდან წასული ოსების შესასახლებლად); გაიხსნა ცხინვალისა და ახალგორის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, რათა ხელმისაწვდომი გახდეს გასაღების

¹ გაჩეჩილაძე რ., ადამიანური ფაქტორი ხალხთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში: საქართველოში მცხოვრები ოსების თვალსაზრისის შესწავლა, კრ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება (ქართველ ავტორთა სტატიები), თბ. 2011, გვ. 57-58

ბაზარი როგორც ცხინვალის, ისე რუსეთის მიმართულებით.¹ რფ-სთან სრული ინტეგრაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ოკუპირებულ ყსოაოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საბაჟო პროცედურების გამარტივება. 2020 წლის დეკემბერში რუსეთ-საქართველოს საზღვრის როკის მონაკვეთზე ე.წ. ოსური საბაჟო პუნქტი გაუქმდა და ამის შემდეგ „შესაბამისი პროცედურები“ ერთობლივად ხორციელდება რუსეთში, „ქვემო ზარამაგზე“.² თუმცა, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრადიციის სრული იგნორირების გამო ყსოაო-ს სამეურნეო-ეკონომიკური ინტეგრირება რფ-ში საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა. არალიარებულ რესპუბლიკაში, უამრავი ეკონომიკური ხასიათის პრობლემაა. მოშლილია ინფრასტრუქტურა (დანგრეული სანარმოები, საცხოვრებლები და ა.შ), რეგიონიდან გასულია შრომითი რესურსები, მუშაობს სანარმოთა მხოლოდ 5-10 პროცენტი (ისიც მოძველებული და ზარალიანი), საბაზრო ურთიერთობები ან განუვითარებელია ან არ არსებობს, თავისუფალი ეკონომიკის კანონები არ მოქმედებს, არაა გასაღების ბაზრები, სოფლის „საზოგადოებრივი მეურნეობა“ დაბალპროდუქტიულია (თანაც მოძველებული ტექნიკით და მექანიზმებით აღჭურვილი), მცირე ოდენობითაა კერძო სანარმოები, მიმდინარეობს დარჩენილი კადრების დეკვალიფიკაცია, შეინიშნება დეპოპულაციის პროცესი, რეგიონი საინვესტიციო თვალსაზრისით ნაკლებმიზიდველია, საკუთარი ენერჯის წყაროები არ აქვს, არაეფექტურია საბანკო სისტემა და ა.შ.³

ყსოაო-ს ეკონომიკა ძირითადად რუსულ დოტაციაზეა, 2008-1014 წწ. მოსკოვმა მას 43 მილიარდ რუბლზე (დაახლოებით 716 მილიონი აშშ დოლარი) მეტი გამოუყო. 2015 წ-ს დამტკიცდა „სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამა“ რომლის

¹ Дзагоева Р. Ленингорский район: смутные перспективы и реалии стагнации, <http://respublikarso.org/analytics/341-leningorskiy-rayon-smutnye-perspektivy-i-realii-stagnacii.html>

² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2020 წელი. გვ. 6

³ ხარებოვი ბ. დასახ. ნაშრ. გვ. 17-19

ფარგლებშიც საბიუჯეტო ინვესტიციებისათვის 23 მლრდ. რუბლი (დაახლოებით 383 მილონი აშს დოლარი) განისაზღვრა. ცალკეული მონაცემებით სულ რუსულმა დაფინანსებამ 60 მლრდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა, რაც უნდა მოხმარებოდა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას, როგორცაა: ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი, ელექტროგადამცემი ხაზი ახალგორის რაიონში, ვლადიკავკაზი-ცხინვალის გაზსადენი და ა.შ. თუმცა ნაკლებადობიექტური მკვლევრებიც ვერ მალავენ, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ გამოყოფილი სახსრები არაეფექტურად აითვისა, არც თუ ისე კარგი შედეგი მიიღო (საკუთარი სახსრებით ბიუჯეტის დაახლოებით 14%-ს ივსება) და მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. ეკონომიკურ ე.წ. „მიღწევებზე“ კარგ შთაბეჭდილებას გვიქმნის წარმტებულად მიჩნეული პროექტის, „ირისტონის ბაღების“, ანალიზი. იმედოვნებენ, რომ 50 ჰა ტერიტორიაზე გაშენებული ვაშლის ბაღებიდან, რაზეც 240 მლ. რუბლი დაიხარჯა, წლიურად 50-55 ტონა ვაშლს (ე.ი 1 ჰა-ზე 1 ტონას ?!) მიიღებენ.¹

ნათელია, რომ საკვლევ რეგიონში ომის შემდეგ ვითარება უფრო გაუარესდა, გაპარტახდა სავარგულები, მოიშალა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მესაქონლეობის მთა-ბარული სისტემა, ცხვარ-ძროხისაგან დაიცალა იალალები, რადგან ყსოაო-ს ხელისუფლების კონტროლირებად მთებში საზაფხულო იალალებზე წასვლა საშიში გახდა, ხოლო მკაცრად კონტროლირებული ზოლის მიღმა ქართული ხელისუფლებისაგან კონტროლირებადი ტერიტორიიდან იალალებზე შეღწევა შეუძლებელია.. მართალია ე.წ. ოსურ ხელისუფლებას სურს, კვლავ განავითაროს გადარეკვითი მესაქონლეობა, მაგრამ მთაში უამრავი „ავაზაკი და თოფიანი დაეხეტება და მათ არ აქვთ უსაფრთხოების იმედი“.² შედეგად, ყსოაო-ში კატასტროფულად გაძვირდა პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს პენსიით, ან დასაქმებულია არასანარმოო სფეროში (პოლიცია, დაცვა, სამ-

¹ Сипаро К. Южная Осетия: прошлое, настоящее и будущее, ინტერნეტ ვერსია /http://www.vectoreconomy.ru/images/publications/2021/1/regional_economy/Siparo.pdf

²ქენქაძე ვ., ფოტოები, სამშვიდობო გაზეთი, 15 მაისი, 2009 გვ. 3.

ხედროების მომსახურება, ვაჭრობა და სხვ.). ცხადია, საოკუპაციო მმართველობის მიზანს არ წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური აღორძინება. იგი ცდილობს, ერთი მხრივ, გაიზარდოს რფ-ზე სამეურნეო-ეკონომიკური დამოკიდებულება და, მეორე მხრივ, მთლიანად მოსწყდეს ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეს.

5. დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართული სახელმწიფოს რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლა მნიშვნელოვან დარტყმას აყენებდა რუსულ გეოსტრატეგიულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში; ამიტომ კრემლი საქართველოს განვითარების და გაძლიერების წინააღმდეგ ეფექტურ ინსტრუმენტად იმთავითვე იყენებდა სეპარატისტული მოძრაობების ღია თუ ფარულ წახალისებას და ავტონომიური წარმონაქმნების ცენტრთან დაპირისპირებას. 1990-იან წლებში, საქართველო ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (1990-92) და შემდეგ კი აფხაზეთში (1992-93) საომარ მოქმედებებში აღმოჩნდა ჩათრეული.¹

ამ დაპირისპირების მაპროვოცირებელ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ფაქტორად იქცა ისტორიული პრობლემატიკა. საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისათვის, პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად, ცალკეული მეცნიერები ახდენდნენ კავკასიოლოგიაში კარგად დასაბუთებული დებულებებისა და ფაქტობრივი მასალის უაპელაციო რევიზიას.

კომუნისტური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, საბჭოთა სისტემის აპოლოგეტ მკვლევართა კონცეპტუალურმა მიდგომებმა მყისიერად განიცადეს კარდინალური ტრანსფორმაცია. ფართოდ გავრცელდა ისტორიის განსხვავებული ვერსიები. დაიწყო კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიის გადააზრება//რეინტერპრეტაცია. ისტორიული თემატიკის კვლევისას ოსურ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა პერიოდში მიღებული დასკვნები ხშირად სრულიად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რაც დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას აძლევს ამ მრავალფეროვანი და ეკლექტური მონაცემებიდან სათანადო შეარჩიოს და გამოიყენოს ოსეთის ისტორიის სადავო საკითხის სასურველი არგუმენტაციისთვის. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის საკვანძო საკითხები წარმოადგენს.

¹ Loladze, N. *Migratory Movements of Georgia's Greek Community*. Berlin: Peter Lang Verlag, 2021, გვ.52

ოსი ავტორებისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ხალხის ისტორიის დაძველება და იმის მტკიცება, რომ ყსოაო-სა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ავტოქთონები არიან და ისტორიულად აქ ქართველები არ ცხოვრობდნენ. წერილობითი წყაროები მათთვის სასურველი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ, წინა პლანზე წამოსწიეს მატერიალური კულტურის, კერძოდ კი, არქეოლოგიური მასალის საფუძველზე სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ბინადრობის დაძველების მცდელობები. გასული საუკუნის ბოლო ხანებში შეიმჩნევა ოსი ავტორების მიერ ახალი მითოლოგიების შექმნის ტენდენცია.

ამგვარი იდეოლოგიურ საფუძველზე რუსეთი უკვე აშკარად გადავიდა ექსპანსიონისტურ ქმედებებზე, 2008 წლის აგვისტოდან სამხედრო ძალით შემოიჭრა საქართველოში, განახორციელა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაცია, იქ სამხედრო ბაზები განათავსა და ეს რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. აგრესიული ქმედებებისათვის სამართლიანობის ელფერი რომ მინიჭებინა, ექსპანსია აფხაზი და ოსი ხალხის განადგურებისაგან დაცვის აუცილებლობით გაამართლა.

2010 წლის სექტემბრის ბოლოს ოსური მხარე „სახელმწიფო საზღვრის“ დადგენას და მონიშვნას შეუდგა. 2011 წლიდან საოკუპაციო საზღვრის დემარკაცია-გაფართოვების, ანუ ბორდერიზაციის პროცესმა ინტენსიური სახე მიიღო. მთლიანობაში ქართულმა მხარემ კონტროლი დაკარგა აღნიშნული რეგიონის 135 დასახლებულ პუნქტზე. რუსული სამხედრო მანქანა მკაცრად აკონტროლებს საოკუპაციო ზოლს, უზღულდავს მოსახლეობას გადაადგილებას და შესაბამისად რადიკალურად ცვლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურული კომუნიკაციის ვექტორს. ერთმანეთისაგან საოკუპაციო ხაზით დამორებული ქართულ-ოსური სამეურნეო და საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობები თითქმის შეწყდა. ამ რეგიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, საცხოვრებელი ადგილები მიატოვა და შიდა ქართლში საგანგებოდ შექმნილ დასახლებებში ან რფრ-ში გადავიდა. თითქმის მთლიანად დაიცალა სოფლები, დაირღვა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირები, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, შეიცვა-

ლა ბევრი ოჯახის შემოსავლის წყარო რაც სისტემურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის მთლიანობას.

კვლევის ამ ეტაპზე ცხადად იკვეთება, რომ 2008 წლის შემდეგ, ყოფილი ადმინისტრაციული (სა)ზღვარი, რომელიც მხოლოდ რუკაზე დატანილ წყვეტილ ხაზს წარმოადგენდა, მკაცრად მილიტარიზებულ ფიზიკურ ბარიერად გადაიქცა. თეორიულად, აღნიშნული პროცესი ცალსახად „თხელი“ (სა)ზღვრის „მსხვილ“, რკინის ფარდის მსგავს ჩაკეტილ „საერთაშორისო საზღვრად“ ტრანსფორმაციას მიესადაგება. შედეგად, ინტენსიური ბორდერიზაცია გადაულახავ ბარიერად ევლინება ადგილობრივ მოსახლებას და კონფლიქტის ისტორიის განმავლობაში სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური კავშირების ხანგრძლივი წყვეტა გამოიწვია.

რუსეთის ფედერაციის მიერ რეგიონის ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი რეალობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყოველდღიური საფრთხის, გაუცხოვებისა და იზოლაციისათვის ნოყიერ ნიადაგად იქცა საოკუპაციო ზოლის ორივე მახარეს. შედეგად, შექმნილი მდგომარეობა ასტიმულირებს მიგრაციას რამაც შესაძლოა ბორდერიზაციით დაზარალებული სოფლების დეპოპულაცია გამოიწვიოს. ამასთანავე, კვლევა გვიჩვენებს რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, საოკუპაციო ზოლის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, მძიმე სოციალური-ეკონომიკური შედეგების მიუხედავად, ბ/ორდერიზაციას გარკვეულ შემთხვევებში რთული და საფრთხის შემცველი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებადაც კი აღიქვამენ.

2008 წლის შემდგომი მდგომარეობა, გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, შეუქცევადად აზიანებს ქართულ-ოსურ ურთიერთობებს და ნებმისმიერი სახის კონსტრუქციული პროცესის დაწყების შესაძლებლობას გამორიცხავს. გამყოფი ხაზის ორივე მხარეს კი ერთმანეთისადმი გაუცხოებული თაობები იზრდება.

თუმცა, ადამიანები საოკუპაციო ზოლის ორივე მხრიდან, საკუთარი უსაფრთხოების რისკის ფასად, ჯერ კიდევ ცდილობენ მის გადაკვეთას სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომისთვის, ოჯახის წევრებისა და ნათესავების მონახულების, ვაჭ-

რობის, ჯანდაცვის, განათლების, სხვა სოციალურ-ეკონომიკური სიკეთეებისა თუ, უბრალოდ, სასაფლაოებისა და რელიგიური ადგილების მოსანახულებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ გამუდმებით ხდებოდეს ბორდერიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემატიკის აკადემიური და ანალიტიკური შესწავლა და კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რაც დაფუძნებული იქნება პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ გამოცდილებაზე.

2008 წლის აგვისტოს ომი და შემდგომ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ექსპანსიონისტური გეგმის ნაწილია, რომლითაც იგი ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს სამხრეთ ოსეთის ინტეგრირებას თავის შემადგენლობაში და სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის აღდგენას.

დღეს, ოკუპირებულ რეგიონის ტერიტორიაზე განთავსებულია რუსეთის ფედერაციის მე-4 სამხედრო ბაზა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის და რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის 19 სასაზღვრო ბაზა, რომლებიც, ფაქტობრივად, საოკუპაციო საზღვრის გასწვრივაა განლაგებული. ოკუპირებული რეგიონის სამხედრო და სასაზღვრო ბაზებზე 2019 წლისათვის საავარაუდოდ 4000-დან 4500-მდე სამხედრო იმყოფებოდა; სამხედროთა რაოდენობა ინტენსიურად იზრდება.

რუსეთის ექსპანსია დე ფაქტო სამხეთ ოსეთში, მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს; ეს მიმართულებები კი იმდენად გადაჯაჭვულია და ურთიერთშეპირობებული, რომ ერთიან სისტემას ქმნის, სადაც ერთის გააქტიურება დანარჩენებსაც თავისთავად ააქტიურებს. ამ მიმართულებით, ვითარება ასეთია: ოსური მხარე საოკუპაციო საზღვრის დემარკაცია-გაფართოვებას, ანუ ბორდერიზაციას, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მესაზღვრეების დახმარებით ახორციელებს; რუსეთი ამ ე.წ. საზღვარს ამაგრებს სამხედრო სასაზღვრო ბაზებით, ყოველწლიურად ზრდის სამხედრო კონტინგენტს და აძლიერებს მათ სამხედრო შეიარაღებას - ახდენს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას; საოკუპაციო რეჟიმი აპატიმრებს ე.წ. „საზღვრის“ „დამრღვევთ“; რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს უკანონო პატიმართა სიცოცხლის უფლების ხელყოფას; ინტენსიურად ტარდება სამხედრო წვრთნე-

ბი; სამხედრო ძალის დემონსტრირება საოკუპაციო საზღვრის მოპირდაპირე მხარეზე მყოფი ქართული სოფლების მოსახლეობას მორალურად ანადგურებს და მუდმივ შიშში ამყოფებს; ბაზებზე მსახურობენ რუსი სამხედროები, რომლებიც აქ ოჯახებით ცხოვრობენ და შესაბამისად, იზრდება მათი რაოდენობაც. მათი შვილებისთვის იხსნება რუსული საბავშვო ბაღები და სკოლები, ამდენად, მომსახურე პერსონალიც თუ რუსი არა, რუსულენოვანი მაინც უნდა იყოს; საქმის წარმოება ე.წ. სახელმწიფო უწყებებში რუსულ ენაზე მიმდინარეობს; გაუქმდა ქართული სკოლები დარჩენილი კი ეტაპობრივად გადადის რუსულ სწავლებაზე; რუსული დიასპორისთვის აშენდა ეკლესია, რომელიც რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ექვემდებარება; რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსეთის ბაზარზე; უქმდება სამხრეთ ოსეთის როკის საბაჟო; დანარჩენ საქართველოსთან კავშირის არქონის გამო, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის სხვა სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ჩრდილოეთისკენ გადის; ადგილობრივ ოსურ და რუსულენოვან სკოლებში ასწავლიან გაყალბებულ ისტორიას, სადაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ისტორიულ ოსეთად არის წარმოდგენილი, ხოლო ქართველები ოსების მტრებად; რუსეთი ხელს უწყობს და გზას უხსნის ოკუპირებული რეგიონის ახალგაზრდებს რუსეთში უმაღლესი სწავლებისაკენ; ინტენსიურად მიმდინარეობს ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, შესაბამისად, რუსული პენსიით სარგებლობა და ა.შ.

კრემლის პოლიტიკა ოკუპირებულ რეგიონს მთლიანად რუსეთზე დამოკიდებულ სუბიექტად აქცევს¹, რაც გამოიხატება: რუსეთის მცდელობაში სრულად მართოს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო; სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო უწყებებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ოფიციალური მიმონერის რუსულ ენაზე წარმოებაში; სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების

¹ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მათი გავლენა ადამიანის უფლებებზე. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, გვ.01

ყოველმხრივ გამარტივებაში; რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთის მიერ შეთანხმებული საშინაო პოლიტიკის წარმოებაში; თავდაცვის და უსაფრთხოების საერთო სივრცის ფორმირებაში, ანუ, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების თავდაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რისთვისაც, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები და უსაფრთხოების ორგანოების ცალკეული დანაყოფები რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების ორგანოების შემადგენლობაში შედიან; სამხრეთ ოსეთის საბაჟო ორგანოების რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოებთან ინტეგრირებაში; რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში მომუშავე პირებისთვის საშუალო ხელფასის ოდენობის ზრდაში; რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის საპენსიო შემწეობის გაზრდაში; სამხრეთ ოსეთში განათლების დონის ზრდისთვის რუსეთის ფედერაციასთან ერთად განათლების სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავებაში და ა.შ.

ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს კულტურული ექსპანსია. ამ მიმართულებით, რელიგიის თემა ცხინვალის/კრემლის მიერ ერთგვარი მანიპულაციის ობიექტად და ექსპანსიონისტური პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცა.

ოსებს ჰქონდათ როგორც საკუთარი, ასევე ქართველებთან საზიარო კულტები და სალოცავები და ხშირად ქართველებთან ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს. საერთო რელიგიური პრაქტიკა საფუძველს უმყარებდა ქართველთა და ოსთა ახლო ურთიერთობას, რასაც ასევე განამტკიცებდა შერეული ქორწინებების სიხშირე და ნათლობის გზით ხელოვნური დანათესავების პრაქტიკა. ინტენსიური ურთიერთობა ხელს უწყობდა ორივე ხალხის ტრადიციული ეთნოკულტურული ელემენტების ურთიერთშეღწევადაობას და, შესაბამისად, ინტეგრაციის ხარისხის ზრდას.

2008 წლის ომის დროს დაინგრა და გაპარტახდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ქართული ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი; ომმა სავალალო გავლენა მოახდინა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი, დევნილი და ბორდე-

რიზაციით დაზარალებული მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზე და მათ რელიგიურ პრაქტიკაზე. კრემლის მიერ წარმოებული პოლიტიკის გამოისობით, რელიგიური თვალსაზრისით წლების წინ საკმაოდ მონოლითური და საკმაოდ ინტეგრირებული საკვლევე რეგიონის სოციუმი, რელიგიური დეზინტეგრაციის წინაშე აღმოჩნდა.

ბორდერიზაციის გამოისობით მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სულიერი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ეკლესიების ერთი ნაწილი, სადაც რელიგიურ დღესასწაულებზე ტრადიციულად სისტემატურად იკრიბებოდნენ ხოლმე. გამყოფი ხაზის აქეთ დარჩენილ მოსახლეობას ამჟამად არ აქვს წვდომა გამყოფი ხაზის იქით მოხვედრილ სულ მცირე ცხრა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. ადამიანები ვეღარ ახერხებენ წინაპართა სასაფლაოებზე და სალოცავებში მისვლას, ვეღარ აღნიშნავენ საეკლესიო დღესასწაულებს, დავინყების პერსპექტივა აქვს ერთობლივ ხალხური დღეობებსა და საერთო რელიგიურ პრაქტიკას. ირღვევა მათი რელიგიის თავისუფლებისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. რაც დიდი ალბათობით, ქართული სახელმწიფოსაგან მათ გაუცხოებას გამოიწვევს და ინტერკულტურული კომუნიკაციის ამ ტრადიციულ ფორმასაც მოსპობს.

დღეს შიდა ქართლის ოკუპირებული, ანუ დე-ფაქტო სამხეთ ოსეთის ტერიტორია, ოფიციალურად საქართველოს საპატრიარქოს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის იურისდიქციაში შედის, თუმცა, ამჟამად აქაური მღვდელმთავრის ძალაუფლება ეპარქიის მნიშვნელოვან ნაწილზე მხოლოდ ნომინალურ ხასიათს ატარებს. თვითალიარებულ რესპუბლიკაში აქტუალურია ოკუპირებული რეგიონის ეკლესიის ქართული საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოყოფის საკითხი. ოფიციალურად ორივე - რუსული და ბერძნული ეკლესიები ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ იურისდიქციას აღიარებენ, თუმცა, რეალობა სხვაგვარია. ოსებმა ქართული ეკლესია-სალოცავები ოსური კულტურის ძეგლებად გამოაცხადეს, ზოგი გადაღებეს, ზოგიც განადგურდა. გავრცელებული ინფორმაციით, ოსებმა ეკლესიის კედლებიდან ის ქვე-

ბი ამოიღეს, რომლებზეც ქართული წარწერები და მართლმადიდებლური ჯვრები იყო გამოსახული.¹

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სამხრეთ ოსეთის ეკლესიას თავისი იურისდიქციის ქვეშ ოფიციალურად არ იღებს, მაგრამ რეგიონში ფეხს აქტიურად იკიდებს; 2018 წლის იანვარში ცხინვალში დასრულდა წმ. სამების რუსული ეკლესიის მშენებლობა, რომელიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაშია. მას საკმარისი რაოდენობის მრევლი ჰყავს.

ავგისტოს ომის შემდეგ საოკუპაციო ზოლის საპირისპირო მხარეებზე დარჩენილი მოსახლეობის გაუცხოებისაკენ მიმართული კრემლის/ცხინვალის პოლიტიკა, გულისხმობს ტარდიციული რელიგიური პრაქტიკის კარდინალურ ტრანსფორმაციას ქართველთა და ოსთა სასულიერო ერთობის გახლეჩის გზით. რელიგიური კუთხით ოკუპირებულ რეგიონში საქმიანობა, რელიგიური ექსპანსიის აშკარა სურათია.

რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა საგანმანათლებლო სისტემის მიმართულებით განხორციელებულ ქმედობებში გამოიხატება. საოკუპაციო ძალები და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას უზღუდავენ, აუქმებენ ქართულ სკოლებს, უკიდურესად ამცირებენ ქართული ენისა და ლიტერატურის საათებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სკოლებში ქართულ ენაზე საუბარს, ხოლო აბიტურიენტებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებას უკრძალავენ, და. ა.შ.

ყოფილი სოაო-ს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დღეისთვის ქართული სკოლები ფაქტობრივად მხოლოდ ახალგორის (ლენინგორის) რაიონშია. ამჟამად ახალგორის მუნიციპალიტეტში ექვსი ქართული სკოლაა, ერთი დაბა ახალგორში და ხუთი სოფლებში. 2018 წლის სექტემბერში ახალგორში გაიხსნა ახა-

¹ ნათია ჯალაბაძე, 2008 წელს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის ყოფის ზოგიერთი ასპექტი (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბილისი, კეკ XV

ლი რუსული სკოლა, რომლის მშენებლობაც რუსეთის ფედერაციამ სოციალური და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დააფინანსა. 2017 წლიდან ქართულ სკოლებში I-VI კლასებში სწავლების ენა ქართულიდან რუსულ ენაზე გადავიდა და დღეს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ყველა სკოლაში განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზე დაიშვება. რაიონის ექვს სკოლაში სწავლება ქართულად მიმდინარეობს მე-7-დან მე-11 კლასამდე. დანარჩენ შემთხვევებში, ქართული ენა და ლიტერატურა საგნის სახით ისწავლება. ადგილი აქვს ახალგორელი ქართველი აბიტურიენტების დაშინებას დე ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც აბიტურიენტებს კატეგორიულად უკრძალავენ თბილისში სწავლის გაგრძელებას და სანაცვლოდ ცხინვალის უნივერსიტეტში სწავლას სთავაზობენ.¹

ბოლო წლებში გაუმჯობესდა მდგომარეობა გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით; მაღალმთიანი სტატუსი მიენიჭა საოკუპაციო საზღვრის მიმდებარე დასახლებებს, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიასთან გამყოფი ხაზის მიმდებარე ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (19 დასახლება). მოსახლეობის ამ კატეგორიას გაეზარდა პენსია და მათთვის მოქმედებს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები. შეძლებისდაგვარად, საოკუპაციო საზღვრისპირა სოფლებში გაიხსნა სამედიცინო პუნქტები, თუმცა მომსახურება ერთმნიშვნელოვნად ხარისხიანი არაა.

ოკუპირებული რტერიტორიებზე მცხოვრები პირებს, ვისაც აქვს საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის უფლება, შეუძლიათ მიიღონ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება საოკუპაციო საზღვრის აქეთ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში უფასოდ და ჩაერთონ საქართველოს სახელმწიფო სოციალური დაცვისა და შეღავათების სისტემაში; მათთვის ხელმისაწვდომ-

¹ გოგა აფციაური, კაგებეს ზენოლა ახალგორელ აბიტურიენტებზე, რეგიონის დეპოპულაციის მცდელობა, 18.06.2020, <https://www.radio-tavisupleba.ge/a/30678195.html>

მია სამედიცინო პროგრამებიც. COVID პანდემიამდე შესამჩნევი იყო სახელმწიფო სამედიცინო სერვისების მიღების მიზნით ოკუპირებული რეგიონიდან ინდივიდთა გადაადგილების ზრდის პოზიტიური ტენდენცია.

COVID-19-ის პანდემიის შემდეგ, საოკუპაციო რეჟიმი იზოლაციაში ამყოფებს „თავის მოქალაქეებს“ და უარს ამბობს ჩვენი ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ სამედიცინო დახმარებებზე; რიგ შემთხვევებში ეს უარი სავალალო შედეგებით მთავრდება. შესაბამისი სტრუქტურების განკარგულებით, პაციენტები სამკურნალოდ მხოლოდ ცხინვალში გადაჰყავთ, რაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს.

ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას ცხინვალის რეჟიმი ბარიერებს უქმნის და ყველანაირად ცდილობს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მათ სასარგებლოდ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ქართველთა საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. სისტემატური და მიზანმიმართული სახე მიიღო დეზინფორმაციულმა პროპაგანდისტულმა გზავნილებმა საქართველოს წინააღმდეგ, საინფორმაციო პლატფორმებზე საქართველოს ასოცირებამ საფრთხესთან. ოკუპირებულ რეგიონში მოქმედი მედია პლატფორმებიდან ვრცელდება ინფორმაციები, რომ საქართველო მიზანმიმართულად ცდილობს სამხრეთ ოსეთში COVID-19-ის გავრცელებას. არა ერთი მასალა მომზადდა ლუგარის ლაბორატორიის შესახებ, სადაც აღნიშნული დაწესებულება იხსენიება ბიოლოგიური იარაღის შექმნისა და გავრცელების წყაროდ. საინფორმაციო პლატფორმებმა თავიანთი პროპაგანდისტული გზავნილებით აქტიურად იმუშავეს საქართველოს მტრის ხატად წარმოდგენის გაამყარებაზე; პოპულიზმად შეფასდა საქართველოს მთავრობის შემოთავაზებები ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიმართულებით და სხვ.¹

ოკუპირებულ რეგიონში, ერთი მხრივ, მიმდინარეობს ქართული საგანმანათლებლო სისტემის მოსპობა და გამალეული რუსიფიკაცია, რაც მოსახლეობის სამოქალაქო ორიენტაციას ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის სასარგებლოდ აბრუნებს,

¹იქვე, გვ. 44-45

მეორე მხრივ, ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სრულ იზოლაციაში მოქცევით, ცდილობს განწყვიტოს ის მცირე კავშირებიც, რაც გარკვეულ თაობებს შორის ჯერ კიდევ მოქმედებს და ოსებისთვის საქართველოსთან ურთიერთობას დამლუპველად წარმოაჩენს.

ოკუპირებულ რეგიონში თვალსაჩინოა რუსეთის ექსპანსია ეკონომიკური კუთხითაც. გასულ საუკუნეებში საქართველოში ჩამოსახლებული ოსები ბუნებრივად იყვნენ ჩართული საქართველოს სახელმწიფო სისტემაში და ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს გავლენას ექვემდებარებოდნენ. საბჭოთა პერიოდში რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რაც კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ეგიდით მიმდინარეობდა თავისთავად განაპირობებდა ტრადიციული სამეურნეო-კულტურული კონტაქტების ძირფეხვიანად შეცვლას და ეთნოდემოგრაფიული სიტუაციის ტრანსფორმაციას. საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის შედეგად ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობების მოშლამ და რეგიონის მაღალმთიანი ადგილების მთლიანად მეცხოველეობაზე გადაყვანამ, ძლიერი მიგრაციული პროცესი და მთის სოფლების თანდათანობით დაცლა გამოიწვია.¹ კოლექტივიზაციის შედეგად რადიკალურად შეიცვალა სამეურნეო გარემო. ცენტრალიზებული კომუნისტური მმართველობის სისტემისა და გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის პირობებში უფრო ინტენსიური გახდა სოაო-ის მოსახლეობის კომუნიკაცია საქართველოს სხვა რეგიონებთან; გაიზარდა კულტურულ-სამეურნეო და გეოეკოლოგიური ინტეგრაცია; ჩამოყალიბდა საკმაოდ მტკიცე ოსურ-ქართული სამეურნეო და სოციალ-კულტურული კავშირები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული კონფლიქტი და საერთო ეკონომიკური სტაგნაცია ყოფილი ავტონომიური ოლქის და მიმდებარე დასახლებების ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახა: გაუქმდა კოლმეურნეობები, გასხვისდა საქონლის ფერმები, გაჩერდა საბჭოთა პერიოდში მოქმედი მცირე სამრეწველო ობიექტები, პრობლემები შეექმნა საირიგაციო სისტემას, დაირღვა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, გახ-

¹ ჯალაბაძე, 1973: 17-23).

შირდა კრიმინალი, ყსოაო-ს საკონტაქტო ზონა განსაკუთრებით რაჭასა (კვაისა) და იმერეთში (სინაგური) იქცა ნარკოტრაფიკის ადგილებად. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ყსოაო-ს და მიმდებარე რეგიონების მოსახლეობა ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ კვლავ ინარჩუნებდა სავაჭრო კავშირებს.

2008 წლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ებორდერიზაციამ გარადმტეხი გავლენა იქონია, ქართველთა და ოსთა ეკონომიკურ ურთიერთობაზე. რუსული საოკუპაციო ძალები მკაცრად აკონტროლებენ გამყოფ ზოლს, თუმცა ამის მიუხედავად, შიდა ქართლში მაინც დარჩა რამდენიმე საკონტაქტო წერტილი, სადაც ორივე მხარის მოსახლეობა მაღლულად ცვლის ერთმანეთთან პროდუქციას (აქედან გადის ძირითადად ყურძენი, ვაშლი და ა.შ. იქედან სასაურსათო საქონელი).

საკვლევ რეგიონში ქვეყნის აგროსექტორის საერთო პრობლემებს დაემატა ისიც, რომ საოკუპაციო ზონის მიმდებარე თითქმის ყველა სოფლის სარგებლობაში ტრადიციულად არსებული სავარგულები ცხინვალის კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სოფლის მოსახლეობისათვის აუცილებელი მიწის ფონდი. ამასთანავე, მეტად გართულდა სასოფლო პროდუქციის გასაღება. შიდა ქართლის სოფლებში სადაც წამყვანი იყო მეხაღებობა და მოსახლეობის ძირითად შემოსავალს ვაშლის გაყიდვით მიღებული სახსრები შეადგენდა, ეს ხილი ძირითადად რუსეთში გადიოდა. არანაკლებ რთული ვითარებაა ოკუპირებულ სოფლებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მომსახურების სფეროშია დასაქმებული; საოკუპაციო ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. რუსული სამხედრო მანქანა მკაცრად აკონტროლებს საოკუპაციო ზოლს, უზღუდავს მოსახლეობას გადაადგილებას და შესაბამისად რადიკალურად ცვლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურული კომუნიკაციის ვექტორს. ერთმანეთისაგან საოკუპაციო ხაზით დამორბეული ქართულ-ოსური სამეურნეო და საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობები თითქმის შეწყდა. ამ რეგიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, საცხოვრებელი ადგილები მიატოვა და შიდა ქართლში საგანგებოდ შექმნილ დასახლებებში ან რფრ-ში გადავიდა. თითქმის მთლიანად დაიცალა სოფლები, დაირღვა სა-


უკუწეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირები, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, შეიცვალა ბევრი ოჯახის შემოსავლის წყარო რაც სისტემურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის მთლიანობას.

კულტურული კავშირების წყვეტამ, რუსულმა პროპაგანდამ, ჩაკეტილმა სივრცემ, ქართული კულტურული ღირებულებების არცოდნამ, ფალსიფიცი- რებული ისტორიის სწავლებამ, ოკუპირებულ რეგიონის მოსახლეობაში ქსენოფობიური განწყობების ჩამოყალიბებას - შეუწყო ხელი. ქართველებისაგან მტრის ხატის შექმნა რუსული პოლიტიკის ინტერესებს ემსახურება.


შექმნილი ვითარება გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, შეუქცევადად აზიანებს ქართულ-ოსურ ურთიერთობებს და ამ ეტაპზე ნებიმისმიერი სახის კონსტრუქციული პროცესის დაწყების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაყავს. გამყოფი ხაზის ორივე მხარეს კი ერთმანეთისადმი გაუცხოებული თაობები იზრდება.

დანართი I:


რუკა 1 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ




რუკა 2 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ (ყოფილი სახმრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი)




რუკა 4 ადმინისტრაციული დაყოფა ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიაზე 1991-2007 წლებში



რუკა 5 ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში შემაჯავალი მუნიციპალიტეტები



რუკა 6 ბორდერიზაცია სოფელ დვანში (2021 წლის საველე მონაცემების მიხედვით)



დანართი II:

*ხილის გადამამუშავებელი საწარმო სოფელ დვანში
(იური კოპაძის ნაამბობი)*

კონფლიქტების ზონაში ვართ და უამრავი პრობლემა გვაქვს. ეს სოფელი 2008 წელს ფაქტიურად ოკუპირებული იყო, ხალხი აღარ ცხოვრობდა. მე ცხინვალიდან ლტოლვილი ვიყავი. წარმოშობით აქედან ვარ, სასწავლებლიდან განაწილებით მოვხვდი ცხინვალში, იქ დავოჯახდი, მეუღლე ქართველია, წარმოშობით პერევიდან არის ზამბახიძე. ჯერ 1992 წელს გავხდი ლტოლვილი, შიგ ცხინვალში გვექონდა ბინა, სახლი, კარი, სამსახური, ყველაფერი დავკარგეთ. კონფლიქტი რომ მოხდა საცხოვრებლად წავედით სოფელ თამარაშენში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვფიქრობდით დამთავრდებოდა კონფლიქტი და ყველა ჩვენ-ჩვენს ოჯახებში დავბრუნდებოდით. 2008 წელს უარესი უბედურება მოხდა და სხვა ხეობის მაცხოვრებლებთან ერთად იძულებული გავხდით გამოვსულიყავით. როგორც ქართველი, როგორც პატრიოტი ადამიანი, ვარჩიე დავრჩენილიყავი ჩემს სოფელში და შემექმნა ისეთი რაღაც, რაც სამომავლოდ ჩემს ოჯახსაც და სამშობლოსაც გამოადგებოდა. მანამდეც მოფიქრებული მქონდა რა უნდა გამეკეთებინა, ხეობაში ვაპირებდი გაკეთებას, მაგრამ შემდეგ აქ გავაკეთე. გაკეთდა ბიზნეს-გეგმა მთავრობის დონეზე. ამბობდნენ ორჯერ ლტოლვილმა ამ დაქვეულ და გავერანებულ სოფელში რა წარმოება უნდა გააკეთოს, თუ რამის გამკეთებელია აცერ გორში, ქარელში რამდენი ადგილია იქ გააკეთოსო, მაგრამ მე არ დავთანხმდი. სულ 40000 ლარზე იყო ლაპარაკი. იაფი კრედიტის პროგრამაზეა საუბარი. კრედიტით არის გაკეთებული ეს წარმოება. აქ იყო შინაარსობლივად ტრადიციული ხილის პროდუქტების დამზადება, როგორიც არის ჩურჩხელა, ტყლაპი, ჩირი, 2009 წელში ეს თანხა დაგვიმტკიცეს, მოგვცეს აპრილის თვეში და აგვისტოში უკვე პროდუქცია გამოვუშვით. თბილისში, არტგენის ფესტივალზე, ეთნოგრაფიულში წარვადგინეთ პირველი ჩვენი პროდუქცია. ძალიან ბევრი წვალეებით ნამდვილად გავაკეთეთ, ღირსეული პროდუქცია. გასაღების ბაზარი დღეს გვიჭირს. გაუთვალისწინებელი რაღაცეები მოხდა, ფაქტიურად

სავაჭრო ქსელებში შეტანილი პროდუქციის ფული არ დაგვიბრუნეს, სხვადასხვა პროდუქტების 16 000 ლარი არის ჩარჩენილი მაღაზიებში, სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებში. კარფური იყო ერთ-ერთი კარგი გაყიდვების ბაზა, თვეში ორჯერ გვიხდიდნენ, ძალიან სტაბილურად მიდიოდა იქ ყველაფერი მაგრამ, სამი წლის წინ მაგათაც გვითხრეს რომ სტენდი უნდა გაგვეკეთებინა, გამყიდველი უნდა დაგვეყენებინა, ისეთი რაღაცეები უნდა გაგვეკეთებინა, რომ ფაქტიურად არაფერი გამოვიდოდა. ფაქტიურად გვითხრეს, მოდით რა შეეშვით, სხვა სავაჭრო ქსელებს მიმართეთ, ბადაგია შემოსული და ის უნდა გაიყიდოსო. თქვენ აქ უკვე ველარ დანაყოფით პროდუქტებს და ვერ გაყიდითო, ასე იყო. იქ უკვე ახსნა-განმარტებები აღარ ყოფილა. მონოპოლისტები თვითონ გახდნენ ამ სისტემაში და დღესაც ეგენი არიან. არავინ არ ჩივის, არავინ არ კითხულობს ამ ამბებს. ჩვენი პროდუქციის ნიმუშები ისრაელში, ამერიკაში იყო წაღებული, ჩინეთში, აბსოლუტურად ყველგან სადაც იყო წაღებული დადებითი პასუხი მოდის ლაბორატორიული დასკვნებით, ფაქტიურად ბიოა. მაგრამ ამ პირობებში, სერტიფიკატს ვერ ავიღებთ. ერთ სივრცეში ხდება ყველაფერი, პროდუქტის მიღებაც, გადამუშავებაც, როცა დავინყეთ 2009 წელს არ ექცეოდა ამ სტანდარტებს ყურადღება, შეიცვალა ახლა სტანდარტები. ამ საქმეში ჩამორჩენილები ვართ. მაგრამ ვართ მოქმედებაში, ახლა სხვა კომპანიებს ვემსახურებით, სავაჭრო ქსელებში აღარ გავდივართ. არც კაპიტალი გვაქვს, არც ფული იმდენი, რომ ერთი მივანოდოთ, მერე კიდევ, ერთი წავაგოთ, მერე კიდევ მივანოდოთ, არ ხდება ასე და გაურკვეველი მიზეზების გამო ასეთ მდგომარეობაში ვართ. ვფიქრობთ გაფართოებაზე, სანარმო არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 2015 წლიდან, სერთიფიცირებულიც ვართ, რეგისტრირებული ვართ, სამწუხაროდ, მაგათაც თუ რამე პროგრამები არის, ძირითადად, რძის გადამუშავება, მეფუტკრეობა, თაფლის წარმოება, პირველადი წარმოება სოფლის მეურნეობის, გადამუშავება არ არის არა აქვთ, მაგრამ არ გამოვიდა. აწარმოე საქართველოსთან გვექონდა კავშირი, იქაც წლის ბოლომდე უნდა ყოფილიყო პასუხი, არ გამოვიდა. ერთი სიტყვით, ამ საკითხით არავინ ინტერესდება. ძალიან გულდასაწყვეტია, ძალიან საჭირო საქმეა, ძალიან ბევრი, ვინვალე, მე თვითონ შევექმენი საშრობი კამერები, სასომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი, თურქეთ,

უკრაინა, აბსოლუტურად ყველა, ძალიან დიდი სეგმენტი მუშაობს ამ ტექნოლოგიაზე, მარტო მცდელობაა, შედეგი კი ნული. მზადა ვარ რომ ვაკეთო ეს ყველაფერი, მაგრამ არავინ ინტერესდება. ძირითადად პროდუქციას ადგილობრივი მოსახლეობისგან ვიბარებთ. მეორადი ვაშლი რასაც ჰქვია, ორი ლარი რომ ღირს, სამ ლარზე ქვემოთ არ ჩამიბარებია ყუთი. მოტივაციას ვაძლევ მუშებს, გლეხებს, არ მაქვს განწყობა რომ ფული დამრჩეს. 9 ადამიანი მყავს დასაქმებული, 9 კოოპერატივის წევრი ვართ დარჩენილი. ახლა ველოდებით, რუსეთიდან იყვნენ წარმომადგენლები ჩვენი ჩურჩხელები გასინჯეს, წაღება უნდათ. ვაკეთებთ სხვადასხვა ხილის წვენებს, სხვადასხვა არომატებს ვიღებთ. ბადაგს ვერ დაარეგულირებთ, ის არის სრულიად ტკბილი, ჩვენი წვენები, არის არომატიზირებული და მითითებაც ეგ არის, რომ დამზადებულია ხილის წვენი. ახალ ეტიკეტს ვბეჭდავთ „ჩირჩხილა“ ასე ერქმევა, ჩვენს ჩურჩხელას.

დანართი III (სურათები):




მამისონი, მეტეო სადგური, რომელიც დღეს ოკუპანტებს უკავიათ



გზა მამისონისკენ, გადასახვევი ოსურ სოფელ ლურშევთან



ოსური სოფელი ღურშევი



ირის მოსახლეობის მიერ გადაღობილი კვაისისკენ მიმავალი გზა



აკლდამა სოფელ ღურშევი



ბარიტის ქარხნის ნანგრევები სოფელ ირში



სოფელი ქვედი, ინტერვიუ მთხრობლებთან



საოკუპაციო რეჟიმის სამხედრო სასაზღვრო პოზიცია პერევი—
სინაგურის გამშვებ პუნქტთან



ოკუპირებული სოფელი ქვემო ქარძმანი, მდინარე ხახიეთის წყალზე
რომელზეც გადის საოკუპაციო ზოლი




ზარდიანთკარის გამშვებ პუნქტთან



გამყოფი ღობე სოფელ კოდასთან



გამყოფი ღობე სოფელ არბოსთან



სოფელი სურვალეთი

SUMMARY

BORDERIZATION AND GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN THE OCCUPIED REGION

The book *Borderization and Georgian-Ossetian Relations in the Occupied Region* was written with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia; it was developed within the framework of the project, the winner of the Basic Research Grants competition “Life in the Villages Affected by Russia’s Creeping Occupation”(FR-18-10229). The monograph examines the situation and problems in the villages adjacent to the former South Ossetian Autonomous Region (Gori, Kaspi, Karel, Khashuri, Dusheti, Sachkhere and Oni municipalities) influenced by the borderization of the occupation line and discusses some aspects of Georgian-Ossetian relations in the occupied region after the August 2008 war. It studies multidimensional impact of borderization from the interdisciplinary theoretical prism of ethnological and border studies and analyzes borderization as a daily experienced process, narrated and comprehended by the local population.

The Project was implemented by the researchers of the International Scientific Research Institute of the Peoples of the Caucasus: Natia Jalabadze (Project Manager, Ethnologist, Doctor of History), Lavrenti Janiashvili (Ethnologist, Doctor of Historical Sciences), Nika Loladze (Project Coordinator, Social Geographer, Doctor of Social and Cultural Sciences).

The presented collective monograph is mainly based on the ethnographic material obtained by the authors, as well as archival, special literature, print, electronic and social media data. The fieldwork planned by the project was carried out in the villages adjacent to the occupied territories. Ethnographic material was collected through interviews (in-depth, face-to-face); focus groups and free discussion groups were organized. Cartography, photography and audio-visual methods were also used. The obtained information was

visualized by mapping and compared with existing official data; spatio-temporal aspects were analyzed.

In the 1990s, upon the collapse of the Soviet Union, Georgia entered a deep and multifaceted crisis. The country was not prepared to face difficult socio-economic transition processes and restoration of independence and struggled to handle domestic and foreign challenges of the new reality. In addition to the economic collapse, derangement of state institutions and political instability, the State also failed to maintain its territorial integrity and avoid ethnic conflicts.

Georgia's withdrawal from the USSR following the collapse of the communist state, inflicted a substantial blow on the geostrategic interests of Russia in the South Caucasus. Consequently, as an effective tool against the development and strengthening of independent Georgia, the Kremlin authorities openly or covertly encouraged separatist movements and confrontations in Georgia's autonomous formations.

